

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL
DEFENCE ACADEMY OF GEORGIA



სამხედრო შრომები
MILITARY PAPERS
№ 4

სამეცნიერო ჟურნალი
SCIENTIFIC JOURNAL

ბორი, 2025

**სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია**

**LEPL-DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE
ACADEMY OF GEORGIA**



**სამხედრო შრომები
MILITARY PAPERS**

№4

**სამეცნიერო ჟურნალი
SCIENTIFIC JOURNAL**

გორი, 2025

სარედაქციო კოლეგია

სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელი

ბრიგადის გენერალი მამია ბალახაძე

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორი

სარედაქციო კოლეგიის

ხელმძღვანელის მოადგილე

პოლკოვნიკი გიორგი ლალიაშვილი

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-
კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი

სარედაქციო კოლეგიის წევრები

ვიცე-პოლკოვნიკი რუსლან დარჩიძე

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის
ხელმძღვანელი

პოლკოვნიკი ირაკლი უჩაძე

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის
ხელმძღვანელი

ნიკოლოზ ესიტაშვილი

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-
კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი

თინათინ კროპაძე

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-
კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი

ქეთევან კვესელავა

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-
კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი

მაია გამსახურდია

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-
კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი

ზურაბ სამხარაძე

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-
კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი

რედაქტორი

თეა ბიძინაშვილი

კომპიუტერული დიზაინერი

მარიშა ძულიაშვილი



© სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის გამომცემლობა

ეს არის ღია წვდომის ჟურნალი. ყველა გამოქვეყნებული სტატია ლიცენზირებულია Creative Commons Attribution 4.0 International License (CC BY 4.0)-ით, რომელიც იძლევა შეუზღუდავი გამოყენების, გავრცელებისა და რეპროდუცირების საშუალებას ნებისმიერ მედიაში, იმ პირობით, რომ მითითებული იქნება ორიგინალი ავტორი(ები) და წყარო.

ავტორები ინარჩუნებენ საავტორო უფლებებს თავიანთი ნაშრომის მიმართ, ხოლო დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიას ანიჭებენ უფლებას, გამოაქვეყნოს ნაშრომი ამ ჟურნალში.

ლიცენზიის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: <https://creativecommons.org/licenses/by/4.0/>

ISSN 2720-8184 (PRINT)

ISSN 2720-8680 (ONLINE)

Editorial Board

Head of the Editorial Board

Brigadier General Mamia Balakhadze

Rector of LEPL David Aghmashenebeli National
Defence Academy of Georgia

Deputy Head of the Editorial Board

Colonel Giorgi Laghiashvili

Head of the Scientific Research Center of
LEPL David Aghmashenebeli National
Defence Academy of Georgia

Members of the Editorial Board

Lieutenant Colonel Ruslan Darchidze

Head of the Bachelor's at LEPL David Aghmashenebeli
National Defence Academy of Georgia

Colonel Irakli Uchadze

Head of MA Program of LEPL David Aghmashenebeli
National Defence Academy of Georgia

Nikoloz Esitashvili

Chief Scientist of Scientific-Research Center of
LEPL David Aghmashenebeli National Defence
Academy of Georgia

Tinatin Kropadze

Chief Scientist of Scientific-Research Center of
LEPL David Aghmashenebeli National Defence
Academy of Georgia

Ketevan Kveselava

Chief Scientist of Scientific-Research Center of
LEPL David Aghmashenebeli National Defence
Academy of Georgia

Maia Gamsakhurdia

Chief Scientist of Scientific-Research Center of
LEPL David Aghmashenebeli National Defence
Academy of Georgia

Zurab Samkharadze

Chief Scientist of Scientific-Research Center of
LEPL David Aghmashenebeli National Defence
Academy of Georgia

Editor

Tea Bidzinashvili

Computer Designer

Marisha Dzuliashvili



© Publishing House Of LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy, 2025

This is an open-access journal. All published articles are licensed under a Creative Commons Attribution 4.0 International License (CC BY 4.0), which permits unrestricted use, distribution, and reproduction in any medium, provided the original author(s) and source are credited.

Authors retain copyright of their work while granting the
David Aghmashenebeli National Defence Academy the right to publish the work in this journal.

For more information about the license, visit: <https://creativecommons.org/licenses/by/4.0/>

ISSN 2720-8184 (PRINT)

ISSN 2720-8680 (ONLINE)



სარჩევი

აშშ-ის საგარეო სამხედრო დახმარების ზეგავლენა საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე პოლკოვნიკი ზეზვა ლიპარტელიანი -----	11
დემოგრაფიული გამოწვევები და მათი გავლენა სამხედრო სამსახურში გაწვევაზე: გლობალური ტენდენციები და ვითარება საქართველოში ვიცე-პოლკოვნიკი ლევან შუბითიძე -----	32
თავდაცვის სტრატეგიების ეფექტურობის ეკონომიკური შეფასება: ეროვნული უსაფრთხოების მოდელები თეა ბიძინაშვილი ვიცე - პოლკოვნიკი დავით შალიკიანი -----	43
წინააღმდეგობის როლი საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაში ლუკა შამუგია -----	53
ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევები და თავდაცვის ყოვლისმომცველი მიდგომა პოლკოვნიკი გიორგი ჯინჭარაძე -----	65
პროკრასტინაცია, იგივე „ხვალისმომხრეობა“ თინათინ კროპაძე ელინა შავდათუაშვილი -----	79
არასტრატეგიული ბირთვული იარაღის კლასიფიკაციის პრობლემები ზურა სამხარაძე რამაზ ჩიჩუა -----	96
თავდაცვის ხარჯების გავლენა საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე თემურ შაკიაშვილი ირმა ბახტურიძე -----	110
მშვიდობიანი მოსახლეობის საფრთხეების ევოლუცია თანამედროვე კონფლიქტებში თადარიგის გენერალ-მაიორი თენგიზ შუბლაძე თადარიგის ბრიგადის გენერალი გიორგი სურმავა -----	121
დავით აღმაშენებლის სტრატეგია და სამხედრო რეფორმები მაიორი მიხეილ ბეჟანიშვილი -----	134

„სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული როლი ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისა და მისი პარტნიორი ქვეყნებისთვის პოლკოვნიკი სერგო თევზაძე ვახტანგ მაისაია პოლკოვნიკი ზურაბ ხუროშვილი _____	152
სამართლიანი ომი ბჰაგავად გიტას მიხედვით ლევან გეგეშიძე _____	173
უსაფრთხოების საკითხებში ოფიცრების როლი სახელმწიფოს უსაფრთხოებაში ვიცე-პოლკოვნიკი ლერი სარაიდაროვი _____	184
ამოცანით მართვის ევოლუციური გზა და ქართული რეალობა არჩილ ჩაჩხიანი _____	211
საჰაერო თავდაცვის აქტუალობა და ორგანიზების საფუძვლები თადარიგის ბრიგადის გენერალი ამირან სალუქვაძე _____	223
ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება თანამედროვე ცხოვრებაში ქეთევან კვესელავა ნინო ვერულავა _____	236
აშშ-ის გეოსტრატეგიული ინტერესების ევოლუცია მე-20 საუკუნეში ვიცე-პოლკოვნიკი იოსებ ტურაშვილი _____	250
„შუა დერეფანი“ და ევროპა - აზიის სატრანსპორტო დივერსიფიკაცია - საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობის შეფასება გლობალური ვაჭრობის ახალ რეალობაში გივი დუჩიძე _____	265
სამხედრო ობიექტების არქიტექტურულ - გეგმარებით გადაწყვეტების საერთაშორისო პრაქტიკა მზია მილაშვილი ვალერი მჭედლიშვილი _____	279
ინტელექტუალური საკუთრება ინოვაციურ პროცესებში ხელოვნური ინტელექტისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების პირობებში ვიცე-პოლკოვნიკი კახაბერ ყავლაშვილი _____	294

Content

Impact of the US Military Assistance on development of Georgia's Defense capabilities Colonel Zezva Liparteliani _ _ _ _ _	12
Demographic Challenges and Their Impact on Military Recruitment: Global Trends and the Case of Georgia Lieutenant Colonel Levan Shubitidze _ _ _ _ _	33
Economic Assessment of the Effectiveness of Defense Strategies: National Security Models Thea Bidzinashvili Lieutenant Colonel David Shalikiani _ _ _ _ _	44
The role of resistance in national security of Georgia Luka Shamugia _ _ _ _ _	54
National Security Challenges and the Comprehensive Defense Approach Colonel Giorgi Jincharadze _ _ _ _ _	66
Procrastination as „Postponing Important Things Until Tomorrow“ Tinatin Kropadze Elina Shavdatuashvili _ _ _ _ _	80
Problems with the classification of non-strategic nuclear weapons Zurab Samkharadze Ramaz Chichua _ _ _ _ _	97
The Impact of Defense Spending on Georgia's Economic Growth (Analysis of 2005–2025 Data) Temur Shakiashvili Irma Bakhturidze _ _ _ _ _	111
The evolution of threats to civilians in modern conflicts Major General (R) Tengiz Shubladze Brigadier General (R) George Surmava _ _ _ _ _	122
David the Builder's Strategy and Military Reforms Major Mikheil Bezhanishvili _ _ _ _ _	135

The Geostrategic Role of the South Caucasus and the Black Sea Basin for the North Atlantic Alliance and Its Partner Countries Colonel Sergo Tevzadze Vakhtang Maisaia Colonel Zurab Khuroshvili _ _ _ _ _	153
Just War According to the Bhagavad Gita Levan Gegeshidze _ _ _ _ _	174
The role of security officers in state security Lieutenant colonel Leri Saraidarov _ _ _ _ _	185
The Evolutionary Path of Mixssion Command and Georgia Archil Chachkhiani _ _ _ _ _	212
The Relevance of Air Defense and the Basis of Organization Brigadier General Amiran Salukvadze (Ret.) _ _ _ _ _	224
The development of information technologies in modern life Ketevan Kveselava Nino Verulava _ _ _ _ _	237
The Evolution of US Geostrategic Interests in the 20th Century Lieutenant Colonel Ioseb Turashvili _ _ _ _ _	251
The “Middle Corridor” and Europe-Asia Transport Diversification - Assessing Georgia’s Strategic Importance in the New Reality of Global Trade Givi Duchidze _ _ _ _ _	266
International Practice of Architectural and Planning Solutions for Military Facilities Mzia Milashvili Valeri Mchedlishvili _ _ _ _ _	280
Intellectual Property in Innovation Processes under Conditions of Artificial Intelligence and Modern Technology Development Lieutenant Colonel Kakhaber Kavlashvili _ _ _ _ _	295

აშშ-ის საგარეო სამხედრო დახმარების ზეგავლენა საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე

პოლკოვნიკი ზეზვა ლიპარტელიანი¹

<https://doi.org/10.61446/mp.4.2025.9718>

აბსტრაქტი

სტატია მიმოიხილავს აშშ-ის საგარეო სამხედრო დახმარების გავლენას საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განვითარებაზე. მასში ყურადღება მახვილდება საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში განხორციელებულ პროგრამებზე, მათ მიზნებსა და მიღწევებზე, ასევე, ნაკლოვანებებზე, რამაც საბოლოო ჯამში საქართველოს თავდაცვის ძალების შესაძლებლობების გაუმჯობესებასა და თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას შეუწყო ხელი. კვლევა აჩვენებს, რომ აშშ-ის მხარდაჭერამ საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერებასა და მოდერნიზაციაში არსებითი წვლილი შეიტანა.

ორგანიზაციული დონის რეფორმებმა და მართვისა და კონტროლის სტრუქტურების გამყარებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თავდაცვის ინსტიტუტების ეფექტურობა. მოწინავე სასწავლო პროგრამებზე და სამხედრო განათლების გაცვლით პროგრამებზე წვდომამ ხელი შეუწყო ოპერატიული მზადყოფნის, ტაქტიკური უნარების და სტრატეგიული ლიდერობის გაუმჯობესებას. 30 წლის მანძილზე არსებული თანამშრომლობის პროცესში, აქცენტი გაკეთდა როგორც თანამედროვე სტრატეგიებზე, ისე ტაქტიკური უნარების განვითარებაზე, რამაც უზრუნველყო სამხედრო პროფესიონალიზმის გაღრმავება. ამასთან, სამხედრო აღჭურვილობის მოდერნიზაციამ, მოწინავე შეიარაღების სისტემებისა და ტექნოლოგიების ჩათვლით, გააძლიერა საქართველოს შესაძლებლობები საგანგებო საფრთხეებთან გამკლავების კუთხით.

აღნიშნულ სტატიაში ავტორი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალებისთვის შესაბამისი პროგრამების ორგანიზებასა და განხორციელებაში აშშ-ის ევროპული სარდლობის თავდაცვის თანამშრომლობის ოფისის (ODC) კრიტიკულ როლზე. ეს პროგრამები დღემდე მიზნად ისახავს სამხედრო ძალების სტრუქტურების, სისტემებისა და ტრენინგების რეფორმირებას, რაც საქართველოს საშუალებას აძლევს გლობალურ საფრთხეებსა და გამოწვევებს მომზადებული შეხვდეს. აშშ-ის სამხედრო დახმარებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას და მოდერნიზებას.

აღნიშნული სტატიაში ავტორი ეყრდნობა ღია წყაროებიდან მოპოვებულ ოფიციალურ ინფორმაციას (როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო) და ექსპერტთა მოსაზრებებს. ასევე, აღსანიშნავია, რომ თავად ავტორი გახლავთ აღნიშნული პროგრამების ბენეფიციარი და ასევე მის დაგეგმვაში მონაწილე პირი, რაც ნაშრომს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის.

საკვანძო სიტყვები: თავდაცვა, საქართველო, სამხედრო ძალები, აშშ, შეიარაღება.

¹ საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის J-3 ოპერატიული დაგეგმვის დეპარტამენტის ჯავშანსატანკო და ჯავშანსაწინააღმდეგო სამმართველოს უფროსი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის დოქტორანტი

Impact of the US Military Assistance on development of Georgia's Defense capabilities

Colonel Zezva Liparteliani²

Abstract

The article examines the impact of U.S. foreign military assistance on Georgia's defense capabilities. It focuses on the programs implemented in the Georgian defense and security sector, their goals and achievements, as well as shortcomings, which ultimately contributed to improving the capabilities of the Georgian Defense Forces and increasing defense capabilities. The study shows that US support has made a significant contribution to strengthening and modernizing Georgia's defense capabilities. Organizational-level reforms have significantly improved the effectiveness of defense institutions. Access to advanced training programs and military education exchange programs has contributed to improving operational readiness, tactical skills, and strategic leadership. Over the past 30 years, the emphasis has been on developing both modern strategies and tactical skills, which has ensured the deepening of military professionalism. Additionally, the modernization of military equipment, including advanced weapons systems has enhanced Georgia's capabilities to address extraordinary threats.

In this article, the author focuses on the critical role of the Office of Defense Cooperation (ODC) of the US European Command in organizing and implementing relevant programs for the Ministry of Defense of Georgia and the defense forces. These programs are still aimed at reforming the structures, systems, and training of the military forces, which allows Georgia to meet global threats and challenges in a prepared manner. US military assistance has significantly contributed to the strengthening and modernization of Georgia's defense capabilities. In this article, the author relies on official information obtained from open sources (both domestic and international) and expert opinions. It is also worth noting that the author himself is a beneficiary of the aforementioned programs and also a participant in their planning, which makes the article even more interesting.

Keywords: defense, Georgia, military forces, USA, armament.

² Head of the Armored and Anti-Armor Division of J-3 Operational Planning Department of General Staff of the Georgian Defense Forces of Ministry of Defense of Georgia. Iv. Javakhishvili Tbilisi State University, PHD student of Humanity Studies

შესავალი

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე შეერთებულ შტატებს საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში არაერთი წარმატებული პროგრამა აქვს განხორციელებული. აღნიშნულ სტატიაში ვეცდები აღწერო ცალკეული პროგრამის მიზნები და ის ხელშესახები შედეგები, რომლებმაც ხელი შეუწყო საქართველოს სამხედრო ძალების მზადყოფნისა და შესაძლებლობების განვითარებას.

აშშ-ის საგარეო სამხედრო დახმარების პროგრამების აღწერამდე, მინდა ხაზი გავუსვა აშშ-ის ევროპული სარდლობის თავდაცვის თანამშრომლობის ოფისი (ODC) მისიას და მნიშვნელობას. თავდაცვის სფეროში დაგეგმილი პროგრამების განხორციელებაში ამ ოფისის როლი კრიტიკულად მნიშვნელოვანია და მოლაპარაკებების პროცესში ის ცენტრალურ როლს წარმოადგენს. თავდაცვის თანამშრომლობის ოფისი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან კონსულტაციებით თანამშრომლობის პრიორიტეტებს განსაზღვრავს და, შესაბამისად, გეგმავს და ახორციელებს უსაფრთხოების სფეროში დახმარებისა და თანამშრომლობის პროგრამებს. აღნიშნული პროგრამები მიზნად ისახავს თავდაცვის ძალების ოპერატიული და ინსტიტუციური ძალების სტრუქტურების, სისტემებისა და სწავლებების რეფორმირებასა და განვითარებას, რაც მთლიანობაში საქართველოში თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერებას ემსახურება და საშუალებას აძლევს საქართველოს გლობალური უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ოპერაციებში თავისი წვლილი შეიტანოს. საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით და თავდაცვის თანამშრომლობის ოფისის საშუალებით „შეერთებული შტატები საქართველოში აგზავნის მობილურ საწვრთნელ ჯგუფებს, ხელს უწყობს პირადი შემადგენლობის გადამზადებას, თავდაცვის სისტემის ორგანიზებას, წვრთნის და აღჭურვის პროგრამების განხორციელებას. თანამშრომლობის ოფისი, ასევე, გეგმავს და ახორციელებს შეერთებული შტატების ევროპული სარდლობის მიერ დაფინანსებულ ყველა ჰუმანიტარული

დახმარების პროგრამას, მათ შორის, მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლების, სოციალურად შეჭირვებულთა თავშესაფრების, სამედიცინო დაწესებულებების გარემონტებასა და მომსახურების გაუმჯობესებას“.³

ძირითადი ნაწილი

აშშ-სა და საქართველოს თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის

მნიშვნელოვანი ეტაპები

შეერთებულმა შტატებმა საქართველოს თავდაცვის ძალების განვითარების პროგრამების განხორციელებაზე ფიქრი 21-ე საუკუნის პირველ წლებში დაიწყო. სამი ათწლეულის განმავლობაში განვითარებული თანამშრომლობა ოთხ მთავარ ეტაპად შეიძლება დაიყოს:

1. საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა (Georgian Train and Equip Program- GTEP);
2. საქართველოს სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციის პროგრამა (Georgian Stability Sustainable Operation Program- G-SSOP);
3. საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა (Georgian Defense Readiness Program - GDRP)
4. საქართველოს თავდაცვისა და შეკავების გაძლიერების ინიციატივა (Georgian Defense and Deterrence Enhancement Initiative - GDDEI).

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-მა საქართველოს დამოუკიდებლობა 1992 წელს ცნო, თავდაცვის სფეროში თანამშრომლობას 2001 წლის სექტემბერში საფუძველი მას შემდეგ ჩაეყარა, რაც საქართველო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას შეუერთდა. აშშ-ის ინიციატივით 2002 წელს საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა

³ თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახური, ელ. წყარო, გადამოწმებულია 17.11.2025
<https://ge.usembassy.gov/ka/office-defense-cooperation-ka/>

(GTEP) დაიწყო. ეს გახლდათ ანტიტერორისტული პროგრამა, რომლის მიზანი იყო საქართველოს უსაფრთხოების სამსახურების მხარდაჭერა პანკისის ხეობის მთიან საზღვრისპირა რეგიონში მემამბოხეებისგან მომდინარე შიდა ტერორისტული საფრთხეების შესამცირებლად. აღნიშნული პროგრამა სამი ფაზისაგან შედგებოდა. პირველი ფაზა პროგრამისთვის ლოჯისტიკურ მოსამზადებელ სამუშაოებს მოიცავდა, მეორე ფაზა საშტაბო მომზადების 10 კვირიან მომზადებას, ხოლო მესამე ფაზა პირველი ქვეითი ბრიგადის ოთხი ბატალიონის საველე წვრთნას ითვალისწინებდა. თითოეული ბატალიონის მხოლოდ საველე მომზადების კომპონენტი ოთხ თვეს შეადგენდა. ეს პროგრამა ორ წელიწადს გაგრძელდა. პროგრამის ღირებულებამ 64 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული პროგრამა თანამედროვე ქართული თავდაცვის სისტემის შექმნის პირველ ნაბიჯად მიიჩნევა.

პროგრამა, ასევე, ითვალისწინებდა მოსამზადებელი ბატალიონების შესაბამისი აღჭურვილობით, მათ შორის, მსუბუქი შეიარაღებით, საბრძოლო მასალებით, კავშირგაბმულობის საშუალებებით, საწვრთნელი აღჭურვილობით, საწვავითა და სამშენებლო მასალით უზრუნველყოფას. დახმარების მიზნობრივი გამოყენების უზრუნველსაყოფად, ამერიკულმა მხარემ თავის თავზე აიღო პროგრამის შემოწმება და აუდიტი.

„ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალურ ბრძოლის პარალელურად, იმედი გვაქვს, რომ გავაძლიერებთ საქართველოს დამოუკიდებლობას და სტაბილურობას, ასევე, ხელს შევუწყობთ თქვენს სურვილს – იცხოვროთ ღია, დემოკრატიულ საზოგადოებაში,“⁴ განაცხადა საქართველოში აშშ-ის ელჩმა რიჩარდ მაილსმა პროგრამის დახურვის ცერემონიაზე გამოსვლისას. ხოლო იმ პერიოდის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ბატონმა ირაკლი მენაღარიშვლმა შემდეგი განცხადება გააკეთა:

⁴“საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა” ოფიციალურად გაიხსნა, ელ. წყარო, გადამოწმებულია 17.11.2025 <https://civil.ge/ka/archives/127770>

“ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ამ პროგრამის განხორციელება, ერთის მხრივ, გაზრდის საქართველოს შეიარაღებული ძალების ქმედუნარიანობას, ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის საზღვრების ეფექტურად გაკონტროლებას, მაგრამ, ამასთან ერთად, დიდად შეუწყობს ხელს სტაბილურობისა და მშვიდობის გამყარებას მთლიანად სამხრეთ კავკასიაში”.⁵

პროგრამა წარმატებული გამოდგა იმდენად, რამდენადაც ამ პროგრამით მომზადებული სამხედრო პერსონალი საქართველოს სამხედრო ძალების შემდგომი განვითარების, წვრთნისა და მომზადების პროცესის მუდმივი განგრძობითობის და თავდაცვის სამინისტროს ინსტიტუციური ცვლილებებისა და რეფორმების პროცესის დაწყების ხერხემალი გახდა. ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს საკითხებში აშშ-ის თავდაცვის მდივნის თანაშემწის პოლკოვნიკ ოთარ შალიკაშვილის შეფასება: „ზუსტად რომ ვთქვათ, არსებობდა სამი მოდელი, მაგრამ საბოლოოდ არჩევანი შეჩერდა იმ მოდელზე, რომელიც სამოქალაქო პირების მხრიდან სამხედროებზე პირდაპირ კონტროლს უზრუნველყოფს. ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი დასავლური სამხედრო სისტემის ფუნქციონირებისა. ჩვენ შევთავაზეთ საქართველოს მხარეს სწორედ ის მოდელი, რომლის თანახმადაც, ქვეყნის პრეზიდენტი სამოქალაქო თავდაცვის მინისტრის მეშვეობით მართავს სამხედრო უწყებას.“⁶ დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბატონი ოთარის ეს შეფასება და შეთავაზება სისრულეში იქნა მოყვანილი და თავდაცვის სამინისტრო დღეს არსებული საკუთარი ინსტიტუციური შესაძლებლობებით სრულად პასუხობს თანამედროვე თავდაცვის სისტემის აღნიშნულ მოწყობას. მთლიანობაში ამერიკული სამხედრო დახმარების პროგრამით, 18 თვეში 1700 სამხედრო პერსონალის მომზადება განხორციელდა.

⁵ იქვე. “საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა”

⁶ წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის ბოლო ფაზა. კობა ლიკლიკაძე. რადიო თავისუფლება იავარი 18, 2024წ. გადმოწმებულია 17.11.2025, <https://www.radiotavisupleba.ge/a/1533164.html>

„წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის“ (2002–2003 წწ) განხორციელების შემდეგ, ამერიკულმა მხარემ 2005 წელს ახალი ქართულ-ამერიკული „სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციების (SSOP) პროგრამა“ დაიწყო. იმ პერიოდში შეერთებული შტატები „ერაყის განთავისუფლების ოპერაციის“ განხორციელებაში იყო ჩართული. აღნიშნული პროგრამის გავლის შემდეგ, საქართველოს თავდაცვის ძალები აქტიურად ჩაერთო „ერაყის განთავისუფლების ოპერაციაში“. „სტაბილურობის შენარჩუნების პროგრამის“ განხორციელებისთვის აშშ-ის მიერ 60,5 მილიონი აშშ დოლარი იქნა გამოყოფილი. პროგრამა იმიტაც იყო უნიკალური და საინტერესო, რომ მისი განხორციელების პირველ ეტაპზე მოსამზადებელი კურსის ინსტრუქტორებად „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის“ ფარგლებში მომზადებული ქართველი სამხედრო მოსამსახურეები მონაწილეობდნენ. პირველ ეტაპზე სამხედრო კონტრაქტორებს ამერიკელების მიერ მომზადებული ქართველი ოფიცრების მიერ ჩაუტარდათ მოსამზადებელი კურსის გარკვეული ნაწილი, ხოლო შემდგომ კი ამერიკელი სპეციალისტების ჩართვა მოხდა მათ მომზადებაში. ასეთი მიდგომა იმ მხრივ არის განსაკუთრებული, რომ შესაძლებლობას აძლევდა ქართველ ინსტრუქტორებს პროგრამის პირველ ეტაპზე მომზადების ფაზაში მიეღოთ მონაწილეობა, რამაც მოგვიანებით, თავდაცვის ძალებში დღეს არსებული „წვრთნისა და განათლების სარდლობის“ სამხედრო-საგანმანათლებლო ინსტრუქტორთა ბაზას დაუდო საფუძველი.

თამამად შეიძლება თქვას, რომ 2005 წელს „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა“ (GTEP) გარდაიქმნა „სტაბილურობის შენარჩუნების ოპერატიულ პროგრამად“ (SSOP და SSOP II), რომელიც არა მხოლოდ „ერაყის მშვიდობის მხარდამჭერ ოპერაციებისთვის“ წვრთნიდა და ამზადებდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებსა და სამეთაურო შტაბს, არამედ ეს პროგრამები თავდაცვის ძალების ინსტიტუციური და ოპერატიული კომპონენტების მშენებლობისა და განვითარების ძლიერ საფუძვლად იქცა. პროგრამის მემორანდუმი ერთი წლის განმავლობაში მე-3 მსუბუქი ქვეითი

ბრიგადის “სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციების“ პროგრამით წვრთნას ითვალისწინებდა. მხოლოდ წვრთნის მიმართულებით, აშშ-ს მიერ 40 მილიონი აშშ დოლარი იქნა გამოყოფილი. მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ, საქართველოს გენერალური შტაბის ხელმძღვანელმა პირმა აღნიშნა: “ეს მხოლოდ მომზადების პროცესს გულისხმობს. აღჭურვას მთლიანად ქართული მხარე უზრუნველყოფს. წინა პროგრამებში წვრთნაც და აღჭურვაც იყო ამერიკული მხარის, მაგრამ დღეს ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა თვითონ აღჭურვოთ ჩვენი შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები”.⁷

დასკვნისთვის შეიძლება ითქვას, რომ 2005-2007 წლებში აშშ-ის მხარდაჭერით განხორციელებული „საქართველოს შენარჩუნებისა და სტაბილურობის ოპერაციების პროგრამა“ (GSSOP) ერაყში საერთაშორისო მისიებში საქართველოს ქვედანაყოფების გადასროლას ითვალისწინებდა. აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის“ დოკუმენტში შემდეგი შინაარსის ჩანაწერი გვხვდება: „პროგრამამ საქართველოს თავდაცვისუნარიანობა თვისებრივად მაღალ დონეზე აიყვანა. GTEP-ისა და GSSOP-ის პროგრამებით გაწვრთნილი ნაწილები კი ქართული არმიის ბირთვს წარმოადგენდნენ.“⁸ ოპერაცია ერაყის გათავისუფლებისთვის“ დაწყებიდან 2008 წლის აგვისტომდე, 7800 ქართველმა ჯარისკაცმა შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებთან ერთად იმსახურა ერაყში.⁹

2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის შედეგები მძიმე აღმოჩნდა როგორც მთლიანად ქვეყნისთვის, ასევე მისი შეიარაღებული ძალებისთვის. საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის, სამხედრო მოსამსახურეებისა და მშვიდობიანი

⁷ აშშ-მ და საქართველომ SSOP 2-ს მოაწერეს ხელი, გადამოწმებულია 17.11.2025, <https://civil.ge/ka/archives/139065>

⁸ რა მოცულობის სამხედრო დახმარება აქვს მიღებული საქართველოს აშშ-ისგან?, გადამოწმებულია 17.11.2025, <https://surl.li/jijwfm>

⁹ თანამშრომლობა აშშ-სთან, გადამოწმებულია 17.11.2025, <https://surl.li/qihfjr>

მოსახლეობის დაკარგვის უმძიმესი ტვირთის მიუხედავად, ძლიერი საერთაშორისო მხარდაჭერის შედეგად საქართველოს სუვერენიტეტი შენარჩუნებულ იქნა. იგივე შეიძლება ითქვას მის შეიარაღებულ ძალებზეც. ქვეყნის დამოუკიდებლობის გარანტი - შეიარაღებული ძალები მძიმე გამოცდილების და მარცხის შემდეგ, ახალი გამოწვევებისთვის მზადებას განაგრძობდა.

2009 წლის 9 იანვარს საქართველოსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიას მოეწერა ხელი. ქარტია, ორ სახელმწიფოს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის ისეთ პრინციპებზე იყო დაფუძნებული, როგორიცაა სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ურღვევობის მხარდაჭერის, დემოკრატიისა და სტაბილურობის განმტკიცების პრინციპები. ქარტიით ორივე მხარე გამოთქვამდა მზაობას ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ შემდეგი ხუთი ძირითადი მიმართულებით: უსაფრთხოება და თავდაცვა, ეკონომიკა, ვაჭრობა და ენერგეტიკა, დემოკრატიის გაძლიერება, კულტურა და განათლება. გარდა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური წონისა, ამ შეთანხმებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს თავდაცვის ძალებისთვის, რადგან ის გახდა საფუძველი აშშ-სთან თანამშრომლობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულების, რომელიც ნატო-ს ეგიდით წარმოებულ ოპერაციებში აშშ-ის მხარდაჭერას ითვალისწინებდა. შესაბამისად, 2009 წლის შემოდგომიდან 2015 წლის იანვრამდე, უსაფრთხოების მხარდამჭერი საერთაშორისო ძალებისთვის (GDP-ISAF), ჩამოყალიბდა საქართველოს სამშვიდობო ძალების გადасროლის პროგრამა. ამავე წლის ინვრიდან აღნიშნულმა ნატოს მისიამ სახე იცვალა და ის „მტკიცე მხარდაჭერის მისიის“ (RSM) ფორმატით 2021 ივნისამდე გაგრძელდა, რაშიც ქართველი სამხედროები აქტიურად მონაწილეობდნენ. ხაზგასასმელია ის, რომ ალიანსის არაწევრ ქვეყნებს შორის, ერთ სულ მოსახლეზე, მისიაში გაგზავნილი სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობის მიხედვით, საქართველო მტკიცე მხარდაჭერის მისიის უმსხვილესი კონტრიბუტორი იყო.

სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის შემდეგ მეორე ასევე ძალიან მნიშვნელოვანი შეთანხმება აშშ-სა და საქართველოს შორის 2016 წლის 6 ივლისს გაფორმდა, როდესაც ორივე მხარემ თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში პარტნიორობის გაღრმავების შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერა ხელი. იმავე წლის 21 ნოემბერს საქართველომ და აშშ-მ დამატებით ხელი მოაწერეს უსაფრთხოების სფეროში 2016-2019 წლების თანამშრომლობის ჩარჩო-ხელშეკრულებას, რომელიც 2019 წლის 21 ნოემბერს განახლდა. ეს შეთანხმება მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ის საფუძვლად დაედო ორმხრივი თანამშრომლობის ძირითად პროგრამებს: საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამასა (GDRP) და ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის (JTEC)/ საბრძოლო მომზადების ცენტრის (CTC) განვითარებას.

დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა იყო ყველაზე დიდი სამხედრო დახმარება, რაც კი საქართველოში შეერთებული შტატების მხარდაჭერით განხორციელდა. აღნიშნული პროგრამით 2018 წლიდან ამერიკელმა და ქართველმა ინსტრუქტორებმა ერთობლივად 9 ქართული ბატალიონი გადამზადეს.

2021 წლის დეკემბერში თბილისში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა აშშ-ს ევროპის სარდლობის (EUCOM) დირექტორის მოადგილემ პარტნიორობის, უსაფრთხოების თანამშრომლობისა და კოსმოსური შესაძლებლობების საკითხებში, ბრიგადის გენერალმა ედუარდ ვონიმ ასე შეაფასა “საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა” (GDRP): „GDRP-ი არის აშშ-ის უსაფრთხოების თანამშრომლობის პირველი ძალისხმევა, რომელიც კონკრეტულად საქართველოს ტერიტორიული თავდაცვითი შესაძლებლობის გაუმჯობესებაზეა ფოკუსირებული და 2018 წლის მაისიდან ევროპის სარდლობის-EUCOM-ის საქართველოსთან ორმხრივი თა-

ნამშრომლობის ცენტრალური კომპონენტია“.¹⁰ გენერლის ეს შეფასება უდაოდ ყოვლისმომცველია და კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს თავდაცვის მიმართულებით ორ ქვეყანას შორის ძლიერ თანამშრომლობას. პროგრამამ უზრუნველყო საქართველოს თავდაცვის ძალების საბრძოლო ქვედანაყოფების მზადყოფნის დონის ამაღლება და გრძელვადიან პერსპექტივაში საფუძველი ჩაუყარა თავდაცვის ძალების დაკომპლექტების, წვრთნისა და აღჭურვის შესაძლებლობების მუდმივად შენარჩუნებისა და გან-ვითარების პროცესებისა და თავდაცვის ძალების ოპერატიული და ინსტიტუციური კომპონენტებისთვის სასიცოცხლო ციკლის შენარჩუნებას.

ასევე, საინტერესო იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური შეფასება: “საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის განხორციელება დაიწყო 2018 წელს და დასრულდა 2021 წლის დეკემბერში. GDRP წარმოადგენდა ორი კომპონენტის ერთობლიობას: მზადყოფნის პროგრამა - წვრთნა (GDRP-Training) და მზადყოფნის პროგრამა - ინსტიტუციური განვითარება (GDRP-Institutional). პროგრამამ მთლიანობაში, უზრუნველყო არა მხოლოდ ტაქტიკური დონის საბრძოლო ქვედანაყოფების (9 ქვეითი ბატალიონი) საბრძოლო მზადყოფნის ამაღლება, არამედ დაკომპლექტების, წვრთნის, აღჭურვის და ძალების შენარჩუნების მდგრადი ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება. პროგრამის წარმატებით განხორციელებამ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს თავდაცვისუნარიანობისა და შეკავების შესაძლებლობების გაძლიერების ინიციატივას.“¹¹

თანამშრომლობის პროცესი თანდათან ვითარდებოდა. იმავე პერიოდში განხორციელდა კიდევ ერთი ინიციატივა, რომელიც საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის (GDRP) ფარგლებში მიღწეულ ხელშესახებ პროგრესს ეფუძნებოდა და აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა თვისობრივად ახალ

¹⁰ შეერთებული შტატები და საქართველო თავდაცვის სფეროში თანამშრომლობას აძლიერებს, გადამოწმებულია 17.11.2025, <https://surl.li/tcwnvq>

¹¹ იქვე. თანამშრომლობა აშშ-სთან

ეტაპზე გადავიდა. ეს იყო საქართველოს თავდაცვისა და შეკავების გაძლიერების ინიციატივა - GDDEI. აღნიშნული პროგრამა უსაფრთხოების სფეროში აშშ-სა და საქართველოს შორის ორმხრივი თანამშრომლობის ახალი ინიციატივა გახლდათ, რომლის მიზანი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალების შემდგომი მოდერნიზაციისა და საერთო უსაფრთხოების ინტერესების განვითარების მხარდაჭერა იყო.¹² მსგავსად წინამორბედი (GDRP) პროგრამისა, აღნიშნული GDDEI ინიციატივაც ორი კომპონენტისგან შედგებოდა: პირველი - თავდაცვის სექტორში ინსტიტუციონალური შესაძლებლობების ჩამოყალიბების მიზნით ორგანიზაციულ ცვლილების განხორციელება და მეორე კომპონენტი-ტერიტორიული თავდაცვის-თვის აუცილებელი თავდაცვის ძალების შესაძლებლობების გაძლიერება.

2021 წლის 18 ოქტომბერს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ჯუანშერ ბურჭულაძემ და აშშ-ის თავდაცვის მდივანმა ლოიდ ოსტინმა კიდევ ერთ ინიციატივას მოაწერეს ხელი, რომლის მიხედვით საქართველოსა და შეერთებულ შტატებს შორის თანამშრომლობა ახალ ინსტიტუციურ დონეზე ავიდა. მემორანდუმზე ხელმოწერის შემდეგ ლოიდ ოსტინმა შემდეგი განცხადება გააკეთა: “ეს ინიციატივა იქნება ცენტრალური აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტს და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის თანამშრომლობაში... ჩვენ გავაგრძელებთ ინსტიტუციური რეფორმების მხარდაჭერას საქართველოს თავდაცვის სექტორში, გავაძლიერებთ შესაძლებლობებს და უნარებს, რომელიც აუცილებელია ეფექტიანი შეკავებისა და თავდაცვისთვის. ხელს შეუწყობთ საქართველოს თავსებადობას ნატოსთან. საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შეირაღებული ძალების მოდერნიზებითა და განვითარებით, ეს ინიციატივა ხელს შეუწყობს უსაფრთხოების საერთო ინტერესების განხორციელებას. ამ ინიციატივის წარმატებას დასჭირდება მჭიდრო

¹² საქართველოს თავდაცვისა და შეკავების გაძლიერების ინიციატივა, <https://surl.li/eacsfj>

თანამშრომლობა ჩვენს ქვეყნებს შორის, რომ დავრჩეთ იმ გზაზე, რომელიც საერთო მიზნებს ემსახურება”.¹³

თავდაცვის სისტემის განვითარების გზაზე უმნიშვნელოვანესი იყო შეერთებული შტატების მხარდაჭერა სამხედრო მოსამსახურეების მომზადების და სამხედრო განათლების განვითარების მიმართულებით. საერთაშორისო სამხედრო განათლებისა და სწავლების პროგრამა-IMET ახორციელებდა შეერთებულ შტატებში არსებულ მაღალი დონის სამხედრო სასწავლებლებში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლების მონაწილეობის კოორდინაციას. IMET-ის მიზანი მომავალი სამხედრო ლიდერების მომზადება და მოკავშირეებსა და პარტნიორებს შორის საიმედო ურთიერთობების ჩამოყალიბება იყო. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პროგრამას აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტი ახორციელებდა, აშშ-ს სახელმწიფო მდივანი განსაზღვრავდა იმ ქვეყნებს ვისაც ამ პროგრამის სარგებლობის საშუალება ექნებოდათ. საქართველოს სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ პროგრამაში საქართველო ჩართულია 1995 წლიდან და მისი საშუალებით დღემდე (2025 წლის აპრილი) ასეულობით სამხედრო თუ სამოქალაქო პირმა გაირია სხვადასხვა (სტრატეგიული, ოპერატიული თუ ტაქტიკური) დონის პროფესიული კურსები აშშ-ს საუკეთესო სამხედრო და სამოქალაქო უნივერსიტეტებსა თუ სასწავლო ცენტრებში.

აღნიშნული IMET პროგრამის პოზიტიური გავლენა საქართველოს პროფესიული სამხედრო ძალების შექმნის გზაზე თვალში საცემია, თუმცა პროგრამას კრიტიკოსებიც ჰყავს. აკადემიურ წრეებში ფიქრობენ, რომ პროგრამა საკმარისად ვერ ამახვილებს ყურადღებას სამხედრო პროფესიონალიზმის ისეთ ასპექტებზე, რომელიც დაკავშირებულია სამხედროებზე სამოქალაქო კონტროლის, დემოკრატიისა

¹³ რას ითვალისწინებს აშშ-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის ახალი ინიციატივა, გადამოწმებულია 17.11.2025, <https://netgazeti.ge/news/570022/>

და ადამიანის უფლებების მნიშვნელობაზე და ეს საკითხები ჯეროვნად არ არის გათვალისწინებული სასწავლო პროცესებსა და გეგმებში. ეს გახლავთ სამხედრო განათლების ზოგადი კრიტიკა, თუმცა, საქართველოსთან მიმართებაში ის არ არის აქტუალური. საქართველოს თანამედროვე თავდაცვის ძალების მშენებლობის გზაზე, შეერთებული შტატების ძალისხმევა ქართველ ოფიცერთა და სერჟანტთა შემადგენლობის, ასევე, თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალების მთლიან პერსონალის განვითარების საქმეში უმნიშვნელოვანესი იყო და მისი შედეგია, რომ საქართველოს თავდაცვის ძალების ოფიცერთა და სერჟანტთა მნიშვნელოვანი ნაწილი თავისუფლად გრძნობს თავს აშშ-სა თუ ნატოს ეგიდით განხორციელებულ სხვადასხვა დონის მრავალეროვნულ ოპერაციებსა თუ სწავლებებში. ამას ადასტურებს აშშ-ის შესაბამისი სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევა საქართველოში ამ პროგრამის ეფექტურობის შესახებ. შევეცდები რამდენიმე მნიშვნელოვან მიგნებაზე გავამახვილო ყურადღება. შეფასებაში აღნიშნულია, რომ IMET-მა ხელი შეუწყო ლიდერების მომავალი თაობის ჩამოყალიბებას საქართველოში, რადგან ამ ლიდერთა უმეტესობამ შეერთებულ შტატებში მიღებული გამოცდილებით ისწავლეს მართვა და ხელმძღვანელობა. IMET-ის პროგრამით კურსდამთავრებული ქართველი სამხედროების უმეტესობა თვლის, რომ შეერთებულ შტატებში სწავლამ შეცვალა მათი აზროვნება. მათ ახლა კარგად ესმით, თუ როგორ აანალიზებს შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები პრობლემებს და იღებს მართებულ გადაწყვეტილებებს. შესაბამისად, მათ შეუძლიათ გამოიყენონ პრობლემის დადგენისა და გადაწყვეტილების მიღების მსგავსი მეთოდები საქართველოში. ასევე აღნიშნულია, რომ აშშ-ის სასწავლო მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ, მსმენელებს უკეთ შეუძლიათ თავდაცვის ძალებში არსებული სამხედრო ხარვეზების ამოცნობა და მათი მიდგომა პრობლემებისადმი უფრო სტრატეგიული და რეალისტური გახდა. გამოკითხვამ აჩვენა, რომ IMET-ის მიერ დაფინანსებული აშშ-ის სასწავლებლების კურსდამთავრებულები ხდებიან ძირითადად სამხედრო ინსტრუქტორები საქართველოს

სხვადასხვა სამხედრო საწვრთნელ ცენტრებსა და სასწავლებლებში, სადაც ისინი მაქსიმალურად იყენებენ და ნერგავენ თანამედროვე წვრთნისა და სწავლების მეთოდებს, რაც საქართველოს ნატოში და კონკრეტულად თავდაცვის ძალების ნატოს შესაბამის სამხედრო სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია.¹⁴

შეჯამებისთვის შეიძლება ითქვას, რომ IMET-ის პროგრამამ საქართველოს თავდაცვის ძალების მოდერნიზაციის პროცესს სამი მიმართულებით შეუწყო ხელი. პირველი: IMET-ის პროგრამების კურსდამთავრებულები წარმოადგენენ საქართველოს თავდაცვის ძალების ტრანსფორმაციის ძირით ბირთვს; მეორე, IMET-ის პროგრამამ ხელი შეუწყო მომავალი თაობის ლიდერების ჩამოყალიბებას საქართველოში, რადგან ისინი შეერთებულ შტატებში მიღებული თანამედროვე ცოდნითა და გამოცდილებით ხელმძღვანელობენ და მესამე, IMET-ის კურსები ამერიკელ და ქართველ ოფიცრებს შორის ნდობისა და გრძელვადიანი თანამშრომლობის საშუალებაა.

მართალია, შეერთებულმა შტატებმა საქართველოს თავდაცვის სექტორის სისტემური განვითარების მხარდაჭერა 2002 წელს დაიწყო, როცა მხარი დაუჭირა „წვრთნის და აღჭურვის პროგრამის“ განხორციელებას, მაგრამ თავდაცვის მიმართულებით თანამშრომლობის პირველი ნაბიჯები ორ ქვეყანას შორის დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე გადაიდგა. ამ გზაზე მნიშვნელოვანია, შევხვთ აშშ-სა ჯორჯიის შტატისა და საქართველოს ეროვნულ გვარდიას შორის 1993 წელს დაწყებულ ორმხრივ თანამშრომლობას, რომელიც „პარტნიორობა ქვეყნებს შორის“ პროგრამის (SPP) სახელითაა ცნობილი და რომლის წარმატებით იმპლემენტაციასაც საქართველოში აშშ-ის საელჩოში არსებული ორმხრივი თანამშრომლობის ოფისი უზრუნველყოფდა. აღნიშნული პროგრამა აშშ-ს მხრიდან მტკიცე მხარდაჭერის ერთ-

¹⁴ International Military Education and Training Program Recipients are Leading the Defense Transformation in Georgia, Electronic resource, Accessed 17.11.2025, <https://surl.li/dvvrug>

ერთი პირველი მექანიზმი გახლდათ და ითვალისწინებდა როგორც ფინანსურ, ასევე, საკონსულტაციო-საგანმანათლებლო კომპონენტებს. პროგრამა „პარტნიორობა ქვეყნებს შორის“ არ მოიცავდა მხოლოდ ეროვნული გვარდიის შესაძლებლობების განვითარებას. ის ითვალისწინებდა დახმარებას ისეთ დარგებში, როგორიცაა ლოჯისტიკა, კიბერუსაფრთხოება, სტიქიური უბედურებებისთვის მზადყოფნა, სამართალი, მედიცინა, გენერალური ინსპექცია, საავიაციო შესაძლებლობების განვითარება, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების მხარდაჭერა და სხვა. გარდა ამისა, საქართველოს ეროვნული გვარდია ატარებდა გაცნობით ღონისძიებებსა და წვრთნებს, მონაწილეობდა ეროვნული სწავლებებში და მხარს უჭერდა ჰუმანიტარული სამოქალაქო დახმარების პროექტებს. 1993 წლიდან დღემდე აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ასეულობით სხვადასხვა სახისა თუ მასშტაბის ისეთი ორმხრივი ღონისძიებები გაიმართა როგორიცაა: კომბინირებული წვრთნები, სასწავლო კურსები, სემინარები, საშტაბო ვიზიტები, სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო გვარეობების წარმომადგენელთა ვიზიტები და გაცვლები, ასევე, სხვა ისეთი ღონისძიებები, სადაც ორივე ქვეყნის ეროვნული გვარდიები ერთობლივ მონაწილეობას იღებდა.

ევროპის სარდლობის მობილიზაციისა და სარეზერვო კომპონენტების საკითხებში დირექტორმა გენერალმა ჯეფრი მარშალმა, შტატებთან პარტნიორობის პროგრამას შემდეგი შეფასება მისცა: „ეს პროგრამა ევროპის სარდლობისთვის ხელმისაწვდომი ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი ინსტრუმენტია. ის აძლიერებს ჩვენს ისედაც მძლავრ სამხედრო ჩართულობას და ეხმარება ჩვენს პარტნიორებს არა მხოლოდ რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებაში, არამედ ახალი შესაძლებლობების სხვა რეგიონებში განთავსებაში, სადაც ეს მიზანშეწონილია.

პროგრამა თავისი ახალი მექანიზმებით ევროპის სარდლობის არსებული შესაძლებლობების განვითარებას მნიშვნელოვან ახალ განზომილებებს შესძენს.”¹⁵

მნიშვნელოვანია ასევე განვიხილოთ აშშ-ს ორმხრივი თანამშრომლობის ოფისის მიერ წარმატებით განხორციელებულ დაჭრილ დაშავებულთა რეაბილიტაციის პროგრამა, რომელიც საქართველოს დაჭრილ/დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო შესაძლებლობების შექმნასა და განვითარებაზე იყო ორიენტირებული. ეს გახლავთ წარმატებული პროგრამა, რომელიც აუცილებლობის შემთხვევაში ქართველი სამხედროებისთვის ინტეგრირებული და ინტერდისციპლინარული რეაბილიტაციის სერვისების მიწოდებას უზრუნველყოფს. 2019 წლის დეკემბერში საქართველომ დაასრულა ახალი მრავალპროფილური სარეაბილიტაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა წეროვანის მარო მაყაშვილის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრის ტერიტორიაზე, რომელიც ემსახურება დაჭრილ/დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებსა და მათი ოჯახის წევრებს. ამ დაწესებულების მშენებლობა აშშ-ის საგარეო სამხედრო დაფინანსებით განხორციელდა.

აშშ-ის ევროპის სარდლობასა და საქართველოს თავდაცვის ძალებს შორის ორმხრივი ინტენსიური თანამშრომლობის შედეგია ორი მნიშვნელოვანი სწავლება „მტკიცე სული“ და „ღირსეული პარტნიორი“. ორივე სწავლება ორმხრივი ურთიერთობების ეგიდით დაიწყო და დღეს ორივე მრავალეროვნული სწავლებების სტატუსით სარგებლობს.

მრავალეროვნული სწავლება „მტკიცე სული“, პირველად 2011 წელს, ხოლო მრავალეროვნული სწავლება „ღირსეული პარტნიორი“ 2015 წელს გაიმართა. დღიდან მისი დაწყებისა ორივე სწავლება საქართველოში ტარდება. სწავლება „მტკიცე სული-

¹⁵ USEUCOM hosts State Partnership Program Conference. Official US government website, <https://surl.li/dhxlpv>

AGILE SPIRIT,, დასავლეთ საქართველოში ტარდება და შეერთებული შტატების არმიის ევროპული სარდლობის, ევროპისა და აფრიკის ძალების (USAREUR-AF) ერთობლივი ხელმძღვანელობით ხორციელდება. სწავლების მიზანია მასპინძელ ქვეყანასთან ერთად რეგიონალური ერთობლივი სავსელე წვრთნებისა და სამეთაურო სწავლებების ჩატარება. აღნიშნული სწავლება აძლიერებს რეგიონული უსაფრთხოების თანამშრომლობას, აყალიბებს სამხედრო შესაძლებლობებს, აერთიანებს ორმხრივ ინიციატივებს და ხელს უწყობს მასპინძელი ქვეყნის თავდაცვის ძალების თავსებადობას ნატოსა და სწავლებაში მონაწილე პარტნიორების შეარაღებულ ძალებთან¹⁶.

„ღირსეული პარტნიორი“ იმართება აღმოსავლეთ საქართველოში. აღნიშნული სწავლება ქართულ-ამერიკული ორმხრივი სწავლების სტატუსით 2015 წელს დაიწყო და დღეს უკვე ის მრავალეროვნული სწავლების სტატუსით სარგებლობს. ეს სწავლება საქართველოს თავდაცვის ძალებისა და აშშ-ის არმიის ევროპის სარდლობის, ევროპისა და აფრიკის ძალების ერთობლივი ხელმძღვანელობით ხორციელდება. სწავლების პერიოდში ორმხრივი წვრთნები იმართება ვაზიანისა და ნორიოს საწვრთნელ პოლიგონებზე. სწავლება მიზნად ისახავს მრავალეროვნული საწვრთნელი ოპერაციების განხორციელებას საქართველოს, აშშ-ისა და სწავლებაში მონაწილე ქვეყნების ძალების მზადყოფნისა და თავსებადობის მხარდაჭერასა და გაძლიერებას.¹⁷

დასკვნა

1992-2025 წლებში აშშ-ის საგარეო სამხედრო დახმარებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაზე, ხელი შეუწყო მის გაძლიერებას და მზაობას უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევებთან გამკლავე-

¹⁶ About Agile Spirit, Official US government website, <https://surl.lu/gsxcif>

¹⁷ About Noble Partner, Official US government website, <https://surl.li/cznrda>

ბის კუთხით, ასევე თავდაცვის ძალების მოდერნიზებისა და გაძლიერების მხრივ. აშშ-ის სამხედრო დახმარების გავლენა საქართველოს თავდაცვით შესაძლებლობებზე რამდენიმე ძირითადი მიმართულებით განხორციელდა:

პირველი - აშშ-ს სამხედრო დახმარებამ ხელი შეუწყო საქართველოს თავდაცვის ძალებში სტრატეგიული და ოპერატიული დაგეგმვის შესაძლებლობების განვითარებას. ეს მოიცავს თავდაცვის დაგეგმვის, ლოჯისტიკის მენეჯმენტის მხარდაჭერას და სამხედრო მმართველობის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას, რითაც აძლიერებს საქართველოს შესაძლებლობას გადახედოს უსაფრთხოების გამოწვევებს და უპასუხოს საგანგებო საფრთხეებს.

მეორე - აშშ-ს სამხედრო დახმარებამ მხარი დაუჭირა საქართველოს თავდაცვის ძალებში შესაძლებლობების ამაღლების ტენდენციებს, რომელიც ფოკუსირებულია ორგანიზაციულ რეფორმაზე, დოქტრინის განვითარებასა და მართვისა და კონტროლის სტრუქტურების გაძლიერებაზე. ამან ხელი შეუწყო საქართველოს თავდაცვის ინსტიტუტების პროფესიონალიზაციას და მოდერნიზაციას, რაც აძლიერებს თავდაცვის ძალების უფრო ეფექტიანობასა და ეფექტურობას.

მესამე - აშშ-ს სამხედრო დახმარებამ უზრუნველყო საქართველოს ხელმისაწვდომობა მოწინავე სასწავლო პროგრამებზე, პროფესიული განვითარების შესაძლებლობებსა და სამხედრო განათლების გაცვლით პროგრამებზე. ამან საშუალება მისცა თავდაცვის ძალებს გაეუმჯობესებინათ ოპერატიული მზადყოფნა, ტაქტიკური უნარები და სტრატეგიული ლიდერობა, რამაც ხელი შეუწყო თავდაცვის ძალებში უფრო ქმედუნარიან და პროფესიონალ სამხედრო კადრებით დაკომპლექტებას.

მეოთხე - აშშ-ს სამხედრო დახმარებამ მხარი დაუჭირა სამხედრო აღჭურვილობის მოდერნიზაციას, მათ შორის, მოწინავე შეიარაღების სისტემებისა და ტექნოლოგიების უზრუნველყოფას. ამან გააძლიერა საქართველოს თავდაცვის ძალები, როგორც ქმედუნარიანი და ტექნოლოგიურად განვითარებული სამხედრო ძალების, თავდაცვითი შესაძლებლობები.

მეხუთე - აშშ-ს სამხედრო დახმარებამ ხელი შეუწყო საქართველოს თავდაცვის ძალებსა და აშშ-სა და ნატოს მოკავშირეებს შორის თავსებადობისა და ინტეგრაციის გაძლიერებას. ამ ყველაფერმა კი საქართველოს საშუალება მისცა მონაწილეობა მიეღო ერთობლივ სამხედრო წვრთნებში. სამომავლოდ ძალიან მნიშვნელოვანია თავდაცვის ძალების დასავლეთის მოწინავე ძალებთან თავდაცვის სტანდარტებთან თავსებადობა და მისი უნარი მოკავშირეთა ძალებთან ერთად მრავალეროვნულ ოპერაციებსა და სწავლებებში შეეძლოს სრულფასოვანი მონაწილეობის მიღება.

და ბოლოს - სამხედრო დახმარების საშუალებით, აშშ-მა მხარი დაუჭირა საქართველოს მისი შეკავების შესაძლებლობებისა და მთლიანი თავდაცვის პოზიციის გაძლიერებაში. ეს მოიცავს დახმარებას თავდაცვის სტრატეგიების შემუშავებაში, საზღვრის უსაფრთხოების გაძლიერებასა და კრიზისებზე რეაგირების შესაძლებლობების გაუმჯობესებაში, რაც ხელს უწყობს უფრო ძლიერი ეროვნული თავდაცვის სისტემის შექმნას. შემოდგომა თამამად ვთქვა, რომ აშშ-ს სამხედრო დახმარებას დღემდე გარდამტეხი გავლენა აქვს საქართველოს თავდაცვით შესაძლებლობებზე, რაც ქვეყანას საშუალებას აძლევს მომზადებული შეხვდეს უსაფრთხოების გამოწვევებს, გააძლიეროს სამხედრო ეფექტურობა და მაქსიმალურად ხელი შეუწყოს თავდაცვის ძალების დასავლურ სტანდარტებსა და პრაქტიკასთან მიახლოებას. ეს მხარდაჭერა მნიშვნელოვანი იყო, არის და იქნება საქართველოს უსაფრთხოების მდგრადობისა და შესაძლებლობების გასაძლიერებლად, რაც მთლიანობაში ხელს უწყობს რეგიონულ და საერთაშორისო უსაფრთხოების ძალისხმევას.

ბიბლიოგრაფია

- თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახური, ელ. წყარო, გადმოწმებულია 17.11.2025, <https://surl.li/erkswl>
- წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის ბოლო ფაზა. კობა ლიკლიკაძე. რადიო თავისუფლება იავარი 18, 2024წ. გადმოწმებულია 17.11.2025, <https://surl.li/emddbz>
- აშშ-მ და საქართველომ SSOP 2-ს მოაწერეს ხელი, <https://surli.cc/jtsiqm>
- თანამშრომლობა აშშ-სთან, გადმოწმებულია 17.11.2025, <https://surl.li/qihfjr>
- შეერთებული შტატები და საქართველო თავდაცვის სფეროში თანამშრომლობას აძლიერებს, გადმოწმებულია 17.11.2025, <https://surl.li/tcwnvq>
- საქართველოს თავდაცვისა და შეკავების გაძლიერების ინიციატივა, <https://surl.li/eacsfj>
- რას ითვალისწინებს აშშ-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის ახალი ინიციატივა, გადმოწმებულია 17.11.2025, <https://netgazeti.ge/news/570022/>
- International Military Education and Training Program Recipients are Leading the Defense Transformation in Georgia, Electronic resource, Accessed 17.11.2025, <https://surl.li/dvvrug>
- <https://surl.li/znhkqt>, გადმოწმებულია 17.11.2025,
- <https://surl.li/tmqles>, გადმოწმებულია 17.11.2025,
- <https://surl.li/pbxjgc>, გადმოწმებულია 17.11.2025,
- <https://surl.li/ztfksa>, გადმოწმებულია 17.11.2025,
- About Noble Partner, Official US government website, <https://surl.li/cznrda>, გადმოწმებულია 17.11.2025,
- USEUCOM hosts State Partnership Program Conference. Official US government website, <https://surl.li/dhxlpv>, გადმოწმებულია 17.11.2025,
- About Agile Spirit, Official US government website, <https://surl.li/gsxcif>, გადმოწმებულია 17.11.2025,
- <https://surl.li/szyekg>, გადმოწმებულია 17.11.2025,
- <https://surl.li/gddsdo>, გადმოწმებულია 17.11.2025,

დემოგრაფიული გამოწვევები და მათი გავლენა სამხედრო სამსახურში გაწვევაზე: გლობალური ტენდენციები და ვითარება საქართველოში

ვიცე-პოლკოვნიკი ლევან შუბითიძე¹
<https://doi.org/10.61446/mp.4.2025.9719>

აბსტრაქტი

დემოგრაფიული ტრანსფორმაციები, მათ შორის მოსახლეობის დაბერება, შობადობის დონის შემცირება და სოციალური სტრუქტურების ცვლილება, მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის სამხედრო სამსახურის სისტემებს მთელ მსოფლიოში. ეს კვლევა ანალიზებს გლობალურ დემოგრაფიულ ტენდენციებს და მათ გავლენას სამხედრო სამსახურში რეკრუტირებასა და გაწვევაზე, განსაკუთრებით საქართველოში. საერთაშორისო პრაქტიკისა და დემოგრაფიული მონაცემების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ეს კვლევა იკვლევს, თუ როგორ ადაპტირებენ ქვეყნები სამხედრო სამსახურის პოლიტიკაზე დემოგრაფიული რეგრესის პირობებში. შედეგები აჩვენებს, რომ განვითარებული ქვეყნები მწვავე გამოწვევების წინაშე დგანან დემოგრაფიული გარდამავალი პერიოდის გამო ადეკვატური სამხედრო პერსონალის შენარჩუნებასთან დაკავშირებით, ხოლო განვითარებადმა ეკონომიკებმა, როგორიცაა საქართველო, უნდა დააბალანსონ ტრადიციული გაწვევის მოდელები დემოგრაფიულ რეალობებთან. კვლევა ასევე აჩვენებს, რომ წარმატებული სამხედრო სამსახურის სტრატეგიები მოითხოვს ყოვლისმომცველ დემოგრაფიულ დაგეგმვას, ალტერნატიული სამსახურის მოდელებს და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების ინტეგრაციას დემოგრაფიული კლების ეპოქაში თავდაცვის შესაძლებლობების შესანარჩუნებლად.

საკვანძო სიტყვები: დემოგრაფიული გამოწვევები, რეკრუტირება, ეროვნული სამხედრო სამსახური, ჰიბრიდული სისტემები, მოსახლეობის დაბერება, შობადობის შემცირება, გაწვევა, საქართველო, თავდაცვის პოლიტიკა.

¹ დასავლეთის სარდლობის, საინჟინრო საბრძოლო ბატალიონის მეთაური, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ORCID: 0009-0000-0172-9838

Demographic Challenges and Their Impact on Military Recruitment: Global Trends and the Case of Georgia

Lieutenant Colonel Levan Shubitidze²

Abstract

Demographic transformations, including population aging, declining fertility rates, and changing social structures, pose significant challenges to military conscription systems worldwide. This study analyzes global demographic trends and their impact on military recruitment and conscription, with specific focus on Georgia. Through comparative analysis of international practices and demographic data, this research examines how countries adapt their military service policies to address shrinking recruitment pools. The findings reveal that developed countries face severe challenges in maintaining adequate military personnel due to demographic transitions, while emerging economies like country Georgia must balance traditional conscription models with demographic realities. The study concludes that successful military recruitment strategies require comprehensive demographic planning, alternative service models, and integration of technological solutions to maintain defense capabilities in an era of demographic decline.

Keywords: demographic challenges, Recruitment, military conscription, population aging, fertility decline, hybrid system, military recruitment, Georgia, defense policy

² Commander of the Western Command, Engineer Combat Battalion, Academic Doctor of Economics

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა დემოგრაფიული ტრანსფორმაციაა, რომელიც უშუალო გავლენას ახდენს სახელმწიფოთა თავდაცვითი შესაძლებლობების ფორმირებაზე. განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში მოსახლეობა ხანდაზმულობს და ნაყოფიერების მაჩვენებლები კლებულობს, რაც მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აყენებს სამხედრო სამსახურში გაწვევის ტრადიციულ მოდელებს.

სამხედრო ძალების ფორმირება ისტორიულად დაფუძნებული იყო ახალგაზრდა მამაკაცთა დიდ რეზერვზე, თუმცა დღევანდელი დემოგრაფიული რეალობა მნიშვნელოვნად ცვლის ამ პარადიგმას. დღევანდელი სამხედრო სამსახურში გაწვევის უფლების მქონე მოსახლეობის 77%-ზე მეტი ვერ აკმაყოფილებს სამხედრო სამსახურში გაწვევის მოთხოვნებს რაიმე სახის შეღავათის გარეშე,³ რაც ქმნის უპრეცედენტო გამოწვევებს თავდაცვის სფეროში.

საქართველოს შემთხვევა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რადგან 2023 წლის 21 სექტემბრის თავდაცვის განახლებული კოდექსის შესაბამისად იგი აერთიანებს ტრადიციულ ეროვნულ სავალდებულო სამსახურს, საკონტრაქტო პროფესიულ სამსახურსა და რეზერვის სისტემას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს თანამედროვე დემოგრაფიული გამოწვევების დაძლევა. საქართველოში ეთნიკურ ქართველთა წილი 1989-დან 2002 წლამდე 10 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და შეადგინა მოსახლეობის 83,8%,⁴ თუმცა მიგრაციული პროცესები და დაბადების მაჩვენებლის კლება ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს ქვეყნის თავდაცვით სისტემას.

³ Obis A., Military struggles to bring Gen Z into the armed forces, Federal News Network, December, 2023.

(გადამოწმებულია 17.11.2025,) <https://surl.li/fulkjo>

⁴ საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური, საქართველოს 2024 წლის მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერის წინასწარი შედეგები, 25 ივნისი, 2025წ. (გადამოწმებულია 17.11.2025,) , <https://surl.li/ewaxpm>

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე მსოფლიოში დემოგრაფიული ტრანსფორმაციები ფუნდამენტურ გამოწვევებს უქმნის სამხედრო ორგანიზაციებს. განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა გადის რთული დემოგრაფიული გარდამავალი პერიოდის ფაზას, რომელიც ხასიათდება მოსახლეობის სწრაფი დაბერებით და ნაყოფიერების მაჩვენებლების კრიტიკულ დონემდე დაცემით. ეს პროცესები პირდაპირ ზეგავლენას ახდენს სამხედრო კონტინგენტის ფორმირებაზე და ქმნის უპრეცედენტო გამოწვევებს ეროვნული უსაფრთხოების სფეროში.

აღმოსავლეთ აზიის რეგიონი განსაკუთრებით მძიმე დემოგრაფიულ კრიზისს განიცდის. სამხრეთ კორეის ნაყოფიერების კოეფიციენტმა 2023 წელს შეადგინა 0.72, რაც მსოფლიოში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია და მნიშვნელოვნად ჩამორჩება ჩანაცვლების დონეს.⁵ იაპონიის მაჩვენებელი შეადგენს 1.2-ს, ხოლო ჩინეთის - 1.0-ს.⁶ ეს ქვეყნები წარმოადგენენ "სუპერ დაბერებულ" საზოგადოებებს, სადაც 65 წელზე უფროსი მოსახლეობის წილი სწრაფად იზრდება და 2025-2050 წლებში თითქმის გაორმაგდება - 17.3%-დან 30.9%-მდე იმ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობა მცირდება.

ჩინეთის შემთხვევა ასევე საყურადღებოა, რადგან ქვეყანა განიცდის მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სწრაფ გარდამავალ პროცესს დაბერებული საზოგადოებისკენ. სამუშაო ძალის ზომის მომავალი შემცირება და ხანდაზმულ მოსახლეობაზე დამოკიდებულების ზრდა სერიოზულ გამოწვევებს უქმნის ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას, მათ შორის სამხედრო რეკრუტირების შესაძლებლობებს.⁷

⁵Abhishek S., Torunika R., South Korea's Declining Demographics: A National Security Issue, Observer Research Foundation, 11 Nov, 2024. (გადამოწმებულია 17.11.2025,) <https://surl.li/nnksjg>

⁶McCartney M., Could Population Crises Hurt Asian Military Powers?, Newsweek, 14 June, 2024. (გადამოწმებულია 17.11.2025,) <https://surl.li/nrxlun>

⁷Michael S. P., Jennifer B., Agnes X., W., Rakesh P., Fertility Decline in China and Its National Military, Structural, and Regime Security, RAND Corporation, 22 Sep. 2025. (გადამოწმებულია 17.11.2025,) <https://surl.li/ogfdsn>

დასავლეთ ევროპის ქვეყნებიც არ რჩებიან ამ ტენდენციის გარეშე. მრავალი ევროპული სახელმწიფო, რომელმაც უკვე გადადგა ნაბიჯები პროფესიული არმიისკენ, აწყდება რეკრუტირების გამოწვევებს დემოგრაფიული კლების ფონზე. გერმანიის შემთხვევა ამ მხრივ განსაკუთრებით საილუსტრაციოა - ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, ბუნდესვერი 2023 წელს დაახლოებით 1,500 სამხედრო მოსამსახურით შემცირდა და წლის ბოლოსთვის შეადგინა დაახლოებით 181,500 კაცი და ქალი.⁸ ეს მოხდა მიუხედავად აქტიური რეკრუტირების კამპანიებისა და იმ გარემოებისა, რომ ბუნდესვერის გეგმა ითვალისწინებს ჯარის ზრდას. აღსანიშნავია, რომ მსგავსი პრობლემები ახასიათებს როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ეკონომიკებს, თუმცა მათი გამოვლენის სპეციფიკა და მასშტაბები განსხვავებულია.

ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითი თვალსაჩინოდ ასახავს იმ კომპლექსურ გამოწვევებს, რომელსაც სამხედრო რეკრუტირების სისტემები აწყდებიან თანამედროვე პირობებში. პენტაგონის შეფასებით, 17-დან 24 წლამდე ასაკის ახალგაზრდების დაახლოებით 77% ვერ აკმაყოფილებს სამხედრო სამსახურის სტანდარტებს.⁹ დისკვალიფიკაციის ყველაზე გავრცელებული მიზეზებია სიმსუქნე, განათლების დეფიციტი და კრიმინალური ან ნარკოტიკული ბოროტად გამოყენების ჩანაწერები.

2023 წელს ამერიკის შეერთებული შტატების არმიამ ვერ შეასრულა თავისი სამიზნე მაჩვენებელი და დაახლოებით 10,000 რეკრუტით ჩამორჩა დაგეგმილ 65,000 ახალ ჯარისკაცს. ეს დეფიციტი იწვევს ძალების დამაბულობას იმ დროს, როდესაც სამსახური ზრდის თავის საბრძოლო აქტივობას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რეკრუტირების სირთულეები არ არის მხოლოდ დემოგრაფიული ხასიათის. ამერიკელები კვლავ მაღალ შეფასებას აძლევენ ვეტერანებს, მაგრამ უმრავლესობა არ არის

⁸ Carbonaro G., Why are European armies struggling to recruit soldiers? Euronews, 15Feb, 2024. (გადამოწმებულია 17.11.2025,) <https://surl.li/tmapoc>

⁹ Rogin A, Corkery A., Why recruiting and confidence in America's armed forces is so low right now, PBS News, 13 Aug, 2023. (გადამოწმებულია 17.11.2025,) <https://surl.li/vqxdxb>

მოტივირებული შეუერთდნენ სამხედრო სამსახურს, განსაკუთრებით რიგით-კაპრალთა შემადგენლობიდან. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სამხედრო სამსახურის მიმართ საზოგადოებრივი დამოკიდებულება ასევე გადამწყვეტ როლს თამაშობს რეკრუტირების პროცესში.

საქართველოს დემოგრაფიული პროფილი და სამხედრო სამსახურის სისტემა

საქართველო წარმოადგენს საინტერესო შემთხვევას პოსტსაბჭოთა სივრცეში, სადაც თავდაცვის განახლებული კოდექსი¹⁰ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის დემოგრაფიულ ტრანსფორმაციაზე, თავდაცვის სისტემის ორგანიზებაზე და საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას სამხედრო პერსონალის დაგეგმვისადმი.

2023 წლის 21 სექტემბრის თავდაცვის განახლებული კოდექსი წარმოადგენს მცდელობას შექმნას ჰიბრიდული სისტემა, რომელიც აერთიანებს სამ მთავარ კომპონენტს: ეროვნულ სავალდებულო სამსახურს, საკონტრაქტო პროფესიულ სამსახურსა და რეზერვის სისტემას. ეს მოდელი მიზნად ისახავს თანამედროვე დემოგრაფიული გამოწვევების დაძლევის და ქვეყნის თავდაცვითი შესაძლებლობების შენარჩუნებას რთულ გეოპოლიტიკურ პირობებში.

საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა კავკასიის რეგიონში და მისი ურთიერთობები NATO-სთან განსაზღვრავს სამხედრო სისტემის განვითარების მიმართულებებს. ქვეყანა, 4.5 მილიონი მოსახლეობით, ისტორიულად იყო NATO-ს ერთ-ერთი ყველაზე დიდი არა-წევრი მონაწილე ავღანეთის მისიაში, სადაც 2012 წელს ჰყავდა გაგზავნილი 1,570 ჯარისკაცი.¹¹ ეს მიუთითებს იმაზე, რომ საქართველო ცდილობს შეინარჩუნოს მაღალი სტანდარტების სამხედრო პოტენციალი დემოგრაფიული შეზღუდვების მიუხედავად.

¹⁰ საქართველოს კანონი, თავდაცვის კოდექსი, 21 სექტემბერი, თბილისი, 2023წ. (გადამოწმებულია 17.11.2025,) <https://surl.li/xadmoa>

¹¹ წულაძე ზ., ქართული კონტიგენტი ავღანეთში პოსტ-2014, ამერიკის ხმა, 28 მაისი, თბილისი, 2014წ. (გადამოწმებულია 17.11.2025,) <https://surl.li/gleohs>

მიგრაციული პროცესები წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას საქართველოს თავდაცვითი სისტემისთვის. ემიგრაცია, რომელიც ძირითადად მოიცავს შრომისუნარიან მოსახლეობას, პირდაპირ ზეგავლენას ახდენს სამხედრო ასაკის კონტინგენტის ზომაზე. ამავდროულად, დაბადების მაჩვენებლის კლება და ქალაქების ურბანული ზრდა ქმნის დამატებით დატვირთვას რეკრუტირების სისტემაზე.

საქართველოს დემოგრაფიას განსაზღვრავს პოსტსაბჭოთა სივრცის საერთო ტენდენციები და გეოპოლიტიკური გამოწვევები - განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ გაზრდილი რეგიონული დაძაბულობის ფონზე, რაც უშუალო გავლენას ახდენს ქვეყნის უსაფრთხოების დაგეგმვაზე.

ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები და სამომავლო პერსპექტივები

დემოგრაფიული კრიზისის ფონზე თანამედროვე სამხედრო ძალები განიცდიან პარადიგმულ ტრანსფორმაციას - რაოდენობრივი მახასიათებლებიდან ხარისხობრივ მაჩვენებლებზე გადასვლა აუცილებელს ხდის ხელოვნური ინტელექტის, რობოტიზაციისა და უპილოტო სისტემების ინტეგრაციას,¹² რაც თავის მხრივ მოითხოვს სრულიად ახალი ტიპის, ტექნოლოგიურად განათლებული პროფესიონალების მომზადებას.

საქართველოს დემოგრაფიული ვითარება ქმნის უნიკალურ გამოწვევებს თავდაცვის დაგეგმვისთვის. ქვეყნის მოსახლეობა 2024 წლისთვის დაახლოებით 3.7 მილიონს შეადგენს,¹³ რაც მნიშვნელოვნად შემცირებულია 1990-იანი წლების დასაწყისთან შედარებით. განსაკუთრებით პრობლემურია 18-27 წლის ასაკობრივი ჯგუფის შემცირება - სწორედ ეს კონტინგენტი წარმოადგენს სამხედრო სამსახურისთვის ძირითად რესურსს. შობადობის მაჩვენებლის კრიტიკულად დაბალი დონე

¹² J. Glonek, The Coming Military AI Revolution, Army University Press, May-June, 2024. (გადამოწმებულია 17.11.2025,) <https://surl.lu/ydbgvu>

¹³ საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური, საქართველოს 2024 წლის მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერის წინასწარი შედეგები, 25 ივნისი, 2025წ. (გადამოწმებულია 17.11.2025,) <https://surl.li/nzutnl>

(დაახლოებით 2.1-ზე ნაკლები შვილი ერთ ქალზე) და ემიგრაციის მაღალი ტემპი, განსაკუთრებით კვალიფიციური ახალგაზრდების შორის, კიდევ უფრო ამძიმებს სიტუაციას.¹⁴ ამ პირობებში, ტრადიციული მიდგომა - დიდი რაოდენობის გამწვევების შენარჩუნება - არა მხოლოდ ეკონომიკურად არაეფექტურია, არამედ პრაქტიკულადაც შეუძლებელი ხდება.

ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები სთავაზობს რეალურ ალტერნატივას ამ დემოგრაფიულ გამოწვევებზე. თანამედროვე უპილოტო საჰაერო აპარატები (დრონები), რობოტიზებული სისტემები და ხელოვნური ინტელექტით აღჭურვილი თავდაცვის მექანიზმები საშუალებას იძლევა შემცირდეს სამხედრო პერსონალის აუცილებელი რაოდენობა მზარდი საბრძოლო შესაძლებლობების შენარჩუნებით. უკრაინის კონფლიქტმა ნათლად აჩვენა დრონების, კიბეროპერაციებისა და მოწინავე სათვალთვალო სისტემების გადამწყვეტი მნიშვნელობა. მცირე ქვეყნებისთვის, როგორცაა საქართველო, ეს ტექნოლოგიები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ისინი საშუალებას იძლევა კომპენსირდეს რაოდენობრივი უპირატესობის ნაკლებობა ხარისხობრივი უპირატესობით.

თუმცა, ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია მოითხოვს განსხვავებული ტიპის სამხედრო პერსონალს. თანამედროვე სამხედრო სპეციალისტი უნდა იყოს არა მხოლოდ ფიზიკურად მომზადებული, არამედ ტექნოლოგიურად განათლებული - უნდა ფლობდეს კომპიუტერულ უნარებს, ესმოდეს რობოტიზებული სისტემების მუშაობის პრინციპები და შეეძლოს კიბერსივრცეში ოპერირება.¹⁵ ეს მოითხოვს განათლების სისტემის ფუნდამენტურ რეფორმას და სამხედრო სამსახურის პრესტიჟის ამაღლებას, რათა მოიზიდოს საუკეთესო ახალგაზრდული ტალანტები.

¹⁴ United Nation, World Population Prospects 2024 Summary of Results, No. 9, New York, 2024, (გადამოწმებულია 17.11.2025,) <https://surl.li/zcuhpj>

¹⁵ NATO, Defense Education Enhancement Programme (DEEP), NATO Publications, 2024. (გადამოწმებულია 17.11.2025,) <https://surl.li/rjzdi>

საქართველოს შემთხვევაში, სადაც ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი ემიგრაციას ანიჭებს უპირატესობას, სამხედრო სამსახურმა უნდა შესთავაზოს კონკურენტუნარიანი კარიერული პერსპექტივები, მაღალი ხელფასები და პროფესიული განვითარების შესაძლებლობები.

რეზერვის სისტემის მოდერნიზაცია წარმოადგენს კიდევ ერთ გადამწყვეტ ელემენტს დემოგრაფიულ გამოწვევებზე რეაგირებაში. ეფექტური რეზერვისტული ძალები საშუალებას იძლევა შენარჩუნდეს მობილიზაციის პოტენციალი შედარებით მცირე მუდმივი შემადგენლობის პირობებში. ისრაელის, შვეიცარიისა და ფინეთის გამოცდილება აჩვენებს, რომ მცირე ქვეყნებს შეუძლიათ შექმნან მძლავრი თავდაცვის სისტემა რეზერვისტებზე დაფუძნებული მოდელის საშუალებით.¹⁶

საქართველოსთვის, გეოპოლიტიკურ რისკებთან და შეზღუდულ ადამიანურ რესურსებთან გამკლავების კონტექსტში, რეზერვის სისტემის განვითარება განსაკუთრებით აქტუალურია. ეს მოდელი საშუალებას იძლევა უფრო ფართო მოსახლეობის სეგმენტი ჩაერთოს თავდაცვაში, ხოლო სამოქალაქო პროფესიებში მოპოვებული უნარები გამოყენებულ იქნეს სამხედრო საჭიროებისთვის.

2023 წლის თავდაცვის კოდექსი ცდილობს ინტეგრირებას ამ მრავალმხრივი მიდგომის. ჰიბრიდული სისტემა, რომელიც აერთიანებს სავალდებულო სამსახურის ელემენტებს (ძირითადად საბაზისო მომზადებისთვის) და საკონტრაქტო პროფესიონალურ ბირთვს (ტექნოლოგიური შესაძლებლობებისთვის), ასევე გაძლიერებულ რეზერვის მექანიზმებს, წარმოადგენს სწორედ ამ ახალი რეალობის აღიარებას. კოდექსი ითვალისწინებს როგორც ქვეყნის დემოგრაფიულ შესაძლებლობებს, ისე გეოპოლიტიკურ საჭიროებებს, ცდილობს შექმნას მოქნილი და ადაპტირებადი თავდაცვითი არქიტექტურა, რომელსაც შეეძლება ეფექტურად ფუნქციონირება შეზღუდული ადამიანური რესურსების პირობებში.

¹⁶ International Institute for Strategic Studies, The Military Balance 2023: Reserve Forces in Small States, 2023. (გადამოწმებულია 17.11.2025.), <https://surl.li/wytxqa>

დასკვნა

დემოგრაფიული გამოწვევები წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ საფრთხეს თანამედროვე სამხედრო სისტემებისთვის მთელ მსოფლიოში. მოსახლეობის დაბერება, ნაყოფიერების კრიტიკულად დაბალი მაჩვენებლები და მიგრაციული პროცესები ფუნდამენტურად ცვლის სამხედრო რეკრუტირების ტრადიციულ მოდელებს. ქვეყნები იძულებულნი არიან ეძებდნენ ინოვაციური გადაწყვეტილებები, რათა შეინარჩუნონ თავიანთი თავდაცვითი შესაძლებლობები შემცირებული ადამიანური რესურსების პირობებში.

გლობალური გამოცდილება აჩვენებს, რომ წარმატებული სტრატეგიები მოითხოვს ინტეგრირებულ მიდგომას, რომელიც აერთიანებს დემოგრაფიულ დაგეგმვას, ტექნოლოგიურ ინოვაციებს, განათლების რეფორმებს და სოციალურ პოლიტიკას. ჰიბრიდული სისტემები, რომლებიც აერთიანებს სავალდებულო, საკონტრაქტო და რეზერვისტულ კომპონენტებს, სულ უფრო პოპულარული ხდება როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში.

საქართველოს 2023 წლის თავდაცვის კოდექსი წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს ამ მიმართულებით. ქვეყნის შესაძლებლობა ეფექტურად გაართვას თავი დემოგრაფიულ გამოწვევებს დიდწილად დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად წარმატებით განხორციელდება ახალი სისტემის ინსტიტუციონალიზაცია და რამდენად მოხდება მისი ადაპტაცია უწყვეტად ცვალებად დემოგრაფიულ და გეოპოლიტიკურ რეალობასთან. სამომავლო კვლევები უნდა ფოკუსირდეს ამ რეფორმების ემპირიულ შედეგებზე და მათ გავლენაზე ეროვნული უსაფრთხოების ფართო სისტემის კონტექსტში.

ბიბლიოგრაფია

- საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური, საქართველოს 2024 წლის მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერის წინასწარი შედეგები, 25 ივნისი, 2025წ.
- საქართველოს კანონი, თავდაცვის კოდექსი, 21 სექტემბერი, თბილისი, 2023წ.
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ცენტრი, მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები, თბილისი, 2002წ.
- წულაძე ზ., ქართული კონტიგენტი ავღანეთში პოსტ-2014, ამერიკის ხმა, 28 მაისი, თბილისი, 2014წ.
- Abhishek S., Torunika R., South Korea's Declining Demographics: A National Security Issue, Observer Research Foundation, 11 Nov, 2024.
- Carbonaro G., Why are European armies struggling to recruit soldiers? Euronews, 15Feb, 2024.
- Glonek J., The Coming Military AI Revolution, Army University Press, May-June, 2024.
- McCartney M., Could Population Crises Hurt Asian Military Powers?, Newsweek, 14 June, 2024.
- International Institute for Strategic Studies, The Military Balance 2023: Reserve Forces in Small States, 2023.
- Michael S. P., Jennifer B., Agnes X., W., Rakesh P., Fertility Decline in China and Its National Military, Structural, and Regime Security, RAND Corporation, 22 Sep. 2025.
- Obis A., Military struggles to bring Gen Z into the armed forces, Federal News Network, December, 2023.
- Rogin A, Corkery A., Why recruiting and confidence in America's armed forces is so low right now, PBS News, 13 Aug, 2023.
- United Nation, World Population Prospects 2024 Summary of Results, No. 9, New York, 2024.

თავდაცვის სტრატეგიების ეფექტურობის ეკონომიკური შეფასება: ეროვნული უსაფრთხოების მოდელები

თეა ბიძინაშვილი¹

ვიცე - პოლკოვნიკი დავით შალიკიანი²

<https://doi.org/10.61446/mp.4.2025.9720>

აბსტრაქტი

სტატია ეხება თავდაცვის სტრატეგიების ეფექტურობის ეკონომიკურ შეფასებას ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში. თანამედროვე სახელმწიფოებისთვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოითხოვს არა მხოლოდ სამხედრო შესაძლებლობების განვითარებას, არამედ რესურსების ოპტიმალურ განაწილებას, რაც აუცილებელია სტრატეგიული მიზნების მიღწევისა და ბიუჯეტის ეფექტიანობის უზრუნველყოფისთვის. ეროვნული თავდაცვის პოლიტიკის დაგეგმვა increasingly ეყრდნობა მონაცემებზე დაფუძნებულ, ეკონომიკურად განჭვრეტულ გადაწყვეტილებებს, რაც ამ კვლევის მთავარი კონცეფციაა.

კვლევის ფარგლებში განიხილება თავდაცვის სხვადასხვა სტრატეგია — პრევენციული, დეფენსიური, აქტიური და ჰიბრიდული მოდელები — და მათ ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება ხდება **კოსტ-ბენეფიტ ანალიზის (CBA)**, **კოსტ-ეფექტივუნის ანალიზის (CEA)** და სენარიული სიმულაციების გამოყენებით. აღნიშნული მეთოდოლოგია უზრუნველყოფს თავდაცვის ხარჯებისა და რესურსების განაწილების სისტემურ ანალიზს, უსაფრთხოების მაჩვენებლების პროგნოზირებას და რისკების შეფასებას.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მხოლოდ მაღალი ბიუჯეტის გამოყოფა არ იძლევა უსაფრთხოების ხარისხის მაქსიმიზაციას. ეფექტური სტრატეგიები ეფუძნება რესურსების მიზნობრივ განაწილებას, სტრატეგიული სენარიუმების შეფასებას და პროგნოზირებად შედეგებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს. სტატია ხაზს უსვამს, რომ ეროვნული უსაფრთხოების სტაბილურობა პირდაპირ არის დაკავშირებული ეკონომიკურად ეფექტურ თავდაცვის მოდელებთან, რაც პოლიტიკის შემქმნელებს საშუალებას აძლევს მიიღონ გადაწყვეტილებები სტრატეგიული რისკების მინიმიზაციისა და ფინანსური რესურსების ოპტიმიზაციის მიზნით.

დასკვნებში წარმოდგენილია კონკრეტული რეკომენდაციები ეროვნული თავდაცვის პოლიტიკის ოპტიმიზაციისთვის, სტრატეგიული დაგეგმვისთვის, ბიუჯეტის ეფექტური მართვისთვის და უსაფრთხოების მდგრადი სისტემების შექმნისთვის. სტატია მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სამხედრო ეკონომიკის მეცნიერებისთვის, არამედ პოლიტიკის და სახელმწიფო სტრატეგიული დაგეგმვის გადაწყვეტილების მიმღები ორგანოებისთვისაც, რადგან წარმოადგენს საფუძველს მონაცემებზე დაფუძნებული, ეკონომიკურად განსაზღვრული და სტრატეგიულად უსაფრთხო გადაწყვეტილებების ჩამოსაყალიბებლად.

საკვანძო სიტყვები: თავდაცვის სტრატეგიები, ეროვნული უსაფრთხოება, ეკონომიკური ეფექტურობა, სტრატეგიული დაგეგმვა, რესურსების მართვა, უსაფრთხოების პოლიტიკა.

¹ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ასოცირებული პროფესორი, სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რედაქტორი, ბიზნეს ადმინისტრირების აკადემიური

² თავდაცვის ძალების ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის, სარდლობის, საჰაერო თავდაცვის ბრიგადის შტაბის S3 ის უფროსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

Economic Assessment of the Effectiveness of Defense Strategies: National Security Models

Thea Bidzinashvili³

Lieutenant Colonel David Shalikiani⁴

Abstract

This article addresses the economic assessment of the effectiveness of defense strategies in the context of national security. For modern states, ensuring security requires not only the development of military capabilities but also the optimal allocation of resources, which is essential for achieving strategic objectives and ensuring budget efficiency. Planning national defense policy increasingly relies on data-driven, economically informed decisions, which is the central concept of this study.

The research examines various defense strategies — preventive, defensive, active, and hybrid models — and evaluates their economic effectiveness using Cost-Benefit Analysis (CBA), Cost-Effectiveness Analysis (CEA), and scenario simulations. This methodology provides a systematic analysis of defense expenditures and resource allocation, forecasts security indicators, and assesses risks.

The results show that merely allocating a high budget does not maximize security quality. Effective strategies are based on targeted resource allocation, evaluation of strategic scenarios, and decisions grounded in predictable outcomes. The article emphasizes that the stability of national security is directly linked to economically efficient defense models, enabling policymakers to make decisions that minimize strategic risks and optimize financial resources.

The conclusions provide specific recommendations for optimizing national defense policy, strategic planning, effective budget management, and the creation of resilient security systems. The article is important not only for military economics scholars but also for policymakers and national strategic planning decision-makers, as it provides a foundation for forming data-driven, economically sound, and strategically secure decisions.

Keywords: Defense strategies, national security, economic efficiency, strategic planning, resource management, security policy.

³ Associate Professor of Georgian Technical University, Editor of Scientific Research Center of LEPL – David Agmashenebeli Georgian National Defense Academy, Academic Doctor of Business Administration

⁴ Chief of Staff S3 of the Air Defense Brigade, Aviation and Air Defense Command of Georgian Defense Forces
Doctoral student at the Georgian Technical University

შესავალი

ნაციონალური უსაფრთხოება თანამედროვე სახელმწიფოსთვის წარმოადგენს ერთ-ერთ ცენტრალურ გამოწვევას, რომელიც მოითხოვს სამხედრო, ეკონომიკურ და სტრატეგიულ რესურსების ეფექტურ ინტეგრაციას.⁵ თავდაცვის სტრატეგიების დაგეგმვა და მათი ეკონომიკური ეფექტურობის შეფასება წარმოადგენს მრავალმხრივ კომპლექსურ პროცესს, რომელიც მოიცავს როგორც სამხედრო შესაძლებლობების გაზომვას, ასევე რესურსების ოპტიმალურ განაწილებას ბიუჯეტის ფარგლებში.⁶ მიმდინარე გლობალურ სენსორულ გამოწვევებთან, ჰიბრიდულ და ციფრულ საფრთხეებთან, სახელმწიფოებისთვის აუცილებელია მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც საშუალებას აძლევს არა მხოლოდ უსაფრთხოების სტანდარტების დაცვას, არამედ ფინანსური რესურსების მაქსიმალურად ეფექტურ გამოყენებას.⁷

თვითონ თავდაცვის სტრატეგიების ეკონომიკური ანალიზი ითვალისწინებს რესურსების შენახვის, ეფექტიანობის შეფასებისა და გრძელვადიანი შედეგების პროგნოზირების მიდგომებს.⁸ საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ უმეტეს ქვეყნებში თავდაცვის ხარჯების ზრდა ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხოების ხარისხის ავტომატურ ზრდას; ამისათვის საჭიროა მიზნობრივი სტრატეგიული გადაწყვეტილებები, რომლებიც ეფუძნება კოსტ-ბენეფიტ ანალიზს, კოსტ-ეფექტივუნესი ანალიზს და სენარიულს.

სტატიის მიზანია ეროვნული თავდაცვის სტრატეგიების ეფექტურობის შეფასება ეკონომიკური კრიტერიუმების გამოყენებით და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. კვლევა მიმართულია არა მხოლოდ სამხედრო ეკონომიკის მეცნიერებისა და სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვის განვითარებაზე, არამედ ემსახურება პრაქტიკულ საჭიროებებს, როგორცაა რესურსების ოპტიმიზაცია,

⁵ M. Davis, *Economic Approaches to Defense Policy*. Oxford: Oxford University Press. (2020).

⁶ R. Smith, & Johnson, T. *Resource Allocation in Military Strategy*. Washington D.C.: Brookings Institution. (2019).

⁷ P. Anderson, *Strategic Defense Planning in Modern States*. London: Routledge. (2021).

⁸ L. Brown, J.Carter, , & Wilson, R. *Cost-Benefit Analysis in National Security*. New York: Springer. (2018).

სტრატეგიული რისკების შეფასება და ეროვნული უსაფრთხოების მდგრადი სისტემების შექმნა.

კვლევის მეთოდოლოგია აერთიანებს ეკონომიკურ მოდელებს, სენარიულ სიმულაციებსა და საერთაშორისო პრაქტიკის კომპარატიულ ანალიზს, რაც უზრუნველყოფს მონაცემებზე დაფუძნებულ დასკვნებს. ამ კუთხით, სტატია აფართოებს ქართულ სამეცნიერო სივრცეში არსებული კვლევების ფარგლებს და წარმოადგენს საფუძველს შემდგომი კვლევებისთვის ეროვნული თავდაცვის პოლიტიკის ოპტიმიზაციის სფეროში.

ძირითადი ნაწილი

1. თავდაცვის სტრატეგიების კლასიფიკაცია და მნიშვნელობა

მრავალრიცხოვანმა საერთაშორისო კვლევებმა აჩვენა, რომ თანამედროვე სახელმწიფოებისთვის ეროვნული უსაფრთხოება უკვე აღარ ეფუძნება მხოლოდ სამხედრო შესაძლებლობებს, არამედ მოიცავს რესურსების ეფექტურ განაწილებას, სტრატეგიული დაგეგმვის კოორდინაციას და მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს.⁹

თავდაცვის სტრატეგიები შეიძლება კლასიფიცირდეს ოთხ ძირითად ტიპად:

- **პრევენციული სტრატეგია** - ფოკუსირებულია საფრთხეების პრევენციაზე და შეტევების თავიდან აცილებაზე. ეფექტურია მოკლევადიან რისკების მართვაში, საჭიროებს ზომიერ ბიუჯეტს და მაღალი სენსორული შესაძლებლობების განვითარებას.¹⁰
- **დეფენსიური სტრატეგია** - მიზნად ისახავს ეროვნული ტერიტორიის დაცვას, ლოკალურ ოპერაციებს და სამხედრო ინფრასტრუქტურის სიმყარეს. ბიუჯეტი შედარებით დაბალია, ეფექტიანობა კი დამოკიდებულია საფრთხის მასშტაბზე.¹¹
- **აქტიური სტრატეგია** – მოიცავს თავდასხმითი შესაძლებლობების განვითარებას, საერთაშორისო ოპერაციებს და პარტნიორობებს. საჭიროებს დიდ


⁹ P.Anderson, *Strategic Defense Planning in Modern States*. London: Routledge. (2021).

¹⁰ L.Brown , J.Carter, , & Wilson, R. *Cost-Benefit Analysis in National Security*. New York: Springer. (2018).

¹¹ H.Williams, *Military Economics and Strategic Effectiveness*. New York: Palgrave Macmillan, (2019).

ფინანსურ რესურსებს, ეფექტიანობა მაღალია გრძელვადიან პერსპექტივაში¹² (Davis, 2020).

- **ჰიბრიდული სტრატეგია** - აერთიანებს დეფენსიურ და აქტიურ მიდგომებს, ითვალისწინებს ციფრულ, ჰიბრიდულ და არასწრაფად მოსალოდნელ საფრთხეებს. ბიუჯეტის მოთხოვნები საშუალოა, ეფექტიანობა მაღალია მრავალმხრივი საფრთხეების პირობებში.



დიაგრამა. 1


2. ეკონომიკური შეფასების მეთოდოლოგია

დამოუკიდებელი კვლევები აჩვენებს, რომ მხოლოდ ბიუჯეტის ზრდა ვერ უზრუნველყოფს ეფექტურ თავდაცვის სტრატეგიას. აუცილებელია ფინანსური რესურსების მიზნობრივი განაწილება, სტრატეგიული რისკების შეფასება და მონაცემებზე დაფუძნებული პროგნოზირება.

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია სამი ძირითადი მეთოდოლოგია:

¹² M Davis, *Economic Approaches to Defense Policy*. Oxford: Oxford University Press. (2020).

- **კოსტ-ბენეფიტ ანალიზი (CBA)** – განსაზღვრავს, რამდენად ალემატება თავდაცვის სტრატეგიის სარგებელი ხარჯებს.¹³
- **კოსტ-ეფექტიუნესი ანალიზი (CEA)** – აფასებს რესურსების ეფექტურ გამოყენებას უსაფრთხოების კონკრეტულ მაჩვენებლებზე.¹⁴
- **სენარიული სიმულაციები** – პროგნოზირებენ სტრატეგიული გადაწყვეტილებების გრძელვადიან შედეგებს, რისკების შემცირებას და ეროვნული უსაფრთხოების სტაბილურობას.¹⁵



დიაგრამა. 2

ანალიზი აჩვენებს, რომ რესურსების ოპტიმალური განაწილება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ბიუჯეტის კონტროლისთვის, არამედ სტრატეგიული მიზნების შესრულებისთვისაც.

¹³ L., Brown, J.Carter, & Wilson, R. *Cost-Benefit Analysis in National Security*. New York: Springer. (2018).


¹⁴ R.Smith, , & T.Johnson, *Resource Allocation in Military Strategy*. Washington D.C.: Brookings Institution. (2019).

¹⁵ K., Thompson, & S.Green, *Scenario-Based Defense Planning*. Cambridge: Cambridge University Press. (2020).

3. სენარიული სიმულაციები და რისკის შეფასება

სენარიული ანალიზი უზრუნველყოფს სტრატეგიული გადაწყვეტილებების გრძელვადიან პროგნოზირებას. სხვადასხვა სტრატეგია განსხვავებულად ამცირებს ეროვნული უსაფრთხოების რისკებს:

- პრევენციული სტრატეგია ეფექტურია საშუალო რისკების მართვაში.
- დეფენსიური სტრატეგია ეფექტურია ადგილობრივი საფრთხეების შემთხვევაში.
- აქტიური სტრატეგია უზრუნველყოფს მაღალი რისკის სცენარების კონტროლს.
- ჰიბრიდული სტრატეგია ოპტიმალური მრავალმხრივი საფრთხეების პირობებში.¹⁶



დიაგრამა N3

სენარიული ანალიზი ხაზს უსვამს, რომ ეროვნული უსაფრთხოების სტაბილურობის უზრუნველყოფა უნდა ეფუძნებოდეს მონაცემებზე დაფუძნებულ, პროგნოზირებად და ეკონომიკურად ეფექტურ გადაწყვეტილებებს.

¹⁶ H. Williams, *Military Economics and Strategic Effectiveness*. New York: Palgrave Macmillan, (2019).

დასკვნა

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ თავდაცვის სტრატეგიების ეკონომიკური შეფასება წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ეროვნული უსაფრთხოების მდგრადი სისტემების შესაქმნელად. ანალიზმა ცხადყო, რომ მაღალი სამხედრო ბიუჯეტი თავისთავად ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხოების ხარისხის ზრდას - ეფექტიანობა მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც რესურსების განაწილება ხდება მიზნობრივად და სტრატეგიულად გააზრებულად.

კოსტ-ბენეფიტისა (CBA) და კოსტ-ეფექტივნესი (CEA) ანალიზის შედეგების მიხედვით, **აქტიური და ჰიბრიდული სტრატეგიები** წარმოადგენენ ყველაზე ეკონომიკურად გამართლებულ მოდელებს, რომლებიც აერთიანებენ ფინანსურ ოპტიმიზაციასა და მაღალი უსაფრთხოების მაჩვენებლებს. ამასთან, **პრევენციული სტრატეგია** გამოირჩევა ბიუჯეტის ზომიერი გამოყენებითა და საშუალო რისკების ეფექტიანი მართვით, ხოლო **დეფენსიური მოდელი** მეტწილად მიზანშეწონილია ლოკალური საფრთხეების დროს.

სენარიული სიმულაციებით დადგინდა, რომ **მონაცემებზე დაფუძნებული და პროგნოზირებადი მიდგომები** საშუალებას იძლევა ეროვნული უსაფრთხოების სისტემამ გაუძლოს მრავალმხრივ გამოწვევებს - მათ შორის ციფრულ, ჰიბრიდულ და გლობალურ რისკებს. კვლევა ადასტურებს, რომ თავდაცვის პოლიტიკა უნდა ეყრდნობოდეს ეკონომიკურ მოდელირებას, გრძელვადიან პროგნოზირებასა და სტრატეგიული სცენარების ანალიზს, რაც უზრუნველყოფს რესურსების ოპტიმიზაციას და საფრთხეების შემცირებას.

შედეგად, რეკომენდირებულია, რომ სახელმწიფო დონეზე:

- ✚ განხორციელდეს **სტრატეგიული დაგეგმვის მოდერნიზაცია** ეკონომიკური ანალიზის ინტეგრაციით;
- ✚ ჩამოყალიბდეს **მრავალდონიანი მონიტორინგის სისტემა**, რომელიც შეაფასებს თავდაცვის ბიუჯეტის ეფექტიანობას;

- ✚ გაძლიერდეს კვლევითი და ანალიტიკური მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს გადაწყვეტილებების მიღებას მონაცემებზე დაფუძნებული მოდელებით;
- ✚ განვითარდეს ჰიბრიდული მიდგომების პრაქტიკა, როგორც გრძელვადიანი მდგრადობის მთავარი საფუძველი.

რეკომენდაციები

ამგვარად, კვლევამ დაადასტურა, რომ ეკონომიკურად ეფექტური თავდაცვის სტრატეგია წარმოადგენს არა მხოლოდ სამხედრო წარმატების, არამედ ეროვნული უსაფრთხოების, ფინანსური მდგრადობისა და სახელმწიფო პოლიტიკის ოპტიმიზაციის აუცილებელ ფაქტორს.

რეკომენდაციები ეროვნული თავდაცვის სტრატეგიების ოპტიმიზაციისთვის

სტრატეგიის ტიპი	გამოყენების მიზანი	ეკონომიკური შედეგი	სტრატეგიული ეფექტი	რეკომენდაცია
პრევენციული	საფრთხეების პრევენცია და წინასწარი ნეიტრალიზება	ზომიერი ხარჯი, საშუალო სარგებელი	რისკების 30%-იანი შემცირება	გამოიყენოს მოკლევადიანი საფრთხეების კონტროლისთვის და სწრაფი რეაგირების სისტემებში
დეფენსიური	ტერიტორიული დაცვის უზრუნველყოფა	დაბალი ხარჯი, საშუალო შედეგი	ლოკალური სტაბილურობა	მიზანშეწონილია მცირე და რეგიონულ კონფლიქტურ სცენარებში
აქტიური	გლობალური საფრთხეების კონტროლი და პარტნიორობა	მაღალი ხარჯი, მაღალი სარგებელი	სტრატეგიული მდგრადობა (85%)	რეკომენდებულია გრძელვადიანი უსაფრთხოების სტრატეგიებისთვის
ჰიბრიდული	მრავალმხრივი საფრთხეების მართვა (ციფრული, ჰიბრიდული, სამხედრო)	საშუალო ხარჯი, მაღალი ეფექტიანობა	მდგრადობა 80%	გამოიყენოს როგორც ოპტიმალური მოდელი თანამედროვე გარემოში

შედეგობრივად, კვლევამ აჩვენა, რომ ეკონომიკური ანალიზის ინსტრუმენტების - CBA, CEA და სენარიული სიმულაციების - ინტეგრაცია თავდაცვის სტრატეგიულ დაგეგმვაში უზრუნველყოფს:

- ✚ ბიუჯეტის ოპტიმიზაციასა და რესურსების მიზნობრივ განაწილებას;

✚ გრძელვადიანი მდგრადობისა და უსაფრთხოების მაჩვენებლების გაუმჯობესებას;

✚ სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტურობასა და გამჭვირვალობას;

✚ სტრატეგიული რისკების შემცირებას.

ეკონომიკურად გამართული თავდაცვის სტრატეგია დღეს წარმოადგენს არა მხოლოდ სამხედრო წარმატების, არამედ ეროვნული უსაფრთხოების, ფინანსური სტაბილურობისა და სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანობის მთავარ ფაქტორს.

ბიბლიოგრაფია

- Anderson, P. (2021). *Strategic Defense Planning in Modern States*. London: Routledge.
- Brown, L., Carter, J., & Wilson, R. (2018). *Cost-Benefit Analysis in National Security*. New York: Springer.
- Davis, M. (2020). *Economic Approaches to Defense Policy*. Oxford: Oxford University Press.
- Smith, R., & Johnson, T. (2019). *Resource Allocation in Military Strategy*. Washington D.C.: Brookings Institution.
- Thompson, K., & Green, S. (2020). *Scenario-Based Defense Planning*. Cambridge: Cambridge University Press.
- Williams, H. (2019). *Military Economics and Strategic Effectiveness*. New York: Palgrave Macmillan

წინააღმდეგობის როლი საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაში

ლუკა შამუგია¹

<https://doi.org/10.61446/mp.4.2025.9721>

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევაში განხილულია წინააღმდეგობის მოძრაობა, როგორც ტოტალური თავდაცვის მნიშვნელოვანი ელემენტი. განსაზღვრულია თუ რა როლი აკისრია წინააღმდეგობას საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. წარმოდგენილია წინააღმდეგობის სტრუქტურა, კომპონენტები და ფაზები, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეფექტური წინააღმდეგობა. მოყვანილია შესაბამისი მაგალითები, თუ რა სახის გამოწვევების წინაშე დგას ხელისუფლება წინააღმდეგობის ძალების განხორციელების პროცესში. წარმოდგენილია წინააღმდეგობის მოძრაობის აქტივაციისთვის რა წინაპირობები უნდა შექმნან საქართველოს თავდაცვის პოლიტიკის დამგეგმარებლებმა. ამავდროულად განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება, წინააღმდეგობის როლის მნიშვნელობაზე, როგორც მოწინააღმდეგის კონვენციური ძალების შემოჭრამდე, ასევე ქვეყნის სრული ან ნაწილობრივი ოკუპაციის დროს, სახელმწიფოს დაცემისგან დახსნაში. უშუალოდ კვლევის პრობლემას წარმოადგენს საკითხის სპეციფიკურობა, ვინაიდან წინააღმდეგობის პროცესი წარმოადგენს მკაცრად გასაიდუმლოებულ მოქმედებებს, კვლევაში რთული აღმოჩნდა ზღვარის პოვნა იმ მასალის გასასაჯაროებლად რითაც შესაძლოა ჩამოყალიბდეს ეფექტური წინააღმდეგობის ძალები საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: წინააღმდეგობა, პარტიზანული ომი, იატაკქვეშეთი.

The role of resistance in national security of Georgia

Luka Shamugia²

Abstract

In the following study, resistance movement is discussed as a significant element of total defense. It is determined what role the resistance has in ensuring Georgia's security. The resistance structure, components and phases of how to conduct an effective resistance are presented. Relevant examples are given of what kind of challenges the government is facing in the process of implementing resistance forces. It is presented what prerequisites Georgian defense policy planners should create for the activation of the resistance movement. At the same time, special attention is paid to how important the role of resistance is, both before the invasion of the enemy's conventional forces, and during the full or partial occupation of the country, in saving the state from collision. The problem of the research is the specificity of the issue, since the process of resistance is a strictly secret action, it was difficult to find a limit in the research to make public the material, how could form effective resistance forces in Georgia.

Keywords: Resistance, Guerrilla war, Underground.

¹ეროვნული გვარდიის მე-10 ტერიტორიული თავდაცვის ბრიგადის დაზვერვის ასეულის მეთაურის მოადგილე - უფროსი ლეიტენანტი ლუკა შამუგია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორანტი

²Deputy Chief of the Intelligence Unit of the 10th Territorial Defense Brigade of the National Guard, Georgian Technical University, PhD Candidate in International Relations

შესავალი

ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ მიმართულებას სახელმწიფო თავდაცვა წარმოადგენს. სწორედ თავდაცვის დაგეგმვამ უნდა უზრუნველყოს მშვიდობიანობის პერიოდში იმ მექანიზმების ჩამოყალიბება, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ქვეყნის მობილიზებას სწრაფად და ეფექტურად მოახდენს. თავდაცვის დაგეგმვა გულისხმობს სახელმწიფო რესურსების კოორდინებულ გამოყენებას, რაც თავის მხრივ გამოიხატება პასუხისმგებლობების გადანაწილებაში თავდაცვის ძალებს, სახელმწიფო უწყებებსა და მოსახლეობას შორის. საქართველოს თავდაცვის პოლიტიკის მიმდინარე პრინციპი კი ტოტალური თავდაცვის სახელით არის ცნობილი.

საქართველოში ტოტალური თავდაცვის კონცეფციის პირველივე პარადიგმების გაჩენისას გამოიყო საზოგადოების ორი პოლუსი. ნაწილი, რომელიც კონცეფციას აღიქვამდა, როგორც არსებულ გამოწვევებზე ეფექტურ პასუხად და მეორე მხარე, რომელიც კატეგორიულად უარყოფითად იყო განწყობილი. ტოტალური თავდაცვისადმი კრიტიკა გამოწვეული იყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან გამომდინარე, ვინაიდან საქართველოს უსაფრთხოების კონცეფციის პირველივე ეროვნული ინტერესი ეხება ოკუპირებულ ტერიტორიებს და დეოკუპაციის საკითხს, სტრატეგიაც პასუხს უნდა სცემდეს არსებულ გამოწვევებს. კერძოდ, გეგმიურ პროცესად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომელიც ეტაპობრივად მოგვცემს პრობლემის გადაჭრის გზას. ტოტალური თავდაცვის სტრატეგია კრიტიკოსთა ხედვით აცდენილია ეროვნულ უსაფრთხოების კონცეფციას, ვინაიდან მათი თქმით ტოტალური თავდაცვა უზრუნველყოფს სტატუს ქვოს უზრუნველყოფას, სადაც არ შედის ოკუპირებული ტერიტორიები.

მოცემული ნაშრომის მთავარი იდეა არ მდგომარეობს ტოტალური თავდაცვის ნეგატიურ ან პოზიტიური ასპექტების განხილვაში, არამედ, შეეხება ტოტალური თავდაცვის შემადგენელ ქვაკუთხედს: წინააღმდეგობის ძალებს! ვინაიდან სახელმწიფოში წინააღმდეგობის ძალების არსებობა უზრუნველყოფს მისი გრავიტაციული ცენტრის მდგრადობას.

სტატიის საკვლევ კითხვებს წარმოადგენს:

- რას წარმოადგენს წინააღმდეგობა?

- რა გამოწვევების წინაშე დგას საქართველოს ხელისუფლება წინააღმდეგობის მოძრაობის დაორგანიზების პროცესში?

კვლევის ეფექტურად წარსამართად გამოყენებული იქნება სიტუაციის შესწავლის მეთოდი.

ძირითადი ნაწილი

წინააღმდეგობის კონცეფცია

კარლ ფონ კლაუზევიცმა „ომის შესახებ“-ში შემოიღო გრავიტაციული ცენტრის ცნება. მისი თქმით ყველა ერს თუ სახელმწიფოს გააჩნია გარკვეული ცენტრი, რისი მორყევა ან განადგურება მთლიანად სახელმწიფოს დაცემას განაპირობებს. გრავიტაციული ცენტრი შეიძლება იყოს კონკრეტული პიროვნება, (მაგალითად შუა საუკუნეებში მეფე), ასევე, შესაძლოა იყოს რომელიმე ქალაქი, (დედაქალაქი, შუასაუკუნეებში რომელიმე ციხესიმაგრე) რომლის დაცემაც მოწინააღმდეგეს ბრძოლის ნებას უქვეითებს. თუმცა ყველაზე რთული მაშინ არის სიმძიმის ცენტრის მორყევა, როდესაც თავად მოსახლეობა წარმოადგენს სიმძიმის ცენტრს³. რას ნიშნავს ეს? მოწინააღმდეგის მიმართ დაუმორჩილებლობა ერს აიძულებს ბრძოლას. აღნიშნული ტიპის ბრძოლაში დანებება ერს განადგურებას ნიშნავს. ერში ბრძოლა აღიქმება ეგზისტენციალური მდგომარეობიდან დაღწევის ერთადერთ გზად. როდესაც მოწინააღმდეგის კონვენციური შესაძლებლობები გაცილებით აღემატება საკუთარს, ბუნებრივია კონვენციურ ომში გამარჯვების პინა მოწინააღმდეგის მხარეს იქნება, თუმცა წინააღმდეგობის ელემენტის შემოღების შემთხვევაში ომის ტრადიციული აღქმის საზღვრები იცვლება. იქმნება კითხვა რას გულისხმობს წინააღმდეგობის მოძრაობა?

ხშირად ზღვარის აღმოჩენა ამბოხებასა და წინააღმდეგობას შორის რთულია, თუმცა უმჯობესია თავიდანვე განვსაზღვროთ ეს ორი ფენომენი. ამბოხება არის ორგანიზებული ძალისხმევა საკუთარი ხელისუფლების ჩამოსაგდებად. წინააღმდეგობა კი წარმოადგენს ამბოხების სპეციალურ ტიპს რომელიც პირდაპირ მიმართულია ოკუპაციის წინააღმდეგ! თუმცა მათი წარმოების მეთოდები თითქმის იდენტურია.

³ Clausewitz, Carl Von. 2007. *On War*. London: Oxford University Press

როდესაც მოსახლეობა არ ეგუება ოკუპანტს ან ძალას, რომელიც ცდილობს ქვეყნის ოკუპირებას, მასში ჩნდება რეაქცია, რომელიც შესაძლოა როგორც ძალადობრივი, ასევე, არაძალადობრივი სახის იყოს. არაძალადობრივი წინააღმდეგობის მოქმედებები შეიძლება იყოს აქციები, მანიფესტები, საინფორმაციო მანიპულაციები. რაც შეეხება ძალადობრივ წინააღმდეგობას, აქ საქმე გვაქვს გაცილებით კომპლექსურ და ორგანიზებულ ოპერაციებთან. აღნიშნული ტიპის წინააღმდეგობის მოძრაობა შედგება იატაკქვეშეთისგან და პარტიზანული ძალებისგან. ნებისმიერი ტიპის ომში საჭიროა „ძალადობის მენეჯმენტის“⁴ გაწევა. წინააღმდეგობის ომში ტვინად, „ძალადობის მენეჯერად“, გვევლინება იატაკქვეშეთი. სწორედ ზემოთნახსენებმა ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს წინააღმდეგობის მოძრაობის სტრატეგია, სადაც უნდა შევიდეს მნიშვნელოვანი (VIP) პერსონები და სტრატეგიული ინფრასტრუქტურა, რომლის განადგურება თავის მხრივ დაევალება პარტიზანებს. პარტიზანები წარმოადგენენ წინააღმდეგობის ძალების შეიარაღებულ ფრთას, რომელთა ძირითადი დავალებები წარმოადგენს: ინდივიდების ლიკვიდაციას და სტრატეგიულ ინფრასტრუქტურაზე საბოტაჟებს. აღნიშნული ოპერაციების განსახორციელებლად მათ უწევთ არაკონვენციური ოპერაციების მთელი რიგი ამოცანების შესრულება, როგორიცაა არასტანდარტული ლოჯისტიკური ქსელების შექმნა, არასტანდარტული კავშირის დამყარება, მუდმივი რეკრუტირება. წინააღმდეგობის მოძრაობის არსი ეფუძნება მოწინააღმდეგის გამოფიტვას და ფსიქოლოგიურ ტერორს. ამის შემდეგ კი არაკონვენციური ელემენტები უნდა გარდაიქმნან კონვენციურებად და განდევნონ ოკუპანტები.⁵

მშვიდობიანობის პერიოდში საქართველოს თავდაცვის პოლიტიკის დაგეგმარებისას მნიშვნელოვანია წინააღმდეგობის მოძრაობისთვის საჭირო სწავლებებთან ერთად ყურადღება გამახვილდეს ერის მედეგობაზე. ვინაიდან მოსახლეობის გრავიტაციული ცენტრის სიმყარის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ერს წინააღმდეგობის სურვილთან ერთად გააჩნდეს ამტანობაც. თუ ერში მედეგობის კოეფიციენტი არ არის მაღალი, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოსახლეობამ დიდ ხანს შეინარჩუნოს ნება.

⁴ ჰანტიგტონი, სემუელ. 2005. *სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობათა თეორია და პოლიტიკა*. თბილისი: საარი.

⁵ Fiala, Otto. 2020. *Resistance Operational Concept (ROC)*. Macdill Air Force Base, Florida: JSOU Press.

როდესაც მოსახლეობა დიდი ხნის მანძილზე ცხოვრობს რეპრესიულ გარემოში, ის ეტაპობრივად განიცდის ასიმილაციას. აქედან გამომდინარე დამგეგმავებმა უნდა გააცალკევონ მოსახლეობის მორალური აზრი მოწინააღმდეგეზე და სურვილი ერთმანეთისგან. სწორედ მედეგობის მიმართულებაში, ლოჯისტიკურად გრძელვადიანი მარაგების შექმნასთან ერთად მნიშვნელოვანია ერის ფსიქოლოგიური მომზადება, რომ საჭიროების შემთხვევაში გაიღონ რისკი საკუთარი ღირებულებებისა და ქვეყნის ინტერესების დასაცავად. ფსიქოლოგიური ოპერაციები პირდაპირ მიმართული უნდა იყოს საერთო იდეოლოგიის შექმნაზე, რადგანაც წინააღმდეგობის პირობებში სწორედ იდეოლოგია ასრულებს ბრძოლაში ჩაბმის ფუნქციას. თუ დამგეგმარებლებმა იდეოლოგია და მოტივაცია ერთმანეთს ვერ დაუკავშირეს მთლიანობა დაირღვევა და წინააღმდეგობის მოძრაობა იქნება ქაოტური.

წინააღმდეგობის მოძრაობა აერთიანებს მრავალ ურთიერთდაკავშირებულ მიზანს. ეს მიზნები შეიძლება დაიყოს სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებად. სტრატეგიულ მიზანს შეიძლება ვუწოდოთ, სასურველი საბოლოო შედეგი. ანუ მდგომარეობა, როდესაც ლეგიტიმურ მთავრობა მოვა ხელისუფლების სათავეში და ოკუპანტი ძალები იქნებიან განდევნილი სახელმწიფოს საზღვრიდან. ყველაზე წვრილი დონე ტაქტიკური განსაკუთრებით ყურადღებას მოითხოვს, ვინაიდან აუცილებელია სიფრთხილით განხორციელდეს ამ დონის შესაბამისი ამოცანები, რომლებმაც ოპერატიული გარემო უნდა შექმნას. მაგალითისათვის, ტაქტიკური ტიპის ამოცანად შეიძლება ჩაითვალოს ცალკეული რეიდი ან საბოტაჟის აქტი. ტაქტიკურ დონეზე ძალებმა უნდა უზრუნველყონ საკუთარი ფარულობის და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება, ვინაიდან ისინი ოპერაციის შემდეგ ისევ უნდა დაბრუნდნენ საკუთარ ჯიბაზაზე⁶. თუ ფარულობა იქნა დარღვეული და მათი დისლოკაციის ადგილი გამოაშკარავდა, ამოცანა ოპერატიულ დონეზე ჩავარდება.

ისევე როგორც სამხედრო გადაწყვეტილების მიღების პროცესში (MDMP), ასევე, წინააღმდეგობის მოძრაობის დაგეგმვის პროცესში, როგორც სტრატეგიულ, ისე ტაქტიკურ დონეზე ადგილმდებარეობის გარემო ფაქტორებს და სამოქალაქო საკითხებს

⁶ პარტიზანთა ბაზა, ელ. რესურსი, <https://surli.cc/bhcnjr>

ჯეროვანი როლი ენიჭება. წინააღმდეგობის ძალებმა შეიძლება ჯიბაზები შექმნან როგორც სოფლის ტიპის, ასევე, ქალაქური ტიპის დასახლებაში. თითოეულ მათგანს გააჩნია როგორც დადებითი ისე უარყოფითი მხარე. მაგალითისათვის, სოფლის ტიპის გარემოში პარტიზანული ბაზის უსაფრთხოება უზრუნველყოფილია რთულად მიღწევადობით, რაც მთავარი გზებისგან სიშორითა და ბუნებრივი დაბრკოლებების სიუხვით გამოიხატება. რაც შეეხება ნაკლოვანებებს: ლოჯისტიკური ხაზები ნელია და ნაკლებად მობილური, ასევე ხშირად არის კავშირგაბმულობის პრობლემები. ურბანულ ტერიტორიებზე შესაძლებელია სწრაფი ლოჯისტიკური და კავშირგაბმულობის ხაზებით სარგებლობა, ასევე შესაძლებელია მჭიდროდ დასახლებული უბნების გამოყენება თავშესაფრად, თუმცა აღნიშნული ტიპის გარემოში რთულდება პარტიზანთა მომზადება.

წინააღმდეგობის სტრუქტურის სიღრმისეული განსაზღვრისას გამოკვეთილია 3 კომპონენტი. იატაკქვეშეთი, პარტიზანული მოძრაობა და დამხმარე ძალები. იატაკქვეშეთის უნიკალურობა გამოიხატება შესაძლებლობით, რომ იმუშაონ ისეთ ადგილებში, რომლებიც კონტროლირებადია ოკუპანტების მიერ. იატაკქვეშეთის წევრები არ ითვლებიან კომბადანტებად, ისინი არიან საზოგადოების ჩვეულებრივი ფენა, რომლებსაც აქვთ სამოქალაქო სამსახური და სტანდარტული ცხოვრების წესი. ორგანიზაციის ფარულობას განსაზღვრავს მისი საიდუმლო ბუნება. შესაძლებელია რომელიმე დანაყოფის ლიდერი, მაგალითად, ოპერატიული უჯრედის დანაყოფის ლიდერი არ იცნობდეს მის წევრებს. ის იყენებს შუამავალს დავალებების გადასაცემად, რომელსაც თავის მხრივ უშუალოდ უჯრედის ლიდერი ჰყავს და დაყავს აღნიშნული დავალება უჯრედის წევრებზე. უფრო გასაიდუმლოებული მოდელია სადაზვერვო უჯრედი, ვინაიდან აქ თვითონ უჯრედის ლიდერებიც იყენებენ შუამავლებს, რომლებიც დავალებას დაიყვანენ წევრებზე. აღსანიშნავია, რომ სადაზვერვო უჯრედში შესაძლოა წევრებმაც არ იცოდნენ საერთო უჯრედში მუშაობის შესახებ. ერთი და იგივე ამოცანა შეიძლება ისე შეასრულონ, რომ წარმოდგენა არ ჰქონდეთ ერთმანეთის შესახებ. დავალების დონის მიხედვით, შესაძლოა ამ სქემის კიდევ უფრო გაზრდა შუამავლებით. ამდგომარ

გასაიდუმლოების საჭიროება არ ნიშნავს იმას, რომ ნდობა არ არის უჯრედებში, არამედ ამოცანის ჩავარდნის ან რომელიმე წევრის გამოაშკარავების შემთხვევაში არ გამოაშკარავდეს მთლიანი უჯრედი. აღნიშნული მიდგომით უჯრედი წევრების დაკარგვის მიუხედავად ფარულად არსებობას მაინც განაგრძობს. უშუალოდ რაც შეეხება იატაკქვეშეთის ფუნქციებს ესენია: უჯრედული ქსელების ჩამოყალიბება, რადიოელექტრონული ბრძოლა, საინფორმაციო ფსიქოლოგიური ოპერაციები, ლოჯისტიკური მარშრუტების კონტროლი, კრიტიკული ობიექტებისა და პიროვნებების განსაზღვრა.

დამხმარე ძალები შეიძლება გავაიგივოთ ორგანიზმში სისხლის ფუნქციასთან. ისინი არიან მოსახლეობის ნაწილი, მოხალისეები, რომლებიც ეხმარებიან როგორც პარტიზანებს, ისე იატაკქვეშეთს. როგორც წესი მათ ავალებენ პროპაგანდის გავრცელებას, ლოჯისტიკურ შესყიდვებს, წინააღმდეგობის ძალების მონაწილეების ფარულ ტრანსპორტირებას, კონსპირაციული ადგილების მენეჯმენტს, ასევე, ითავსებენ კურიერების ფუნქციას. მათ ევალებათ საფრთხის აღმოჩენის შემთხვევაში დროული გაფრთხილება. მაგალითისათვის, სოფლის ტიპის დასახლებაში არსებულ ჯიბაზაზე თუ მოწინააღმდეგემ დააპირა თავდასხმა, ისინი ერთგვარ გუშაგის ფუნქციას ასრულებენ და დროული, სიტუაციის შესაბამისი ხერხების გამოყენებით აცნობენ პარტიზანებს მოახლოებული საფრთხის შესახებ.

იშვიათია წინააღმდეგობის ძალებმა საგარეო მხარდაჭერის გარეშე მიაღწიონ სასურველ შედეგს. მხარდაჭერა კი შესაძლოა სამნაირად გამოიხატოს:⁷

1. საერთაშორისო სამიტებზე და ფორუმებზე, როგორც მორალურად, ასევე პოლიტიკურად. თუ წინააღმდეგობის ძალების ჩრდილოვანმა მთავრობამ ლეგიტიმაცია ვერ მოიპოვა, წინააღმდეგობის მებრძოლები მარტივად წარმოჩინდებიან როგორც ტერორისტები, ამიტომ მნიშვნელოვანია სწორედ საგარეო მხარდაჭერით მათი ლეგიტიმაციის მოპოვება.

⁷ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა. 2020. სპეციალური ძალების მიერ არაკონვენციური ომის წარმოება. თბილისი: დოქტრინების განვითარების ცენტრი.

2. თუ წინააღმდეგობის მოძრაობა ფართომასშტაბიანი და ხანგრძლივი სახე მიიღო აუცილებელი იქნება მათი გარე მხარდაჭერით ლოჯისტიკური უზრუნველყოფა, რაც შეიძლება გამოიხატოს ჰუმანიტარული დახმარების სახით, საბრძოლო მასალების მიწოდების ან მეზრძოლთა მომზადებით.
3. შესაძლებელია დამხარე სახელმწიფო გამოყენებული იქნას ლეგიტიმური მთავრობის თავშესაფრად, ან შესაძლებელია სასწავლო ადგილების მოსაწყობად. მაგალითად პაკისტანი თალიბანისთვის.

ქვეყნის ოკუპაციის შემთხვევაში წინააღმდეგობა შესაძლოა დაიყოს 3 ფაზად:

I ფაზა - ფარული ან საწყისი ფაზა. აღნიშნულ ფაზაში ყურადღება მახვილდება საიდუმლო ინფრასტრუქტურის შექმნაზე. წინააღმდეგობის ლიდერები ამ ფაზაში ძირითადად იყენებენ არაძალადობრივი წინააღმდეგობის მეთოდებს: დემონსტრაციებს, პროპაგანდას, ბოიკოტებს და სხვა ფსიქოლოგიური ოპერაციების მეთოდებს. ასევე, მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა კადრების მოძიებას და დაკომპლექტებას. მაგალითად, პოლიტიკურად აქტიური ახალგაზრდები, სავაჭრო გაერთიანებების წარმომადგენლები, სასულიერო პირები, და თითქმის ყველა პროდუქტიული პატრიოტი. ასევე, ფაზის აუცილებელი ნაწილია უჯრედების (ერთგვარი ქსელები) ჩამოყალიბება როგორცაა: სადაზვერვო, ოპერატიული, ლოჯისტიკური, ფიჭური. მნიშვნელოვანია ფინანსების მოძიებაც, რომლის ძირითად წყაროს წარმოადგენენ ფონდები. აღნიშნულ ფაზაში მიზანშეწონილი არ არის ღია პარტიზანული მოქმედებები, შესაძლებელია მცირე პარტიზანული ოპერაციების ჩატარება მხოლოდ იმისთვის, რომ საბრძოლო გამოცდილება აიმაღლონ პარტიზანებმა და არა რაიმე საბრძოლო უპირატესობის მისაღებად, ვინაიდან აღნიშნულ ფაზაში გადამწყვეტია ფარულობა. არაძალადობრივი მეთოდების გამოყენებისას, ოკუპანტების მხრიდან საპასუხო რეაქცია შეიძლება იქნას კომპრომისზე წასვლა ან რეპრესია. ორივე შემთხვევაში წინააღმდეგობის ლიდერს შეუძლია სიტუაციის წინააღმდეგობისთვის სასიკეთოდ გამოყენება. თუ მარიონეტი ხელისუფლება კომპრომისზე წამოვიდა ეს იმას ნიშნავს, რომ წინააღმდეგობის ძალების გავლენა იზრდება და არსებული ხელისუფლების კი მცირდება. იმ შემთხვევაში თუ მოსახლეობის გასატეხად რეპრესიას მიმართა, ზუსტად ბასკური ტერორიზმის ანალოგი

სიტუაციას მივიღებთ, სადაც ბასკი ტერორისტული მხარე ძალადობრივი წინააღმდეგობის მეთოდებს მიმართავდა ფრანკოს რეჟიმის წინააღმდეგ, საპასუხოდ რეჟიმი მოსახლეობაზე ახორციელებდა რეპრესიებს. რეპრესირებული მოსახლეობის მოქმედება კი უფრო დიდი მასშტაბის ზიანის მომტანი იყო ფრანკოს რეჟიმისთვის. სხვანაირად რომ ვთქვათ ეტას ლიდერებმა პროვოკაციული ქმედებების გამოყენებით რევოლუციურ მდგომარეობამდე მიიყვანეს კატალონია⁸. აქედან გამომდინარე წინააღმდეგობის ლიდერი ხვდება მომგებიან, ეგრეთ წოდებულ „Win win“ პოზიციაში.

II ფაზა - პარტიზანული ომი. მას შემდეგ რაც პირველ ფაზაში საიდუმლო ინფრასტრუქტურა და უჯრედები შეიქმნება, აქცენტი უკვე გადადის უშუალოდ კინეტიკურ მეთოდებზე. თუ პირველ ფაზაზე პარტიზანული ოპერაციები არ იყო მიზანშეწონილი, ამჯერად პარტიზანული ომი ინტენსიურ და მასშტაბურ ხასიათს იძენს. პარტიზანული მოქმედებებით მაქსიმალურად უნდა დაზიანდეს ოკუპანტების ძალოვანი აპარატი. ეს პროცესი კი უნდა გაგრძელდეს მოწინააღმდეგის სრულ დამარცხებამდე და განდევნამდე. საბოტაჟებისა და დივერსიების წარმატებულობა პირდაპირპროპორციული არის მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვების. ოკუპირებულ სახელმწიფოში, წინააღმდეგობის პირობებში, მოსახლეობის განწყობის შემდეგნაირი განსაზღვრა შეიძლება: წინააღმდეგობის მხარდამჭერი მოსახლეობის რაოდენობა თითქმის ექვივალენტური იქნება წინააღმდეგობის წინააღმდეგი მოსახლეობის. ასევე აღსანიშნავია, რომ რაოდენობრივად ყველაზე მეტი პროცენტი მოსახლეობის ნეიტრალურ ან პასიურ ფენას აქვს. ნეიტრალური კურსის წარმომადგენლები ძირითადად არიან ფინანსურად ძლიერი საზოგადოება ან პოლიტიკური ავტორიტეტის მქონე პირები. ისინი ცდილობენ საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებას და ვიდრე ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები აშკარა კულმინაციას არ მიუახლოვდება, აშკარად არცერთ მხარეს არ ირჩევენ. ზუსტად წინააღმდეგობის წარმატებით განხორციელება წარმოადგენს ბიძგს და იმპულსს მოსახლეობის მხარდაჭერის მოსაპოვებლად, რაც გულისხმობს, რომ პასიური მოსახლეობა აქტიურდება და ერთვება წინააღმდეგობაში. გავლენიანი პირები როდესაც ამჩნევენ, რომ

⁸ ბაია, კაპანაძე. 2020. ბასკების სამშობლო და თავისუფლება. თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ფონდი GSCF.

წინააღმდეგობა წარმატებით მიმდინარეობს და მათი სასურველი საბოლოო შედეგის მიღწევის ალბათობა იზრდება, ისინი იაზრებენ, რომ თუ მოძრაობას მხარი არ დაუჭირეს, შესაძლოა მათთვისაც პროცესი ფატალურად დასრულდეს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პირების მიმართ წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეებს ბუნებრივია ნდობის საკითხი აშკარად ექნებათ, თუმცა ამ პიროვნებების გამოყენება გასამარჯვებლად ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს.

III ფაზა - მანევრული ომი. პარტიზანული ომის წარმატებულობის შემთხვევაში, ოკუპანტი ძალა პერიოდულად იფიტება. აღნიშნულ ფაზაში პარტიზანული ძალები უნდა გარდაიქმნან კონვენციურ სამხედროებად. მოწინააღმდეგის დარჩენილი ძალების სრული განდევნა სწორედ უნდა მოხდეს კონვენციური სამხედრო მოქმედებებით. ამის შემდეგ მარიონეტი ხელისუფლება უნდა ჩანაცვლდეს ლეგიტიმური ხელისუფლებით. წინააღმდეგობის ლიდერებმა უნდა უზრუნველყონ სახელმწიფო ინსტიტუციების ამოქმედება. ისინი პასუხისმგებელი ხდებიან სახელმწიფო რესურსების განკარგვაზე: მოსახლეობის, ტერიტორიის და რესურსების კონტროლზე. თუ მათ ეფექტურად ვერ გაართვეს თავი ზემოხსენებულ ამოცანას, ისინი დაკარგავენ საკუთარი მოსახლეობის ნდობას და ვითარება საწყის ფაზას დაუბრუნდება. შეიძლება ითქვას წინააღმდეგობის მოძრაობის ყველაზე რთულად განსახორციელებელი მესამე ფაზაა, ვინაიდან თუ წინააღმდეგობის პროცესში მარადიურობა და კრიმინალი გადარჩენის ერთადერთი გზა იყო, ამ შემთხვევაში აღნიშნული წარმოადგენს დანაშაულს. მოსახლეობაში კი წინააღმდეგობის ტალღა იმდენად იქნება გამჭდარი, რომ თუ შეამჩნიეს მოქმედი ხელისუფლების არაეფექტურობა ამბოხს მოაწყობენ და ეს პროცესი იქნება შეუქცევადი, ვიდრე მოქმედი ძალა არ დაიბრუნებს კონტროლს. სახელმწიფოს ცხოველქმედების გასაგრძელებლად აუცილებელია მმართველმა ძალამ მიაღწიოს შემდეგ მიზნებს: უნდა ჩამოაყალიბოს ეფექტური სამოქალაქო ადმინისტრაცია, აღადგინოს დისციპლინიზებული სამხედრო სტრუქტურა და ფეხი აუწყოს სახელმწიფოს სოციო-ეკონომიკურ განვითარებას⁹.

⁹ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა. 2020. სპეციალური ძალების მიერ არაკონვენციური ომის წარმოება. თბილისი: დოქტრინების განვითარების ცენტრი.

საქართველოში თავდაცვის ხარჯები გავლენას ახდენენ როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან ეკონომიკურ პროცესებზე. მათი ეფექტურობა დიდწილად დამოკიდებულია ბიუჯეტის სტრუქტურაზე, ინვესტიციების მიზნობრივობაზე და გეოპოლიტიკურ გარემოზე. შესაბამისად, სწორი პოლიტიკის შემუშავება და რესურსების ოპტიმალური განაწილება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, ინოვაციებსა და ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

ეს კვლევა ეხმარება პოლიტიკის შემქმნელებს მიიღონ მიზნობრივი, ფაქტებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები თავდაცვის ბიუჯეტის ეფექტიანობისა და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისთვის, რაც მნიშვნელოვნად შეესაბამება საერთაშორისო გამოცდილებას და ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესებს.

~

ბიბლიოგრაფია

- Heo, U., & Ye, J. *Defense Spending and Economic Growth around the Globe: The Direct and Indirect Link*. ResearchGate. (2016). <https://surli.cc/emlrtr>, გადამოწმებულია 17.11.2025
- Rooney, K., et al. *The Economic Effects of Defense Spending: Infrastructure, Technology, and Employment*. RAND Corporation. (2017). <https://surli.lu/mplnrt>, გადამოწმებულია 17.11.2025
- Yetkiner, I. H. *Military Expenditure and Economic Growth: A Theoretical Perspective*. Econstor. (2012). <https://surli.lu/ntugap>, გადამოწმებულია 17.11.2025
- Dunne, J. P. *Military Spending and Economic Growth: Evidence from International Research*. EPS Journal. (2013). <https://surli.li/sabwpx>, გადამოწმებულია 17.11.2025
- საქართველოს ეროვნული სტატისტიკის დეპარტამენტი. *საჯარო ბიუჯეტის მონაცემები და ეროვნული ეკონომიკის ინდიკატორები (2005–2025)*. <https://www.geostat.ge>, გადამოწმებულია 17.11.2025
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. *თავდაცვის ბიუჯეტი და ოფიციალური ანგარიშები 2005–2025*. <https://mod.gov.ge>, გადამოწმებულია 17.11.2025
- Solow, R. M. *A Contribution to the Theory of Economic Growth*. Quarterly Journal of Economics, 70(1), (1956). 65–94.
- Smith, A. *The Wealth of Nations*. Modern edition. (1776).
- Smith, R., & Smith, J. *Military Expenditure and Economic Development: Comparative Analysis*. Journal of Defense Economics. (2010).
- World Bank. *World Development Indicators – Georgia*. (2023). <https://surli.li/notlez>, გადამოწმებულია 17.11.2025

მშვიდობიანი მოსახლეობის საფრთხეების ევოლუცია თანამედროვე კონფლიქტებში

თადარიგის გენერალ-მაიორი თენგიზ შუბლაძე¹
თადარიგის ბრიგადის გენერალი გიორგი სურმავა²
<https://doi.org/10.61446/mp.4.2025.9728>

აბსტრაქტი:

სამხედრო ტექნოლოგიების განვითარებამ მკვეთრად გაზარდა შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის შესაძლებლობები - ზემოქმედების ხასიათის, მასშტაბის, მოქმედების სიშორის მხრივ. გაიზარდა დაზიანების, ნგრევების და მეორადი ზემოქმედების მასშტაბებიც. ყველაფერი ეს მკვეთრად ზრდის საფრთხეებს და რისკებს მშვიდობიანი მოსახლეობისათვის, რაც უბიძგებს სპეციალისტებს შეისწავლონ ეს საკითხი და შეიმუშაონ რეკომენდაციები მათ შესამცირებლად.

ამ საკითხს ემსახურება ეს ნაშრომიც, რომელშიც განხილულია თანამედროვე ომების თანმდევი ფიზიკური, არაპირდაპირი ან სტრუქტურული, ფსიქოლოგიური და სოციალური საფრთხეები და მათგან გამომდინარე:

- უშუალო ფიზიკური ზემოქმედება და მისგან გამოწვეული ზიანი;
- ჰუმანიტარული კრიზისები და მოსახლეობის გადაადგილება;
- ეკონომიკური და სოციალური რყევები.

საკვანძო სიტყვები: თანამედროვე ომები და კონფლიქტები, მშვიდობიანი მოსახლეობა, თანამედროვე შეიარაღება, ასიმეტრიული ომები, მრავალგანზომილებიანი ომები, საფრთხეები, რისკები.

¹ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,, საინჟინრო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

² საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, საინჟინრო უზრუნველყოფის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი

The evolution of threats to civilians in modern conflicts

Major General (R) Tengiz Shubladze³

Brigadier General (R) George Surmava⁴

Abstract

Advances in military technology have dramatically increased the capabilities of weapons and military equipment - in terms of impact, scale and range. The extent of damage, destruction and secondary effects has also increased. All this significantly increases the dangers and risks for the civilian population, which prompts specialists to study the problem and develop recommendations to reduce them.

This article also addresses this issue by looking at the physical, indirect or structural, psychological and social dangers associated with modern warfare and based on them:

- Direct physical impact and the resulting damage;
- Humanitarian crises and displacement of population;
- Economic and social fluctuations.

keywords: Modern Warfare and Conflicts, Civil population, Modern weaponry, Asymmetric Warfare, Multidimensional Warfare, Hazards, Risks.

³ Professor, Head of Engineering Support Division of Georgian Technical University, Doctor of History

⁴ Researcher of Engineering Support Division of Georgian Technical University

შესავალი

ბოლო ათწლეულების განმავლობაში შეიარაღებული კონფლიქტების ბუნებამ ღრმად ცვლილებები განიცადა. წავიდა ის დრო, როდესაც ომები ძირითადად ფრონტის კონკრეტულ მონაკვეთებზე უნიფორმიან არმიებს შორის მიმდინარეობდა. დღევანდელი კონფლიქტები სულ უფრო მეტად ხასიათდება ირეგულარული საომარი მოქმედებებით, მეზომოლ მხარეებს შორის გაურკვეველი განსხვავებებით და მშვიდობიან მოსახლეობაზე პირდაპირი ზემოქმედებით.

თანამედროვე კონფლიქტები უპირატესად შიდა სახელმწიფოებრივ ან ტრანს-ნაციონალურ ხასიათს ატარებს და მონაწილეთა განსხვავებული სპექტრით ხასიათდება. ურბანული ომი ნორმად იქცა და არა გამოჩნდის. ქალაქები, რომლებიც ოდესღაც ომისგან შედარებით დაცულად ითვლებოდა, ახლა ხშირად ბრძოლის ველად იქცევა.

თანამედროვე კონფლიქტების კიდევ ერთი გამორჩეული თვისება არის ინფორმაციული ომის და კიბერ ოპერაციების გამოყენება. ბრძოლის ამ ფორმებს შეუძლია ეროვნული ინფრასტრუქტურის პარალიზება, საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება და ძალადობის პროვოცირება გასროლის გარეშე.

ზოგადად, თანამედროვე კონფლიქტები არის მრავალგანზომილებიანი, ასიმეტრიული და დიდ გავლენას ახდენენ მშვიდობიან მოსახლეობაზე. მათი განვითარებადი ბუნების გაგება აუცილებელია ეფექტური სამოქალაქო თავდაცვის, ჰუმანიტარული დაცვისა და კონფლიქტების შერბილების სტრატეგიების შემუშავებისთვის.⁵

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე კონფლიქტის კონტექსტში, „სამოქალაქო საფრთხეები“ გულისხმობს საფრთხეებისა და ზიანის სრულ სპექტრს, რომელიც პირდაპირ ან ირიბად მოქმედებს მშვიდობიან მოსახლეობაზე ომის ან არასტაბილურობის დროს. ეს საფრთხეები

⁵ The Civilian Consequences of Conflict, From World War II to Syria's civil war, understand the deadly consequences of war and what that means about the changing nature of conflict. October 03, 2024. <https://surl.li/yrkkkc>,

სცილდება უშუალო ფიზიკურ ძალადობას და მოიცავს სტრუქტურულ, ფსიქოლოგიურ და სისტემურ ასპექტებს.

ტრადიციულად, მშვიდობიანი მოსახლეობა განიხილება, როგორც სამხედრო ოპერაციების გვერდითი პროდუქტი. თუმცა დღეს მშვიდობიანი მოქალაქეები ხშირად ხდებიან ძალადობის, ზეწოლის ან მანიპულაციის მიზანმიმართული სამიზნეები. მშვიდობიანი მოსახლეობისთვის საფრთხე ახლა ინტეგრირებულია ომის სტრატეგიულ ლოგიკაში.

სამოქალაქო საფრთხეები შეიძლება დაიყოს სამ კატეგორიად:

- ფიზიკური საფრთხე მოიცავს პირდაპირ თავდასხმებს, როგორიცაა დაბომბვა, საარტილერიო დარტყმები, დრონებით ზემოქმედება, სნაიპერული ცეცხლი და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის (წყლის სისტემები, საავადმყოფოები, სკოლები და ელექტრო ქსელები) განადგურება. ბევრ თანამედროვე ომში, როგორიცაა უკრაინასა და ლაზაში, კრიტიკულ ინფრასტრუქტურას ანადგურებენ მოქალაქეთა ცხოვრების რიტმის დასაზიანებლად.
- არაპირდაპირი ან სტრუქტურული საფრთხეები სერიოზულად არღვევს მოქალაქეთა მშვიდობიანი ცხოვრების ძირითად სერვისებს. მშვიდობიანი მოსახლეობა ხშირად იტანჯება საკვების, სუფთა წყლის, მედიკამენტებისა და საცხოვრებლის ნაკლებობით. ბლოკადებმა, სანქციებმა ან მიწოდების ჯაჭვის შეფერხებამ შეიძლება გამოიწვიოს შიმშილობა, დაავადებები და ეკონომიკური კოლაფსი. ზიანის ეს ფორმები ნაკლებად შესამჩნევია, მაგრამ არანაკლებ დამაზიანებელი.
- ფსიქოლოგიური და სოციალური საფრთხეების ზემოქმედებით გამოწვეული შიში, მწუხარება და ტრავმა გავლენას ახდენს მოსახლეობის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, განსაკუთრებით ბავშვებში. ამავდროულად, სოციალური ნდობის ეროზია, სოციალური კავშირების დაკარგვა და გრძელვადიანი გადაადგილება ასუსტებს საზოგადოების გამძლეობას.

სამოქალაქო საფრთხეების მასშტაბები ასევე ფართოვდება ტექნოლოგიური მიღწევების გამო. კიბერშეტევებმა შეიძლება დააზიანოს საავადმყოფოები ან დააბინძუროს წყლის მარაგები. დეზინფორმაციულმა კამპანიამ შეიძლება გამოიწვიოს ეთნიკური ძალადობა ან პანიკა. არასახელმწიფო შეიარაღებული ჯგუფების გაჩენა კიდევ უფრო ართულებს დაცვის მცდელობებს, რადგან ეს აქტორები ხშირად მოქმედებენ საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს მიღმა.

მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ სამოქალაქო საფრთხეები არ მთავრდება მაშინ, როდესაც ბრძოლები შეჩერდება. ბევრი მათგანი რჩება აუფეთქებელი იარაღის, განადგურებული ეკონომიკის, დაზიანებული ჯანდაცვის სისტემების და თაობიდან თაობას გადაცემული ტრავმების სახით. სამოქალაქო საფრთხის სრული მასშტაბის გაგება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ომის დროს დაცვისთვის, არამედ გრძელვადიანი აღდგენისა და მშვიდობის მშენებლობისთვის.

თანამედროვე კონფლიქტების დროს მშვიდობიანი მოსახლეობის წინაშე მდგარი საფრთხეების მზარდი მასშტაბი და სირთულე შემთხვევითი არ არის. ისინი პირდაპირი შედეგია იმ ცვლილებებისა, თუ როგორ მიმდინარეობს ომები, ვინ ებრძვის ვის და რა განვითარებადი ტექნოლოგიები და დოქტრინები გამოიყენება, რომლებიც აყალიბებენ დღეს ომს. ამ ფაქტორების გააზრება აუცილებელია ეფექტური დაცვისა და სამოქალაქო თავდაცვის სტრატეგიების შესაქმნელად.

სამხედრო ტექნოლოგიების სწრაფმა ევოლუციამ მკვეთრად შეცვალა საფრთხის ლანდშაფტი. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება არის უპილოტო სისტემების, განსაკუთრებით დრონების ფართო გამოყენება. მიუხედავად იმისა, რომ დრონები ანიჭებენ სამხედროებს უპირატესობას სიზუსტეში და ძალების ეკონომიაში, მათ ასევე გახადეს მიზანმიმართული მკვლევლობები უფრო გავრცელებული, შეამცირეს ზღვარი მებრძოლებსა და სამოქალაქო პირებს შორის. უპილოტოთა დარტყმები ხშირად დასახლებულ ტერიტორიებზე მოდის, რაც მნიშვნელოვან რისკებს უქმნის მშვიდობიან მოსახლეობას.

ამავდროულად, კიბერ ომის განვითარებამ გახსნა ახალი ფრონტები, სადაც მშვიდობიანი მოქალაქე ხდება მთავარი მსხვერპლი. საავადმყოფოები, ელექტრო

ქსელები, წყლის გამწმენდი ნაგებობები და სატრანსპორტო სისტემები სულ უფრო ხშირად ხდება კიბერთავდასხმების სამიზნე, ხელისუფლების შესაძლებლობების შესამცირებლად ან პანიკის დასათესად. ასეთმა თავდასხმებმა შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილი და ტანჯვა ფიზიკური აფეთქებების გარეშე, მათი შედეგები შეიძლება იყოს ისეთივე მასშტაბური.

კიდევ ერთი ტექნოლოგიური ფაქტორი არის ჩვეულებრივი იარაღის მზარდი სიზუსტე და ლეტალობა, როგორცაა შორი დისტანციის რაკეტები და მართვადი არტილერია.

თანამედროვე კონფლიქტებში სიმეტრიული სახელმწიფო ძალები იშვიათად უპირისპირდებიან ერთმანეთს. სამაგიეროდ, ისინი ხშირად უპირისპირდებიან არარეგულარულ აქტორებს - ამბოხებულებს, ტერორისტულ ჯგუფებს, მილიციას - რომლებიც უპირისპირდებიან სახელმწიფო შეიარაღებულ ძალებს ან ერთმანეთს. ეს ჯგუფები ხშირად მოქმედებენ მშვიდობიან მოსახლეობაში, რაც ართულებს მებრძოლებისა და არამებრძოლების გარჩევას.⁶

ჰიბრიდულ ომში სახელმწიფოები ან მათი მარიონეტები აერთიანებენ ჩვეულებრივ სამხედრო მოქმედებებს კიბერ ოპერაციებთან, დეზინფორმაციულ კამპანიებთან, ეკონომიკურ დივერსიასთან და ირეგულარული ომის ტაქტიკასთან. სამოქალაქო მოსახლეობა ხშირად ექვემდებარება არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ ზეწოლას, რაც წარმოადგენს საზოგადოების დესტაბილიზაციისა და მთავრობების დელეგიტიმაციის უფრო ფართო სტრატეგიის ნაწილს.

ამ შეცვლილი საფრთხეების გაჩენის ხელშემწყობი ძირითადი ფაქტორია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის (IHL) მზარდი უგულებელყოფა. ჟენევის კონვენციები შექმნილია მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად, მაგრამ მათი აღსრულება შესუსტდა ახალი პოლიტიკური რეალობის ფონზე. არასახელმწიფო აქტორები ხშირად სრულიად უგულებელყოფენ IHL-ს და სახელმწიფო აქტორებიც კი

⁶ CIVIL DEFENCE IN MODERN WARFARE. BY- YOGENDRA NATH RAJ. FOREWORD BY- GENERAL K. M. CARIAPPA. FIRST EDITION- 1963.

ზოგჯერ დაუსჯელად არღვევენ მას - განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გეოპოლიტიკური ინტერესები ან ვეტოს უფლება იცავს მათ პასუხისმგებლობისგან.

უფრო მეტიც, გაურკვევლობა და სამართლებრივი ხარვეზები თანამედროვე ომში ქმნის ნაყოფიერ ნიადაგს მათი ბოროტად გამოყენებისთვის. მაგალითად, საკამათოა იმის განსაზღვრა, თუ რას წარმოადგენს „სამხედრო სამიზნე“ შერეული დანიშნულების ურბანულ ზონაში. ტერმინების გამოყენება, როგორიცაა „ადამიანის ფარი“ ან „ორმაგი დანიშნულების ინფრასტრუქტურა“, ზოგჯერ გამოიყენება სამოქალაქო ტერიტორიებზე თავდასხმების გასამართლებლად.

ეთიკური თვალსაზრისით, დისტანციური ომი (როგორიცაა დრონების ოპერაციები ან კიბერშეტევები) ამცირებს მორალურ ბარიერს მშვიდობიანი მოსახლეობისთვის ზიანის მიყენების თვალსაზრისით. თავდამსხმელისთვის პირადი რისკის ნაკლებობა ხშირად იწვევს უფრო აგრესიულ და ნაკლებად თავშეკავებულ ქმედებებს.

ეს ფაქტორები - ტექნოლოგიური ინოვაციები, სამხედრო დოქტრინის შეცვლა და იურიდიული ნაცრისფერი ზონები - გაერთიანებულია მშვიდობიანი მოსახლეობისთვის საფრთხეების სიხშირის, ინტენსივობისა და სირთულის გაზრდის მიზნით. ისინი საჭიროებენ როგორც სამოქალაქო თავდაცვის სტრატეგიის, ასევე გლობალური ჰუმანიტარული დაცვის სისტემის გადაფასებას.⁷

თანამედროვე ომის ბუნების ევოლუციამ გამოიწვია მის შედეგებში შესაბამისი ცვლილებები. მიუხედავად იმისა, რომ მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი ოდესღაც შემთხვევითი იყო, ახლა ისინი ხშირად თამაშობენ ცენტრალურ როლს კონფლიქტების წარმართვასა და შედეგებში. სამოქალაქო საფრთხეების შედეგები ღრმაა, ფართოდ გავრცელებული და გრძელვადიანი, რაც გავლენას ახდენს არა მხოლოდ ინდივიდებზე, არამედ მთელ საზოგადოებებზე და რეგიონებზე. ზემოქმედების სამ ყველაზე მნიშვნელოვან სფეროს განეკუთვნება:

➤ ჰუმანიტარული კრიზისები და მოსახლეობის გადაადგილება.

⁷ Civil Defence is Common Sense: Mobilising the Public Through Propaganda. Authored by Dr Charlie Hall. Published on 13th May

თანამედროვე კონფლიქტები ფართომასშტაბიანი ჰუმანიტარული საგანგებო სიტუაციების მთავარი მიზეზია. სამხედრო მოქმედებები დღეს სულ უფრო მეტად არის მიმართული ურბანული ცენტრებისა და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ, რაც აუტანელს ხდის კონფლიქტურ ზონებში ცხოვრებას მილიონობით ადამიანისათვის. შედეგად, ადამიანები იძულებულნი არიან დატოვონ მუდმივი საცხოვრებელი. ამ დროს ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემებია:

- გადაადგილება: შეიარაღებული კონფლიქტები ყოველწლიურად იწვევს ათობით მილიონი ადამიანის გადაადგილებას, როგორც საზღვრებს შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ეს დევნილები ხშირად აწყდებიან ისეთ პრობლემებს, როგორიცაა გადატვირთული ბანაკები, დოკუმენტაციის ნაკლებობა, სასურსათო დაუცველობა, ექსპლუატაცია და ძალადობა.
- სამოქალაქო სამსახურების კოლაფსი: ძირითადი სერვისები, როგორიცაა წყალი, ელექტროენერგია, ტრანსპორტი და სანიტარული სისტემა, ხშირად შეფერხებულია ან განზრახ დაზიანებულია. ეს აჩქარებს ჰუმანიტარულ კრიზისში გადასვლას იმ ადგილებშიც კი, რომლებიც უშუალოდ არ არის ცეცხლის ქვეშ.
- დახმარების წვდომა: ბლოკადები, ალყა და დაუცველობა ხშირად ხელს უშლის ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს დახმარების მიწოდებაში, როგორც ეს ჩანს კონფლიქტებში, როგორიცაა იემენი, ლაზა და სირიის ნაწილი. მშვიდობიანი მოსახლეობა ხაფანგში რჩება საკვების, წამლებისა და დაცვის გარეშე.

ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის ნგრევა და აუცილებელი სერვისების დეგრადაცია იწვევს საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემებს, როგორც მყისიერ, ისე გრძელვადიან პერიოდში. იზომება საავადმყოფოები, სამედიცინო პერსონალი გარბის და მიწოდების ჯაჭვები ირღვევა. ბევრ კონფლიქტურ ზონაში ჯანდაცვის სისტემები ვერ უმკლავდებიან დაზიანებებს, რომ აღარაფერი ვთქვათ ქრონიკულ ან ინფექციურ დაავადებებზე. ცუდი სანიტარული პირობები, გადატვირთულობა, არასრულფასოვანი კვება და სუფთა წყლის ნაკლებობა ხელს უშლის ქოლერის, წითელას და სხვა

დაავადებების პრევენციას. COVID-19-მა დაამატა რისკის კიდევ ერთი ფენა ისედაც არასტაბილურ გარემოს. ძალადობის, დანაკარგისა და არასტაბილურობის მუდმივი ზემოქმედება იწვევს ფართო ფსიქოლოგიურ ტრავმას. კერძოდ, ბავშვებს აწუხებთ განვითარების ხანგრძლივი და ემოციური დარღვევები. თუმცა, უმეტეს საომარ ზონებში ფსიქიკური ჯანდაცვის სერვისები პრაქტიკულად არ არსებობს.

➤ ეკონომიკური და სოციალური რყევები.

დღეს ომები უფრო მეტს აკეთებს, ვიდრე უბრალოდ ადამიანების ხოცვა - ისინი ანადგურებენ ეკონომიკას და ანადგურებენ დაზარალებული საზოგადოებების სოციალურ სტრუქტურას. ომების შედეგად ხდება: - ეკონომიკური კოლაფსი (მრეწველობის განადგურებით, სოფლის მეურნეობის წარმოების შეჩერებით და სავაჭრო გზების მოშლით, კონფლიქტური ზონები განიცდის ინფლაციას, უმუშევრობას და უკიდურეს სიღარიბეს); - განათლების დარღვევა (სკოლები ნადგურდება ან სამხედრო მიზნებისთვის გამოიყენება, მასწავლებლები კი დევნილები არიან ან იხოცებიან. ბავშვების მთელი თაობა რჩება განათლების გარეშე, რასაც გრძელვადიანი შედეგები მოჰყვება); სოციალური ფრაგმენტაცია (ომი თესავს განხეთქილებას - ეთნიკური, რელიგიური თუ პოლიტიკური ნიშნით. ეს ბადებს უნდობლობას, შურისძიების ციკლებს და პოლარიზაციას, რომელიც გრძელდება ბრძოლის შეწყვეტის შემდეგაც. ზოგიერთ შემთხვევაში, მთელი თემები ნადგურდება ეთნიკური წმენდის ან დემოგრაფიული ჩარევის გზით); მმართველობის ვაკუუმი (წარუმატებელ ან ფრაგმენტირებულ სახელმწიფოებში, ოფიციალური მმართველი ორგანოების ადგილს ხშირად კრიმინალური სტრუქტურები, ექსტრემისტული ჯგუფები და ომის მეთაურები იკავებენ, რაც კიდევ უფრო ართულებს პოსტ-კონფლიქტურ რეკონსტრუქციას).

იმ საფრთხეების სიმძიმისა და სირთულის გათვალისწინებით, რომლებსაც მშვიდობიანი მოსახლეობა აწყდება თანამედროვე კონფლიქტებში, პრევენცია და შერბილება არ შეიძლება ყურადღების გარეშე დარჩეს. ზიანის შესამცირებლად და ადამიანის ღირსების დასაცავად საჭიროა პროაქტიური, მრავალმხრივი მიდგომა,

რომელიც მოიცავს საერთაშორისო სამართალს, სახელმწიფო პასუხისმგებლობას, სამოქალაქო თავდაცვას და ინოვაციებს.⁸

მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა ეფუძნება საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს, განსაკუთრებით ჟენევის კონვენციებსა და მათ დამატებით ოქმებს, რომლებიც მოითხოვს განასხვავონ მშვიდობიანი მოქალაქეები და მეზრძოლები, კრძალავს განურჩეველ თავდასხმებს და ავალდებულებს მეზრძოლებს დაიცვან არამეზრძოლები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ ასპექტებს:

- კანონის აღსრულება და ანგარიშვალდებულება: ძალზე მნიშვნელოვანია სამართალდამცავი მექანიზმების გაძლიერება. ომის დანაშაულები უნდა იყოს დოკუმენტირებული, გასამართლებული და დასჯილი. ეს მოიცავს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) და ომის დანაშაულების საკითხებზე ეროვნული ტრიბუნალების ფარგლებისა და შესაძლებლობების გაფართოებას;
- მონიტორინგი და ადვოკატირება: ისეთი ორგანიზაციების როლი, როგორიცაა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC) და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR), კვლავ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამ ორგანიზაციებს სჭირდებათ პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ შეძლონ კანონების აღსრულება და კრიზისულ სიტუაციებში ჩარევა;
- სამართლებრივი ნორმების განახლება: არსებული კანონები ხშირად არასაკმარისია ისეთი პრობლემების მოსაგვარებლად, როგორიცაა კიბერშეტევები ან თვით-დამიზნებადი იარაღი. საერთაშორისო ორგანოებმა უნდა იმუშაონ სამართლებრივი დეფინიციებისა და ჩარჩოების მოდერნიზებაზე თანამედროვე საფრთხეების მოსაგვარებლად.

მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა არ შეიძლება მხოლოდ საერთაშორისო სამართლის იმედად იყოს მიტოვებული. მთავრობებმა, სამოქალაქო საზოგადოებამ და

⁸ The Use of Military and Civil Defence Assets (MCDA), <https://surl.li/vwhehe>

საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა ითანამშრომლონ, რათა უზრუნველყონ როგორც პრევენციული, ისე რეაქციული მექანიზმების არსებობა. ამ მხრივ, მუშაობის ძირითადი მიმართულებები შეიძლება იყოს:

- მზადყოფნა და მდგრადობა: სახელმწიფოებმა უნდა განავითარონ სამოქალაქო თავდაცვის სისტემები, მათ შორის ადრეული გაფრთხილების სისტემები, თავშესაფრის ინფრასტრუქტურა და საჯარო ინფორმაციის პროგრამები, განსაკუთრებით კონფლიქტის ან თავდასხმის მიმართ დაუცველ ადგილებში;
- ჰუმანიტარული ხელმისაწვდომობა და კოორდინაცია: არასამთავრობო ორგანიზაციებს და საერთაშორისო სააგენტოებს უნდა ჰქონდეთ უსაფრთხო და შეუფერხებელი წვდომა დახმარებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაციისთვის. კოორდინაცია ისეთი პლატფორმების საშუალებით, როგორიცაა გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა კოორდინაციის ოფისი (OCHA) აუცილებელია ეფექტური რეაგირებისთვის;
- საზოგადოებაზე დაფუძნებული დაცვა: ადგილზე დაგროვილი ცოდნისა და ბაზების ქსელები გადამწყვეტ როლს თამაშობენ საფრთხის ადრეული გამოვლენის, დაცვის დაგეგმვისა და პოსტკრიზისულ აღდგენაში. ადგილობრივი აქტორების - განსაკუთრებით ქალთა ჯგუფების, რელიგიური ლიდერებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერება ამ მიმართულებით აუცილებელია;
- დიპლომატიური ზეწოლა და სანქციები: მშვიდობიანი მოსახლეობისთვის ძლიერი ზიანის მიყენების შემთხვევაში, დიპლომატიური ინსტრუმენტები - სანქციები, იარაღის ემბარგო და საერთაშორისო იზოლაცია - უნდა იქნას გამოყენებული შემდგომი დარღვევების თავიდან ასაცილებლად.

ტექნოლოგია ემსახურება არა მხოლოდ განადგურების იარაღის შექმნას, ის ასევე შეიძლება გამოყენებული უნდა იქნას დაცვისა და მდგრადობის ასამაღლებლად. ამისათვის შეიძლება შეიქმნას:

- ადრეული გაფრთხილების სისტემები: მობილური შეტყობინებები, კრიტიკული გაფრთხილებების მიწოდება საჰაერო თავდასხმების, შემოტევების ან მოსალოდნელი კრიზისების შესახებ;
- ციფრული ჰუმანიტარული ინსტრუმენტები: მონაცემთა პლატფორმები, როგორცაა ReliefWeb, ACAPS და Crisis Tracker საშუალებას იძლევა გაუმჯობესდეს დახმარების კოორდინაცია და სიტუაციური სურათის აღქმა. ანალიტიკას შეუძლია გადაადგილების ნაკადების, დაავადების გავრცელების და საკვების დაუცველობის პროგნოზირება;
- კრიტიკული ინფრასტრუქტურის კიბერდაცვა: მთავრობებმა უნდა დაიცვან სამოქალაქო ინფრასტრუქტურა (საავადმყოფოები, წყლის სისტემები, ელექტრო ქსელები) კიბერშეტევებისგან, განსაკუთრებით მაღალი რისკის რეგიონებში;
- ინფორმაციის უსაფრთხოება: დეზინფორმაციის ეპოქაში, ზუსტი ინფორმაციის მიწოდება და პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელია მშვიდობიანი მოსახლეობის შორის ძალადობისა და პანიკის წაქეზების თავიდან ასაცილებლად.

დასკვნა

თანამედროვე კონფლიქტებმა მკვეთრად შეცვალა სამოქალაქო დაუცველობის ლანდშაფტი. მშვიდობიანი მოსახლეობა ახლა თანამედროვე ომის ცენტრშია, ექვემდებარება რა მიზანმიმართულ თავდასხმებს, ფსიქოლოგიურ მანიპულირებას, ეკონომიკურ განადგურებას და უპრეცედენტო გადაადგილებას. ეს მოითხოვს რადიკალურ გადახედვას, თუ როგორ განვსაზღვრავთ, გვესმის და ვპასუხობთ სამოქალაქო საფრთხეებს.⁹

სამოქალაქო თავდაცვის მომავალი დამოკიდებული იქნება ახალ რეალობასთან ადაპტაციის ჩვენს უნარზე, ომის მორალური და სამართლებრივი საფუძვლების გაძლიერებაზე და ყველა სტრატეგიულ გადაწყვეტილებაში არამებრძოლების სიცოცხლისა და ღირსების პრიორიტეტულობაზე. ეს არ არის მხოლოდ საერთაშორისო

⁹ This is civil defence, <https://www.government.se/government-policy/civil-defence/this-is-civil-defence/>

სამართლის პატივისცემის საკითხი - ეს არის საკითხი, თუ რა სამყაროში გვინდა ცხოვრება.

ბიბლიოგრაფია

The Civilian Consequences of Conflict, From World War II to Syria's civil war, understand the deadly consequences of war and what that means about the changing nature of conflict. October 03, 2024. <https://surl.li/yrkkkc>,

CIVIL DEFENCE IN MODERN WARFARE. BY- YOGENDRA NATH RAJ. FOREWORD BY- GENERAL K. M. CARIAPPA. FIRST EDITION- 1963.

Civil Defence is Common Sense: Mobilising the Public Through Propaganda. Authored by Dr Charlie Hall. Published on 13th May

The Use of Military and Civil Defence Assets (MCDA), <https://surl.li/vwhehe>

This is civil defence, <https://www.government.se/government-policy/civil-defence/this-is-civil-defence/>

დავით აღმაშენებლის სტრატეგია და სამხედრო რეფორმები

მაიორი მიხეილ ბეჟანიშვილი¹

<https://doi.org/10.61446/mp.4.2025.9729>

აბსტრაქტი

საქართველო თავისი ისტორიის მანძილზე მრავალ ბრძოლაში მონაწილეობდა, ვინაიდან ქვეყანა ისეთ გეოპოლიტიკურ ადგილმდებარეობაზე იყო, ყველა დამპყრობლისათვის ეკონომიურად მნიშვნელოვან და სტრატეგიულ ადგილმდებარეობას წარმოადგენდა. ამიტომ იყო რომ საქართველო მუდმივად სხვადასხვა დამპყრობლების სამიზნე იყო, რომლებიც შემდგომში იპყრობდნენ საქართველოს. თუმცა, ქვეყანაში იყო როგორც დაცემის ისე აღმავლობის პერიოდი საუკუნეების მანძილზე იზადებოდნენ ისეთი მეფეები, რომლებიც თავიანთი ნიჭით და შორსმჭვრეტელობით საქართველოს მხსნელად მოეწოდებოდნენ. სწორედ ასეთი ძლიერი მეფეების მემკვიდრეობის შედეგია რომ დღემდე არსებობს და ინარჩუნებს სახელმწიფოებრიობას საქართველო.

ამ ნაშრომში წარმოდგენილია XI საუკუნის მეორე ნახევრის პერიოდი, როდესაც სამთავრობოებად დაყოფილი ქვეყანა და მტრის შემოსევებისგან აკლესული საქართველოს მოსახლეობა სულს ღაფავდა, გარდა გარე მტრებისა ქვეყნას ვერაგულად ანადგურებდნენ საქართველოს შიდა მტრები, მაგრამ ამ დროს გამოჩნდა ქვეყნის მხსნელად მეფე დავით აღმაშენებელი, რომელმაც თავისი სიბრძნით განსწავლულობით და შორს მჭვრეტელობით, საქართველოს მოუტანა დიდება და სტაბილურობა.

ნაშრომში აღწერილია თუ როგორ ცდილობდნენ დამპყრობელი თურქ სელჩუკები საქართველოში საუკუნის მანძილზე აღორძინებულ სასოფლო სამეურნეო კულტურის აღმოფხვრას და განადგურებას. ეს პერიოდი მოხსენიებულია ისტორიაში „დიდი თურქობა“ რომელიც იყო დიდი შავი ლაქა იმ დროინდელ საქართველოში.

ნაშრომში განხილულია დავით IV-ის ის სტრატეგია და სამხედრო რეფორმები, რომელმაც დაცემული საქართველო დამპყრობლებისგან გათავისუფლა და აღკვეთა მათი თარეში ქვეყანაში, აგრეთვე მისი მეფობის დროს გაძლიერდა ქვეყნის ეკონომიკა, აღორძინდა და გაერთიანდა დაქუცმაცებული საქართველო. დავით მეფის მიერ ჩამოყალიბებული მართვის ორგანოებით ეფექტურად იმართებოდა სახელმწიფო. ამ რეფორმების შედეგი იყო რომ, იმ დროინდელი საქართველო მოწინავე სახელმწიფო იყო გეოპოლიტიკურ სივრცეში. ამის გამო ქართველმა მადლიერმა ერმა მეფეს, „აღმაშენებელი“ უწოდა.

საკვანძო სიტყვა: XI საუკუნის მეორე ნახევარი, „დიდი თურქობა“, ურჩი ფეოდალები, სახელმწიფოს მართვის ორგანოები, დავით აღმაშენებლის სტრატეგია და რეფორმები.

¹ წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის სამეთაურო-სამტაბო კოლეჯის მსმენელი

David the Builder's Strategy and Military Reforms

Major Mikheil Bezhanishvili²

Abstract

Georgia has participated in many battles throughout its history, since the country was in such a geopolitical location that it was an economically important and strategic location for all conquerors. That is why Georgia was constantly the target of various invaders, who subsequently conquered Georgia. However, the country had periods of both decline and rise. Over the centuries, kings were born who, with their talent and foresight, would emerge as the saviors of Georgia. It is precisely the legacy of such powerful kings that Georgia exists and maintains its statehood to this day.

This work presents the period of the second half of the 11th century, when the country, divided into principalities and the population of Georgia, deprived of enemy invasions, was in despair. In addition to external enemies, the country was being treacherously destroyed by internal enemies of Georgia. However, at this time, King David the Builder appeared as the savior of the country, who, with his wisdom, education, and far-sightedness, brought glory and stability to Georgia.

The work describes how the conquering Turkish Seljuks tried to eradicate and destroy the agricultural culture that had been revived in Georgia for a century. This period is referred to in history as the "Great Turkic Empire", which was a great black spot in Georgia at that time.

The work discusses the strategy and military reforms of David IV, who liberated the fallen Georgia from the invaders and prevented their invasion of the country. Also, during his reign, the country's economy was strengthened, the fragmented Georgia was revived and unified. The state was effectively governed by the governing bodies established by King David. The result of these reforms was that Georgia at that time was a leading state in the geopolitical space. For this reason, the grateful Georgian nation called the king David the Builder.

Keywords: Second half of the 11th century, "Great Turkism", Rebellious feudal lords, State governing bodies, Strategy and reforms of David the Builder

² Officer of the Regional Center for Military Conscription and Recruitment of Shida Kartli and Samtskhe-Javakheti / Mobilization Reserve, Conscription and Recruitment Planning Division

შესავალი

საქართველო თავისი არსებობისა და ისტორიის მანძილზე არაერთ ბრძოლაში იყო ჩართული, რომელიც საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის, რელიგიის ან მეზობელი სახელმწიფოების სტრატეგიით იყო განპირობებული. საქართველოს ისტორიაში აღწერილია ქვეყნის აღმავლობისა თუ დაცემის, გამარჯვებისა თუ დამარცხების პერიოდები. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ ქართველი წარჩინებული პირებისგანაც მრავლად იყო სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ გამოსვლები და ღალატი, რაც ურთიერთ ქიშპობის ან ძალაუფლების ხელში ჩაგდების სურვილით იყო განპირობებული. სწორედ ასეთი მიზეზების გამო იყო X და XI საუკუნის ფეოდალური ხანის საქართველო დაშლილი სამეფო-სამთავროებად. XI საუკუნის დასაწყისში ბაგრატ III მიერ მოხდა საქართველოს გაერთიანება თბილისის საამიროს გარდა, რომელიც 4 (ოთხი) საუკუნის განმავლობაში არაბი დამპყრობელების ხელში იმყოფებოდა. მაგრამ XI საუკუნის მეორე ნახევარში 60-იანი წლებიდან გამოჩნდნენ თურქ-სელჩუკები, რომელთა მიერ მოხდა საქართველოს დაპყრობა. ესენი იყვნენ მომთაბარე ცხოვრებით მაცხოვრებელი, არ გააჩნდათ სამშობლო და იყვნენ ველურნი. ისინი არ ჰგავდნენ მანამდე უხვად ნანახ მტერს, რადგან მოდიოდნენ დიდიან-პატარიანად, ქალიან-კაციანად, მრავალ პირუტყვთან ერთად და სახლდებოდნენ საქართველოში. იყენებდნენ მიწებს პირუტყვის საძოვრებად, აღარ რჩებოდა მიწები დასამუშავებლად და მოსავლის მოსაყვანად. იყო სრული განუკითხაობა და მარცვა-გლეჯა, თითქმის გაუბედურდა მოსახლეობა, ვინაიდან არავის შეეძლო მათი დაცვა. მანამდე არსებული ცივილიზაციების თუ იმპერიების მაგალითზე ბევრჯერ ყოფილა ველურობა და უწიგნურობა მათი დამღუპველი, მაგრამ მანამდე საქართველო ამის წინაშე ისე ახლოს არასდროს მდგარა, როგორც ამ პერიოდში. თურქ-სელჩუკები მიზნად ისახავდნენ საუკუნეების მანძილზე აღორძინებული სასოფლო-სამეურნეო კულტურის აღმოფხვრას და განადგურებას, ხოლო იმ მდიდარ მიწებზე მეჯოგეობის აღმოცენებას და მხოლოდ საქონლისთვის საძოვრებად გამოყენებას. გაზაფხულის მოსვლასთან ერთად იწყებოდა მათი შე-მოსვლა საქართველოს ტერიტორიაზე და დასახლება, ხოლო ზამთრის მოსვლამდე აიყრებოდნენ და მიდიოდნენ სხვა

ტერიტორიებზე. ქართველი ხალხი უკიდურეს გაჭირვების პირას იყო მისული, თითქმის არავინ ამუშავებდა მიწას, აღარ მოიპოვებოდა საკვები და დემორალიზებული იყო ჯარიც და ქვეყანაც. არავინ იცოდა ეს როდის შეწყდებოდა და უკვე იმედიც გადაწურული იყო. ეს პერიოდი საქართველოში „დიდი თურქობის“ სახელით არის მოხსენიებული, რომელიც 1080 წლიდან იწყება და არსაიდან არ ჩანს საშველი. ამ დროს გიორგი II ატარებს ასევე ბიზანტიის კესაროსის ტიტულს, რომლის მიხედვითაც ერთმორწმუნე ბიზანტია ვალდებული იყო დახმარებოდა საქართველოს, მაგრამ თვით ბიზანტიის იმპერიაც კი ვერ ბედავდა მათ წინააღმდეგ რაიმე წინააღმდეგობის გაწევას. ასე გრძელდებოდა წლიდან-წლამდე და პარტახდებოდა ქვეყანა, ეკლესია მონასტრები მათი საქონლის სადგომებად გადაიქცა, ეკლესიის მსახურნი მრავალნი დახოცეს, მოხუცებულ და ასაკოვან მოსახლეობას არანაირი შეწყალება, მრავალი ჩვილი ბავშვი გაიტაცეს, ამ ყველაფერთან ერთად ქვეყანას დაეკისრა ხარკი, რომლის გადახდაც უდიდეს დაღს ასვამდა ისედაც გაუბედურებულ მოსახლეობას და ქვეყანას. ეს პერიოდი საქართველოს ისტორიაში შავ ლაქად რჩება. ქვეყანას ასევე ასუსტებს დიდგვაროვანი ფეოდალების ნიანია ქვაბულის ძის, ივანე ლიპარიტის ძის და ვარდან სვანთა ერისთავის განდგომა, რომლებიც სარგებლობდნენ მეფის სიყრმით და გულუხვობით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ განდგომის მიუხედავად გიორგი მეფემ უხვად დაასაჩუქრა განდგომილი თავადები, მაგრამ მათი გამოსწორება შეუძლებელი იყო. სწორედ ასეთი დამაბული პერიოდის გამო 1089 წელს გიორგი მეფე გადადგა ტახტიდან და მისი ადგილი დაიკავა დავით IV-ემ.

დავით IV აღმაშენებელი დაიბადა 1073 წელს, ხოლო 1089 წელს, როდესაც იგი გამეფდა იგი იყო 16 წლის. დავით აღმაშენებლის მემკვიდრე აღწერს: „... ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა, სახელმოდგამმან დავით, ღმრთისა მამისამან, და თვით სამეოცდამეთვრამეტემან შვილმან ამის დავითისმან, დავით“. დავით მეფე თავისი ასაკის მიუხედავად საკმაოდ სწრაფი ტემპებით შეუდგა ქვეყნის აღმშენებლობას, მან პირველ რიგში ურთიერთობა დააღაგა ბიზანტიის იმპერიასთან, რომლისგანაც მას 12 წლის ასაკში „სევასტოსი“-ს წოდება მიენიჭა. მისი მუხლჩაუხრელი და თავგამო-

დებული შრომის შედეგად საქართველომ დაიწყო ნელ-ნელა ფეხზე დადგომა და ქართველ ერს დაუბრუნდა რწმენა. მისი ყოველი გადადგმული ნაბიჯი ემსახურებოდა ქვეყნისა და ერის კეთილდღეობას. მას გვერდში ედგა მისი აღმზრდელი გიორგი ჭყონდიდელი, რომელიც დავითის მხრიდან დიდი ნდობით იყო აღჭურვილი. დავით მეფე ყოფილა დიდად განსწავლული და წერა-კითხვის მოყვარული. სწორედ მისმა განსწავლულობამ და სწორად ჩამოყალიბებულმა პოლიტიკამ განაპირობა მისი წოდება „აღმაშენებელი“ (ქართველი მეფეები სხვადასხვა წოდება-ეპითეტებით არიან ცნობილნი: დიდი, კისკასი, კეკელა, რეგვენი, მცირე, თავდადებული, ბრწყინვალე, ავი და სხვა.) საქართველოს ისტორიაში ერთადერთს - დავით IV -ს ხვდა „...მეფესა დავითს ამისთვის ეწოდა აღმაშენებელი, რამეთუ იქმნა მეფედ, იყო ქვეყანა ესე სრულად ოხერი; ამაჲს განავსო და აღაშენა, რომელ არღარა ეტეოდა ამით, რამეთუ იყო მოშიში და მოყვარე ღვთისა, გლახაკთა, ქვრივთა და ობოლთა მოწყალე, სნეულთა თვითმსახური, ეკლესიათა, ქსენონთა მაშენებელი“... (ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსი საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბ, 1973, გვ. 163). ნამდვილად აღსანიშნავია მისი ღვაწლი ერის წინაშე და მისი მისწრაფება ანგარიშგასაწევი ძალა გამხდარიყო საერთაშორისო ასპარეზზე.

ძირითადი ნაწილი

XI საუკუნის მიწურულს საქართველო იწყებს აღორძინებას მას სათავეში უდგას მეფე დავით აღმაშენებელი. ამ პერიოდს ემთხვევა ასევე ჯვაროსნული ლაშქრობები იერუსალიმის გასათავისუფლებლად და მუსულმანური სამყაროს ყურადღება გადატანილია მათთან ბრძოლების წარმოებაზე. შიდა და გარე ფაქტორებიდან გამომდინარე მეფის მხრიდან ჩამოყალიბდა ქვეყნის განვითარების და აღმშენებლობის კარგი სტრატეგია, რომლის აღსრულებაც პირველ რიგში მოითხოვდა სამხედრო რეფორმებს, რომლის გარეშე საქართველოს აღორძინება წარმოუდგენელ ოცნებას წარმოადგენდა.

დავით IV აღმაშენებლის სტრატეგია

დაქუცმაცებული და დანაწევრებული ქვეყნის ასაღორძინებლად ნამდვილად სწორი და ქმედითი ღონისძიებების გატარება იყო საჭირო, რომლის შესრულებაც აუცილებლობას წარმოადგენდა. პირველ რიგში დავითმა დაიწყო მისი ერთგული პირების შეკრება რათა მათი მხარდაჭერით წარემართა ქვეყნის საქმეები. იმ პერიოდის საქართველო წარმოადგენდა ლიხის ქედის იქეთ მდებარე ტერიტორიას აფხაზთა სამეფომდე. საჭირო იყო თურქ-სელჩუკების უთავბოლო თარეშის შეკვეცა, მაგრამ საამისოდ ერის რწმენა იყო საჭირო, რომლის ნაკლებობასაც აშკარად განიცდიდნენ თურქ-სელჩუკების გაუთავებელი თარეშის გამო. მეფემ მოახერხა მისი ერთგული ხალხისგან შეეკრიბა მცირე საბრძოლო ჯგუფები და დროდადრო თავს ესხმოდა არხეინად მყოფ მოწინააღმდეგეს, რითაც მათ აგრძნობინა, რომ ქართველი ერი არ შეეგუებოდა მათ პარპაშს საქართველოს ტერიტორიაზე. სწორედ ასეთი ქმედებებით ნელ-ნელა ბრუნდებოდა რწმენა ერისა, რომ ჯერ არ იდგა ის პერიოდი, რომელიც მათ გადაშენების პირას მიიყვანდა. ეს ყოველივე ემსახურებოდა მათი მოტივაციის ამაღლებას და ერთსულოვნების მოპოვებას, ვინაიდან მტრის მუდმივი თავდასხმებისაგან შეწუხებული მოსახლეობა დემორალიზირებული და უიმედო იყო. მართლაც ასეთი ტიპის მოქმედებებმა ნელ-ნელა ხალხში იმედისა და რწმენის დაბრუნება გამოიწვია. მათ დაიწყეს ბარში ჩამოსვლა და მიწის დამუშავება, ხოლო ვისაც კი შეეძლო მზად იყო მეფის გვერდში ებრძოლა ურჯულოთა წინააღმდეგ. დავით მეფემ ქვეყნის შიგნით ურჩი დიდგვაროვნებისა და წარჩინებული ფეოდალების ძალაუფლების შემცირება და ცენტრალიზებული მართვის სისტემის ჩამოყალიბება დაიწყო, რასაც თავისთავად მოყვებოდა მათი მხრიდან უკმაყოფილების გამოხატვა, რაც მამამისი გიორგი II-ის მეფობის დროს არაერთხელ მოხდა. პირველი ფეოდალი რომელიც მეფის წინააღმდეგ აჯანყდა იყო კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში, რომელიც თავდაპირველად მხარში ედგა მეფეს. აშკარაა, რომ მომხდური მტრის განდევნის სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ ლიპარიტთან ერთად ნიანია კახაბერის ძე და სხვა აზნაურები მეფის გარშემო არიან შემოკრებილები, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, ვინაიდან კარგად მოგეხსენებათ ბაღვაშების მეფის

დინასტიის მიმართ მუდმივი ბრძოლის წყურვილი არ აძლევდათ მოსვენებას. რაღა თქმა უნდა მეფის პასუხი ასეთი საქციელის გამო მკარი იქნებოდა, მაგრამ როგორც კი შეიპყრეს ლიპარიტი მან მოინანია თავისი საქციელი, რომლის შემდეგ მეფემ ის შეიწყალა და აღუდგინა მთელი ძველი უფლებები რაც კი მას გააჩნდა, მაგრამ არ შეეპუა ლიპარიტი მეფის ძალაუფლების განმტკიცებას, არც პირობა შეასრულა და მისი დადებული ფიციც გატეხა. რაღა თქმა უნდა მეფე მიხვდა, რომ რბილი მოქმედებებით არ ეშველებოდა ასეთ ზღვარგადასულ ქმედებებს და 1094 წელს მეორედ აჯანყებული ლიპარიტი შეიპყრო და 2 (ორი) წელი ყოლია პატიმრობაში, ხოლო 1096 წელს გააძევა საქართველოდან. მის ადგილზე დანიშნული რატი ლიპარიტის ძეც არ აღმოჩნდა ერთგული ქვეშევრდომი, რომელმაც თავისი წინაპრების მსგავსად მალევე უღალატა მეფეს. საბოლოოდ 1103 წელს დავითმა გააუქმა კლდეკარის საერისთავო და მისი ტერიტორია სახელმწიფოს დაუქვემდებარა. კლდეკარის საერისთავოში შემავალ ადგილმდებარეობას საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა ქონდა ეკონომიკური თვალსაზრისით, ვინაიდან ჯავახეთიდან თრიალეთზე გავლით ქართლისკენ მომავალი ერთადერთი გზა სწორედ კლდეკარის საერისთავოში გადიოდა. ამით მეფემ განიმტკიცა თავისი მდგომარეობა. თუმცა იმავე 1103 წელს ასევე აუჯანყდა უიმედოდ დარჩენილი მაგან აბულეთისძემ სცადა აჯანყებოდა მეფის წინააღმდეგ, რომელმაც მცხეთის, წილკნისა და შიომღვიმის საეკლესიო მამულები მიიტაცა. შიომღვიმის მონასტერი ციხესიმაგრედ აქცია. მეფემ როგორც არაერთგზის სხვა ფეოდალები ამჯერადაც აღკვეთა მათი ქმედებები და დამარცხებულ მაგანს შიომღვიმეში შეუფარებია თავი, სადაც ეკლესიის მესვეურებს შეუპყრიათ და მეფისთვის გადაუცემიათ. დავით მეფეს იგი სიკვდილით არ დაუსჯია, მაგრამ ყველანაირი პატივი აუყრია და ქონებაც ჩამოურთმევია. ამით მან დაასრულა დიდგვაროვან ფეოდალებთან ჭიდილს თავი და უფრო განიმტკიცა პოზიციები. ამ ეტაპისთვის მეფის ლაშქარი უკვე მომძლავრებულია და რაოდენობრივადც შევსებულია.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდში მნიშვნელოვანი მოვლენების ეპიცენტრია იერუსალიმი, რომელიც ჯვაროსნებმა დაახლოებით 1099 წელს აიღეს და მრავალსაუკუნოვანი მუსულმანთა ხელთ მყოფი წმინდა ქალაქი გაანთავისუფლეს. რაღა თქმა

უნდა ამას არ ეგუებოდა მუსულმანური სამყარო და ხშირი ბრძოლები იმართებოდა იერუსალიმის უკან დასაბრუნებლად. უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროის ისტორიკოსი გოტიეს გადმოცემიდან ვგებულობთ თუ ჯვაროსანთა მხრიდან რამდენად დიდი მნიშვნელობა და დაინტერესება ქონდა მეფე დავითის აღზევებას თურქ-სელჯუკთა წინააღმდეგ ომში. მეტად საინტერესო ფაქტია ის, რომ მეფე დავითი ძალიან კარგად ფლობს ინფორმაციას მსოფლიო მასშტაბით არსებული ვითარების შესახებ, რომელიც არაერთი ფაქტითა თუ მოვლენით მტკიცდება. თუნდაც ის ფაქტი აღვნიშნოთ, რომ სწორედ იერუსალიმის აღებისთანავე მეფემ შეუწყვიტა ხარკის გადახდა ე.წ. „ხარაჯა“-ს გადახდა თურქ-სელჯუკებს და ამით მან ომი გამოუცხადა მათ. ასევე მან თავის დროზე უარი თქვა თავის ტიტულზე „სევასტოსი“, რომელიც ბიზანტიის იმპერატორისგან ქონდა მიღებული. ამით მან საქართველოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას ნათლად გაავლო ხაზი, რაც ფრიად საამაყოა. თან დავითი იყო ერთადერთი მონარქი მონარქთა შორის, რომელმაც პირველად თქვა უარი ბიზანტიის ტიტულზე. ასეთ მნიშვნელოვან ეტაპზე დავითი დღე და ღამე მუხლჩაუხრელად ათავისუფლებს თურქ-სელჯუკებისგან ციხე-ქალაქებს და უქვემდებარებს ქვეყნის ტერიტორიას. ბოლო შესასრულებელი ამოცანაა კახეთ-ჰერეთის შემოერთება, რომელიც 1104 წელს მოახერხა დავით მეფემ. ამ დროისთვის თბილისის გარდა მთლიანი საქართველო გაერთიანებულია და მიდის მზადება შირვანის, ანისის და თბილისის გასათავისუფლებლად.

ასევე მნიშვნელოვანი რეფორმა გატარდა ეკლესიაში, რომელიც ასევე დროული და საჭირო იყო, ვინაიდან დიდგვაროვანთა მხრიდან მემკვიდრეობითი თანამდებობების გადაცემა ხდებოდა, რომელიც პირველად გიორგი II მხრიდან საბერძნეთიდან მოწვეულმა გიორგი მთაწმინდელმა ამხილა და არაფერი იყო მის შემდეგ შეცვლილი. კანონის მიხედვით მეფეს უფლება ქონდა მოეწვია საეკლესიო კრება, სადაც გადასაწყვეტი საკითხების გადაჭრა უნდა მომხდარიყო. ეს კრება ჩატარდა 1103 წელს რუის-ურბნისის ეპარქიაში. ამ კრებას ესწრებიან გიორგი ჭყონდიდელი, მართა (მარიამ დედოფალი, დავით მეფის მამიდა და გიორგი II და) და გიორგი II მეფეთმეფე. ეს კრება მრავალი დღე გრძელდებოდა და უღირსი მონანი მოკვეთილნი იყვნენ ეკლესიები-

დან. სწორედ ეს იყო მიზეზი საეკლესიო რეფორმის გატარების, ვინაიდან ხშირად ხდებოდა საეკლესიო მიწების მითვისება და ქონების გაფლანგვა არასაჭიროების-მეზრ, ასევე წლოვანებით შეუფერებელი დიდგვაროვანი პირების მაღალ საეკლესიო თანა-მდებობაზე დანიშვნის ფაქტები. ამ საეკლესიო კრებაზე იქნა მიღებული მეტად მნიშვნელოვანი საკითხები, რომელსაც მთლიანად ხელმძღვანელობას და კურატორობას უწევდა გიორგი ჭყონდიდელი, რომელმაც გადაწერა წიგნი „ძეგლისწება“, რომელიც გახდა მიმართველი სახელმძღვანელო თუ როგორ უნდა აღსრულებულიყო საეკლესიო იერარქია, საგალობლების ქართულ ენაზე დაწერა და შესრულება. ასევე განისაზღვრა ასაკობრივი ზღვარი მღვდელთმსახურთათვის, მაგალითად არ დაინიშნებოდა პირი ეპისკოპოსად 35წლამდე, მღვდელმთავრად 30 წლამდე, დიაკონად 25 წლამდე. ასევე აიკრძალა ერთ დღეს რამდენიმე ხარისხის ერთდროულად მინიჭება. აქაც ნათლად გამოჩნდა ეკლესიის მეფის ხელისუფლების გავლენის ქვეშ მოქცევა. ამიერიდან ვინც წარმოაჩენდა თავს ის დაინიშნებოდა თანამდებობაზე და არა გვარიშვილობის გამო.

დავით მეფემ სახელმწიფო მართვის ორგანოები შემდეგნაირად ჩამოაყალიბა:

1. მწიგნობართუხუცესი - ჭყონდიდელი;
2. მანდატურთუხუცესი - შინაგან საქმეთა და ფოსტის მინისტრი;
3. ამირსპასალარი - სამხედრო მინისტრი;
4. მეჭურჭლეთუხუცესი - ფინანსთა მინისტრი,
5. მსახურთუხუცესი;

მაშასადამე ვაზირთა შორის უპირველესი იყო გიორგი მწიგნობართუხუცესი, რომლის გარეშე არაფერი ხდებოდა, მას ყველგან და ყველაფერზე მიუწვდებოდა ხელი, მას ემორჩილებოდა სამეფო სპაც. ვაზირები 2 (ორი) მთავარ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი:

- 1) 3 (სამი) ვაზირთა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ ათაბაგი, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი;
- 2) 2 (ორი) ვაზირთა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი;

ასეთი თანმიმდევრული ნაბიჯებით ჩამოყალიბდა მართვის სისტემა, რომელიც მხოლოდდამხოლოდ დამოკიდებული იყო არა გვარიშვილობაზე და წარმომავლობაზე, არამედ მის გონებრივ შესაძლებლობებზე და მისი ქვეყნის წინაშე მსახურებაზე. დავით მეფემ აღაშენა და მოაწესრიგა მთელი რიგი საგზაო ინფრასტრუქტურა და ქალაქები. ყველანაირად ხელს უწყობდა სავაჭრო ურთიერთობების განვითარება სხვადასხვა სახელწიფოთა შორის, რომელთა გამო მან გზებზე მოსასვენებელი შენობები ააშენა, რომელიც სრულიად უფასო იყო უცხოელი ვაჭრების მოსასვენებლად. ეს ძალიან უწყობდა ხელს ეკონომიკის მოძლიერებას და მეფეც ყველანაირი პირობების შექმნით უწყობდა ხელს მის განვითარებას. მან კარგად იცოდა, რომ ეკონომიკის მომძლავრება ხელს შეუწყობდა ქვეყნის წინსვლას და ამისათვის ძალღონეს არ იშურებდა. მისმა სწორად წარმართულმა სტრატეგიამ XII საუკუნის I მეოთხედში ამიერკავკასიის რეგიონში საქართველო წარმატებულ და ურჯულო მტერთა მეზრძოლ ძალად ითვლებოდა, არამედ საერთაშორისო ასპარეზზე მას დიდ ძალად აღიქვამდნენ. მეფე დავითის ჯვაროსნებთან კავშირი კარგად ჩანს ბევრ წყაროში, მაგრამ დიდგორის ბრძოლაში მათი მონაწილეობა ეს ფაქტია, რომელიც ადასტურებს იმ დროინდელ საქართველოს მჭიდრო ურთიერთობას მთლიან ქრისტიანულ სამყაროსთან და მის წარმატებულ სტატუსს იმ დროის ევროპის დიდი სახელმწიფოების მხრიდან. სწორედ მათ წყაროებში ვხდებით მეფე დავითის შესახებ, სადაც მეფე დავით აღმაშენებელი „მესიის მახვილად“ არის მოხსენიებული. ასეთი მძლავრი და დიდი საქართველო არასოდეს ყოფილა. მისი ტერიტორიები გადაჭიმული იყო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოსეთიდან არაგვამდე.

სამხედრო რეფორმები

კარგად ესმოდა დავით მეფეს არჩეულ გზაზე თუ რა დიდი და მნიშვნელოვანი ღონისძიებაა სამხედრო რეფორმები. მისი მნიშვნელობა მართლაც, რომ გასატარებელი იყო ვინაიდან რწმენა ქონდა ერს დაკარგული, ლაშქარი დემორალიზირებული და მოშლილი იყო, არ არსებობდა არანაირი დისციპლინა და საჭურველი. ამის ფონზე მეფემ მჭიდროდ ჩაკიდა თავის ხელი ამ რეფორმების გასატარებლად და სასურველი ჯარის ჩამოსაყალიბებლად. იგი პირადად იღებდა მონაწილეობას ჯარისკაცთა

წვრთნაში მონაწილეობას, პირადად ასწავლიდა მათ მრავალ საბრძოლო ილეთებს და ამყარებდა რკინის დისციპლინას. დისციპლინა ეს ისეთი საკითხი იყო, რომლის მიმართ დავით მეფე შეუვალ პოზიციას ატარებდა. მან აკრძალა ჯარში: „ხოლო საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი, და გინება ღვთისა საძულველი და ყოველი უწესობა მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა“. თავისი ერთგული მსახურებისაგან შექმნა მცირე ზომის კარგად ორგანიზებული, აღჭურვილი და მომზადებული ჯარი, რომელსაც „მონა-სპა“ ეწოდებოდა. არის მოსაზრება იმის შესახებ, რომ აქ ძირითადად თავმოყრილი იყო უცხოეთიდან ჩამოყვანილი მონები, რომელთაც აღარ გააჩნდათ სამშობლო და ემსახურებოდნენ მეფეს. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს იყო დამრტყმელი ძალა, რომელსაც მეფე ხელმძღვანელობდა და მათი მეთვალყურეობის ქვეშ ტოვებდა ბრძოლებისგან დაბრუნებულ ციხე-ქალაქებს.

ეფექტური და მნიშვნელოვანი რეფორმა აღმოჩნდა ე.წ. „მსტოვართა“ ინსტიტუტის ჩამოყალიბება, რომლის წყალობითაც მეფეს ინფორმაცია მიეწოდებოდა თითქმის მთელი სამეფოდან და ფლობდა სრულყოფილ ინფორმაციას მისი მოკეთებებისა თუ მტრების შესახებ. „მსტოვარნი“ ეს იყო უერთგულესი მეომრებისაგან შემდგარი აპარატი, რომელზეც იძახდნენ „არცა სამეფოსა შინა მისთა, არცა ლაშქართა შინა მისთა მყოფთა კაცთა, დიდთა და მცირეთა საქმე ქმნილი, კეთილი გინა სიტყვა ბოროტი თქმული - არა სია დაეფარვოდა“. თანამედროვე გაგებით კარგად ორგანიზებული აგენტურული ქსელი ქონდა განვითარებული, რომლებიც არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნის გარეთაც საკმაოდ ეფექტურად მოქმედებდნენ, რისით ნათელი მაგალითიც არის ჯვაროსნული ლაშქრობის შესახებ დეტალური ინფორმაციის ცოდნა მეფის მხრიდან და გადამწყვეტი ზომების მიღება იერუსალიმის აღების შემდეგ, სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა მეფე დავითის მხრიდან თურქ-სელჯუკებზე ხარკის შეწყვეტა. ასევე ქვეყნის შიგნით ლიპარიტის აყვანის ფაქტი, რომელიც მათი მხრიდან ეფექტურად შესრულებული სამხედრო ოპერაციის მაგალითია. ასევე დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა და მტკიცება, რომ დავით მეფეს მოწინააღმდეგის ბანაკშიც ყავდა თავისი ერთგული მსტოვრები ჩასმული, რომელთაგანაც დაზუსტებით იცოდა მტრის საშინაო თუ საგარეო წარმოებული მოქმედებების შესახებ.

ძალზედ დიდია მათი დამსახურება საქართველოს აღორძინების და გამ-ლიერების საქმეში.

ასევე უნდა აღინიშნოს დავითის მიერ სამოხილიზაციო სისტემის ჩამოყალიბება, რომლებსაც წარმოადგენდნენ სასიგნალო კოშკები, პირდაპირი და ესტაფეტის წესით მოქმედი „ჭენებითმავალნი“. ამ სისტემის აუცილებლობა აშკარა იყო, რადგან ვერ ხერხდებოდა ლაშქრის შეკრება ყოველთვის დროულად, ვინაიდან შეუძლებელი იყო იმ პერიოდში ისედაც დაქცეული და გაჩაჩანაკებული სასოფლო-სამეურნეო საქ-მიანობის პირობებში ლაშქრის მუდმივ მზადყოფნაში ყოფნა.

ასევე ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის განსახორციელებლად მეფეს შემოუღია „მწკრივებრივი ტაქტიკა“. ეს ტაქტიკა თითქმის რომის იმპერიის ტაქ-ტიკისმაგვარი იყო, მხოლოდ განსხვავდებოდა იმით, რომ რომის 2 (ორი) მწკრივი იყო, ხოლო დავითისეული 3 (სამი) მწკრივიანი. ამ სამი მწკრივიდან I მწკრივი იყო - წინამძღოლი ჯარი, II მწკრივს წარმოადგენდა ყოლბი ჯარი, ხოლო III მწკრივს - მაშველი ჯარი ანუ როქის სპა, რომელსაც თვით მეფე დავითი მეთაურობდა.

ასევე უნდა ითქვას ზურგის სამსახურის ანუ ლოგისტიკის შესახებ, რომელიც იმდენად კარგად განავითარა მეფემ, რომ ნამდვილად აღნიშვნას იმსახურებს, ვინაიდან მასში შედიოდა ბევრი ცხენი „ცხენი ბარგისა“, აქლემი, ჯორი, ხარები და ბორბლიანი ტრანსპორტი, რომლითაც გადაზიდვა ხდებოდა ლაშქრობისთვის აუცი-ლებელი სამხედრო ინვენტარისა და საკვებისა, ასევე ნაალაფარის გადმოსატანად და დაჭრილთა გადმოსაყვანად. ასევე საგულისხმოა, რომ იმ პერიოდში ლაშქარს გააჩნდა საალყოტეჟნიკა, სატყორცნი იარაღი და ასევე ყავდა ამ იარაღის გამოსაყენებლად მომზადებული სპეციალისტებიც. ამ იარაღის გამოყენება კარგად არის ასახული თბილისის აღების ბრძოლის დროს. ბევრი შრომა და ოფლი დასჭირდა ამ ყოველი რეფორმის გასატარებლად და დასახვეწად, თუმცა ამირსპასალარის თანამდებობის შემოღებამ კარგად გადაანაწილა ფუნქციები და გაადვილა ლაშქრის მართვა.

რეფორმების გატარება სრულყოფილად და სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მისი სრულყოფილების მთავარი შედეგი, რო-მელიც საუკუნოდ დარჩა საქართველოს ისტორიის ფურცლებზე როგორც „ძლევა

საკვირველი“ ანუ დიდგორის ბრძოლა, რომელიც არა მარტო საქართველოს არამედ მსოფლიო სამხედრო ისტორიის ერთ-ერთი უნიკალური ბრძოლა, რომელშიც გამოყენებული იყო შეცდომაში შეყვანის ტაქტიკა და მოულოდნელობის ეფექტი, ასევე 8 (რვა)-ჯერ მცირე ლაშქრით ურიცხვი მოწინააღმდეგის განადგურება. 1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ველზე ერთმანეთის პირისპირ დგანან 55 600 მოლაშქრით მეფე დავითი და 400 000 გაერთიანებული მუსულმანთა ლაშქარი ნეჯმ ად-დინი ილ ღაზის მეთაურობით. სწორედ დავით მეფემ შეარჩია ადგილი სადაც წარმართავდა ბრძოლას და არა მოწინააღმდეგე, ეს ადგილიც სწორად იყო შერჩეული, რადგან მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეს არ მისცემდა გაშლის საშუალებას და შეეზღუდებოდა ბრძოლის ფრონტი. ასევე მეფე დავითმა ბრძოლის დაწყების წინ 200 რჩეული მეზრდოლი გააგზავნა მტრის ბანაკში, ვითომდა მოლალატეები იყვნენ, რამაც სრულიად გამართლდა და მტერმა შეუშვა თავის ბანაკში. ამ დროს კი ამ მცირე ზომის მეომრებმა იშიშვლეს ხმლები და დაიწყეს მოწინააღმდეგის განადგურება და გზის გაკაფვა პირდაპირ სარდლობის კარვისკენ. ამას არ ელოდნენ მოწინააღმდეგენი და შეიქმნა ქაოსი, რომლითაც ისარგებლა მეფე დავითმა და სწრაფი შეტევა განახორციელა მტრის ცენტრში და სულ რაღაც 3 (სამი) საათიანი ბრძოლის შემდეგ უთავბოლოდ გაქცეულ მოწინააღმდეგეს მისდევდნენ ქართველები. ეს იყო გამარჯვება, ეს იყო ტრიუმფი სრულიად საქართველოსი, რომლის შესახებაც იმ დროის მსოფლიო ალაპარაკა და ყველამ გაიგო საქართველოს არსებობის შესახებ, რომლებიც ასეთი მამაცები და გულადები არიან. ბრძოლის ველზე დარჩა ურიცხვი ალაფი და ტყვედ ჩავარდა უამრავი ურჯულო. ასეთი წარმატების შემდეგ აღარ დაუყოვნებია დავით მეფეს და მომდევნო წელს აიღო თბილისი და შემდეგ დმანისი, რითაც დასრულდა საქართველოს გაერთიანება. მემკვიდრეთა გადმოცემით თბილისი აღების შემდეგ მან აკრძალა სჯულით არაქრისტიანთა დასჯა ან შევიწროება. არც ლოცვა შეუზღუდია მათთვის და პირიქით ხელსაც კი უწყობდა მათ. ხშირად უნახავთ პარასკევ დღეს მეფე დავითი თავის შვილ დემეტრესთან ერთად მეჩეთში შესული სალოცავად. თვითონ დავითი არაბულის და სპარსული ენის უზადო ცოდნით გამოირჩეოდა და ესეც მოხსენიებულია, რომ ხშირად უნახავთ თუ როგორ ეკამათებოდა ყადს ან მოლას

ყურანის სისწორეში და სწორად აღქმაში. თვითონ მუსულმანები 1 (ერთი) წლით გაანთავისუფლა კიდევ ყველანაირი გადასახადებიდან. 1124 წელს მან გაილაშქრა შირვანში და ანისში საიდანაც საბოლოოდ განდევნა თურქ-სელჯუკები და საბოლოოდ დაუქვემდებარა საქართველოს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ შირვანთან მას ისედაც გააჩნდა მოყვრული ურთიერთობა, რომელიც გამოიხატებოდა მისი ასული თამარის ქორწინებით მათი მმართველის შვილზე. ამდენი საუკუნის შემდეგ პირველად თავისი ისტორიის მანძილზე მოხერხდა საქართველოს გაერთიანება. ეს შიშის ზარს სცემდა ურჯულოებს, რადგან საქართველოს ძლიერება ქრისტიანული რელიგიის გამარჯვებას ნიშნავდა.

კონტრარგუმენტი

გაუთავებელი ბრძოლების ფონზე თურქ-სელჯუკების წინააღმდეგ თავისთავად დიდ რესურსებს მოითხოვდა, როგორც ეკონომიკურ რესურსებს ასევე ადამიანურ რესურსებს. XI საუკუნის მიწურულს, როდესაც საქართველო ხარკს უხდის ურჯულოებს და ხალხი გაუბედურებულია, შიმშილი ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და მიწათმოქმედება, რომელიც ქართველთა შემოსავლის წყაროა საუკუნეების მანძილზე თითქმის მომსპარია. წარმოებული ბრძოლები კი თავისთავად მოითხოვს ადამიანთა რესურს, რომელიც ისედაც შემცირებულია და აღარ რჩება მამაკაცი, რომლებიც დაამუშავებენ და ააღორძინებენ მეურნეობას. ამ პერიოდში კი მეფე დავითი აძლიერებს ზეწოლას და ცდილობს განდევნოს ურჯულო მტერი თავისი ქვეყნიდან და ქვეყანა დაუბრუნოს ძველებულ, მამაკაპურ ფერხულს. მაგრამ ომში წასული მეომართა მიწები რჩებოდა დაუმუშავებელი და ამასთანავე მხოლოდ ურჯულოები ხომ არ ილუპებოდნენ ბრძოლების დროს, რა თქმა უნდა ქართველთა მხრიდანაც იყო მსხვერპლი. თითოეული მეზრძოლის დაკარგვა დიდ ტრაგედიას წარმოადგენდა საქართველოსთვის რადგან ადამიანური რესურსი ისედაც მცირე იყო იმ პერიოდში. მასიურმა ბრძოლებმა, მამაკაცების ომში გაწვევამ და შიმშილობამ იწვევდა უკმაყოფილებას და ამით რაღა თქმა უნდა სარგებლობდნენ მეფის მოწინააღმდეგე დიდგვაროვანი ფეოდალები. იმ პერიოდში მრავლად მოხდა მეფის წინააღმდეგ აჯანყება, რომლის ჩახშობაც ძალის გამოყენებით უწევდა მეფეს. მრავალი ჭირვარამის

გამოვლილ ერს თავისთავად არ ეკადრებოდა ასეთი შიდა დაპირისპირება. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ თავდაპირველად ყოველი დიდგვაროვანი ფეოდალები თუ ჩვეულებრივი მშრომელი გლეხი, ყველა გაერთიანდა და ერთმუშტად დაიწყეს მტერთან ბრძოლა. მაგრამ ის კი ყველას დაავიწყდა, რომ თავისუფლებისთვის ბრძოლა მსხვერპლს მოითხოვს და ლანგრით არავინ მოართმევდა ნანატრ მშვიდობას და თავისუფლებას. რაღა თქმა უნდა მეფე დავითი გრძნობდა და ხვდებოდა კიდეც ამ პრობლემას, მაგრამ თვითონაც არ იყო დალხინებულ მდგომარეობაში. ამ უთავბოლო ბრძოლებით დაქანცულ მოსახლეობა ესაჭიროებოდა მუდმივმოქმედი ჯარის შექმნა, რომელიც ასრულდა კიდეც. დიდხნიანი დაკვირვებისა და განსჯის შემდეგ გადაწყდა საქართველოში ყივჩაღთა ჩამოსახლება, რომლებიც ვალდებულნი იქნებოდნენ შეეცნოთ მეფის ლაშქარი და ებრძოლათ საქართველოს დასაცავად. ასრულდა კიდეც მრავალმხრივი მოლაპარაკების შედეგად მოხდა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ყივჩაღთა მთავრის ათრაქა შარადანი ძეს მოითხოვა მეფე დავითისაგან შეერთო ცოლად მისი ასული გურანდუხტი, რის შემდეგაც 40 000 ოჯახი წამოვიდოდა საქართველოში საცხოვრებლად. შემონახულია ათრაქას მოწერილი: „მე ათრაქა შარადანის ძე, პატრონი ჩემი ტომისა, უცხო ქვეყანაში უცხო მეფეს, უცხოთა სიძესა და უცხოთა ნათესავს ვით ვენდო ესრეთ, ვით განდო თავი ჩემი, დედაწულ ჩემი და ხალხი ჩემი. შეირთე ასული ჩემი გურანდუხტ, სილამაზით მზისა ბრწყინვალეების დარი, გახდი სიძე ჩემი, ქმარი ასულისა ჩემისა, მამა - შვილიშვილთა ჩემთა და განაგირით შენით - სისხლით ნათესავი განაგირითა ჩემისა, და თანახმა ვარო“. შეირთო დავით მეფემ გურანდუხტი, მართლაც უმშვენიერესი ასული და სიკეთით აღსავსე მანდილოსანი აღმოჩნდა. ყოველ ჩამოსახლებულ ოჯახს 1 (ერთი) მეზრდოლის გამოყოფა ევალებოდა მეფის ლაშქარში, რითაც 40 000 ათასი მეომარი აღმოჩნდა მეფის სამსახურში. ეს უკვე ისეთი ძალა იყო, რომლის გამოყენებაც ფრიად მნიშვნელოვან წარმატებებს მოუტანდა და ცოტას ამოასუნთქებდა თავის მეზრდოლებს, რომლებიც თავგამოდებულები ემსახურებოდნენ ქვეყანას და მეფეს. ცნობა მათი გამოყენების შესახებ გვხვდება თვით დიადი დიდგორის ბრძოლის დროს სადაც 15 000 ყივჩაყი

ღებულობდა მონაწილეობას. დავით მეფემ ამით ხალხიც ამოასუნთქა ცოტა და სამხედრო რეფორმაც თითქმის დაასრულა.

დასკვნა

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შიდა და გარე ფაქტორებიდან გამომდინარე მეფის მხრიდან ჩამოყალიბდა ქვეყნის განვითარების და აღმშენებლობის კარგი სტრატეგია, რომლის აღსრულებაც პირველ რიგში მოითხოვდა სამხედრო რეფორმებს, რომლის გარეშე საქართველოს აღორძინება წარმოუდგენელ ოცნებას წარმოადგენდა. სწორედამეფის წარმოუდგენელი შრომისა და ჯაფის შედეგად მოხდა ყოველივე სიღუბნისა და ქვეყნის ამოყვანა და მსოფლიო მასშტაბით ქრისტიანობისთვის მეზრდოლ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება. დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდი ნათელი მაგალითია სულის სიმტკიცის და თავისუფლებისთვის ბრძოლის უპრეცედენტო მაგალითის, რომლის დროსაც მოხდა ქვეყნის გამთლიანება და უძლიერეს სახელმწიფოდ ჩამოყალიბება. მის მიერ გატარებული ყოველი რეფორმა მიმართული იყო შრომისმოყვარე და განათლებული პირების დაწინაურებისათვის, ნაცვლად დიდგვაროვანი წარჩინებული ფეოდალებისა, რომლებიც პირველივე ხელსაყრელ დროს ღალატობდნენ და უპირობოდ ყიდნენ საკუთარ ხალხსაც და ქვეყანასაც. ეს რაღა თქმა უნდა იქიდან გამომდინარეობდა, რომ მათ არ უწყევდათ ბრძოლა საკუთარი მდგომარეობის მისაღწევად, ის ყველა პრივილეგია ლანგრით ქონდათ მირთმეული. სწორედ კარგი მიღწევა იყო ცენტრალიზებულ მართვაზე გადასვლა, რომელიც პირდაპირ მეფეს დაექვემდებარა და ყველა ემსახურებოდა ქვეყნის კეთილდღეობას. სწორედ იმ თავდადებული გმირების მხრებზე გაიარა სახელმწიფოს ძნელბედობის ჟამმა, რომელთა თავდაუზოგავი ბრძოლა ბადებდა იმედს და აღვივებდა ბრძოლის ნაპერწკალს ურჯულო მტრების მიმართ. თუმცა ეს გამუდმებული შუღლი და შიდა დაპირისპირებები ძალიან აზარალებდა ქვეყანას, როგორც შიდა განვითარების კუთხით ისე საერთაშორისო ასპარეზზე, რადგან მტერი სწორედ ამას იყენებდა მიზნების მისაღწევად. ამის აღსაკვეთად კარგი მიგნება და გასაღები იყო „მსტოვარნი“, რომელთა ღვაწლი

მართლაც დიდია, ვინაიდან მათი მხრიდან სწორად და დროულად გადმოცემულ ინფორმაციაზე ხდებოდა სტრატეგიის განვითარება. ისტორია გვინახავს მეფეთა სახელებს, სწორედ დავით IV აღმაშენებელი არის ნათელი მაგალითი თუ როგორ უნდა ქვეყნის აღშენება და გაბრწყინება, მაგრამ მეორეს მხრივ არ არის იმ გმირი მეომრების სახელები, რომელთა თავგანწირული და გმირული მოქმედებები იყო წარმატების მომტანი. შედეგი რომელიც მოიტანა თავდაუზოგავმა და თავგანწირულმა მოქმედებებმა სრულიად ნათელია. საქართველოს ისტორიის მანძილზე მრავლადაა აღწერილი საბრძოლო მოქმედებები რომელთა მიზანი ქვეყნის თვითმყოფადობის შენარჩუნებას წარმოადგენდა. მტრების გამუდმებულ თავდასხმას საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა და მის ირგვლივ მყოფი სახელმ-წიფოების სტრატეგია განაპირობებდა მაგრამ დავით მეფის დროინდელ საქართველოში უკვე ყოველივე ზემოთ თქმულის დადასტურებაა. და დადგა 1125 წლის 26 იანვარი, დღე როდესაც საქართველომ დაკარგა დიადი ხელმწიფე. ქართულმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა. საუკუნეების მანძილზე მის მაგალითზე იზრდებოდნენ მრავალი თაობა და დღევანდელ რეალობაშიც არ არსებობს ქართველი, რომელიც არ იამაყებს ისეთი მეფით, რომელიც შიშის ზარს სცემდა მუსულმანურ სამყაროს. კაცი რომელიც გამეფებიდან ბოლო დღემდე არ ისვენებდა და მუდმივად ცდილობდა თვითგანვითარებას, მისი მეფობის პერიოდი აღსავსეა გადახდილი ბრძოლების რაოდენობით თუ მასშტაბებით. სწორედ ამიტომ უწოდა მადლიერმა ქართველმა ერმა დავით IV- ეს „აღმაშენებელი“.

ბიბლიოგრაფია

- ავალიშვილი, ზურაბ. 1989. *ჯვაროსანთა დროიდან*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
- აღმაშენებელი, დავით. 1989. *გალობანი სინანულისა*. რედაქტორი ზურაბ კიკნაძე. თბილისი: „ხელოვნება“.
- ბაქრაძე, აკაკი და რევაზ თვარაძე. 1987. *ქართული მწერლობა ოცდაათ ტომად*. ტ. 2. ტომის რედაქტორი ლევან გრიგოლაშვილი. თბილისი: ნაკადული.
- ბახტაძე მ. 2013. *საქართველოს სამხედრო ისტორია*. ნაწილი 1. თბილისი: დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია. სამეთაურო-საშტაბო სკოლა.

- გრიგოლია, კონსტანტინე. 1954. *ახალი ქართლის ცხოვრება*. თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა-გამომცემლობა.
- ლორთქიფანიძე, მარიამ, დავით მუსხელიშვილი და როინ მეტრეველი. როინ მეტრეველის რედაქციით. 2015. *საქართველოს ისტორია*. ტ. 4. თბილისი: პალიტრა L.
- მეტრეველი, როინ. 1990. *დავით აღმაშენებელი*. თბილისი: „განათლება“.
- მეტრეველი, როინ. 2018. *ქართველი მეფეები: დავით აღმაშენებელი*. ტ. 7. თბილისი: პალიტრა L.
- სამუშია, ჯაბა. 2012. *ქართველი ერის ისტორია*. ტომი 2. თბილისი: „პალიტრა L“.
- ძამუკაშვილი, ნუნუ. 2010. *დავით აღმაშენებლის ცხოვრება და მოღვაწეობა*. თბილისი: პოლიგრაფისტი 2010.
- მესხია, შოთა. 2016. *ძლევა და საკვირველი დიდგორის ბრძოლა და თბილისის შემოერთება*. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016.

„სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული როლი ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისა და მისი პარტნიორი ქვეყნებისთვის

პოლკოვნიკი სერგო თევზაძე¹

ვახტანგ მაისაია²

პოლკოვნიკი ზურაბ ხუროშვილი³

<https://doi.org/10.61446/mp.4.2025.9730>

აბსტრაქტი

ნაშრომში „სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული როლი ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისა და მისი პარტნიორი ქვეყნებისთვის“ განხილულია ზემოთ აღნიშნული რეგიონების უსაფრთხო განვითარებისა და სტაბილურობის შენარჩუნების მიმართულებით საერთაშორისო ორგანიზაციების აღნიშნულ პროცესებში ჩართულობის ხარისხი და ძალისხმევა, მათი ინტერესები და მიზნები, შესაძლო წარმოშეებული საფრთხეები და რისკები. ყურადღება გამახვილებულია, ასევე არარეგიონალური აქტორების პოლიტიკურ, სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებზე, რაც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს შავი ზღვის აუზის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების უსაფრთხოების გარემოზე და მათ სტაბილურობაზე.

ნაშრომის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს სამომავლო შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობის შესწავლა და ანალიზი, რაც დაგეგმარება კონკრეტული და მნიშვნელოვანი მოვლენების გამოკვეთასა და მათ არსობრივ იდენტიფიცირებაში, სხვა პარალელურად განვითარებულ მოვლენებთან მიმართებაში. განხილვაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რეგიონში, მუდმივად არსებულ ტურბოლენტურ ვითარებას, რომელსაც ქმნის სხვადასხვა გარე აქტორების ინტერესების თანხვედრა ან გადაკვეთები, სამხედრო კონფლიქტები, ახლად შექმნილი ეკონომიკური ზონები, სახელმწიფოთა პოლიტიკური მისწრაფებები, სტრატეგიული მნიშვნელობის სატრანსპორტო მარშრუტები და ენერგო რესურსების გამტარი დერეფნები. რეგიონის სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, რაც გულისხმობს ცენტრალური აზიიდან ევროპის მიმართულებით ენერგო რესურსების გადაზიდვის მოკლე და ხელსაყრელ, სტაბილურ და საიმედო სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ხაზების არსებობას, უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს და კრიტიკულ მნიშვნელობას სძენს აღნიშნული რეგიონის ქვეყნებში უსაფრთხოების სექტორის გაძლიერებას და მათ სტრატეგიულ მხარდაჭერას, ქმედითუნარიანობის ამაღლებისა და შენარჩუნების თვალსაზრისით.

ნაშრომის განხილვისას ყურადღება ეთმობა სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვის აუზის რეგიონის სახელმწიფოთა პოლიტიკურ, სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს. მათ შორის, არსებულ ან მომავალში შესაძლო ჩამოყალიბებულ ალიანსებს, ეკონომიკური და სამხედრო ინტერესების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს განხორციელებული და მომავალში განსაზღვრული მეგაპროექტებისთვის უსაფრთხო და სტაბილური გარემოს უზრუნველყოფას, საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით და უსაფრთხოების ერთიანი სისტემის შექმნის თვალსაზრისით. ნაშრომის ორიგინალურობას და სამეცნიერო სიახლეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ პირველად გამოკვეთილია სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვის რეგიონის არაინდენად გეოპოლიტიკური, არამედ გეოსტრატეგიული ანუ სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა და რაობა, რაც ასე მნიშვნელოვანია აღნიშნული სივრცეების ოპერატიულ-სტრატეგიულ კუთხით წარმოჩენაში და

¹ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერებათა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი;

² კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი;

³ თავდაცვის ატაშე უნგრეთის და ხორვატიის რესპუბლიკებში

სამხედრო ოპერაციების და საბრძოლო მოქმედებების სამხედრო ანალიტიკური კონტექსტში შესასწავლად. ამას გარდა, ნაშრომის უნიკალობას შეადგენს ისიც, რომ გაანალიზებულია ბოლო პერიოდში მომხდარი სამხედრო კონფლიქტები.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში განხილულია აღნიშნული რეგიონის მზარდი პოტენციალით დაინტერესებული ქვეყნების მიზნები და ამისათვის მობილიზებული ინვესტიციები ინფრასტრუქტურულ მეგაპროექტებში და უსაფრთხოების სექტორში. მასში ნათლად არის წარმოჩენილი რეგიონის სტრატეგიული მხარდაჭერისა და შესაძლებლობების ზრდის ტენდენციები, როგორც სამხედრო, სამხედრო-პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური და ფინანსური სარგებლის მიღების კუთხით, მიმდინარე პროცესებში მონაწილე ყველა სუბიექტისათვის, რამაც საბოლოო ჯამში უნდა შექმნას უსაფრთხოების უპრეცედენტო გარანტიები შავი ზღვის აუზის გარკვეული სახელმწიფოებისთვის.

საკვანძო სიტყვები: უსაფრთხოება, სტაბილურობა, სტრატეგიული მხარდაჭერა, სამხრეთ კავკასია, შავი ზღვის აუზი, საფრთხეები, საერთაშორისო ორგანიზაციები, სამხედრო სტრატეგია.

The Geostrategic Role of the South Caucasus and the Black Sea Basin for the North Atlantic Alliance and Its Partner Countries

Colonel Sergo Tevzadze⁴

Vakhtang Maisaia⁵

Colonel Zurab Khuroshvili⁶

Abstract

This paper, “The Geostrategic Role of the South Caucasus and the Black Sea Basin for the North Atlantic Alliance and Its Partner Countries,” explores the extent and nature of international organizations’ engagement in promoting secure development and preserving stability within these regions. The study analyzes their strategic interests and objectives, alongside the potential threats and risks that may emerge in the process. Special attention is devoted to the political, military-strategic, and economic agendas of non-regional actors, whose involvement exerts a considerable influence on the security environment and long-term stability of the South Caucasus and Black Sea Basin states.

A significant part of the topic involves the study and analysis of activities oriented toward future outcomes, which helps to identify and distinguish concrete and important developments in relation to other parallel processes. The discussion pays particular attention to the region’s persistently turbulent environment, shaped by the overlapping or intersecting interests of various external actors, military conflicts, newly established economic zones, states’ political aspirations, strategically significant transport routes, and energy transit corridors.

Due to the region’s strategic location—offering short, convenient, stable, and reliable transport and communication routes for transferring energy resources from Central Asia toward Europe—the principal challenge lies in strengthening the security sector of the regional states and providing them with strategic support. This is of critical importance for enhancing and sustaining their capacity to act effectively.

The paper’s originality lies in highlighting, for the first time, the South Caucasus and Black Sea region not only in geopolitical terms but primarily through its geostrategic and military-strategic significance. This approach is essential for assessing the region’s operational-strategic role and for analyzing military operations within a broader security context. Its uniqueness is further underscored by the inclusion of an analysis of recent armed conflicts.

In the concluding part of the paper, we have examined the objectives of countries interested in the region’s growing potential, along with the investments mobilized for large-scale infrastructure projects and the security sector. The analysis clearly highlights the trends of increasing strategic support for the region and the strengthening of its capacities—military, military-political, economic, and financial—benefiting all actors involved in the ongoing processes. Ultimately, this dynamic is expected to create unprecedented security guarantees for certain states of the Black Sea Basin.

Keywords: security, stability, strategic support, South Caucasus, Black Sea Basin, threats, international organizations, military strategy.

⁴Doctoral Student, PhD Program in Political Science, Faculty of Social Sciences, Caucasus International University

⁵ Professor, Faculty of Social Sciences, Caucasus International University Doctor of Political Science

⁶ Defense Attaché to the Republics of Hungary and Croatia

შესავალი

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან და მსოფლიოში ბუნებრივ რესურსებზე გაზრდილ მოთხოვნილებებთან ერთად მნიშვნელოვნად დაჩქარდა მათი მოპოვების ტემპები, რამაც წარმოქმნა მოპოვებული ენერგო რესურსების მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში, უმოკლეს დროში და ხელსაყრელი პირობებით მიწოდების საჭიროება. გამომდინარე აქედან აქტუალურ საკითხად რჩება უკვე არსებული სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ხაზების მოდერნიზაციისა და ალტერნატიული საკომუნიკაციო დერეფნების მოძიების პროცესი. აზია-ევროპის ერთმანეთთან დაკავშირების ყველაზე აქტიური ფაზის დასაწყისად, შესაძლოა, ვივარაუდოთ პოსტსაბჭოური სივრცის რღვევის შემდგომი პერიოდი, რამაც დასავლური ქვეყნებისთვის ათწლეულების მანძილზე დახურული სივრცეები და მიუწვდომელ ქვეყნებზე წვდომის შესაძლებლობები გახსნა. ეკონომიკური სივრცეები, ბუნებრივი რესურსების თავმოყრის ინფრასტრუქტურული და საკომუნიკაციო ხაზების პროექტები, განუსაზღვრელი რაოდენობის ინვესტიციები, უსაფრთხოების სექტორის გაძლიერება და ამ სფეროში მჭიდრო თანამშრომლობა, სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ხელშეწყობა, ეკონომიკური განვითარება და სოციალური სტაბილურობა წარმოადგენენ მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებსაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პერსპექტიული მიმართულებების განსავითარებლად, შემდგომში გარკვეულ გეოგრაფიულ სივრცეებში არსებულ სახელმწიფოებთან მჭიდრო თანამშრომლობისთვის მყარი საფუძვლის შესაქმნელად.

ცალკეულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები ან საერთაშორისო ორგანიზაციების დაინტერესება ორგანიზაციის არაწევრ სახელმწიფოების მიმართ, რათქმუნდა განპირობებულია გარკვეული სარგებლის მიღების ინტერესით, რომელიც უდავოდ ორმხრივი უნდა იყოს, რადგან ინტერესების ცალმხრივად წაყენება და მათი გატარება უახლოეს დროში გამოიწვევს მასპინძელი ქვეყნის საზოგადოებრივ უკმაყოფილებას ყველა დონეზე, საბოლოოდ ურთიერთობების გაუარესებით, გაწყვეტით და სანდოობის მნიშვნელოვნად შემცირებით. ინტერესები შესაძლოა მრავალფეროვანი იყოს რაც, რათქმუნდა განპირობებულია ამა თუ იმ სახელმწიფოს

გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, რომელიც განსაზღვრავს ადგილმდებარეობის სტრატეგიულ ჩარჩოს და ანიჭებს მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას. პოლიტიკური, სამხედრო, სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო-ეკონომიკური, სოციალური, კულტურული მიმართულებები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის თვალსაზრისით, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სახის სისტემატიზირებული ღონისძიებების პროცესს.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ამგვარ ურთიერთობებში სარგებელი ორივე მხარეს აქვს. მაგალითად, ერთი მხრივ დაინტერესებულ მხარეს დასახული მიზნების განხორციელება (ენერგო რესურსების მიღება, ჩადებული ინვესტიციების უსაფრთხოება, შესასრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის სტაბილური გარემოს უზრუნველყოფა) და მეორე მხრივ, მასპინძელი ქვეყნის განვითარება (სამუშაო ადგილები, უსაფრთხოების სექტორის გაძლიერება, ინვესტიციები, საგანმანათლებლო პროგრამები, სხვადასხვა დარგობრივ მიმართულებებში სიახლეების დანერგვის პერსპექტივები, მუდმივი ფინანსური ნაკადები, ქვეყნის უსაფრთხოებისა და დაცულობის დონის ამაღლება და. ა.შ).

ცალკეულ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობას უამრავი დადებითი მხარე აქვს, თუმცა არსებობს უარყოფითი ასპექტებიც, რაც გულისხმობს ამა თუ იმ რეგიონის სხვა აქტორების დამოკიდებულებას ამგვარი კავშირებისადმი, რომლებიც შესაძლოა არ იზიარებდნენ რეგიონში სხვა უცხო ძალის დასწრებას, რადგან ამან შესაძლოა მათი ინტერესები დააზიანოს ან შექმნას გარკვეული წინაღობები მათი განხორციელებისათვის.

სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის აუზის რეგიონების სტრატეგიული დანიშნულების განხილვისას მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს მის გეოგრაფიულ მდებარეობაზე და აქედან გამომდინარე რეგიონში მოთამაშე ყველა აქტორებზე, რომლებიც სრულად თუ ნაწილობრივ ახდენენ ზეგავლენას არსებული ქვეყნების პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ პროცესებზე, ასევე თითოეული ქვეყნის

საჭიროებებზე, ამბიციებსა თუ სამომავლო გეგმებზე, რაც იძლევა რეალური სურათის გამოკვეთისა და ანალიზის საშუალებას.

სტრატეგიული მდებარეობა, ამ მდებარეობით დაინტერესებულ სახელმწიფოთა ინტერესების გადაკვეთის წერტილია, სადაც მნიშვნელოვანია მეგობრული და დაბალანსებული ურთიერთობების ჩამოყალიბება, ასევე კარგად გაანალიზებული და შორს გამიზნული გეგმების ფორმულირება, სადაც ყველა მხარეს ექნება სარგებლის თანაბრად მიღების საშუალება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უსაფრთხოების, დაცულობისა და ხანგრძლივი სტაბილურობის ფაქტორი, რადგან ინვესტირება ასეთ პირობებში უფრო მიმზიდველია და ხელსაყრელი. ხანგრძლივად სტაბილური გარემოს შექმნისა და ორგანიზებისთვის აუცილებელია ერთობლივი ძალისხმევის მიმართვა ერთიანი უსაფრთხოების სექტორის ჩამოყალიბებისა და მისი მოდერნიზაციისთვის, რამაც მომავალში უნდა შექმნას უსაფრთხოების მყარი გარანტიები განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შეუფერხებლად ფუნქციონირებისა და ხანგრძლივი დროით სტაბილური გარემოს შენარჩუნების მიზნით, რეგიონის არა მხოლოდ ცალკეულ ქვეყნებში, არამედ მთელ რეგიონში.

ყოველივე ზემოთ განხილული ცხადყოფს, რომ მსოფლიოს განვითარებული და ინდუსტრიული სახელმწიფოების მიერ ამა თუ იმ რეგიონით დაინტერესება მიმართულია შედეგობრივ მიზნებზე, რომლებიც ითვალისწინებს არა მხოლოდ ფინანსურ სარგებელს, არამედ გავლენების გაფართოვებას პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო მიმართულებებით. გავლენების გაფართოვების თანმდევა კონკრეტულ გეოგრაფიულ ტერიტორიებზე პროგრესული პროცესების ხელშეწყობა სხვადასხვა დარგობრივ მიმართულებებზე, თუმცა ამგვარი პროგრესული პროცესები შესაძლოა რეგიონით დაინტერესებული სხვა სახელმწიფოების გაღიზიანების მიზეზიც გახდეს, წარმოშვას სხვადასხვა სახის რისკის ფაქტორები, შექმნას ხანგრძლივი დაძაბულობის კერები და ხელი შეუწყოს შეიარაღებული დაპირის-პირების გაღვივებას.

ძირითადი ნაწილი

პოსტ-საბჭოური სივრცის რღვევის შემდგომ სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზის გარკვეული ქვეყნების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ცხოვრებაში რადიკალური ცვლილებების ხანა დაიწყო, რამაც სუვერენული სახელმწიფოების დამოუკიდებლად არსებობისა და განვითარების აუცილებლობა განაპირობა. არსებობასა და განვითარებაში საბჭოური წყობიდან სხვა პოლიტიკურ წყობაზე გადასვლა იგულისხმება, ეკონომიკის ნულოვანი საწყისებიდან შექმნის ურთულესი პროცესების გავლა, სახელმწიფოებრივი თავდაცვისა და უსაფრთხოების ხელახალი და მრავალმხრივი სტანდარტების შემუშავების პროცედურები, საგარეო პოლიტიკის რადიკალურად განსხვავებულ ჭრილში წარმოების სპეციფიკური მიმართულებები. მოულოდნელმა გარდატეხებმა და ამ გარდატეხების მიმართ მოუმზადებელმა სახელმწიფოებმა ეკონომიკური კოლაფსის, სამოქალაქო ომების და სახელმწიფოთა შორის შეიარაღებული კონფლიქტების სახით მემკვიდრეობაში თითქმის განადგურებული ქვეყნები მიიღეს, რამაც უფრო დაამძიმა მათი ისედაც ყოველ მხრივ კრიზისული მდგომარეობა. ამგვარი ვითარება, რა თქმა უნდა არც განვითარებული დასავლური ქვეყნებისთვის აღმოჩნდა სახარბიელო, რადგან ყოველივე ამან წარმოშვა დიდი მიგრაციული ნაკადები, ჰუმანიტარული მისიების საჭიროებები და კრიმინალის ზრდის ტენდენციები. აღნიშნულ ნეგატიურ პროცესებთან გასა-მკლავებლად საჭირო გახდა დიდი მოცულობის ფინანსური ნაკადების გამო-თავისუფლება, შექმნილი ვითარების დასტაბილურებისათვის, კერძოდ საომარი მოქმედებების ლოკალიზების, ეკონომიკური კოლაფსის განეიტრალებისა და პოლიტიკური კრიზისის აღმოფხვრის მიმართულებით.

ყოველივე ზემოთ აღწერილმა, არც თუ ისე შორეულ წარსულში განვითარებულმა მოვლენებმა დასავლური ქვეყნების და საერთაშორისო ორგანიზაციების დიდი ყურადღება მიიპყრო, რამაც განაპირობა სხვადასხვა შედეგებზე ორიენტირებული დასავლური ინტერესების ფორმირების პროცესი. ეს პროცესები მიმართული იყო სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის, უსაფრთ-

ხოების სექტორის შექმნისა და თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისათვის, ეკონომიკური პროგრესის ხელშეწყობისა და სტაბილური გარემოს უზრუნველ-ყოფისათვის.

შავი ზღვის აუზის და სამხრეთ კავკასიის რეგიონი წარმოადგენს მნიშვნელოვან გეოსტრატეგიულ სივრცეს, სადაც ხდება რუსეთის ფედერაციისა და დასავლური ცივილიზაციის ინტერესთა გადაკვეთები, რადგან რეგიონი წარმოადგენს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ დერეფანს. დასავლური საერთაშორისო ორგანიზაციები-სა და მათ შორის ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის მიერ, აღნიშნული რეგიონი განიხილება ენერგორესურსების ალტერნატიულ სატრანზიტო მარშრუტად პოლიტიკურად არასტაბილური რუსეთის ფედერაციის გვერდის ავლით, რომელიც მუდმივად მანიპულირებს ენერგო რესურსების მიწოდების საკითხით ევროპასთან მიმართებაში. თუმცა, რეგიონი მხოლოდ ენერგორესურსების სატრანზიტო მარშრუტების გამო არ არის საინტერესო, რადგან ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას, ასევე წარმოადგენს ალიანსის საზღვრების გაფართოვება და რუსეთის პოლიტიკური თუ სამხედრო დასწრების/გავლენის შემცირება. გამომდინარე აქედან, ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის და მისი პარტნიორი ქვეყნების ძალისხმევა მიმართულია სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის რეგიონში სტაბილური გარემოს უზრუნველყოფასა და რუსეთის ფედერაციის მზარდი გავლენების დაბალანსებაზე.

ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის აქტიური ჩართულობა სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის აუზის რეგიონში გავლენების გაფართოვების მიზნით 1992 წლიდან იღებს სათავეს, რაც ითვალისწინებს პოსტსაბჭოთა სივრცის ტრანსფორმაციას და რუსეთის ფედერაციის გეოპოლიტიკურ წინააღმდეგობების დამღევას. აღნიშნულის განხორციელება კი რეგიონში საიმედო მოკავშირეების გარეშე შეუძლებელია, რომელიც ამ შემთხვევაში წარმოადგენილია უკრაინის, საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის სახით, რომლებიც 1994 წლიდან არიან ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ინიციატივის „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ წევრები. ჩამოთვლილი ქვეყნები წარმოადგენენ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის პარტნიორ სახელმ-წიფოებს, რომლებსაც გააჩნიათ გარკვეული საერთო და კერძო ინტერესები და პოსტსაბჭოური

სივრციდან გამოსვლის შემდეგ თავისი სახელმწიფოებრივი განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად დაისახეს პროდასავლური ორიენტაცია.

ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის და მისი პარტნიორი ქვეყნების ინტერესები და ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში მიღწეული შედეგები პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო სფეროებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათი ურთიერთობების გაღრმავებაში და სამომავლოდ თანამშრომლობის უფრო მაღალ დონეზე გადასვლის თვალსაზრისით. ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად მნიშვნელოვანია შავი ზღვის აუზის და სამხრეთ კავკასიის რეგიონში სახელმწიფოთა შორის განვითარებული კონკრეტული მაგალითების განხილვა, რომლებიც მიმართულია რეგიონის როგორც ეკონომიკური განვითარების, ასევე მისი სამხედრო პოტენციალის ამაღლებისკენ.

თურქეთის რესპუბლიკის, როგორც ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნის და აზერბაიჯანის რესპუბლიკის, როგორც პარტნიორი ქვეყნის ალიანსი - მნიშვნელოვანი მოვლენაა სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რადგან ის მოიცავს არა მხოლოდ სამხედრო თანამშრომლობას, არამედ ეკონომიკური განვითარების საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს და რჩება განვითარების პერსპექტიულ მიმართულებად. მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობები სათავეს იღებს 1992 წლიდან და დღემდე შენარჩუნებულია, რა პერიოდშიც განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ენერგეტიკული პროექტი⁷, როგორებიცაა:

- **ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი**, რომელიც თურქეთ-აზერბაიჯანის ერთერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პროექტია. ის ითვალისწინებს რუსეთის ფედერაციის გვერდის ავლით ნავთობის ტრანსპორტირებას მსოფლიო ბაზარზე, რომელშიც საქართველოს აქვს სატრანზიტო ქვეყნის ფუნქცია;
- **შაჰდენიზის, იგივე ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი** ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია, რომლის მიზანიც საქართველოს და თურქეთის ბუნებრივი აირით მომარაგებაა, ასევე ეს პროექტი არის ალტერნატიული გზა

⁷ მ. კომახია, „სამხრეთ კავკასიის ენერგო დერეფანი“, თბ., 2024. გვ. 19-31. <https://shorturl.at/Wddaz>

რუსეთის ფედერაციიდან მიღებულ აირზე სრულად დამოკიდებულების შემცირება;

- **TANAP-ი, იგივე ტრანს-ანატოლიური მილსადენი**, რომელიც აზერბაიჯანიდან საქართველოს და თურქეთის გავლით გადის საბერძნეთამდე და გრძელდება საბერძნეთის, ალბანეთის და იტალიის ტერიტორიებზე. აღნიშნული მილსადენი სამი ნაწილისგან შედგება: პირველი ნაწილი მოიცავს აზერბაიჯანის და საქართველოს ტერიტორიებს, სახელწოდებით „სამხრეთ კავკასიის გაზსადენი“ (SCP), მეორე ნაწილი - თურქეთის ტერიტორიას სახელწოდებით „ტრანსანატო-ლიური გაზსადენი“ (TANAP), ხოლო მესამე ნაწილი - საბერძნეთის, ალბანეთის და იტალიის ტერიტორიებს სახელწოდებით „ტრანს-ადრეატიკული გაზსადენი“ (TAP). მისი პირდაპირი დანიშნულებაა საწყის ეტაპზე რუსეთის ფედერაციაზე ევროპის ბუნებრივი აირით დამოკიდებულების მაქსიმალურად შემცირება და მომავალში სრულად გამორიცხვა;
- **ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი** წარმოადგენს რეგიონალური მნიშვნელობის საკომუნიკაციო ხაზს, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრ თურქეთს ალიანსის პარტნიორ საქართველოსთან და აზერბაიჯანთან. აღნიშნული პროექტი დამატებით სატრანზიტო ფუნქციას აძლევს საქართველოს და წარმოადგენს ალტერნატიულ სატრანსპორტო-საკომუნიკაციო მარშრუტს აზიასა და ევროპას შორის, რომელსაც აქვს სტრატეგიული დანიშნულება ირანის და რუსეთის სარკინიგზო მარშრუტებზე დამოკიდებულების შემცირების თვალსაზრისით.

თურქეთის და აზერბაიჯანის ურთიერთობები, როგორც ზემოთ ავღნიშნე, არ შემოიფარგლება მხოლოდ ჩამოთვლილი ეკონომიკური პროექტებით, მათ მჭიდრო და ეფექტური თანამშრომლობა აქვთ სმხედრო სფეროში, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1992 წელს ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრ ქვეყნებთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ. 2020 წელს აზერბაიჯანის გამარჯვების შემდეგ ყარაბაღის მეორე ომში გაფორმდა „შუშას დეკლარაცია“ თურქეთთან სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ, რომელიც მოიცავს ერთობლივ თავდაცვით ვალდებულებებს,

საერთო სამხედრო წვრთნებს და სწავლებებს, საჭირო შეიარაღების წარმოებას და გადაცემას, ტექნოლოგიურ თანამშრომლობას. დეკლარაციის მიხედვით თურქეთი და აზერბაიჯანი ატარებს საჰაერო, სახმელეთო, საარტილერიო დანაყოფების კომპლექსურ საველე სწავლებებს, ასევე სპეციალური დანიშნულების დანაყოფების და სამთო მომზადების სპეციფიურ წვრთნებს. ყოველივე ეს მიუთითებს თურქეთის სახით ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის სამხრეთ კავკასიაში და შავი ზღვის აუზში გავლენების გაფართოვების წარმატებულ მცდელობებს, რაც გარკვეულწილად რუსეთის ფედერაციისა და ირანის გავლენების შემცირებაზე მეტყველებს, როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური, ასევე სამხედრო თვალსაზრისით.

ზემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკური პროექტების რეალიზება და მათი ამოქმედება განხორციელდა სომხეთის რესპუბლიკის გვერდის ავლით, რაც გამოწვეული იყო აზერბაიჯანის/თურქეთის და სომხეთს შორის ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული არაკეთილმეზობლური ურთიერთობების საფუძველზე, თუმცა ყარაბაღის მეორე ომის დასრულების შემდეგ, სომხეთის პოლიტიკური კურსის პროდასავლური მიმართულებით შეცვლისას, წინა პლანზე წამოიწია „შუა დერეფნის“ ალტერნატიულმა ვარიანტმა, რომელიც „ზანგეზურის დერეფნის“ სახელითაა ცნობილი. „ზანგეზურის დერეფანი“⁸ მისი ამოქმედების შემთხვევაში ერთი მხრივ აზერბაიჯანს დააკავშირებს ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკასთან და პირდაპირ წვდომას მისცემს თურქეთის რესპუბლიკასთან, ხოლო მეორე მხრივ თურქეთის რესპუბლიკას შესაძლებლობას მისცემს შუა აზიის ქვეყნებთან წვდომაზე, „თურქულ სახელმწიფოთა ორგანიზაციის“ კონტექსტში. აღნიშნული დერეფნის ექსპლუატაციაში შესვლა დიდ ეკონომიკურ განვითარებას მოუტანს სომხეთის რესპუბლიკასაც, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ეკონომიკურ იზოლაციაში იმყოფებოდა აზერბაიჯანთან და თურქეთთან დამაბული ურთიერთობების შედეგად. მისი ეკონომიკის დიდი ნაწილი მიბმულია რუსეთის ფედერაციაზე, ამიტომ „ზანგეზურის

⁸ პერტაია ლ., „ირანი და რუსეთი სომხეთ-აზერბაიჯანის ზანგეზურის დერეფანზე ვერ თანხმდებიან“ თბ., 2024.
<https://surl.li/njujmb>
ს. მეგრელიშვილი, ნ. ძანაძე, „ზანგეზურის დერეფანი და გრძელვადიანი მშვიდობის პერსპექტივები“, თბ., 2023.
<https://shorturl.at/ILS20>

დერეფნის“ სახით მას პირდაპირ ეხსნება გზა ევროპის მიმართულებით და ხდება სატრანზიტო ქვეყანა, რამაც შესაძლოა დააბალანსოს მისი ეკონომიკური მდგომარეობა რუსეთის ფედერაციასთან სავაჭრო ურთიერთობების ნაწილობრივ ან სრულად გაწყვეტის შემთხვევაში.

აღნიშნული დერეფნის ამოქმედება ჯერ კიდევ აქტუალური განხილვის საგანია, რადგან ამგვარი მკვეთრი გეოპოლიტიკური ცვლილების მოვლენას გააჩნია მოწინააღმდეგეებიც და მომხრეებიც. განსაკუთრებით აქტუალურია აღნიშნულ საკითხში აშშ-ის მედიატორის ფუნქცია აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის სამშვიდობო შეთანხმებაზე და სახელმწიფო საზღვრების გახსნაზე, რასაც ირანის ისლამური რესპუბლიკა აღიქვამს, როგორც არარეგიონალური მესამე ძალის მოახლოებას და მის შესაძლო სამხედრო დასწრებას მოცემულ რეგიონში ირანის საზღვართან. ბოლო ათწლეულში ირანის ისლამურ რესპუბლიკას და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის განვითარებული ნეგატიური მოვლენების, ასევე თურქეთ-ირანის არც თუ ისე სახარბიელო ურთიერთობების ფონზე, „ზანგეზურის დერეფნის“ გახსნა მოაზრებულია სამხედრო-გეოსტრატეგიულ გზათ ირანის მხრიდან. აღნიშნული დერეფნის ამოქმედება ნიშნავს თურქეთის, იგივე ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის გავლენების ზრდას ირანის საზღვართან, სომხეთის სახით მოკავშირის დაკარგვას, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ირანის ეკონომიკური იზოლაციის გაძლიერებას და შესაძლო სამხედრო დასწრებას. მნიშვნელოვან გამოწვევას ირანისთვის, ასევე წარმოადგენს მოკავშირე სომხეთის რესპუბლიკის პარტნიორობის გაღრმავება პოლიტიკურ და სამხედრო სფეროებში ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსთან. ასეთმა მიდგომებმა შესაძლოა დააზიანოს ან ჩიხში შეიყვანოს სომხეთ-ირანის ურთიერთობები ყველა მიმართულებით.

„ზანგეზურის დერეფნის“ პროექტის განხორციელება და მისი ექსპლუატაციაში მიღება, ერთგვარ ეკონომიკურ დილემათ არის მიჩნეული ქართველი ანალიტიკოსების და პოლიტოლოგების მიერ, რადგან დერეფანი შესაძლოა ახალი გეოსტრატეგიული გადანაწილებისა და ეკონომიკური ცვლილებების საგანი გახდეს. აქ ყურადღება

გასამახვილებელია „შუა დერეფნის“ ტვირთგამტარიანობის შესაძლო კლებაზე და „ზანგეზურის დერეფანზე“, როგორც მის ალტერნატიულ ვარიანტზე.

შავი ზღვის აუზის და სამხრეთ კავკასიის რეგიონი ამბიციური გეგმების მქონე დიდი სახელმწიფოების ინტერესების გადაკვეთის გეოსტრატეგიულ სივრცედ იქცა, სადაც ყველა ცდილობს საკუთარი ინტერესების გატარებას და გავლენების არა მხოლოდ შენარჩუნებას, არამედ მათ გაზრდას. სამეზობლო ველში და მის გარეთ მოქმედი მნიშვნელოვანი აქტიორების რიცხვს მიეკუთვნება რუსეთის ფედერაცია და ირანის ისლამური რესპუბლიკა, რომელთა გავლენები ბოლო ათწლეულის განმავლობაში მითითებულ რეგიონში მნიშვნელოვნად შემცირდა და დღესაც მიმდინარე პროცესშია. მათ საზღვრებთან დასავლური საერთაშორისო და უსაფრთ-ხოების კოლექტიური ორგანიზაციების გამოჩენამ მნიშვნელოვნად შეცვალა მათი მზარდი გავლენების დინამიკა დაღმავლობისკენ. დასავლური საერთაშორისო ორგანიზაციების ინტერესების და დიდი რაოდენობის ინვესტიციების შემოღებამ სამხრეთ კავკასიაში და შავი ზღვის აუზის ხელმისაწვდომ ქვეყნებში დიდი გავლენა იქონია რუსეთის ფედერაციისა და ირანის ისლამური რესპუბლიკის გავლენების შეკავების თვალსაზრისით.

ირანის გავლენების შემცირება სამხრეთ კავკასიაში და შავი ზღვის რეგიონში გამოიხატება უახლოეს წარსულში სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებს შორის, ამერიკის შეერთებული შტატების შუამავლობით სამშვიდობო შეთანხმების ინიცირებით. მნიშვნელოვან კომპონენტს აღნიშნულ სამშვიდობო პროცესში ასევე წარმოადგენს აზერბაიჯანის მიერ თავის იურისდიქციაში მოქცეული ყარაბაღის ტერიტორიის სამხრეთ ირანის საზღვარზე კონტროლის დამყარება, რაც ნიშნავს ირანისთვის არამეგობრული ქვეყნის მხრიდან ჩრდილო-დასავლეთ მიმართულებაზე საზღვრის გარკვეულ მონაკვეთზე დამატებითი კონტროლის ბერკეტების ამოქმედებას, ასევე აზერბაიჯანის ტერიტორიის ნახიჩევანთან დამაკავშირებელი „ზანგეზურის დერეფნის“ შესაძლო ექსპლუატაციაში შესვლის დიდი ალბათობა ირანთან მოსაზღვრე სომხეთის რესპუბლიკის მთელ სასაზღვრო მონაკვეთზე. აზერბაიჯანთან

ირანის დაპირისპირების⁹ ათვლის წერტილია 2016 წელი, როდესაც ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ მეთანიაჰუ ვიზიტით ეწვია აზერბაიჯანს, სადაც საფუძველი ჩაეყარა ორ სახელმწიფოს შორის სტრატეგიულ თანამშრომლობას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო სფეროებში. აღნიშნული კი ირანის ისლამისტური რესპუბლიკისთვის, მის საზღვართან სიონისტური ქვეყნის სტრატეგიული მოკავშირე აზერბაიჯანი საფრთხის შემცველი გახდა.

დიდ გამოწვევას და სამხრეთ კავკასიაში გავლენების შემცირებას ირანისთვის, ასევე წარმოადგენს რუსეთის მჭიდრო მოკავშირე სომხეთის მკვეთრად პროდასავლური ორიენტაცია და „ზანგეზურის დერეფნის“ მოდერნიზაციაში არარეგიონალური აქტორის ამერიკის შეერთებული შტატების ჩართვა, რაც ირანი-აშშ-ის¹⁰ მიმდინარე დამაბული ურთიერთობების ფონზე წარმოადგენს მზარდი საფრთხის კიდევ ერთ კერას ირანის ისლამური რესპუბლიკისთვის. ამერიკის შეერთებული შტატების მხოლოდ დასწრება აღნიშნულ რეგიონში არ არის ერთადერთი საფრთხე, რადგან „ზანგეზურის დერეფნის“ გახსნით, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობის წილი დიდია, ირანისთვის მოხდება სომხეთის გავლით საქართველოზე და შემდგომ რუსეთზე გასასვლელი სახმელეთო მარშრუტის ბლოკირება, რაც დასავლეთის ეკონომიკური სანქციებით ისედაც შეზღუდულ ირანს უზრდის იზოლირების პერსპექტივას მოკავშირე რუსეთის ფედერაციასთან.

სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვის აუზის რეგიონის ერთერთ მნიშვნელოვან მოთამაშეს წარმოადგენს რუსეთის ფედერაცია¹¹, რომელმაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული ქვეყნების უკრაინის, საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის პოლიტიკურ ცხოვრებაში ნეგატიური როლი ითამაშა, რამაც მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო გავლენების მნიშვნელოვნად შემცირება გამოიწვია. რუსეთის ფედერაციის ხისტმა პოლიტიკამ და იმპერიალისტურმა ზრახვებმა კავკასიის და შავი ზღვის რეგიონზე ტოტალური

⁹ გ.წიქარიშვილი, „ირანის ალყასი მოქცევის შიში - დამაბულობა თეირანსა და ბაქოს შორის“, 2021. <https://surl.li/baxncl>

¹⁰ Л.Раванди-Фадаи, „От угрозы войны к переговорам“, 2025. <https://surl.li/zdtdea>

¹¹ მ.მანჩხაშვილი, „რუსეთი და სამხრეთ კავკასია“, თბ., 2019. გვ. 73-88. <https://surl.li/igdkgm>

კონტროლის დაბრუნების მიზნით, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცეში დასავლეთის გავლენების შეკავებაზე იყო ორიენტირებული შესაბამისი შედეგები გამოიღო, რაც მდგომარეობს:

საქართველოში რუსეთის მიერ პროვოცირებული შეიარაღებული კონფლიქტები:

- ✓ 1991-1993 წლები ეროვნული ხელისუფლების ძალისმიერი შეცვლა და სამოქალაქო ომი;
- ✓ 1992-1993 წლები აფხაზეთის და 1991-1992 წლები სამაჩაბლოს რეგიონებში შეიარაღებული კონფლიქტები¹² რუსეთის მიერ წაქეზებული სეპარატისტულ ძალებთან და საბოლოოდ ორივე რეგიონის ოკუპაცია;
- ✓ 2004 წლის სამაჩაბლოს რეგიონის ხანმოკლე შეიარაღებული კონფლიქტი;
- ✓ 2008 წლის რუსეთ საქართველოს შეიარაღებული დაპირისპირება.

აზერბაიჯანის და სომხეთის რესპუბლიკებს შორის შეიარაღებული კონფლიქტები:

- ✓ 1992-1994 წლები ყარაბაღის პირველი შეიარაღებული დაპირისპირება;¹³
- ✓ 2020 წლის ყარაბაღის მეორე ფართომასშტაბიანი შეიარაღებული დაპირისპირება¹⁴ და რუსეთის პასიური პოზიცია მოკავშირე სომხეთთან მიმართებაში¹⁵.

უკრაინაში რუსეთის მიერ წარმოებული სამხედრო კამპანიები:¹⁶

- ✓ 2014 წლის შეიარაღებული კონფლიქტი რუსეთის ფედერაციას და უკრაინას შორის, რომლის დროსაც მოხდა ყირიმის ნახევარკუნძულის, ლუგანსკის და დონეცკის ოლქების ოკუპაცია;
- ✓ 2022 წლის რუსეთის ფედერაციის „სპეციალური სამხედრო ოპერაცია“, რომელიც გადაიზარდა ხანგრძლივ საომარ მოქმედებებში და მიმდინარეობს დღემდე.

¹² დ.პიპინაშვილი, „სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონალური სტაბილურობის პრობლემები“, თბ., 2009. გვ. 85-161. <https://surl.li/hmcaxt>

¹³ ი.გურგენაშვილი, „ყარაბაღის კონფლიქტის ანატომია“, თბ., 2020. <https://shorturl.at/ezua0>

¹⁴ დ.ბატაშვილი, „ყარაბაღის მეორე ომის მყისიერი გეოპოლიტიკური შედეგები“, თბ., 2020. <https://shorturl.at/xopy1>

¹⁵ ზ.კობახიძე, „ყარაბაღის კონფლიქტი: წარსული, აწმყო, მომავალი“, თბ., 2020. <https://shorturl.at/W9IQI>

¹⁶ გ.ანთაძე, „რუსეთ-უკრაინის ომი გეოპოლიტიკური თეორიების პრიზმაში“, თბ., 2023. <https://surl.li/rpbvfv>
გ.ანთაძე, ყარაღაშვილი გ., „რუსეთ-უკრაინის ომის სამხედრო-პოლიტიკური ასპექტები და საომარი მოქმედებების შესაძლო განვითარების სცენარები“, თბ., 2023. <https://shorturl.at/AWRMD>

ზემოთ ჩამოთვლილი კონფლიქტები პირდაპირ კავშირშია სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვის აუზის რეგიონში არასტაბილური, დასავლეთისთვის არამიმზიდველი გარემოს შესაქმნელად, ეკონომიკური სტაბილურობის და განვითარების პროცესების შესაჩერებლად, ასევე კოლექტიური უსაფრთხოების საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენების გაფართოებისთვის ხელის შესაშლელად. ამგვარმა დამოკიდებულებამ პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნებთან მნიშვნელოვნად დააზიანა დიპლომატიური და კეთილმეზობლური ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან, რამაც გამოიწვია რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო თუ საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროებში გავლენების მკვეთრი შემცირება და სანდოობის ხარისხის ვარდნა. აღნიშნულზე მეტყველებს რუსეთის ფედერაციის დასწრების მინიმალური ზღვარი სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რადგან ერთადერთი დასაყრდენი პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით რჩება სომხეთის რესპუბლიკა და მის ტერიტორიაზე განლაგებული გიუმრის 102-ე სამხედრო ბაზა, რომლის არსებობაც სომხეთის რესპუბლიკის მიერ ყარაბაღის მეორე ომის და პოლიტიკური ორიენტაციის რადიკალური ცვლილებების შემდეგ კითხვით ნიშნის ქვეშ დგას.

სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვის აუზის რეგიონის გეოსტრატეგიული ადგილმდებარეობით დაინტერესების ერთერთ მნიშვნელოვან არარეგიონალურ აქტორს **ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა წარმოადგენს**¹⁷. ჩინეთის მიერ ინიცირებული და უკვე განხორციელების პროცესში არსებული „ერთი გზის - ერთი სარტყელი“¹⁸, წარმოადგენს მნიშვნელოვან ეკონომიკურ პროექტს, რომლის ერთერთი ნაწილია ბაქო - თბილისი - ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი, ასევე განხორციელების პროცესში არსებული ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა. აღნიშნულმა პროექტებმა, შესაძლოა სამხრეთ კავკასია და შავი ზღვის აუზის რეგიონი აქციოს ჩინეთის და ევროპის ლოჯისტიკურ ჰაზად, თუმცა ამერიკის შეერთებული შტატების და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ბოლო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა, ძირითადად ეკონომიკურ და სავაჭრო ურთიერთობების ჭრილში, შესაძლოა უარ-

¹⁷ მ. უკლეზა, ციხელაშვილი მ., „სამხრეთ კავკასია- ჩინეთის ურთიერთობები ეკონომიკური განვითარების ჭრილში“, თბ., 2023. <https://shorturl.at/MG0oJ>

¹⁸ გ. პაპავა, „ერთი სარტყელი ერთი გზის ინიციატივა“ და საქართველო“, თბ., 2017. <https://surl.li/uxjavg>

ყოფითი ზეგავლენა მოახდინოს აღნიშნულ პროექტში გათვალისწინებული დერეფნების სრულყოფილად განხორციელების საკითხზე.

ზემოთ ჩამოთვლილი და განხილული სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვის აუზის რეგიონის ქვეყნების, დასავლეთის საერთაშორისო ორგანიზაციების და ალიანსების, ასევე ცალკეული არარეგიონალური და რეგიონალური აქტორების, რეგიონით დიდი დაინტერესების და ინტერესთა შეჯახებების ფონზე, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დაინტერესების გეოსტრატეგიულ სივრცეს¹⁹ წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკა²⁰, რომელსაც აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა აქვს. საქართველოს ინტერესები მიმართულია ქვეყანაში ხანგრძლივი სტაბილური ვითარების შენარჩუნებისკენ, შუა დერეფნის გამართულად ფუნქციონირებისათვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად, ასევე სატრანზიტო ფუნქციების გასაზრდელად, ეკონომიკური განვითარების და ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით.

თურქეთთან და აზერბაიჯანთან ორმხრივმა მჭიდრო პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სამხედრო თანამშრომლობამ, საქართველოს გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე მნიშვნელოვან ეკონომიკური პროექტების განხორციელებას ჩაუყარა საფუძველი, როგორებიც არის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, შაჰდენიზის, იგივე ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი, ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი. აღნიშნული, უკვე განხორციელებული პროექტების ფუნქციონირება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ეკონომიკური განვითარებისთვის, არამედ ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის არაკეთილმოსურნე რეგიონალური აქტორების მხრიდან შესაძლო ფარული ან ღია აგრესიისგან თავის დასაცავად, რადგან ზემოთ ჩამოთვლილი პროექტების უსაფრთხოდ ფუნქციონირება დასავლური საერთაშორისო და კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციების პირდაპირ ინტერესს წარმოადგენს. საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ ენერგორესურსების გამტარი შუა დერეფნის უსაფრთხოება მნიშვნელოვანი გამოწვევა არის

¹⁹ G.Markhulia, „West or East - Georgia's Geopolitical Trajectory“, 2024. <https://shorturl.at/giCzc>

²⁰ ნ.ჩიტაძე, „გეოპოლიტიკა“, თბ., 2011. თავი X, გვ., 295-309., გვ., 332-337. <https://shorturl.at/32Br1>

დასავლეთის ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებისთვის, რამაც განაპირობა ქვეყნის უსაფრთხოების სექტორის²¹ განვითარებისთვის დიდი ინვესტიციების შემოღება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით მრავალეროვნული სამხედრო სწავლებები, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის²² ეგიდით ტარდება საქართველოში, როგორც არის:

- მრავალეროვნული სამხედრო სწავლება „Agile Spirit“, რომელიც 2011 წლიდან ყოველწლიურად ტარდება და მასში მონაწილეობას იღებს ჯარების ყველა სახეობის ქვედანაყოფები;
- მრავალეროვნული სამხედრო სწავლება „Noble Partner“, რომელიც 2015 წლიდან ყოველწლიურად ტარდება და მასში მონაწილეობას იღებს ჯარების თითქმის ყველა სახეობა გარდა საზღვაო ძალებისა.

აღნიშნული სწავლებები მიმართულია სამხედრო მზადყოფნის ამაღლებისკენ, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შეიარაღებულ ძალებთან თავსებადობის მისაღწევად და სტანდარტებთან მიახლოებისთვის, რაც საბოლოოდ ემსახურება ნატო-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებთან ერთად საბრძოლო მოქმედებათა სინქრონიზაციას. აღნიშნული სწავლებების საქართველოში ჩატარების ერთერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და უსაფრთხოების გარანტიების ზრდა, საიმედო პარტნიორების არსებობის დემონსტრირებით.

დასკვნა

ნაშრომში წარმოდგენილი ფაქტები და განხილვები, ნათლად წარმოაჩენს სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვის აუზის რეგიონის გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას ჩრდილოატლანტიკური ალიანსის და მისი პარტნიორი ქვეყნებისთვის. პოლიტიკური,

²¹ი.კოგან, „სამხრივი თანამშრომლობა სამხედრო და ენერგოუსაფრთხოების სფეროში: მოსკოვის და ვაშინგტონის რეაქციები“, 2014. <https://surl.lu/zwwbt1>

²²შ.მეხისაშვილი, „გაწვევრიანების სამოქმედო გეგმა (MAP) - სამხედრო შეკავების ბერკეტი, თუ ფიქცია?“, თბ., 2022. გვ.4-19 <https://shorturl.at/Bm86N>

ნ.ლუჟავა, „ნატო-საქართველოს თანამშრომლობის პერსპექტივები, უკრაინაში მიმდინარე ომის გამოცდილების გათვალისწინებით“, თბ., 2022 გვ.36-48. <https://shorturl.at/Bm86N>

ეკონომიკური და სამხედრო ხასიათის მჭიდრო ურთიერთანამშრომლობა მიმართულია რეგიონის სტაბილურობის შენარჩუნებისთვის და უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად, ეკონომიკური მეგაპროექტების განხორციელების მიზნით და ევროპის ქვეყნების მიმართულებით ენერგორესურსების მიწოდების არხების დივერსიფიცირებისთვის. აღნიშნული რეგიონი ინტერესთა გადაკვეთის გეოსტრატეგიული სივრცეა, სადაც მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოთა გავლენების მოპოვების, შენარჩუნების, ზრდის და კლების ტენდენციები აშკარად შესამჩნევი ხდება ახალი გეოპოლიტიკური გადანაწილებების ფონზე.

აზიიდან ევროპის მიმართულებით ენერგორესურსების გადაზიდვის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ტრანსპორტირების ხარჯების მინიმალიზაცია, რაც ხელსაყრელია სამხრეთ კავკასიის „შუა დერეფანის“ გამოყენებით, თუმცა მხოლოდ გადაზიდვები მცირე დანახარჯებით არ წარმოადგენს სრულყოფილ გარანტიებს ენერგორესურსების გამტარუნარიანი მეგაპროექტების განსახორციელებლად, აუცილებელია ხანგრძლივი სტაბილურობისა და უსაფრთხოების გარანტიებიც, რაც მოითხოვს მასპინძელი ქვეყნების უსაფრთხოების სექტორის განვითარებას და სრულყოფას. ყოველივე ეს კი რათქმაუნდა მეტყველებს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში უწყვეტი ინვესტიციების შემოდიდებას ენერგორესურსების გამტარუნარიან ქვეყნებში, ასევე მრავალეროვნული სამხედრო სწავლებების სისტემატიურ ორგანიზებას, საბრძოლო მზადყოფნის ხარისხის გაუმჯობესების, მოქმედებათა სინქრონიზაციის და ძალთა დემონსტრირების მიზნით.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ მნიშვნელოვან რეგიონალურ და არარეგიონალურ აქტორებს შორის ხშირია პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ინტერესთა გადაკვეთები აღნიშნულ რეგიონში, რაც ქმნის ტურბოლენტურ ვითარებას და მნიშვნელოვნად აზიანებს რეგიონის სტაბილურობის სტატუსს. გამომდინარე აქედან დასავლური საერთაშორისო ორგანიზაციები ცდილობენ რეგიონის ქვეყნებთან სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავებას, სამხრეთ კავკასიის სატრანზიტო პოტენციალის გაფართოვებას და ამავე რეგიონში ალტერნატიული მარშუტების

დივერსიფიცირებას რუსეთის ფედერაციის გვერდის ავლით და ენერგორესურსების მხრივ მასზე დამოკიდებულების შემცირებით.

რეგიონის ტურბოლენტური ვითარების მიუხედავად, რომელიც გამოწვეულია რეგიონით დაინტერესებული სახელმწიფოების პოლიტიკურ და სამხედრო ინტერესთა შეუთავსებლობით, რეგიონის, როგორც ეკონომიკური ზონის განვითარება უწყვეტ პროცესს წარმოადგენს და სარგებლობა მოაქვს როგორც ინვესტორებისთვის, ასევე მასპინძელი ქვეყნებისთვის. გამომდინარე აქედან რეგიონის უსაფრთხო და სტაბილური განვითარება დამოკიდებულია მის მიმართ მზარდი ინტერესების მუდმივად არსებობაზე და შეძლებისდაგვარად დაბალანსებული ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე რეგიონის ყველა მოთამაშესთან.

ბიბლიოგრაფია

- ანთაძე გ., „რუსეთ-უკრაინის ომი გეოპოლიტიკური თეორიების პრიზმაში“, თბ.,2023. <https://surl.li/lxwrlt>
- ანთაძე გ., ყარაღაშვილი გ., „რუსეთ-უკრაინის ომის სამხედრო-პოლიტიკური ასპექტები და საომარი მოქმედებების შესაძლო განვითარებისცენარეობა“, თბ.,2023. <https://surl.li/cgrwpv>
- ბატაშვილი დ., „ყარაბაღის მეორე ომის მყისიერი გეოპოლიტიკური შედეგები“, თბ.,2020. <https://surl.li/qzvwex>
- გურგენაშვილი ი., „ყარაბაღის კონფლიქტის ანატომია“, თბ.,2020. <https://shorturl.at/ezuae>
- კობახიძე ბ., „ყარაბაღის კონფლიქტი: წარსული, აწმყო, მომავალი“, თბ.,2020. <https://surl.li/rijmjh>
- კომახია მ., „სამხრეთ კავკასიის ენერგო დერეფანი“, თბ.,2024. გვ. 19-31. <https://shorturl.at/Wddaz>
- კოგან ი., „სამხრივი თანამშრომლობა სამხედრო და ენერგოუსაფრთხოების სფეროში: მოსკოვის და ვაშინგტონის რეაქციები“, 2014. <https://surl.li/ehmgxx>
- ლეჟავა ნ., „ნატო-საქართველოს თანამშრომლობის პერსპექტივები, უკრაინაში მიმდინარე ომის გამოცდილების გათვალისწინებით“, თბ., 2022 გვ.36-48. <https://shorturl.at/Bm86N>
- მეგრელიშვილი ს., ძანძავა ნ., „ზანგეზურის დერეფანი და გრძელვადიანი მშვიდობის პერსპექტივები“, თბ.,2023. <https://shorturl.at/ILS20>
- მანჩხაშვილი მ., „რუსეთი და სამხრეთ კავკასია“, თბ., 2019. გვ. 73-88. <https://surl.li/kwhpdy>
- პაპავა ვ., „ერთი სარტყელი ერთი გზის ინიციატივა“ და საქართველო“, თბ.,2017. <https://surl.li/swnorw>
- პერტაია ლ., „ირანი და რუსეთი სომხეთ-აზერბაიჯანის ზანგეზურის დერეფანზე ვერ თანხმდებიან“ თბ., 2024. <https://shorturl.at/y6iAA>
- პიპინაშვილი დ., „სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონალური სტაბილურობის პრობლემები“, თბ.,2009. გვ. 85-161. <https://surl.li/awqrfq>

უკლება მ., ციხელაშვილი მ., „სამხრეთ კავკასია- ჩინეთის ურთიერთობები ეკონომიკური განვითარების ჭრილში“, თბ.,2023. <https://shorturl.at/MG0oI>

ჩიტაძე ნ., „გეოპოლიტიკა“, თბ.,2011. თავი X, გვ., 295-309., გვ.,332-337. <https://shorturl.at/32Br1>

ძევისაშვილი შ., „გაწევრიანების სამოქმედო გეგმა (MAP) - სამხედრო შეკავების ბერკეტი, თუ ფიქცია?“, თბ.,2022. გვ.4-19 <https://shorturl.at/Bm86N>

წიქარიშვილი გ., „ირანის ალყასი მოქცევის შიში - დამაბულობა თეირანსა და ბაქოს შორის“, 2021. <https://surl.li/iuedzy>

Раванди-Фадаи Л., „От угрозы войны к переговорам“, 2025. <https://surl.lu/tjmlry>

Markhulia G., „West or East - Georgia's Geopolitical Trajectory“, 2024. <https://shorturl.at/giCzc>

სამართლიანი ომი ბჰაგავად გიტას მიხედვით

ლევან გეგეშიძე¹

<https://orcid.org/0000-0002-7734-6865>

<https://doi.org/10.61446/mp.4.2025.9731>

აბსტრაქტი

სტატიაში გაანალიზებულია სამართლიანი ომის რაობა „ბჰაგავატ გიტას“ და მთლიანდ მაჰაბჰარატას მიხედვით. თუ რატომ უნდა იბრძოლოს მეომარმა, რა არის მისი მოვალეობა, რა კავშირია „ბჰაგავატ გიტაში“ მოცემულ იდეებსა და თანამედროვე სამართლიანი ომის თეორიას შორის.

ბჰაგავად გიტა ინდური ეპიკური პოემის - მაჰაბჰარატას ნაწილია, სადაც პანდავთა დინასტიის პრინც არჯუნასა და ღმერთ კრიშნას შორის დიალოგი იმართება ომის რაობის შესახებ. ბჰაგავად გიტაში გადმოცემულია რთული და, ერთი შეხედვით, წინააღმდეგობრივი შეხედულება ომზე. არჯუნა მეომარია, რომელიც იტანჯება საკუთარ ნათესავებთან მომავალი ბრძოლის მორალური შედეგებით. კრიშნა მოუწოდებს მას შეასრულოს თავისი მოვალეობა, როგორც მეომარმა. კრიშნა ამართლებს ომს სამართლიანი მიზნისთვის, ის ხაზს უსვამს მოვალეობის შესრულებას შედეგზე მიჯაჭვულობის გარეშე. ეს მიდგომა გვთავაზობს აქცენტის გაკეთებას სამართლიან ქმედებებზე და არა ომის თანდაყოლილ ნეგატიურ შედეგებზე.

„ბჰაგავად გიტა“ არ იძლევა მარტივ პასუხს ომის ეთიკის შესახებ. იგი ხაზს უსვამს მოვალეობისა და სამართლიანი მოქმედების აუცილებლობას. ტექსტი შეიცავს როგორც სამართლიანი ომის გააზრებას, ასევე უფრო შინაგანი, სულიერი ბრძოლისკენ მოწოდებას.

საკვანძო სიტყვები: სამართლიანი ომი, სტრატეგიული კულტურა, დჰარმა და კარმა.

¹ სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს, ეროვნული თავდაცვის აკადემიის, ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების პროფესორი

Just War According to the Bhagavad Gita

Levan Gegeshidze²

Abstract

The article analyzes the concept of a just war as presented in the Bhagavad Gita and the Mahabharata more broadly. It examines why a warrior must fight, what his duty entails, and how the ideas expressed in the Bhagavad Gita relate to contemporary just war theory.

The Bhagavad Gita is part of the Indian epic poem Mahabharata, in which a dialogue unfolds between Arjuna, a prince of the Pandava dynasty, and the god Krishna on the nature of war. The Gita conveys a complex and, at first glance, contradictory view of warfare. Arjuna, as a warrior, is tormented by the moral consequences of an impending battle against his own relatives. Krishna urges him to fulfill his duty as a warrior. He justifies war when it serves a righteous purpose and emphasizes the importance of performing one's duty without attachment to the outcome. This approach highlights acting rather than focusing on the inherent negative consequences of war.

The Bhagavad Gita does not offer a simple answer to the ethics of warfare. Instead, it underscores the necessity of duty and righteous action. The text contains both an interpretation of just war and a call towards an inner, spiritual struggle.

Keywords: Just war, strategic culture, dharma and karma.

² Professor of Bachelor's Program in Defense and Security of LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

შესავალი

ბჰაგავად გიტა ძველი ინდური ეპოსის მაჰაბჰარატას შემადგენელი ნაწილია. იგი კრიშნას და კმატარია არჯუნას დიალოგის საფუძველზე ომის ეთიკის ღრმა გამოკვლევას გვაძლევს. დიალოგი მიმდინარეობს კურკუშეტრას ველზე ბრძოლის წინ. სტატიის მიზანია შევისწავლოთ, თუ რა არის ომის ეთიკა ინდური ეპოსის ბჰაგავად გიტას მიხედვით. როგორ განიმარტება მასში სამართლიანი ომი.

თავისი არსით ეს სტატია არის მიმოხილვითი ხასიათის და აღწერს და აანალიზებს სხვადასხვა ავტორების მოსაზრებებს ომის ეთიკის შესახებ მაჰაბჰარატას და ბჰაგავად გიტას ტექსტების მიხედვით; ასევე, იკვლევს ინდუიზმის ამ ფუნდამენტური ტექსტების გავლენას თანამედროვე ინდოეთის ომის ფილოსოფიასა და სტრატეგიულ კულტურაზე. მაჰაბჰარატა მხოლოდ კლასიკური ტექსტი არ არის. ის ცოცხალი კულტურული კოდია, რომელიც ზემოქმედებს ინდოეთის მოსახლეობის გონებასა და ფასეულობებზე³. მისით გაჯერებულია ყოველდღიური ენა, რიტუალები, თეატრი და კინო. ასევე პოლიტიკური და ზნეობრივი დისკუსიები.

საკითხი აქტუალურია, ვინაიდან დღეს ინდოეთი ყველაზე მზარდი სახელმწიფოა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. მან მოსახლეობის რაოდენობით გადაასწრო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას. ინდოეთს სადაო ტერიტორიები გააჩნია მის მეზობელ პაკისტანთან და ჩინეთთან. ბოლო რამდენიმე წელია იმატა სასაზღვრო ხაზებზე შეტაკებებმა ჩინეთსა და ინდოეთს შორის. ამიტომ მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, ეს მზარდი სახელმწიფო თუ როგორ უყურებს ომსა და ძალის გამოყენების საკითხებს.

ნაშრომი ეხმიანება შემდეგ საძიებო კითხვებს:

რა შემთხვევაში ითვლება ინდური რელიგიური და ფილოსოფიური მოძღვრების მიხედვით ომი სამართლიანად?

რა გავლენა აქვს ბჰაგავად გიტას და მთლიანად მაჰაბჰარატას ეპოსს ინდოეთის სტრატეგიულ კულტურაზე?

³ Subrahmanyam Jaishankar, „The India Way: Strategies for an Uncertain World“ New Delhi: HarperCollins India, 2020,

რა არის დჰარმა ?

გიტას ეთიკური შეხედულებები ეფუძნება დჰარმას (მოვალეობას/სამართლიანობას) და კარმას (მოქმედება), რომელიც აუცილებელია მოქმას (განთავი-სუფლების) მისაღწევად⁴. ინდუიზმში დჰარმა არის ძირითადი კონცეფცია, რომელიც აღნიშნავს სამყაროს მორალურ წესრიგს და ცხოვრების კოდექსს, რომელიც განასახიერებს კანონის, რელიგიისა და მოვალეობის ფუნდამენტურ პრინციპებს. ის განიხილება როგორც სახელმძღვანელო პრინციპი, რომ ინდივიდებმა იცხოვრონ კოსმიურ წესრიგთან ჰარმონიაში და შეასრულონ თავიანთი როლი საზოგადოებაში.⁵ მაჰაბჰარატას მიხედვით, დჰარმა არის ურთიერთ მიმართებითი კოსმოლოგია, რომელიც ხაზს უსვამს, რომ სამყაროში ყველა არსება ურთიერთ-დაკავშირებულია, სახელმწიფო კი ვალდებულია შექმნას ისეთი პირობები, როდესაც ყველა ადამიანი შეძლებს საკუთარი პოტენციალის რეალიზებას⁶. ბჰაგავად გიტა ეხება ომის მორალურ სირთულეებს და აღიარებს, რომ სამართლიანი ძალადობა ზოგჯერ აუცილებელია კოსმიური წესრიგის აღსადგენად, მიუხედავად თანდაყოლილი წინააღმდეგობებისა და ეთიკური დილემებისა, რომლებიც მას თან ახლავს⁷. ეს პერსპექტივა ასახავს პოულობს მაჰაბჰარატას უფრო ფართო ნარატივში, რომელშიც გიტას შემოაქვს მორალური დისკურსი. იგი ეჭვქვეშ აყენებს სიკეთისა და ბოროტების მარტივ დიქტომიას და გვთავაზობს სამართლიანობისა და მოვალეობის უფრო ღრმა გაგებას⁸.

პოლიტიკურ კონტექსტში დჰარმას გააჩნია სამი ძირითადი განზომილება, რომელთაგან ერთ-ერთი სოციალური წესრიგის პრინციპია. ეს განზომილება ასახავს წარმოდგენას, რომ თითოეულ სოციალურ ფენას ან ჯგუფს ენიჭება განსაკუთრებული სოციალური ფუნქცია, ხოლო ცხოვრების თითოეული ეტაპი კონკრეტული მოვალეობების შესრულებას გულისხმობს. ბრაჰმანებს მოეთხოვებათ ასკეტური ცხოვ-

⁴ Mathias, Yuvan, Shunmugam., Maniraj, Sukdaven. (2024). Understanding the moral and ethical dimensions of the Bhagavad Gita. *Theologia Viatorum*, p.1. doi: 10.4102/tv.v48i1.223

⁵ Paul, Hacker. (2006). Dharma in Hinduism. *Journal of Indian Philosophy*, 34(5):479-496. P.480 doi: 10.1007/S10781-006-9002-4.

⁶ Shani, Giorgio, and Navnita Chadha Behera. “Provincialising International Relations through a Reading of Dharma.” *Review of International Studies* 48, no. 5 (2022): 837–56. P.837 <https://doi.org/10.1017/S026021052100053X>.

⁷ Nawaraj, Chaulagain. (2021). Violence or Its De-legitimization? Conflicting Views from the Hindu World. 125-138. Available from: 10.1007/978-3-030-51125-8_8

⁸ Siyu, Chen. (2022). The Bhagavad Gītā. 105-127. doi: 10.1002/9781119144892.ch7

რების წესის დაცვა და რიტუალებისა და საზეიმო მოქმედებების შესრულება, რაც მიზნად ისახავს სამყაროს ჰარმონიის უზრუნველყოფას. ამავდროულად, კმატრიების როლი მდგომარეობს ბრაჰმანების და საზოგადოების დანარჩენი წევრების დაცვის უზრუნველყოფაში⁹.

დჰარმას მეორე განზომილება ეხება ინდივიდუალურ დონეს და განსაზღვრავს კონკრეტული ინდივიდის მოვალეობებსა და გადაწყვეტილებებს, რომლებიც მის პირად დჰარმასთანაა დაკავშირებული. ინდივიდის დჰარმა, დიდწილად, განისაზღვრება მისი სოციალური და ოჯახური ურთიერთობების ბუნებით. როდესაც ინდივიდი არღვევს დჰარმას და მოქმედებს მის საწინააღმდეგოდ (ადჰარმა), მეფის ან სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა მისი დაცვა, ხოლო კმატრიების მოვალეობაა ასეთი პირების დასჯა, რათა შენარჩუნდეს სოციალური წესრიგი. დჰარმა ინდივიდისთვის განიხილება როგორც შესაბამისი ქცევა ურთიერთობებში, იქნება ეს მამა, დედა, შვილი, ქმარი, ცოლი თუ სხვა სახის ოჯახური როლი. ეს ურთიერთობები ინდურ ცხოვრებაში ტრადიციულად მნიშვნელოვან ადგილს იკავებს და განსაზღვრავს ინდივიდის ქცევის ჩარჩოებს¹⁰.

დჰარმას მესამე პოლიტიკური განზომილება მოიცავს ხელშეკრულებისა და დაპირების დაცვის პრინციპს. მაჰაბჰარატაში მოხმობილია ჰასტინაპურის სამეფოს პრინცის იუდჰიშთირას მაგალითი, როდესაც მან მიიღო მოწვევა ბიძაშვილებისგან სათამაშოდ, რითაც მან თავისთავად აღიარა თამაშის შედეგები და მათგან გამომდინარე ვალდებულებები. მიუხედავად იმისა, რომ პრინცი შეთქმულების მსხვერპლი აღმოჩნდა, მან ჩათვალა, რომ მისი დჰარმა მოითხოვდა პირობის პატივისცემას და შესრულებას. შესაბამისად, მან მიიღო სამშობლოდან გადასახლება ოჯახის წევრებთან ერთად, რის შესრულებასა და დაცვაზე იუდჰიშთირამ პასუხისმგებლობა აიღო¹¹.

⁹ Rajagopalan, Swarna. "Grand Strategic Thought'in the Ramayana and Mahabharata." In India's Grand Strategy, pp. 31-62. Routledge India, 2014. P 39.

¹⁰ Ibid, 40

¹¹ Rajagopalan, Swarna. "Grand Strategic Thought'in the Ramayana and Mahabharata." In India's Grand Strategy, pp. 31-62. Routledge India, 2014. P40.

რა არის კარმა?

დჰარმა არის ყოვლისმომცველი კოსმიური კანონი, მორალური პრინციპი, რომელიც განსაზღვრავს სწორ და არასწორ ქცევას. ეს არის საფუძველი, რომელშიც კარმა მოქმედებს.¹² ბჰაგავად გიტაში კარმა არ განიხილება მხოლოდ, როგორც ნებისმიერი ქმედება, არამედ ეს არის შეგნებულად შესრულებული მოქმედება, რომელიც თანხვედრაშია დჰარმასთან – ინდივიდის მორალურ და ეთიკურ მოვალეობასთან. კარმა მოქმედებს როგორც ეთიკური პრინციპი, რომელიც უზრუნველყოფს დჰარმის ფარგლებში არსებული მორალური ვალდებულებების რეალიზაციას და სამყაროს ჰარმონიის შენარჩუნებას¹³. ბჰაგავად გიტას სწავლების თანახმად, ჭეშმარიტი გზა არის „ნიშკამა კარმა“ (Niskama Karma) – ეს არის ქმედებების განხორციელება შედეგებზე მიჯაჭვულობის გარეშე. ეს ეთიკური პრინციპი ათავისუფლებს ინდივიდს კარმის ბორკილებისა და ტვირთისგან, რის შედეგადაც მისი ქმედებები ხდება სულიერი განთავისუფლებისა და შინაგანი ამაღლებისკენ მიმართული¹⁴.

კრიშნას სწავლება გულისხმობს საკუთარი მოვალეობის შესრულებასა და მისი მნიშვნელობის ისე გააზრებას, რომ შედეგებზე არ იყო დამოკიდებული. „ნიშკამა კარმა“ წარმოადგენს გიტას ეთიკური სწავლების ფუნდამენტს¹⁵. ეს პრინციპი უფრო ფართოდ არის ახსნილი კრიშნას ინსტრუქციაში არჯუნას მიმართ, რომლის თანახმადაც მან უნდა გადალახოს გულის და გონების გაორება და იმოქმედოს უმაღლესი ცნობიერების მდგომარეობიდან, რა დროსაც თანხვედრაში იქნება აბსოლუტურ მესთან¹⁶. ამრიგად, კარმა იოგა წარმოადგენს უანგარო მოქმედების პრინციპს, რომლის მიხედვით ინდივიდები თავიანთ მოვალეობებს ასრულებენ სრული თავდადებით, მაგრამ ყოველგვარი მიჯაჭვულობის გარეშე შედეგებზე. აღნიშნული მიდგომა განიხილება, როგორც სულიერი განვითარების გზა, რომელიც

¹² Rachana, Bhangaokar., Shagufa, Kapadia. (2009). 6. At the interface of ‘ Dharma ’ and ‘ Karma ’: Interpreting moral discourse in India. Psychological Studies, Available from: 10.1007/S12646-009-0018-1

¹³ Mathias, Yuvan, Shunmugam., Maniraj, Sukdaven. (2024). Understanding the moral and ethical dimensions of the Bhagavad Gita. Theologia Viatorum, Available from: 10.4102/tv.v48i1.223

¹⁴ Anupam, Chand. (2022). 6. Values and ethics embedded in the philosophy of shrimad bhagavad git. Scholarly research journal for interdisciplinary studies, Available from: 10.21922/srjis.v9i70.10065

¹⁵ Paul, Hacker. (2006). Dharma in Hinduism. Journal of Indian Philosophy, 34(5):479-496. doi: 10.1007/S10781-006-9002-4

¹⁶ Dennis, P., Heaton. (2019). Ethics of Enlightened Leaders. 155-172. Available from: 10.1007/978-3-319-99611-0_8

ინდივიდის საშუალებას აძლევს დაამყაროს ღვთაებრივთან კავშირი და მიაღწიოს სულიერ განთავისუფლებას¹⁷. გიტას სწავლება სხვადასხვანაირად არის ინტერპრეტირებული, მაგალითად, როგორც გზა საკუთარი თავის დაუფლებისა და ეთიკური ლიდერობისკენ. ითვლება, რომ ის ლიდერებს ასწავლის პირად სარგებლობაზე უარის თქმას და სამყაროს კეთილდღეობისთვის მოქმედებას¹⁸.

სამართლიანი ომი

ცნობილი ინდოელი სტრატეგი ს. ჯაიშანკარი ფიქრობს, რომ როგორც დასავლური სტრატეგიული კულტურის გასაგებად მნიშვნელოვანი ტექსტებია მაგ. „ილიადა“ ან და მაკიაველის შრომები, ხოლო ჩინეთის შემთხვევაში „სამი სამეფოს რომანი“, ასევე აუცილებელია მაჰაბჰარატას ეპოსის ცოდნა ინდური სტრატეგიული კულტურის გასაგებად.¹⁹

ბჰაგავად გიტაში მოცემული კურუკშეტრას ომის აღწერა შეესაბამება სამართლიანი ომის თეორიის პრინციპებს და გვთავაზობს ეთიკური ომის წარმოების შესახებ შეხედულებებს, რომლებიც აქტუალური რჩება თანამედროვე სამხედრო სტრატეგიაში²⁰. „Jus ad bellum“ - ეხება ომში ჩაბმის გამართლების პრინციპებს. მაჰაბჰარატას ნარატივში პანდავების ომში ჩართვის გადაწყვეტილება წარმოდ-გენილია როგორც უკიდურესი ნაბიჯი, რომელიც გადადგეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მშვიდობიანი მოლაპარაკებების ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. ეს მიდგომა სრულად შეესაბამება სამართლიანი ომის თეორიის საფუძველს - სამართლიანი მიზეზის არსებობას. არჯუნას ბრძოლაში მონაწილეობის შესახებ არსებულ შფოთვებს კრიშნამ დაუპირისპირა არგუმენტი, რომ როგორც კშატრიას (მეომარს), არჯუნას მთავარი მოვალეობა სამართლიან ომში ჩაბმაა. ეს ვალდებულება არა მხოლოდ პირადი

¹⁷ K., S., Sivakumar., S.K., Kamalakhannan. (2023). A Study on Enriching Spirituality at Work Place Through The Karma yoga of the Bhagavad Gita. 01(01), 53-63. Available from: 10.59231/edumania/edmn8967

¹⁸ Satinder, Dhiman. (2019). Doing the Right Thing: The Ethical Philosophy of the Bhagavad Gitā. 47-67. doi: 10.1007/978-3-319-99611-0_3

¹⁹ Subrahmanyam Jaishankar, The India Way: Strategies for an Uncertain World (New Delhi: HarperCollins India, 2020), .

²⁰ B, K, Bhuvesha. "4. Analysing Mahabharata through the Lens of Theory of Just War." Electronic Journal of Social & Strategic Studies, undefined (2024). doi: 10.47362/ejsss.2024.5504

ხასიათისაა, არამედ კოსმიურიც, რადგან ის დჰარმას, ანუ სამყაროს წესრიგისა და სამართლიანობის, შენარჩუნებას ემსახურება²¹.

ამასთან, ეპოსი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პანდავების სამართლებრივ და მორალურ მოთხოვნებს, რადგან მათი ბრძოლა მიმართულია თავიანთი კანონიერი სამეფოს დაბრუნებისკენ. ეს ასპექტი ამყარებს ლეგიტიმური ხელისუფლების აღდგენისა და სწორი განზრახვის პრინციპებს, რომლებიც სამართლიანი ომის ეთიკის საფუძვლად ითვლება²².

„დჰარმას“ - კონცეფცია წარმოადგენს მნიშვნელოვან საფუძველს ინდოეთის სტრატეგიული კულტურის ფორმირებისათვის. ეს კონცეფცია ხელს უწყობს ლიდერობის ისეთ სტილს, რომელიც აერთიანებს ეთიკურ პრინციპებსა და პრაგმატულ მიდგომებს. დჰარმა მოუწოდებს ლიდერებს, იხელმძღვანელონ თავიანთი მოვალეობების შესრულებით, სადაც პირადი სურვილები დაბალანსებულია საზოგადოებრივ კეთილდღეობასთან. ეს პრინციპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ომის დროს, როდესაც გადაწყვეტილებები ერთდროულად უნდა შეესაბამებოდეს სამართლიანობის პრინციპებს და სტრატეგიულ საჭიროებებსაც²³. ეს მიდგომა აშკარად ჩანს ინდოეთის ისტორიულ და თანამედროვე სამხედრო სტრატეგიებში, სადაც უძველესი სიბრძნე შერწყმულია თანამედროვე პრაქტიკებთან დიპლომატიური და სამხედრო გამოწვევების დასაძლევად. ტრადიციული ცოდნის და თანამედროვე სტრატეგიების შერწყმის მაგალითია ისეთი ინიციატივები, როგორიცაა პროექტი „უდბჰავ“ (Udbhav), რომელიც მიზნად ისახავს უძველესი სამხედრო აზროვნების ინტეგრაციას თანამედროვე განათლებაში.²⁴ ასევე ეს პროექტი დეკოლონიზაციის

²¹ Crispin, Sartwell. (1993). Art and war: Paradox of the Bhagavad Gitā. Asian Philosophy, 3(2), 95-102. Available from: 10.1080/09552369308575376

²² B, K, Bhuvesha. "4. Analysing Mahabharata through the Lens of Theory of Just War." Electronic Journal of Social & Strategic Studies, undefined (2024). doi: 10.47362/ejsss.2024.5504

²³ R., Jai, Prakash. (2022). Dharma of Leadership: Wisdom of the Bhagavad Gita in an Uncertain World. 219-226. Available from: 10.1007/978-981-19-1158-3_18

²⁴ Madhu, Kumari., Shubhangi, Rathore, Rathore. (2024). Project Udbhav: Integrating Ancient Wisdom with Modern Indian Military Pedagogy. Electronic Journal of Social & Strategic Studies, 05(05), 99-119. Available from: 10.47362/ejsss.2024.5505

ელემენტებსაც ატარებს, ინდოეთი ცდილობს მიუბრუნდეს თავისი კულტურის საწყისებს და ამ გზით გადალახოს ისტორიული ტრამვა²⁵.

თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ეროვნული სტრატეგიული კულტურა არ არის სტატიკური, მაგრამ ის არც „ერთ დღეში“ ყალიბდება ან იცვლება. კოლინ გრეის თქმით, „კულტურები მოიცავს მდგრად სოციალურად გადაცემულ იდეებს, დამოკიდებულებებს, ტრადიციებს, აზროვნების ჩვევებსა და მოქმედების სასურველ მეთოდებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია სპეციფიკური გეოგრაფიულად დაფუძნებული უსაფრთხოების საზოგადოებისთვის, რომელსაც აქვს უნიკალური ისტორიული გამოცდილება.²⁶ სტრატეგიული კულტურა გულისხმობს ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული რწმენების, დამოკიდებულებებისა და ქცევების ერთობლიობას, რომლებიც ფორმირდება ისტორიული გამოცდილების, კულტურული ტრადიციების და ეროვნული იდენტობის გავლენით.²⁷

ამრიგად, მაჰაბჰარატა წარმოადგენს რელიგიური, ფილოსოფიური, მორალური და სტრატეგიული აზროვნების გამორჩეულ წყაროს, რომელიც თავისი ეთიკური კომპონენტებით დიდ გავლენას ახდენს ინდოეთის საზოგადოებაზე. გიტაში აღწერილი დჰარმას და კარმას კონცეფციები არა მხოლოდ ინდივიდუალური მოვალეობის და სულიერი განვითარებისთვისაა აუცილებელი, არამედ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ.

გიტას ეთიკა გავლენას ახდენს სამართლიანი ომის პრინციპების გაგებაზე. დჰარმას კონცეფცია ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ლიდერები უნდა მოქმედებდნენ თავიანთი მოვალეობის შესაბამისად, ზუსტად დაბალანსებული უნდა იყოს პირადი ინტერესები და საერთო კეთილდღეობა. კარმას პრინციპი - (მოქმედება შედეგზე მიჯაჭვულობის გარეშე) არის ლიდერობისა და გადაწყვეტილების მიღების ფუნდამენტი, რომელიც საშუალებას აძლევს ინდივიდს იმოქმედოს სამართლიანად და ეთიკურად, მიუხედავად მორალური დილემებისა.

²⁵ CNN-News18. (2023, October 5). Project Udbhav Latest News | Project Udbhav: Indian Army's new Initiative | English News | N18V [Video]. YouTube. <https://surl.li/vcfqcr>

²⁶ Colin S. Gray, Modern Strategy (Oxford: Oxford University Press, 1999), p.131

²⁷ Adamsky, Dmitry. “6. Strategic Culture.” In Oxford University Press eBooks, 91–106, 2022. <https://surl.lt/yhdpqo>

გარდა ამისა, ბჰაგავად გიტას გავლენა აშკარად ჩანს ინდოეთის სტრატეგიულ კულტურაში. ეს ეხება როგორც ისტორიულ, ისე თანამედროვე სამხედრო და დიპლომატიურ სტრატეგიებს, სადაც უძველესი სიბრძნე შერწყმულია თანამედროვე პრაქტიკებთან. ამგვარად, მაჰაბჰარატა არა მხოლოდ მორალური და ფილოსოფიური ტექსტია, არამედ სასარგებლო რესურსი, რომელიც ლიდერებსა და სახელმწიფო მოღვაწეებს ეხმარება ეთიკური და პრაგმატული გადაწყვეტილებების მიღებაში. მისი იდეები დღესაც აქტუალურია, რაც დასტურდება ინდოეთის სამხედრო პოლიტიკური ელიტის მზარდი ინტერესით ამ ტექსტების მიმართ.

თუმცა, აქ უნდა გვახსოვდეს ერთი გამოწვევა, რომელსაც შესახებაც სტრატეგიის გამორჩეული მკვლევარი ედვარდ ლუტვაკი გვაფრთხილებს, - სტრატეგიულმა კულტურამ შესაძლოა სახელმწიფოებს უბიძგოს არასწორი მეთოდების გამოყენებისკენ. ეს გამოწვევა თვალსაჩინოა, როდესაც ტრადიციული საზოგადოებები ცდილობენ თავიანთი ისტორიული და კულტურული გამოცდილების საფუძველზე იმოქმედონ საერთაშორისო სისტემაში, რომელიც კვლავაც ანარქიულია და ნაციონალისტურად განწყობილი დიდი სახელმწიფოებისგან შედგება.²⁸ მაგალითად, ბჰაგავად გიტაში აღწერილი ომის მხარეები, მოკავშირე სახელმწიფოები და მათი ლიდერები ერთიანი ინდური კულტურის ნაწილია. ისევე, როგორც ძველ ჩინეთში გაზაფხულისა და შემოდგომის პერიოდის სახელმწიფოები ხანი ჩინელების კულტურული წარმონაქმნებია. ამიტომ მასში მოცემული დიპლომატიური ხერხები, მორალური ნორმები და სამხედრო ხრიკები შესაძლებელია ეფექტური არ იყოს თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში შემავალ სახელმწიფოებთან ურთიერთობის დროს.

²⁸ E. N. Luttwak, Strategy, The Logic of War and Peace. The Belknap Press Of Harvard University Press. (2003).

ბიბლიოგრაფია

- Adamsky, Dmitry. “Strategic Culture.” In Oxford University Press eBooks, 91–106, 2022. <https://doi.org/10.1093/hepl/9780192845719.003.0006>.
- Anupam, Chand. Values and ethics embedded in the philosophy of shrimad bhagavad git. Scholarly research journal for interdisciplinary studies, (2022). Available from: 10.21922/srjis.v9i70.10065
- Bhuvsha, B, K, "Analysing Mahabharata through the Lens of Theory of Just War." Electronic Journal of Social & Strategic Studies, undefined (2024). doi: 10.47362/ejss.2024.5504
- CNN-News18. (2023, October 5). Project Udbhav Latest News | Project Udbhav: Indian Army's new Initiative | English News | N18V [Video]. YouTube. <https://surl.li/qgqosjz>
- Colin S. Gray, Modern Strategy (Oxford: Oxford University Press, 1999), 131
- Crispin, Sartwell. (1993). Art and war: Paradox of the Bhagavad Gītā. Asian Philosophy, 3(2), 95-102. Available from: 10.1080/09552369308575376
- Dennis, P., Heaton. Ethics of Enlightened Leaders. Available from: 10.1007/978-3-319-99611-0_8, (2019). 155-172.
- Shani, Giorgio, Navnita, Chadha, Behera. Provincialising International Relations through a reading of dharma. (2021). Review of International Studies, doi: 10.1017/S026021052100053X.
- India Fiscal Year GDP Growth, <https://surl.li/emztluk>, ნანახია 19.11.2025
- India GDP, <https://surl.li/dynowd>, ნანახია 19.11.2025.
- Jaishankar, S., The India way: Strategies for an uncertain world. New Delhi. 2020.
- Sivakumar, K., S., Kamalakhannan, S.K., A Study on Enriching Spirituality at Work Place Through The Karma yoga of the Bhagavad Gita. 01(01), (2023). 53-63. Available from: 10.59231/edumania/edmn8967
- Luttwak, E. NStrategy, The Logic of War and Peace. The Belknap Press Of Harvard University Press. . (2003).
- Madhu, Kumari., Shubhangi, Rathore, Rathore. Project Udbhav: Integrating Ancient Wisdom with Modern Indian Military Pedagogy. Electronic Journal of Social & Strategic Studies, 05(05), (2024). 99-119. Available from: 10.47362/ejss.2024.5505
- Mathias, Yuvan, Shunmugam., Maniraj, Sukdaven. Understanding the moral and ethical dimensions of the Bhagavad Gita. Theologia Viatorum, (2024). doi: 10.4102/tv.v48i1.223
- Nawaraj, Chaulagain. Violence or Its De-legitimization? Conflicting Views from the Hindu World. (2021). 125-138. Available from: 10.1007/978-3-030-51125-8_8.
- Hacker, Paul, Dharma in Hinduism. Journal of Indian Philosophy, 34(5), (2006). 479-496. doi: 10.1007/S10781-006-9002-4
- Prakash, R., Jai., Dharma of Leadership: Wisdom of the Bhagavad Gita in an Uncertain World. (2022). 219-226. Available from: 10.1007/978-981-19-1158-3_18
- Bhangaokar, Rachana, Shagufa, Kapadia. At the interface of ‘ Dharma ’ and ‘ Karma ’: Interpreting moral discourse in India. Psychological Studies, (2009). Available from: 10.1007/S12646-009-0018-1
- Rajagopalan, Swarna. "Grand Strategic Thought'in the Ramayana and Mahabharata." In India's Grand Strategy, pp. 31-62. Routledge India, 2014.
- Satinder, Dhiman. Doing the Right Thing: The Ethical Philosophy of the Bhagavad Gītā. (2019). 47-67. doi: 10.1007/978-3-319-99611-0_3
- Chen, Siyu, The Bhagavad Gītā. (2022). 105-127. doi: 10.1002/9781119144892.ch7.
- Subrahmanyam Jaishankar, The India Way: Strategies for an Uncertain World (New Delhi: HarperCollins India, 2020).

უსაფრთხოების საკითხებში ოფიცრების როლი სახელმწიფოს უსაფრთხოებაში

ვიცე-პოლკოვნიკი ლერი სარაიდაროვი¹
<https://doi.org/10.61446/mp.4.2025.10039>

აბსტრაქტი

ნებისმიერი სახელმწიფოსთვის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა ერთ-ერთ უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენს. ეროვნული უსაფრთხოება არის მდგომარეობა, როდესაც ქვეყანაში უზრუნველყოფილია პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს დაცულობა შიდა და გარე საფრთხეებისაგან, უზრუნველყოფილია კონსტიტუციური უფლებების რეალიზაცია, მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონე, ქვეყნის სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, მდგრადი განვითარება, სახელმწიფოსა და მოსახლეობის თავდაცვა და უშიშროება.

უსაფრთხოების სფეროებს შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს პოლიტიკურ უსაფრთხოებას, ვინაიდან პოლიტიკური უსაფრთხოების სისტემის უზრუნველყოფის სისუსტე იწვევს: სახელმწიფოს დაშლას, გაქრობას, ადამიანების დაღუპვას, მატერიალურ ფასეულობათა განადგურებას. სახელმწიფო, რომელიც სათანადო მზრუნველობას არ იჩენს პოლიტიკური უსაფრთხოებისადმი, თანდათანობით სიცოცხლისუნარიან ხდება.

ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, სტრატეგიები დარგობრივად შესაძლოა, დაიყოს სახეობებად, მაგალითად, ტერორიზმთან და ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის, ეკონომიკური სიდუხჭირის შემცირებისა და ეკონომიკური განვითარების, ომის შეკავებისა და ტოტალური თავდაცვის, სამეცნიერო, ტექნოლოგიური და საგანმანათლებლო მიმართულებით განვითარების, ქვეყნის ტერიტორიისა და სუვერენიტეტის დაცვის სტრატეგიები და სხვა.

წინამდებარე სტატიაში საუბარი წარიმართება ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფელ სამსახურებსა და მათ წარმომადგენლობებზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე - მის გარეთ. შევხებით ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიც არის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ოფიცრები, ატაშეები, დაზვერვის წარმომადგენლები და სხვა. გავეცნობით მათი საქმიანობის სპეციფიკას, რითაც მეტნაკლებად ნათელი მოეფინება მათი საქმიანობის საჭიროებას და აუცილებლობას ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

საკვანძო სიტყვები: ოფიცერი უსაფრთხოების საკითხებში, დაზვერვა, კონტრდაზვერვა, დიპლომატია, თავდაცვის ატაშე, სახელმწიფო უსაფრთხოება.

¹საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, გენერალური ინსპექციის საგამოძიებოს მთავარი სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი, საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიური დოქტორი.

The role of security officers in state security

lieutenant colonel Leri Saraidarov²

Abstract

Ensuring national security is one of the main concerns of any state. National security is a state in which the protection of individuals, society and the state from internal and external threats is ensured in the country, the realization of constitutional rights, the high standard of living of the population, the sovereignty of the country, territorial integrity, sustainable development, the defence and security of the state and the population are ensured.

Political security occupies a prominent place among the security spheres, since the weakness of the provision of the political security system leads to: disintegration of the state, disappearance, death of people, destruction of material values. A state that does not take proper care of political security gradually becomes unviable.

Depending on the national interests of the country, the strategies may be divided into types, for example, strategies for fighting terrorism and transnational organized crime, reducing economic hardship and economic development, deterring war and total defence, development in scientific, technological and educational directions, strategies for protecting the country's territory and sovereignty, and other.

This article will talk about the security services of the country and their representatives, both inside and outside the country. We will touch on such topical issues as security officers, attachés, intelligence officers and others. We will get to know the specifics of their activities, thus the need and necessity of their activities to ensure the country's security will become more or less clear.

Keywords: Security Officer, Intelligence, Counterintelligence, Diplomacy, Defence Attache, High Risk Entities for State Security.

² Investigator of especially the important cases of investigation Division, General Inspection Department of Ministry of Defence of Georgia, Master of Law, Doctor of International Relations

შესავალი

ნებისმიერი საქმიანობა, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში, დაფუძნებულია კომპეტენცია-გამოცდილებასა და კვალიფიკაციაზე. ამ ყველაფრის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროდ უდავოდ უნდა მივიჩნიოთ ინფორმაცია - განათლების თავიდათავი, სწავლება, უნარი - მოიპოვო საჭირო მონაცემები, დაამუშაო და გა-მოიყენო სურვილისამებრ და დანიშნულების მიხედვით, ამავდროულად გასათვალისწინებელია მისი ვალიდურობაც. გამონაკლისად ვერ მივიჩნევთ სახელმწიფო სპეციალურ სამსახურებს, რომლებთაც უწევთ ოპერატიული, სადაზვერვო, კონტრტერორისტული და კონტრდაზვერვითი საქმიანობის განხორციელება. მათი საქმიანობის წარმატებულობის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველია იმ რელევანტური ინფორმაციის ფლობა, რომლის მოპოვებისთვის აუცილებელია შესაბამისი უნარჩვევების, სათანადო კავშირებისა და წყაროების ფლობა.

სტატიაში საუბარია ნებისმიერი ქვეყნისთვის, მათ შორის - საქართველოსათვის, მეტად სენსიტიურ თემასა და საქმიანობაზე, რის საფუძველზეც შესაძლებელია ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულება და უფლებამოსილება გააჩნიათ ქვეყნის საპოლიციო ძალებს და მათთან კოორდინაციაში მყოფ სხვა სამსახურებს, სახელმწიფო უსაფრთხოების თვალსაზრისით კი, განსაკუთრებული საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება ეკუთვნით სადაზვერვო, კონტრდაზვერვით, კონტრტერორისტულ და სხვა სპეციალური საქმიანობით დაკავებულ სამსახურებს. მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ქვეყნის კონსტიტუციური წყობილების, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის შენარჩუნებაზე ზრუნვა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება. აღნიშნულის განხორციელება ხდება ტერორიზმთან და კორუფციასთან, ასევე შიდა და საგარეო საფრთხეებთან ბრძოლის საფუძველზე.

ინფორმაციის მოპოვება-ადამიანურ და მატერიალურ რესურსებთან არის დაკავშირებული, თუმცა მთავარი ფაქტორი, მაინც ადამიანური რესურსია. ღია წყაროებში არსებულ ინფორმაციაზე (ინტერნეტრესურსები, ჟურნალ-გაზეთები,

ტელე-რადიო გადაცემები) წვდომის მოპოვება ნებისმიერ პირს შეუძლია. შესაბამისი უნარების ფლობის შემთხვევაში, დახურულ ან სპეციალურ წყაროებზე, საიდუმლოების და პირადი ინფორმაციის (პერსონალური მონაცემების) შემცველ ბაზებზე წვდომა კი, რომელიც მოითხოვს ავთენტიფიკაციას ავტორიზებული მომხმარებლის შემთხვევაში, მხოლოდ განსაკუთრებული უფლებამოსილების მქონე პირებს.³

წინამდებარე სტატიაში განხილული იქნება სპეციალური სამსახურების საქმიანობის სპეციფიკა, ფუნქციები და მიმართულებები, უშიშროების საკითხებში ოფიცრების თემას, მათ როლს ეროვნულ უსაფრთხოებაში.

ძირითადი ნაწილი

ოფიცრები - უსაფრთხოების საკითხებში

უშიშროების (უსაფრთხოების) საკითხებში ოფიცრების ინსტიტუტი არის საბჭოთა კავშირის დროს ჩამოყალიბებული და დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას. ვერ ვიტყვით,⁴ რომ სხვა ქვეყნებში მსგავსი სამსახურები არ არსებობს, თუმცა მათი საქმიანობის სპეციფიკა განსხვავებულია.

აღნიშნული ინსტიტუტის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა კონტრაზვერსიტი, შესაბამისად ამ მიმართულებით სპეციალური ოპერატიული ღონისძიებების გატარება ობიექტებზე, სადაც მივლენილი იყვნენ ოფიცრები სამსახურებრივად.

მათ ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა უწყებაში სახელმწიფო საიდუმლოების რეჟიმის დაცვის და საიდუმლო საქმისწარმოების, დოკუმენტბრუნვის კონტროლის უზრუნველყოფა. მსგავსი საქმიანობის განმახორციელებელ პირებს უნდა შეენარჩუნებინათ მაქსიმალური კონსპირაცია, მოეპოვებინათ სათანადო ნდობა თანამშრომლების მხრიდან, რათა ჰქონოდათ წვდომა სასურველ ინფორმაციასა და მათ მატარებელ პირებზე. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ფუნქციების განსახორციელებლად აუცილებელი იყო სპეციალური ცოდნა და უნარები, რადგან სახელმწი-

³ Э. Смит, Ричард. Аутентификация: от паролей-до открытых ключей, Москва, 2018, 23.

⁴ ჰ. კუპრაშვილი, 2014 გამომცემლობა „უნივერსალი“, 2014. ბოლო ათწლეულების მანძილზე, ტერმინი - „უშიშროების“ ნაცვლად, გამოიყენება ტერმინი „უსაფრთხოება“. ეროვნული უსაფრთხოების საბჭო, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და სხვ.

ფო საიდუმლოების დაცვის და დაწესებულებებში რეჟიმის დაცვის კონტროლის განხორციელება წარმოადგენდა სახელმწიფო უშიშროების ორგანოების კომპეტენციას. უწყებებში ხორციელდებოდა რწმუნებულების (ოპერატიული მუშაკები) მივლინება სახელმწიფო უშიშროების შესაბამისი დანაყოფებიდან. საბიუჯეტო უწყებების და ორგანიზაციების პირველი განყოფილება იყო ის უწყებრივი დანაყოფი, სადაც ხდებოდა ხსენებული საქმიანობის განხორციელება და თავს იყრიდნენ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებიდან მივლენილი თანამშრომლები.

უწყებებსა და დაწესებულებებში, საწარმოებში, ღიად მოქმედებდა სარეჟიმო დანაყოფები. კონსპირაციულობის გათვალისწინებით, მსგავს დანაყოფებს მიენიჭათ N1 დანაყოფის სახელწოდება, იშვიათ და გამონაკლის შემთხვევებში ფუნქციონირებდა N2 დანაყოფის სახელწოდებით. უწყებებში მივლინებული ოფიცრები, სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ამოცანების შესასრულებლად, მივლინების ადგილას აყალიბებდნენ ღრმად კონსპირირებულ სტრუქტურებს-სადაზვერვო ჯგუფებს და დანაყოფებს და კონტრსადაზვერვო მიმართულებით სამუშაო ჯგუფებს. კონკრეტულ სადაზვერვო ჯგუფს შესაძლოა, ემოქმედა ერთ უწყებაში, ან გაეერთიანებინა მომიჯნავე პროფილის რამდენიმე უწყება.

ასეთი დანაყოფი არსებობდა თითქმის ყველა იმ ორგანიზაციაში, სადაც კი უწყებრივი შეხება ჰქონდათ საიდუმლო ინფორმაციასთან, პუბლიკაციებთან და ინფორმაციის ბეჭდვა-გავრცელებასთან.⁵ (სტამბა, გამოთვლითი ცენტრები, ტელერადიო სადგურები და სამსახურები, პარტიული დანაყოფები, საინფორმაციო საშუალებები, ანუ ყველა ორგანო, სადაც შესაძლებელი იყო, გამოვლენილი ყოფილიყო ანტისახელმწიფოებრივი პოზიცია, მომხდარიყო ამ ყველაფრის ტირაჟირება და გავრცელება, რაც ნეგატიურად აისახებოდა ქვეყნის იმიჯსა და რეპუტაციაზე, იმჟამინდელ მმართველ პარტიასა და ელიტაზე.) ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ცვლილებასთან ერთად, ფართოვდებოდა უწყებრივი პირველი განყოფილებების საქმიანობის სფეროები და როლი. მას შემდეგ, რაც შესაძლებელი გახდა საზღვარგარეთ გამგზავრება - სამსახურებრივად თუ ტურისტულად, აღნიშნული

⁵ В.Пирогов, КГБ. Бывших не бывает?, Москва, 2015, 220.

პროცედურის კონტროლიც დაექვემდებარა პირველი განყოფილების საქმიანობის სფეროს. გარდა ხსენებულისა, პირველი განყოფილების კონტროლს ექვემდებარებოდა ორგანიზაციებში არსებული საბეჭდი და გამომთვლელი მოწყობილობები, მათემატიკური მანქანები და ასლგადამღები აპარატები, მოგვიანებით კი - კომპიუტერული ქსელები და მოწყობილობები. დანაყოფისთვის უფლებამოსილების გაზრდა მიზნად ისახავდა, მაქსიმალურად კონტროლს დაექვემდებარებოდა ორგანიზაციაში არსებული პოლიტიკური მიდგომები და შეხედულებები, თავიდან ყოფილიყო აცილებული უწყებებში არსებული საბეჭდი, ასლგადამღები და ინფორმაციის გავრცელების საშუალებების ბოროტად და არადანიშნულებისამებრ, სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ გამოყენება, არ დამზადებულიყო და არ გავრცელებულიყო პროკ-ლამაციები, რეკრუტირების (გადმოხირების) და დეზინფორმაციის შინაარსის მატარებელი და მაპროპაგანდირებელი ანტისახელმწიფოებრივი პლაკატები.

უდავოა, რომ ინფორმაციული აქტივი და მისი უსაფრთხოება წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რესურსს და საზრუნავს, როგორც სახელმწიფო სამსახურებისთვის, ისე კერძო სექტორისთვის. როგორც აღვნიშნე, სახელმწიფო უწყებებსა და ორგანიზაციებში უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ოფიცრების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს ინფორმაციული უსაფრთხოება. ტერმინი, მართალია, ახალია, მაგრამ შინაარსო-ბრივად ყოველთვის აქტუალურობით გამოირჩეოდა. ინფორმაციული ნაკადი, თავ-მოყრილი რომელიღაც უწყებაში, საჭიროებდა შესაბამის დაცვას. მე-20 საუკუნეში ინფორმაციის მატარებელი წყაროები იყო ნაბეჭდი, ხელნაწერი, მაგნიტურ ლენტზე ჩანაწერის ან სხვა სახით, მართალია, დღევანდელმა რეალობამ გამოიწვია უწყებებში ახალი სამუშაო პოზიციების შექმნა ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით მომუშავე პერსონალისთვის - ინფორმაციული უსაფრთხოების ოფიცერი, თუმცა მათი საქმიანობა არსებითად განსხვავდება უსაფრთხოების საკითხებში ოფიცრების საქმიანობისგან. კერძოდ, ინფორმაციული უსაფრთხოების ოფიცრის მოვალეობაში შედის ორგანიზაციაში არსებული ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხების ყოველდღიური მონიტორინგი, ინფორმაციული აქტი-ვების და მასზე წვდომის აღწერა,

პოლიტიკის უზრუნველყოფი დოკუმენტაციის მომზადება, ინციდენტების შეგროვება და მათზე რეაგირების მონიტორინგი, შესაბამისი მაკონტროლებელი დანაყოფისთვის ანგარიშის წარდგენა.

აღნიშნულ განყოფილებებში თავმოყრილი იყო ინფორმაცია ასევე დაწესებულების თანამშრომლებზე, სპეციალურ ანკეტებში ფიქსირდებოდა მონაცემები თანამშრომლების პოლიტიკური შეხედულებების, საზღვარგარეთ გამგზავრების, გრიფირებულ, საიდუმლო (კლასიფიცირებული)* დოკუმენტაციაზე დაშვების თაობაზე. აღნიშნულ სამსახურში დასაქმებულ თანამშრომლებს, ანდროპოვის პერიოდიდან ეწოდებოდათ მოქმედი რეზერვის (საერთო საჯარისო რეზერვის გარდა, არსებობდა უშიშროების ორგანოების სპეციალური რეზერვი, სადაც ირიცხებოდა უშიშროების თანამშრომელი (ოფიცერი). სწორედ აღნიშნული აქტიური რეზერვიდან ხდებოდა თანამშრომლების შერჩევა და მივლინება სხვადასხვა უწყებაში სახელმწიფოსთვის ეროვნული ინტერესების მატარებელი დავალებების შესასრულებლად.)ოფიცრები («офицеры действующего резерва»), ჩვენს რეალობაში „ოდერი“ - ОДР, რაც მუდამ ბურუსით იყო მოცული. ოფიცრების საქმიანობა უნდა ყოფილიყო კონსპირირებული და, დაწესებულების ხელმძღვანელის გარდა, ანუ ვისთან შეთანხმებითაც ხდებოდა თანამშრომლის მივლინება უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, არვის უნდა სცოდნოდა. დაუშვებელი იყო მისი გამოაშკარავება, ის მიიჩნეოდა დაწესებულების ჩვეულებრივ თანამშრომლად, რომელსაც თავისი თანამდებობრივი უფლებამოსილებები გააჩნდა. ფაქტობრივად, წარმოადგენდა მედიატორს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებსა და მიმღებ დაწესებულებას შორის. დაწესებულებაში ორგანიზაციული და ინფორმაციული უსაფრთხოების მიზნით, განისაზღვრებოდა საჭიროებები, რომლის უზრუნველყოფის პრეროგატივა გააჩნდა უსაფრთხოების ოფიცერს. ოფიცერი მოქმედებდა ფარულად, მისი სამოქმედო სფერო და არეალი შეუზღუდავი იყო მაშინ, როდესაც საქმე ეხებოდა სახელმწიფო საიდუმლოების რეჟიმის დაცვას, სამსახურებრივი ინფორმაციის გავრცელებას, კორესპონდენციის და

*კლასიფიცირებული ინფორმაცია - ნებისმიერი სახის ინფორმაცია ან მასალა, რომელსაც მინიჭებული აქვს შესაბამისი საიდუმლოების ხარისხი და დაცულია განსაკუთრებული ზომებით არაავტორიზებული წვდომისგან, გამჟღავნებისგან ან დაკარგვისგან.

სატელეფონო საუბრების ლუსტრაციას, უწყებაში მისაღები კანდიდატის ოპერატიულ შესწავლას, თანამშრომლის საზღვარგარეთ გამგზავრებას, დაწესებულებაში უცხოეთიდან სტუმრის მიღებას და სხვ. ოფიცერს უნდა ეწარმოებინა გასაუბრება და ჩაეტარებინა ინსტრუქტაჟი საზღვარგარეთ გასამგზავრებლად გამზადებულ პირთან, რათა თავიდან აეცილებინა უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების წარმომადგენლების მხრიდან მისი გადაბირების და სენსიტიური ინფორმაციის განდობაზე დაყოლიების საფრთხე. ასევე უნდა მომხდარიყო მსგავსი პირების, ანუ საზღვარგარეთ გამგზავრებული თანამშრომლების გადაბარება სხვა ოფიცრებზე, რომლებიც იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ, კონკრეტულ ქვეყანაში. მოქმედი რეზერვის ოფიცერი დაკავებული იყო ობიექტზე (უწყებაში) საიდუმლოების რეჟიმის დაცვის უზრუნველყოფით, ასრულებდა სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ამოცანებს სამოქალაქო დაწესებულების პოზიციიდან. ასევე ხელმძღვანელობდა უწყების საფარქვეშ, საზღვარგარეთ ხანგრძლივი მივლინებისთვის ოპერატიული თანამშრომლის მომზადებას, საზღვარგარეთ აქტიური ღონისძიებების გასატარებლად და ა.შ.

გადაბარებაზე პასუხისმგებლობას იღებდნენ საგარეო კონტრდაზვერვის ოფიცრები (საგარეო კონტრდაზვერვის საქმიანობა-სადაზვერვო საქმიანობის სახეობა, რომელიც ხორციელდება საქართველოს ფარგლებს გარეთ სადაზვერვო საქმიანობისა და მასში მონაწილე პირების, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების, აგრეთვე ხანგრძლივად მივლინებაში მყოფი საქართველოს იმ მოქალაქეებისა და მათი ოჯახის წევრების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რომლებიც თავიანთი საქმიანობით დაკავშირებული არიან სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციასთან. საქმიანობის განმახორციელებელი დანაყოფი - საგარეო დაზვერვის სამსახურის ოპერატიული დირექტორატი. საქართველოს კანონი სადაზვერვო საქმიანობის შესახებ. 2014 წლამდე აღნიშნულ საქმიანობას ანხორციელებდა ინფორმაციის დირექტორატი, ამჟამინდელი ოპერატიული დირექტორატი. <https://surl.lu/ecwqic>), მივლენილი უცხოეთის ქვეყნებში დიპლომატიური წარმომადგენლობების, საკონსულო დაწესებულებების, ასევე ხანგრძლივად მყოფი მოქალაქეების უსაფრთხოების და მათ საქმიანობასთან და-

კავშირებული სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვის უზრუნველსაყოფად.

უსაფრთხოების საკითხებში ოფიცრების საქმიანობის სპეციფიკა

მოქმედი (ე.ი. აქტიური) რეზერვის ოფიცრის სტატუსის და საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მუდამ განეკუთვნებოდა ისეთ სახელმწიფო საიდუმლოებას,* რომლის გახმაურებაც კანონით იკრძალებოდა და ისჯებოდა. უმეტესად, მათი საქმიანობა იმ ორგანიზაციებში, სადაც მივლენილი იყვნენ, უკავშირდებოდა ოპერატიულ საქმიანობას, ხდებოდა პერსონალის გადაბირება, გამოკითხვა, იწერებოდა ინფორმაციულ-ანალიტიკური ცნობები, მოხსენებები და პატაკები, დგებოდა ანგა-რიშები საკუთარი ხელმძღვანელობისთვის. მსგავსი ოფიცრების რაოდენობა სხვადასხვა უწყებაში განსხვავებული იყო. უწყებაში შეიძლებოდა, მივლენილი ყოფილიყო რეზიდენტი, რომელსაც კავშირზე ეყოლებოდა სხვადასხვა დანაყოფში განფენილი რამდენიმე ოფიცერი, რათა სრულად ყოფილიყო შესაძლებელი უწყებაში არსებული დანაყოფების და განშტოებების ოპერატიული დაფარვა-ათვისება და კონტროლის წარმოება.

ხშირად დაწესებულება, სადაც მივლენილი იყო ოფიცერი, წარმოადგენდა მის საფარს⁸ (საფარი - საქმიანობის საწარმოებლად ლეგალური შენიღბვა უწყების ან თანამდებობის სახით. უწყება, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც მზვერავი იყენებს თავისი სადაზვერვო საქმიანობის შესანიღბად.) საზღვარგარეთ უწყების სახელით გამგზავრების შემთხვევაში. ამ შემთხვევაშიც უშიშროების ოფიცრის საქმიანობის მთავარი ვექტორი მკაცრად განსაზღვრული იყო, უნდა ემოქმედა ძირითადი სამსახურის ინტერესებიდან გამომდინარე, რაშიც დაეხმარებოდა ოფიციალური საფარი - ოპერატიულ-სამძებრო, სადაზვერვო და კონტრდაზვერვითი საქმიანობისთვის.

* ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მოქმედ რეზერვში ჩარიცხული პირი იღებდა ხელფასს ორ უწყებაში, როგორც წარმგზავნ-ისე მიმღებ უწყებაში. ხელფასს, რომელსაც ოფიცერი იღებდა მივლინებას ადგილას, ეჭვებს აქარწყლებდა იმის თაობაზე, რომ ეს პირი არ იყო უწყების თანამშრომელი და საიდუმლო საქმიანობისთვის იყო ჩანერგილი. ძირითადი (ანუ წარმგზავნი) სამსახურიდან იღებდა, საუწყებო ფორმის, წოდების (ჩინის, რანგის), ნამსახურების წლების და არსებული წესის მიხედვით სხვა დანამატს.

⁸ Попов А., Тайная стража России. Книга 6. Очерки истории, Алгоритм, 2022, 45.

უწყებათა ჩამონათვალს, სადაც ხდებოდა ოფიცრების საგანგებო მივლინება, არეგულირებდა სახელისუფლებო დონის სამართლებრივი აქტი. უწყებები განისაზღვრებოდა მათი კრიტიკულობის ხარისხით და განსაკუთრებული მნიშვნელობით, საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომისა და საჭიროების, საზღვარგარეთის დაწესებულებებთან ურთიერთობის ინტენსივობით, უცხო ქვეყნის სადაზვერვო სამსახურების მაღალი ინტერესით და მსგავსი კრიტერიუმებით. ასეთ დაწესებულებებს და უწყებებს წარმოადგენდნენ სამეცნიერო კვლევითი, საკონსტრუქციო ბიუროები (საკონსტრუქციო ბიუროები - ძირითადად, ორგანიზაცია, რომელიც დაკავებულია ახალი ტექნიკის შემუშავებით, მსგავსი ბიუროები იყო გასაიდუმლოებული (საავიაციო, სამხედრო, საინჟინრო), შესაბამისად იქ მომუშავე პირებს ეკრძალებოდათ ნამდვილი საქმიანობის შესახებ საუბარი. საბჭოთა კავშირის პერიოდში მსგავსი ტიპის დაწესებულებების ნაწილი ექვემდებარებოდა შინაგან საქმეთა და უშიშროების ორგანოებს, სადაც დასაქმებულები იყვნენ სისხლის სამართლებრივი წესით გასამართლებული (მსჯავრდებული) მეცნიერები, ტექნიკოსები, ინჟინრები.)⁹ და საგანმანათლებლო ინსტიტუტები, ცენტრები და დაწესებულებები, ტელე-რადიო მაუწყებლობის გამავრცელებელი სადგურები და სამსახურები, სარედაქციო-საგაზეთო პუბლიკაციების გამომცემელი და გამავრცელებელი სამსახურები, აერო და საზღვაო პორტები და ნავსადგურები, ბუნებრივი რესურსების და ენერგეტიკის, ფინანსების სფეროებში მომუშავე უწყებები და ბანკები, ასევე მიწისზედა და მიწისქვეშა სატრანსპორტო სამსახურები.

თვალნათელია, თუ რამდენად აუცილებელია მსგავსი ტიპის დაწესებულებებში, უსაფრთხოების უზრუნველყოფელი პირების არსებობა, რომლებიც ნამდვილად ორიენტირებული არიან მივლინების ადგილას სენსიტიური ინფორმაციის დაცვაზე და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. ყოფილა შემთხვევები, როდესაც სამეცნიერო კვლევითი ცენტრებიდან, საკონსტრუქტორო ბიუროებიდან და სხვა დახურული ტიპის სარეჟიმო ობიექტებიდან, ინდუსტრიული შპიონაჟის ფარგლებში, გაუტანიათ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი, სამსახურებრივი, კომერციული თუ სხვა

⁹ И.Линдер, С. Чуркин, Спецслужбы России за 1000 лет, 2017, Рипол-Классик, 45-51. (ე.წ. *шарашкина контора*).

მკაცრ დაცვას დაქვემდებარებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ინფორმაცია შე-
საძლოა ყოფილიყო მაკეტის, ვიდეო-აუდიო ფაილის, ციფრული და არაციფრული
ფორმატის, დოკუმენტის, ნივთის და სხვა სახის, როგორც დედანი, ისე ასლი. სწორედ
მსგავსი სახის შეღწევებისგან და თავდასხმების თავიდან ასაცილებლად არის საჭირო
ქვეყნისთვის მაღალი რისკის მქონე ობიექტებზე უსაფრთხოების ოფიცერი. სწორედ
მათ პასუხისმგებლობას განეკუთვნება მსგავსი საკითხების რეგულირება და
საკუროტო ობიექტზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა. მსგავსი სახის შპიონაჟის
დროს გამოიყენება შემდეგი მეთოდები: კლასიფიცირებულ ინფორმაციაზე დაშვე-
ბული პირის მოსყიდვა, შანტაჟი, ინფორმაციების მატარებლების დაუფლება, პირის
ჩანერგვა ორგანიზაციაში, სხვადასხვა ტექნიკური საშუალებებით შეღწევა კიბერ-
ხელსაწყოების გამოყენებით, სატელეფონო მიყურადებით (სტაციონარი, ფიჭური),
თვალთვალის დევნება, ტექნიკური მეთვალყურეობა, „ტრეკერების“, „ლოკატორები“,
„პელენგატორების“ და უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებით და სხვ.

ჩვენ შემთხვევით არ ვახსენებთ საგანმანათლებლო დაწესებულებები - უმაღლესის
სასწავლებლების სახით, სადაც ხდებოდა ოფიცრების მივლინება სპეციალური
მისიით. თუ ადრე ოფიცრისთვის უმაღლეს სასწავლებელში ფორმალურად და-
კავებული თანამდებობა მხოლოდ შესანიღბი საშუალება იყო საზღვარგარეთ
საქმიანობის განსახორციელებლად, ქვეყნის შიგნით - იგი ასოცირდებოდა იმ პირთან,
ვისაც საკუთარი პროფესიონალური უნარების (უდავოა, რომ მსგავსი საქმიანობის
განმახორციელებელი პირი არ უნდა ყოფილიყო დაკავებული ადგილობრივი კად-
რების თვალთვალის, გადაბირებით, დაშინებით და კომპრომეტაციით, მისი
საქმიანობა ცალსახად დაკავშირებული და მსახური უნდა ყოფილიყო ქვეყნის
უშიშროების ინტერესების.)¹⁰ მეშვეობით უნდა გამოვევლინა უცხო ქვეყნიდან შე-
მოსული ისეთი სტუმარი, რომელსაც შესაძლოა, ჰქონოდა სადაზვერვო ინტერესი
ჩვენი ქვეყნის მიმართ და შესანიღბად გამოეყენებინა საზღვარგარეთის რომელიმე
პრესტიჟული უნივერსიტეტის სამეცნიერო მოღვაწის სტატუსი (ოფიცერს გარდა
ხსენებულისა, უნდა ეკონტროლებინა საიდუმლო გრიფის მქონე ინფორმაციაზე

¹⁰ იქვე. В.Пирогов, 2015, 220.

შესაბამისი დაშვების დონის მიხედვით თანამშრომლის კომუნიკაცია, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების ბრუნვა, მათი შენახვის პირობები, დაცვა კანონსაწინააღმდეგო გავრცელებისგან, ასევე მის კომპეტენციას განეკუთვნებოდა ორგანიზაციაში დასანიშნი კანდიდატის შემოწმება, შესაბამისი დასკვნის მომზადება



სურათი. 1

და რეკო-მენდაციის გაწევა).¹¹ დღეს რეალობა შეცვლილია. მართალია, ჩვენს ქვეყანაში მოქმედ სამართლებრივ აქტებში საგანმანათლებლო სექტორი არ არის მიჩნეული სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის მაღალი რისკის მქონე სუბიექტად, მაგრამ არსებობს ვარაუდი, რომ უცხო ქვეყნიდან ჩვენს ქვეყანაში სასწავლებ-

ლად შემოსული დიდი მასიდან, გარკვეული მასა წარმოადგენდეს სახელმწიფოსთვის საფრთხის შემცველ სუბიექტს,* რომელიც უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურს.

უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტსივრცეში განთავსებულია არაერთი არაკომპეტენტური სტატია ე.წ. „ოდერების“ ინსტიტუტთან და მის საქმიანობასთან დაკავშირებით. ვრცელდება ინფორმაცია, თითქოსდა არსებობდა „მოქმედი რეზერვის ოფიცრის“ სამკერდე ნიშანი წარწერით „ОДР“, რაც სრულ აბსურდს, ე.ი. უაზრობას წამოადგენს, ვინაიდან უწყებებსა და ორგანიზაციებში მივლენილი ოფიცრები ინარჩუნებდნენ მაქსიმალურ კონსპირაციას და არ ატარებდნენ რაიმე მაიდენტიფიცირებელ ინვენტარს, ფორმას ან განმასხვავებელ სამკერდე ნიშანს. ხსენებული წარწერით სამკერდე ნიშანი განეკუთვნებოდა „რადიოს მეგობართა საზოგადოების“ წევრებს - Общество Друзей Радио (ОДР)¹³.

¹¹ Э.Макаревич, Ф.Бобков, КГБ и власть, Алгоритм, 2019, 23-25.

* შესაძლოა, მტრულად განწყობილი მასა ძირგამომთხრელი საქმიანობის მიზნით შემოდიოდეს ჩვენს ქვეყანაში, სადაზვერვო ინფორმაციის მოსაპოვებლად, სტუდენტების და ახლო კავშირში მყოფი პირების გადასაბირებლად, მათგან სენსიტიური ინფორმაციის მისაღებად, უცხო ქვეყნის ტერორისტულ და საბრძოლო ორგანიზაციებში გასაწევრიანებლად რეკრუტირებისთვის. შესაბამისად მსგავსი ქმედებების გამოვლენა და თავიდან აცილება მეტად რთულ საქმიანობას წარმოადგენს. ნახსენებ საფრთხეებთან გამკლავების შემთხვევაში დაცული იქნება ჩვენი საზოგადოება და გამოვლენილი იქნება მტრულად განწყობილი პირი ან პირები.

¹³ Общество друзей радио, <https://surl.li/vqykty> (გადამოწმებულია 20.11.2025)

ზოგადად, საბჭოთა კავშირის პერიოდში სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მაღალჩინოსნები მიეკუთვნებოდნენ იმჟამინდელი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნომენკლატურას¹⁴ და მათი თანამდებობაზე დანიშვნა, კარიერული ზრდა, გადაადგილება ხორციელდებოდა შესაბამისი პარტიული ორგანოების ხელდასმით.

იყო შემთხვევები, როდესაც ხდებოდა პარტიული თანამდებობების შეთავსება უშიშროების ორგანოების მაღალჩინოსნებისთვის. უშიშროების ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელები, როგორც წესი, იკავებდნენ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ადგილობრივი, სამხარეო და საოლქო კომიტეტების წევრების პოზიციებს. იგივე პრაქტიკა ვრცელდებოდა ქალაქების და რაიონების დონეზეც. პარტიული კომიტეტების ადმინისტრაციულ სამსახურებში მოქმედებდა უშიშროების ორგანოების კურატორი დანაყოფი, რომელიც ფორმირდებოდა უშიშროების ორგანოების კადრის თანამშრომლებით (საბჭოთა კავშირის პერიოდში უშიშროების ორგანოებში სამსახურში აყვანა ძირითადად ხორციელდებოდა პარტიული აპარატის თანამშრომელთა რიგებიდან (კომუნისტებიდან, ახალგაზრდა კომკავშირელებიდან, საბჭოთა ორგანოებიდან), რაც მიმდინარეობდა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კონტროლის ქვეშ).¹⁵ ოფიცრები პარტიულ აპარატში მუშაობის პარალელურად რჩებოდნენ უშიშროების ორგანოების სამსახურში და ირიცხებოდნენ ე.წ. „მოქმედ რეზერვში“.

როგორც ზემოთ აღინიშნა, უშიშროების საკითხებში ოფიცერი ინიშნებოდა სახელმწიფო უშიშროებისთვის ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო ორგანოებსა და დაწესებულებებში. გარდა აღნიშნულისა, სახელმწიფოს მიერ მსგავსი ფუნქციებისა და უფლებამოსილების მქონე თანამშრომელების დანიშვნა და მივლინება ხდებოდა საზღვარგარეთ წარმგზავნი (ანუ დაინტერესებული) ქვეყნის წარმომადგენლობებში (სადაზვერვო საქმიანობის განმახორციელებელი თანამშრომლები მუშაობენ საზღვარგარეთ არსებულ სხვადასხვა

¹⁴ სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, <https://surl.it/pqkpls> (გადამოწმებულია 20.11.2025)

¹⁵ Д.Бейли, С.Кондрашев, Д.Мерфи, ЦРУ против КГБ в "холодной войне". Поле битвы Берлин, Родина, 2021, 49.

ოფიციალურ და არაოფიციალურ წარმომადგენლობაში. წარმომადგენლობები შეიძლება იყოს როგორ დიპლომატიური საელჩოების და საკონსულოების სახით, ისე სავაჭრო, კულტურული, რელიგიური ორგანიზაციები, ასევე სახელმწიფო კომპანიები ფილიალები და წარმომადგენლობები საზღვარგარეთ.).¹⁶ რეალურად მივლენილ ოფიცრებს, მიმღები (ანუ სადაც იყო მივლენილი) უწყების საქმიანობის მიხედვით, ევალუბრდით უწყების და დაწესებულების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და კურატორ სამსახურთან (წარმგზავნ უშიშროების ორგანოებთან) მუდმივ ოპერატიულ კავშირზე ყოფნა.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სამსახური შემოღებული იქნა საბჭოთა კავშირში წინა საუკუნის 50-ანი წლების მეორე ნახევარში¹⁷, სახეცვლილება განიცადა და დაიხვეწა უწყებაში უკვე ანდროპოვის ხელმძღვანელობის პერიოდში (თუმცა ზოგიერთი წყარო იუწყება, რომ ტერმინს დიდი ხნის ისტორია გააჩნია და იგი ხმარებაში შემოღებულია 1920 წლიდან და გამოიყენებოდა 1990 წლამდე. აღნიშნული პერიოდის შემდეგ «офицеры ДР» გადაერქვა და ეწოდა «офицеры АПС» (АПС — аппарат прикомандированных сотрудников), მაგრამ აზრი და დატვირთვა არ შეცვლილა.).¹⁸ გარდა ზემოთდასახელებული გარემოებებისა და მაგალითებისა, უშიშროების საკითხებში ოფიცრები იგზავნებოდნენ შესაბამის უწყებებში უშიშროების ორგანოების სხვადასხვა სამსახურიდან. წარგზავნა ხდებოდა ინტერესების სფეროების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ინტერესი - სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფა და განმტკიცება იყო, ერთ უწყებაში შესაძლებელი იყო, მივლენილი ყოფილიყო ოფიცერი დაზვერვის (პირველი სამმართველო-საგარეო დაზვერვა), კონტრდაზვერვის (მეორე სამმართველო-კონტრდაზვერვა და შიდა უსაფრთხოება), კონსტიტუციური წყობილების დაცვის სამმართველო (მე-5 სამმართველო, იდეოლოგიური დივერსიების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო, მათ შორის დისი-

¹⁶ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, <https://surl.lt/dsneuf> (გადამოწმებულია 20.11.2025)

¹⁷ „Об офицерах органов КГБ, работающих в других организациях, министерствах и ведомствах“, 24 октября 1955 г. решением Президиума ЦК КПСС № П165/XXI-оп. КОМИТЕТ ГОСУДАРСТВЕННОЙ БЕЗОПАСНОСТИ, , <https://surl.lu/exlmp> (გადამოწმებულია 20.11.2025)

¹⁸ (ЗАБОТА О СПЕЦСЛУЖБАХ-ВЫСОКИЕ ДОЛЖНОСТИ ДЛЯ ХОРОШИХ ДРУЗЕЙ) <<https://surl.li/lfroml>> (გადამოწმებულია 20.11.2025)

დენტების წინააღმდეგ ბრძოლა) და დაცვის (პარტიის და სახელმწიფო მოხელეების დაცვის, იგივე მე-9 სამმართველო («Девятка»)), სამმართველოებიდან. მე-9 სამმართველოს (მე-9 სამმართველოს დაქვემდებარებაში იყო მე-2 განყოფილება, კონტრდაზვერვის ხაზით მომუშავე, რომელიც კურირებდა მივლენილ ოფიცრებს სხვადასხვა დანაყოფში. ამ დანაყოფის თანამშრომლები ზრუნავდნენ ქვეყნის პირველი პირების და მაღალი რანგის უცხოელი სტუმრების უსაფრთხოებაზე, მათ შორის სასტუმროებშიც.),¹⁹ ოფიცრები, საფარქვეშ ძირითადად საქმიანობას ეწეოდნენ პარტიულ დანაყოფებში, ცენტრალური კომიტეტის აპარატსა და მის სტრუქტურებში. ამასთან ერთად, ისინი ოპერატიულ საქმიანობას ახორციელებდნენ დიდ სასტუმროებშიც, როგორც უშიშროების სხვა დანაყოფების ოფიცრებთან კოორდინაციაში, ისე დამოუკიდებლად, მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების მიმართ მოსალოდნელი თავდასხმის, ტერორისტული აქტების გამოსავლენად და აღსაკვეთად.*

მოგეხსენებათ, სასტუმროს საქმიანობა (სპეციალური ღონისძიებების ოთახი უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთათვის, საბჭოთა კავშირის პერიოდში გამოყოფილი იყო ზემოხსენებული ოფიცრებისთვის, სადაც სხვა ოპერატიულ საქმიანობასთან ერთად ასევე სპეციალური აღჭურვილობისა და ტექნიკის მეშვეობით ხორციელდებოდა კორესპონდენციების და სატელეფონო კავშირების ლუსტრაცია) ძირითადად ორიენტირებული იყო და არის უცხოეთის ქვეყნებიდან შემოსულ სტუმრებზე, სტუმრებს შორის შესაძლებელი იყო, ყოფილიყვნენ მიმღები ქვეყნის მიმართ მტრულად განწყობილი და ძირგამომთხრელი საქმიანობით დაინტერესებული პირებიც. სწორედ ასეთი პირების გამოსავლენად იყო საჭირო ოფიცრების მივლინება მსგავსი ტიპის დაწესებულებებში, როგორც საექვო და საფრთხის შემცველი პირების გაჩერების, შეხვედრების, ასევე გადაადგილების ადგილებზე კონტრდაზვერვითი, სადაზვერვო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების

¹⁹ КОМИТЕТ ГОСУДАРСТВЕННОЙ БЕЗОПАСНОСТИ, <https://surl.it/obnrgn> (გადამოწმებულია 20.11.2025)

* რუსეთში გარკვეული პერიოდის განმავლობაში ფიქსირდებოდა ფუჭი მცდელობები თავდაცვის სამინისტროს თადარიგის ოფიცერთა შემადგენლობიდან სპეციალური კონტინგენტის წარგზავნის, დაქვემდებარებულ პროფილურ დაწესებულებასა და მაღალი რისკის შემცველ სამხედრო დანაყოფებში, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული უნდა ყოფილიყო რფ-ს უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის მივლენილ თანამშრომელთა აპარატის მსგავსი, როგორც სტრუქტურულად, ისე ფუნქციონალურად.

გატარება. აღნიშნული ღონისძიებები შეიძლება მიმართული ყოფილიყო, ჩვენს ქვეყანაში შემოსული დიპლომატების, ემისრების, საფარს მიღმა და არალეგალური საბუთების გამოყენებით შემოსული პირების მიმართ. ძირითადად, მსგავსი კატეგორიის ღონისძიებები იყო და არის საიდუმლო ხასიათის მატარებელი და ხორციელდებოდა როგორც ღიადა, ისე - ფარულად. გარდა ზემოთ დასახელებული უშიშროების სამსახურის დანაყოფებისა, სასტუმროებსა და ორგანიზაციებში მიმდგრებულნი იყვნენ სუკი-ის (სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი) მე-7 სამმართველოს (ოპერატიული დაზვერვის/ოპერატიულ-ტექნიკური/ოპერატიულ-სამძებრო სამსახური) თანამშრომლები, რომლებიც დაკავებული იყვნენ სასტუმრო ნომრების ფარული მიყურადებით და სტუმრების თვალთვალთ. მე-9 სამმართველოს თანამშრომლები პატრულირებდნენ ვესტიბიულებში, საკონცერტო და სააქტო დარბაზებში, რესტორნებში, ესწრებოდნენ საჯარო და კორპორატიულ ღონისძიებებს შენიღბული მოსამსახურის სახით, ცდილობდნენ, კაპიტალისტური მავნე ზეგავლენისგან და არასასურველი კონტაქტებისგან დაეცვათ მაღალი რანგის სახელისუფლებო პირები. მე-5 სამმართველოს ოფიცრები დისიდენტობაში შემჩნეულ და ექვმიტანილ პირებს უწყობდნენ ინტრიგებს, უზღუდავდნენ უცხო ქვეყნის წარმომადგენლებთან ურთიერთობას და ცდილობდნენ, მათზე მოეხდინათ იდეოლოგიური ზემოქმედება.

აღსანიშნავია, რომ უშიშროების საკითხებში ოფიცრების დანაყოფს არაერთხელ შეეცვალა სახელწოდება. რუსეთში დღეს ამ სამსახურს ეწოდება სხვადასხვა უწყებაში მივლენილ თანამშრომელთა აპარატი (Аппарат прикомандированных сотрудников). აპარატის ქვეშ იგულისხმება სახელმწიფო უსაფრთხოების ორგანოებიდან, მაღალი რისკის და სახელმწიფო ინტერესის მქონე უწყებებში მივლენილი პირების შემადგენლობა. საქართველოში ანალოგიურ კატეგორიის ოფიცრებს უწოდებდნენ უსაფრთხოების (უშიშროების) საკითხებში ოფიცრებს (2013 წლის დეკემბრამდე ნორმატიულ აქტებში (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა პერიოდის დებულებები) გამოიყენებოდა ტერმინი „უშიშროების საკითხებში ოფიცერი“, რის

შემდეგაც შეიცვალა და იხმარებოდა „უსაფრთხოების საკითხებში ოფიცერი“),²¹ თუმცა დღეს მსგავსი სახის ტერმინი ოფიციალურად არსადაა დაფიქსირებული და აღარც იხმარება.

საქართველოში უწყებებსა და დაწესებულებებში ფუნქციონირებდა 1-ლი (საიდუმლო) განყოფილება, რომელმაც დროთა განმავლობაში შეიცვალა სა-ხელწოდება და, თუ ადრე შეფარვით ეწოდებოდა 1-ლი განყოფილება, დღეს უკვე იწოდება საიდუმლო-სარეჟიმო განყოფილებად, სადაც თავს იყრის საიდუმლო კორესპონდენცია, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ყველა სახის ინფორმაციის მატარებელი ობიექტი, დოკუმენტის, მაკეტის, ნახაზის თუ სხვა ნებისმიერი სახით. დანაყოფის სამუშაო სივრცე განსაკუთრებულად დაცულია, როგორც შეღწევის საწინააღმდეგო სასიგნალო, ისე ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობებით, სათვალთვალო კამერებით, ცეცხლგამძლე სეიფებით. წარსულში თუ მივლენილი ოფიცერი კურირებდა პირველ განყოფილებას, სადაც ეწეოდა ქვეყნის უშიშროების ინტერესების შესაბამის მოქმედებებს, დღეს ასე აღარ არის. საიდუმლო-სარეჟიმო განყოფილებებში მუშაობენ ჩვეულებრივი სპეციალისტები, რომელთაც გააჩნიათ საიდუმლოებასთან დაშვება და სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ობიექტებთან მუშაობის უფლებამოსილება. მათი საქმიანობა, ნორმების, რეკომენდაციების და წესების დაცვის შესაბამისობა პერიოდულად, გეგმიურად, საჭიროების შემთხვევაში არაგეგმიურადაც მოწმდება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრაზვერვითი საქმიანობის განმახორციელებელი შესაბამისი იმ დანაყოფის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია სახელმწიფო საიდუმლოების დაცვაზე. შესაბამისად, უწინდელისგან განსხვავებით, აღნიშნულ განყოფილებაში აღარ არიან (იშვიათად) დასაქმებული სახელმწიფო უსაფრთხოების ორგანოებიდან მივლინებული თანამშრომლები საიდუმლო საქმიანობისთვის.

ხშირად საზოგადოება იზიარებს იმ აზრს, რომ ისეთ დემოკრატიულ სახელმწიფოში, როგორიც არის საქართველო, სამოქალაქო ტიპის უწყებებსა და ორგა-

²¹ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე <https://surl.li/khwdxk> დოკუმენტის ნომერი 614, ძალადაკარგულია 25/12/2013, <https://surl.li/muzrod> დოკუმენტის ნომერი 337, მიღების თარიღი 13/12/2013.

ნიზაციებში, თუნდაც სახელმწიფო უსაფრთხოების მიზნების უზრუნველ-საყოფად, არ უნდა იყვნენ მივლენილი სხვადასხვა თანამდებობაზე (სააგენტოებში, საქვეუწყებო დაწესებულებებში, ააიპ-ში, სსიპ-ში და მსგავსი ტიპის დაწესებუ-ლებებში) სახელ-მწიფო უსაფრთხოების სამსახურებიდან ოფიცრები (ოპერრწმუნე-ბულები) უსაფრ-თხოების საკითხებში. ალბათ, საიდუმლოს აღარ წარმოადგენს, რომ გარკვეული წლების წინ, 2015 წლის ივნისამდე, ვიდრე უსაფრთხოების სამსახური გამოეყოფოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს, მინისტრი უფლებამოსილი იყო, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანოებში დაენიშნა უსაფრთხოების საკითხთა ოფიცრები. მას შემდეგ კი, რაც სახელმწიფო უსაფრთხოე-ბის სამსახური ჩამოყალიბდა ცალკე სახელმწიფო უწყებად და გამოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობიდან, უწყებასთან დაკავშირებულ არცერთ დოკუმენტში აღარ ფიგურირებს მსგავსი, ვგულისხმობ „უსაფრთხოების საკითხებში ოფიცრის“ შესახებ ჩანაწერს. თუმცა, თუ ადრე არსებობდა ჩანაწერი იმ უწყებათა და დაწესებულებათა ნუსხის თაობაზე, სადაც ინიშნებოდნენ ოფიცრები უშიშროების საკითხებში, დღეს ანალოგიური შინაარსის, საჯაროდ ხელმისაწვდომ ნორმატიულ ჩანაწერს ვერსად ვნახავთ. სიზუსტისთვის, არსებობდა საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 22 აპრილით დათარიღებული N187-ე ბრძანებულება „საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს უშიშროების საკითხებში ოფიცრის დე-ბულების დამტკიცების შესახებ“, რომლის მიხედვითაც, შესაძლებელი იყო სახელ-მწიფო უშიშროებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო ორგანოებში სახელმწიფო უშიშროების საკითხებში ოფიცრების დანიშვნა²². ამის პარალელურად, იმაყმად მოქმედი „საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამი-ნისტროს დებულების“ მიხედვით, არსებობდა იმ უწყებათა და დაწესებულებათა ნუსხა, სადაც ინიშნებოდნენ ოფიცრები უშიშროების საკითხებში. ასეთ უწყებათა რაოდენობა იყო 28, რომელიც შემდეგ წლებში შემცირდა 25-მდე. აღსანიშნავია, რომ მისავლენი ოფიცრების რაოდენობა და სტატუსი განისაზღვრებოდა უწყების ხელმ-ძღვანელთან შეთანხმებით. აღნიშნული ჩანაწერი ქართულ ნორმატიულ აქტებში

²² საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, <https://surl.li/ullgfl> (გადამოწმებულია 20.11.2025)

ფიგურირებდა 2004 წლის 27 დეკემბრამდე, მანამდე, ვიდრე უშიშროების სამსახური შეუერთდებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების, კონტრაზვერვის, კონტრტერო-რისტული და სხვა დანაყოფების სახით. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბერის N614-ე ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების“ მიხედვით, მინისტრი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანოებში ნიშნავდა განსაზღვრული რაოდენობის ოფიცრებს უშიშროების საკითხებში, კონტრაზვერვის და კონს-ტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტების (2012 წლის დეკემბრიდან სა-ხელმწიფო უსაფრთხოების სააგენტო) შესაბამისი დანაყოფებიდან. აღნიშნული წესი მოქმედებდა 2015 წლის ივლისამდე, სანამ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ჩამოყალიბდებოდა დამოუკიდებელ უწყებად.

როგორც უკვე მოგახსენეთ, შს სამინისტროში კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის სახელწოდებით სამსახური ფუნქციონირებდა 2012 წლის დეკემბრამდე, შემდეგ შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტო. 2015 წლამდე, სანამ შსს-ს გამოეყოფოდა სუს-ი, უსაფრთხოების საკითხებში ოფიცრების წარგზავნა ხორციელდებოდა შსს-ს კონტრაზვერვის და სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს (დეპარტამენტი) შესაბამისი დანაყოფებიდან. კონტრაზვერვის დეპარტამენტს ევალებოდა სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფო ორგანოებსა და დაწესებულებებში დანიშნული უსაფრთხოების საკითხთა ოფიცრების საქმიანობის კოორდინაციისა და კონტროლის განხორციელება; სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტის ამოცანა იყო განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო ორგანოებსა და დაწესებულებებში დანიშნული უსაფრთხოების საკითხთა ოფიცრების საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი, მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიტიკური დამუშავება; იმ პერიოდისთვის ფუნქციონირებდა კონტრაზვერვის დეპარტამენტის უშიშროების საკითხებში ოფიცერთა მთავარი სამ-

მართველო და სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს (დეპარტამენტი) ოფიცრები უშიშროების საკითხებში მთავარი სამმართველო.

შესაბამისად, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე უწყებებში, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ადეკვატური ღონისძიებების გატარების უფლება შეინარჩუნა ამიერიდან უკვე დამოუკიდებელმა უწყებამ - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა. მაგრამ ამ ყველაფერმა სახე იცვალა და შესაბამისი აქტის საფუძველზე განისაზღვრა სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის მაღალი რისკის მქონე სუბიექტები²³. ახალი ნორმატიული აქტების მიხედვით, მოძველებული ტერმინი უსაფრთხოების საკითხებში ოფიცრები აღარსად არის ნახსენები, თუმცა სამსახური, თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ინარჩუნებს ლეგიტიმურ უფლებას, რაც სავსებით კანონიერია და სამართლიანი, სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის მაღალი რისკის მქონე სუბიექტებისთვის დაადგინოს უსაფრთხოების დაცვის რეჟიმი, აგრეთვე გაუწიოს მათ სათანადო კონსულტაცია სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით, ასევე უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის მიავლინოს და განალაგოს საჭირო რაოდენობის მოსამსახურეები (მინიმალური რაოდენობა). გარდა ხსენებულისა, დომინანტი უწყება, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნებისათვის, სავსებით მართებულად ახორციელებს თანამდებობებზე დასანიშნ პირთა სპეციალურ შემოწმებას.*

²³ საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების შესახებ“. მუხლი 22, 15/07/2015; საქართველოს მთავრობის დადგენილება N584, 18/04/2023.

* სპეციალური შემოწმება მოიცავს, შესაბამისი სამსახურებრივი მონაცემთა ბაზების დამუშავებას, ღია წყაროებში არსებული მონაცემების, იდენტიფიცირებული სოციალური ქსელების დამუშავებას სპეციალური კიბერნეტიკული პროგრამული ხელსაწყოების გამოყენებით, ასევე მოიცავს პიროვნების შესწავლას, მისი პროფილის შედგენას.

სუბიექტების ნუსხა, სადაც ხდება უსაფრთხოების

საკითხებში ოფიცრების მივლინება

რაც შეეხება სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის მაღალი რისკის მქონე სუბიექტების ნუსხას²⁵, დღეს იგი შემდეგნაირად გამოიყურება:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.
4. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;
5. საქართველოს სასაქონლო ურთიერთობებისა და პრობაციის სამინისტრო;
6. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;
7. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
8. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
9. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა;
10. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;
11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია;
12. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“;
13. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - შემოსავლების სამსახურის საბაჟო-გამშვები პუნქტი „სარფი“;
14. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;
15. სს „თელასი“;
16. სს „საქართველოს რკინიგზა“;
17. სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო“;
18. შპს „ენგურჰესი“;
19. შპს „საქპრონავიგაცია“;

²⁵ სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის მაღალი რისკის მქონე სუბიექტების ნუსხა, <https://surl.li/huhgrm>
დოკუმენტის ნომერი 584, მიღების თარიღი 18/11/2015.

20. თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი;
21. ალექსანდრე ქართველიშვილის სახელობის ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი;
22. თამარ მეფის სახელობის მესტიის აეროპორტი;
23. დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი;
24. ქალაქ ბათუმის პორტი;
25. ქალაქ ფოთის პორტი.

რაც შეეხება, 2004 წლის 27 დეკემბრამდე²⁶ მოქმედი სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს დებულების საფუძველზე განსაზღვრულ იმ უწყებათა და დაწესებულებათა ნუსხას, სადაც ინიშნებოდნენ ოფიცრები უშიშროების საკითხებში, ასე გამოიყურება:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო;
2. საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო;
3. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო;
4. საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო;
5. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო;
6. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;
7. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
8. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
9. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
10. საქართველოს კონტროლის პალატა;
11. საქართველოს ეროვნული ბანკი;
12. სს „თბილგაზი“;
13. თბილისის მერია;
14. სს „მეტროპოლიტენი“;
15. სს „საქნავთობი“;
16. სტაბილური იზოტოპების ინსტიტუტი;

²⁶ სანამ სახელმწიფო უშიშროების სამსახური შეერწყმებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს. <https://surl.li/ncbfvx> ძალადაკარგულია 27/12/2004, დოკუმენტის ნომერი 263.

17. სს „თბილსრესი“;
18. „საქაერონავიგაცია“;
19. სს „აეროპორტი თბილისი“;
20. კოსმოსურ ნავიგაციათა ინსტიტუტი;
21. საავიაციო გაერთიანება „ავიამშენი“;
22. სს „საქართველოს რკინიგზა“;
23. ქუთაისის აეროპორტი;
24. სენაკის აეროპორტი;
25. ფოთის ნავსადგური.

სრულიად ცხადია, რომ ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურის ინტერესები ორივე შემთხვევაში სწორად არის გამოკვეთილი, ზედმიწევნით კრიტიკულად არის შეფასებული რისკები სამსახურების საქმიანობის და ფუნქციონირების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

გარდა ხსენებული კატეგორიის ოფიცრებისა, რომელთაც ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დაწესებულებებში მიავლენს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით, საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსი, სადაზვერვო საქმიანობიდან გამომდინარე, სახელმწიფო სტრუქტურებში ნიშნავს დაზვერვის ოფიცრს²⁷. სახელმწიფო სტრუქტურებში მივლენილი დაზვერვის ოფიცრის საქმიანობის სფერო გარკვეულ თანხვედრაშია დაწესებულებებში მივლენილ უსაფრთხოების საკითხებში ოფიცრის საქმიანობასთან, კერძოდ, უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, რადგან ცნება „უსაფრთხოება“ ძალიან ზოგადია და ბევრისმომცველი, მათი საქმიანობის ვექტორები მაინც განსხვავდება ერთმანეთისგან. განსხვავდება მათი ინტერესების სფეროები და ინტერესს დაქვემდებარებული კონტინგენტი, რომელთანაც მიმართებაში აწარმოებენ ოპერატიულ საქმიანობას. საქმიანობის ძირითად მიმართულებებს სადაზვერვო და კონტრდაზვერვითი, ასევე ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა წარმოადგენს. საქმიანობის

²⁷ საქართველოს დაზვერვის სამსახურის დებულება, დოკუმენტის ნომერი 175, მიღების თარიღი 19/02/2014, <https://surl.li/ldllcc> (გადამოწმებულია 20.11.2025).

მიზნების მისაღწევად, გასატარებელი სპეციალური ღონისძიებები ორიენტირებულია ინფორმაციის და ცნობების მოპოვებაზე, თვალყურის დევნებასა და სხვა სახის კონტროლზე. დაზვერვის ოფიცრების საქმიანობის სპეციფიკა განსხვავებულია და დიდ ინტელექტუალურ რესურსს და ძალისხმევას მოითხოვს. ისინი ძირითადად მივლენილი არიან ისეთ უწყებებში, სადაც მათი საქმიანობა გამართლებულია და აუცილებელი - აეროპორტებში, სასაზღვრო დანაყოფებში, საგარეო უწყებებში, დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულოებში,* სხვადასხვა მისიაში (ძირითადად უცხო ქვეყნის კონტინგენტთან სამუშაოდ.). დიპლომატიურ მისიებში ხდება მათი ოფიციალური მივლინება, დაზვერვის ოფიცერი, რომელიც უცხოეთში გრძელვადიან მივლინებაში ყოფნის პერიოდში ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობას, გააჩნია სპეციალური კატეგორია გამოცდილებისა და კომპეტენციის გათვალისწინებით. რაც შეეხება ადგილობრივ სტრუქტურებში დაზვერვის ოფიცრების გამწესების ფაქტს, მათი საქმიანობის ფორმებს, მეთოდებსა და საშუალებებს, აღნიშნულიც წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას და მისი გახმაურება და გამოაშკარავება ისჯება მოქმედი კანონმდებლობით. სუბიექტების ნუსხას, სადაც ინიშნებიან სუს-ის ოფიცრები, მსგავსი ოფიციალური ნუსხა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება დაზვერვის ოფიცრების გამწესების არეალი, საჯარო სახით არ არსებობს.

მნიშვნელოვანია, მიმოვიხილოთ აქტუალობით და ინტერესით გამორჩეული ინსტიტუტის, ღრმა დაშიფვრის ოფიცრის ე.წ. „ღღო“-ს საკითხი. ცნება და ტერმინი - ღრმა დაშიფვრის ოფიცერი, არის საბჭოთა წარმომავლობის (офицер глубокого прикрытия), რომელიც ძირითადად გამოიყენებოდა ლეგენდით, ფარულად მოქმედი არალეგალი მზვერავის მიმართ, რომელიც მოქმედებდა გამოგონილი ბიოგრაფიით და შეცვლილი პერსონალური მონაცემებით, რაც ამავდროულად გამყარებული იყო

* დიპლომატიურ მისიებში დაზვერვის ოფიცრები ახორციელებენ საგარეო კონტრდაზვერვით ღონისძიებებს (საქმიანობა), რომლის ორგანიზაციასა და კოორდინაციას ახორციელებს საქართველოს დაზვერვის სამსახური. იქვე მუხლი 13, პუნქტი „ო“.

დამაჯერებელი დოკუმენტებით და საბუთებით.²⁹ არალეგალის ლეგენდა მის საფართან,³⁰ სპეციალობასთან და დოკუმენტებთან ერთად,³¹ ქმნის უცხო ქვეყანაში მოქმედების ლეგალიზაციის საფუძველს. როგორც აღვნიშნეთ, ლეგენდა გამოგონილი, სპეციალურად შექმნილი ისტორიაა, გამყარებული შესაბამისი ისეთი დოკუმენტებით, რომელიც მედეგია ყველა კითხვის მიმართ და ეხება ოპერატიული თანამშრომლის წარსულს, აწმყოს და მომავალს და არ იწვევს ეჭვს კონტრმზვერავსა და გამომძიებელში. ლეგენდა საფარისთვის უნდა იყოს დამაჯერებელი და შეძლებისდაგვარად, მაქსიმალურად რეალობასთან მიახლოებული, მარტივი, ლოგიკური და ადვილად დასამახსოვრებელი, უნდა ემყარებოდეს რეალური ცხოვრების ფაქტებს, მოვლენებს და მათი შემოწმების (გამოგონილი მონაცემები ძნელად შემოწმებადი უნდა იყოს.) შემთხვევაში დასტურდებოდეს სხვადასხვა დოკუმენტით, საგნებით და გარემოებებით. იგი უნდა შეესაბამებოდეს მზვერავის პირად თვისებებს, მის სტატუსსა და აგენტურულ-ოპერატიული ვითარების თავისებურებებს. მსგავსი კატეგორიის ოფიცრებისთვის ხშირ შემთხვევაში უცხო ქვეყანაში ნატურა-ლიზაციისთვის³² რეკომენდებულია ძირითად ლეგენდასთან ერთად, მისი კომპრო-მეტირების შემთხვევაში სათადარიგო ლეგენდის ფლობა და გამოყენება. ზოგადად, ღრმა დაშიფვრის ოფიცრები არიან „არალეგალები“, რომლებიც შენიღბული იდენტობის ქვეშ, საფარად ლეგენდის გამოყენებით მოქმედებენ წარმგზავნი სახელ-მწიფოს ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ და მის გასატარებლად. მათი საქმიანობის მთავარ მიზანს წარმოადგენდა და ამჟამადაც წარმოადგენს სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვება, აგენტურული ქსელების შექმნა და გავლენის ოპერაციების განხორციელება.* აღნიშნული კატეგორიის თანამშრომლები განეკუთვნებიან სა-დაზვერვო და

²⁹ Wiliams M. Authentication: From Passwords to Public Keys First Edition. New York, 2002. 26. ფიქტიური დოკუმენტები, ლეგენდირებული ბიოგრაფიის მიხედვით, პიროვნების ვინაობის, საქმიანობის და ადგილსამყოფელის სალეგალიზაციოდ.

³⁰ Порядин В, Чекист Советского Союза. Исповедь генерала, Вече, 2022, 44-56. მზვერავის გამოგონილი ბიოგრაფია – სპეციალურად შემუშავებული და შესაბამისი დოკუმენტებით გამყარებული აღწერა იმ რეალურად არსებული თუ გამოგონილი პირის წარსული და აწმყო ცხოვრებისა, რომლის როლშიც მზვერავი გვევლინება.

³¹ იქვე 57.

³² ეროვნული ბიბლიოთეკის უცხო სიტყვათა განმარტება <https://surli.cc/vcaryh> (გადამოწმებულია 20.11.2025).

*არალეგალებისგან განსხვავებით, რომლებიც საქმიანობას ყალბი და შეთხზული ლეგენდით და ბიოგრაფიით ახორციელებენ, სადაზვერვო სამსახურის თანამშრომლები ლეგალური პოზიციებიდან, თუმცა მაინც შენიღბული სახით, სადაზვერვო საქმიანობას ახორციელებენ დიპლომატიური საფარის ქვეშ, საელჩოებსა და საკონსულოებში,

უშიშროების სამსახურების საიდუმლო შემადგენლობას და მათი რეალური ვინაობა გასაიდუმლოებულია. შესაბამისად მათი საქმიანობაც მაქსი-მალურად კონფიდენ-ციალურია.

დასკვნა

სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ადამიანის უფლებების დაცვა გარანტირებულია ქვეყნის უზენაესი კანონით. სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანეს სამსახურებს - სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო უწყებები წარმოადგენენ. მათ საკუთარი მიზნებისა და ამოცანების შესა-სრულებლად ესაჭიროებათ სხვადასხვა ტიპის საფარქვეშ საკუთარი წარმომად-გენლების განთავსება. ამ ტიპის ქმედებების განხორციელების დროს სამოქალაქო საზოგადოების ნაწილის კრიტიკული განწყობის ნეიტრალიზაციისათვის, აუცი-ლებელია საიდუმლოების რეჟიმის დაცვით საზოგადოებისათვის სათანადო ინ-ფორმირების პროცესის ორგანიზება. ამ ტიპის ქმედება უცხო ქვეყნის სადაზვერვო პროპაგანდის ზემოქმედების საწინააღმდეგო, მნიშვნელოვანი პრევენციული ღონის-ძიებაა.

დემოკრატიის პრინციპების დაცვის ფონზე სხვადასხვა უწყებაში, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია სათანადო შეთანხმების საფუძ-ველზე მიმდინარეობდეს უსაფრთხოების საკითხებში ოფიცრების მივლინების პროცესი. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნ-ველყოფის მოთხოვნები პირდაპირპროპორციულად მზარდია სახელმწიფოს წი-ნააღმდეგ მიმართულ საფრთხეებთან და გამოწვევებთან. შესაბამისად, უსაფრთ-ხოების უზრუნველყოფა და მისი დაცვა - მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე პირთა პრეროგატივას უნდა წარმოადგენდეს, მათ შორის გარკვეული საფარის ქვეშ საქმიანობის პირობებში, იმ უწყებებში, რომელთაც სახელმწიფო მიიჩნევს მაღალი რისკის მქონე სუბიექტებად და სადაც თავმოყრილია

წარმომადგენლობებსა და სხვადასხვა ფილიალში, მრჩეველების, წარმომადგენლების, მდივნების რანგში. კონფიდენციალური-საიდუმლო, რის გამჟღავნებაც დაუშვებელია. განსხვავდება ანონიმურისგან, რომლის ავტორი უცნობია და არა დაფარული.

სახელმწიფოს მიერ სათანადო დაცვას დაქვემდებარებული სენსიტიური ინფორმაცია, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, მათ შორის უსაფრთხო საგარეო-პოლიტიკური კურსის ორგანიზებისათვის. ამ პროცესით შესაძლებელი გახდება სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო უსაფრთხოებისათვის დამაზიანებელი ინფორმაციის საჯარო სივრცეში მოხვედრა, მაღალი დამაზიანებელი შედეგის მიღწევა. შესაბამისად, ამ ტიპის საქმიანობას სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე დამაზიანებელი შედეგის თავიდან აცილებისათვის მნიშვნელოვანი პრევენციული ხასიათი აქვს.

ბიბლიოგრაფია

- გახოკიძე ჯ., ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი პრობლემები, თბილისი, 2007.
- საქართველოს კანონი „სადაზვერვო საქმიანობის შესახებ“, <https://surl.li/yzkpdb>
- საქართველოს კანონი „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ <https://surl.li/upltsp>
- საქართველოს კანონი „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ <https://surl.li/xniael>
- საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს დებულება, <https://surl.li/chmdnd>
- სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის მაღალი რისკის მქონე სუბიექტების ნუსხა, <https://surl.li/uawuyv>
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ <https://surl.li/jqzngy>, დოკუმენტი N614, ძალადაკარგულია 25/12/2013,
- Ричард Э. Смит. Аутентификация: от паролей-до открытых ключей, Москва, 2018,
- Пирогов В., КГБ. Бывших не бывает?, Москва, 2015,
- Попов А., Тайная стража России. Книга 6. Очерки истории, Алгоритм, 2022
- Макаревич Э., Бобков Ф., КГБ и власть, Алгоритм, 2019
- Бейли Д., Кондрашев С., Мерфи Д., ЦРУ против КГБ в "холодной войне". Поле битвы Берлин, Родина, 2021
- „Об офицерах органов КГБ, работающих в других организациях, министерствах и ведомствах“, 24 октября 1955 г. решением Президиума ЦК КПСС № П165/XXI-оп.
- Терещенко А., контрразведка. Охота за кротами, Аргументы недели, 2017
- Порядин В., Чекист Советского Союза. Исповедь генерала, Вече, 2022,
- Хлобустов О., Контрразведка в истории КГБ. 2017,
- Север А., История КГБ. 2015
- Бобков Ф., КГБ, 2018
- Горленко С., От КГБ до ФСБ, записки опера, 2015
- Williams M. Authentication: From Passwords to Public Keys First Edition. New York, 2002.
- John Daniel Barron, KGB: The Secret Work of Soviet Secret Agents, 2005
- John Daniel Barron, KGB Today: The Hidden Hand, 2006
- Ladislav Bittman The KGB and Soviet Disinformation: An Insider's View, 2011
- Brian Freemantle, KGB, 2011

ამოცანით მართვის ევოლუციური გზა და ქართული რეალობა

არჩილ ჩაჩხიანი¹

<https://doi.org/10.61446/mp.4.2025.10040>

აბსტრაქტი

სტატიის ამ ნაწილში განხილული და გაანალიზებულია ის სირთულეები და გამოწვევები, რაც ჯარების ამოცანით მართვის დანერგვას ელის საქართველოს თავდაცვის ძალებში. ჯარებისა და ოპერაციების მართვის დეცენტრალიზაცია მოითხოვს დაქვემდებარებულ გარემოში შემოქმედებითი ინიციატივის სტიმულირებას, რაც თავის მხრივ ზრდის პირადი შემადგენლობის მოქმედებების მოტივაციას და საბრძოლო სულისკვეთებას. მაგრამ ამავე დროს, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ გადაწყვეტილების მიღების ცენტრების ქვედა იერარქიულ დონეებზე დაშვება თავის თავში გარკვეულ საფრთხეებსაც მოიცავს.

პირველ რიგში ესაა მოქმედებების კოორდინაციის გაუარესება და ზემდგომი მეთაურების მიერ შექმნილ ვითარებაზე კონტროლის დაკარგვის რისკი. მეორე, და მთავარი საკითხი კი არის ქვემდგომი რგოლის სამეთაურო შემადგენლობის კომპეტენციის პოტენციური უკმარისობა, რომლებიც მაღალი ინტელექტუალური და პიროვნული თვისებებით უნდა ხასიათდებოდნენ. და ბოლოს. ამოცანით მართვის პროცესში შეიძლება თავი იჩინოს ცალკეულ მეთაურებს შორის წარმოქმნილმა პირადმა დაპირისპირებებმა, ურთიერთუნდობლობამ, არაადეკვატურმა თვითშეფასებამ და ა.შ. მთავარი სირთულე კი ის არის, რომ ამოცანით მართვა ქართული ჯარის კულტურის ნაწილი, მისი სული უნდა გახდეს.

რეალობაში, ამოცანით მართვა ყველაფრის ან არაფრის შეთავაზებაა. იგი სამხედრო ორგანიზაციის საქმიანობის ყველა ასპექტზე უნდა აისახოს თუ მეთაურს სურს, რომ მისი პრინციპები ქვედანაყოფის კულტურულ ქსოვილში საფუძვლიანად დაინერგოს. სწორედ ეს საკითხებია განხილული სტატიაში. დასკვნა კი, გენერალური შტაბის უფროსის ხედვაშია წარმოდგენილი „საქართველოს შეიარაღებული ძალების დოქტრინა, განათლება და წვრთნები არის ამოცანით მართვის კულტურის დანერგვის გასაღები. ჩვენმა დოქტრინამ უნდა განმარტოს ამოცანით მართვის ფილოსოფია, სასწავლო დაწესებულებებმა ასწავლოს, ხოლო ჩვენ უნდა მოვემზადოთ მისი განხორციელებისათვის ინდივიდუალურ და კოლექტიურ დონეზე. ჩემს მიერ ზემოთ აღწერილი მთავარი შემადგენლები ამოცანით მართვის დანერგვის გრავიტაციის ცენტრია. თუ ჩვენ ვერ მოვახერხებთ ამ თვისებების წარმატებით დამკვიდრებას ჩვენს ჯარისკაცებში, ე.ი. ვერ მოვახერხებთ მათ დამკვიდრებას შეიარაღებულ ძალებში და პრაქტიკულ გამოყენებაში“.²

საკვანძო სიტყვები: ამოცანით მართვა, დეცენტრალიზაცია, ინიციატივა, ფილიპ შერიდანი, ჯორჯ მარშალი, ერვინ რომელი.

¹ სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის, მაგისტრატურის თავდაცვის ანალიზის მიმართულების მოწვეული სპეციალისტი, ისტორიის დოქტორი

² amocaniT marTva. generaluri Stabis ufrosis xedva. 1 noemberi, 2018 w. gv. 2.

The Evolutionary Path of Mission Command and Georgia

Archil Chachkhiani³

Abstract

This section of the article discusses and analyzes the difficulties and challenges facing the implementation of mission command in the Georgian Defence Forces. The decentralization of troops and operations management requires the encouragement of creative initiative in the subordinate environment, which in turn increases the motivation and fighting spirit of the personnel. But at the same time, we also have to be aware that there are some inherent dangers in putting decision-making centers at the lower levels of the hierarchy.

The first is the lack of coordination and the risk of losing control of the situation created by the higher commanders. The second, and the main issue, is the potential lack of competence of the lower-level command staff, who should be characterized by high intellectual and personal qualities. And finally. In the process of mission command, personal conflicts between individual commanders, mutual distrust, inadequate self-esteem, and so on. The main difficulty is that mission command must become part of the culture of the Georgian army, its soul.

In reality, mission command is an all-or-nothing proposition. It must be reflected in all aspects of the activities of a military organization if the commander wants its principles to be firmly embedded in the cultural fabric of the subdivision. These are the questions discussed in this article. The conclusion, in the view of the Chief of the General Staff, is that the doctrine, education and training of the Armed Forces of Georgia are the key to implementing a culture of mission command. Our doctrine should define the philosophy of mission command that our educational institutions teach, and we should be prepared to implement it on an individual and collective level. The key components I've described above are the center of gravity of the mission command implementation. If we can't successfully instill these qualities in our soldiers, we're not going to be able to get them into the armed forces and into practical use.

Key words: mission command, decentralization of management, initiative, Philip Sheridan, George Marshall, Erwin Rommel.

³ Invited specialist of Master's Program in Defence Analysis of LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia, Doctor of History

არ უნდა გვჯეროდეს, რომ ახალი კონცეფციები ან შესაძლებლობები უარყოფენ ომის ბუნების ფუნდამენტურ გაგებას. ომის ბურუსი, გაურკვევლობა და შემთხვევითობა ისევე დამახა-სიათებელი იქნება მომავალი ბრძოლებისათვის, როგორც ეს წარ-სულში იყო. ისტორია, ეჭვს გარეშეა, ითვალისწინებს ამ გამოცდი-ლებას. მათთვის კი, ვინც ისტორიას სკეპტიკურად უყურებს, აღვნიშნავთ, რომ მეცნიერების ისეთი დარგები, როგორიცაა ევოლუციური ბიოლოგია, კვანტური ფიზიკა და უთანამედროვესი მეთო-დოლოგიით ჩატა-რებული კვლევები – კიდევ ერთხელ ამტკიცებენ იმას, რომ სავსებით სწორი იყო კლაუზევიცის ძირეული წარმოდგენა სამყაროს მოწყობის შესახებ.

უილიამსონ მურეი

შესავალი

ამოცანით მართვის ღირსებები და ნაკლოვანებები

როდესაც ვსაუბრობთ Auftragstaktik – ამოცანით მართვის ფილოსოფიაზე, უნდა გვესმოდეს, რომ საქმე გვაქვს ოპერაციების მართვისა და აღსრულების კვინტ-ენსეციასთან, რაც ზოგადად, და მით უმეტეს ქართულ რეალობაში, მეტად ფრთხილ, მაგრამ გაბედულ მიდგომებს მოითხოვს. ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი ნათელია და Auftragstaktik – ამოცანით მართვის პრინციპის დადებითი მხარეებიც გასაგებია. ისიც ცხადია, რომ იგი უნდა წახალისდეს. ასეთ შემთხვევაში ჯარებისა და ოპერაციების მართვის დეცენტრალიზაცია მოითხოვს დაქვემდებარებულ გარემოში შემოქმედებითი ინიციატივის სტიმულირებას, რაც თავის მხრივ ზრდის პირადი შემადგენლობის მოქმედებების მოტივაციას და საბრძოლო სულისკვეთებას. მაგრამ ამავე დროს, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ გადაწყვეტილების მიღების ცენტრების ქვედა იერარქიულ დონეებზე დაშვება თავის თავში გარკვეულ საფრთხეებსაც მოიცავს.

პირველ რიგში ესაა მოქმედებების კოორდინაციის გაუარესება და ზემდგომი მეთაურების მიერ შექმნილ ვითარებაზე კონტროლის დაკარგვის რისკი. მეორე, და მთავარი საკითხი კი არის ქვემდგომი რგოლის სამეთაურო შემადგენლობის კომპეტენციის პოტენციური უკმარისობა, რომლებიც მაღალი ინტელექტუალური და პიროვნული თვისებებით უნდა ხასიათდებოდნენ. და ბოლოს. ამოცანით მართვის პროცესში შეიძლება თავი იჩინოს ცალკეულ მეთაურებს შორის წარმოქმნილმა პირადმა დაპირისპირებებმა, ურთიერთუნდობლობამ, არაადეკვატურმა თვითშეფასებამ და ა.შ.⁴ აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ზოგიერთი ავტორის აზრით, ამოცანით მართვა არც თუ ისე კარგად ეთვისება იმ შემთხვევებს, როცა არსებობს რისკი დაშვებულ იქნას პოლიტიკური ან სამხედრო-სტრატეგიული ხასიათის უმაღლესი დონის შეცდომა. ასეთ შემთხვევებს განეკუთვნება მაგალითად, ამბოხის საწინააღმდეგო და პარტიზანული ომის საწინააღმდეგო საბრძოლო მოქმედებები, აგრეთვე პოსტკონფლიქტური სიტუაციების დარეგულირება, სამშვიდობო მისიები და ა.შ., სადაც ასე აქტიურად არიან ჩართულნი საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფები.

ძირითადი ნაწილი

ამოცანით მართვა და ქართული რეალობა

საქართველოსა და მსოფლიოს უახლესი ისტორიის სამხედრო კონფლიქტების კომპლექსურმა და ბუნდოვანმა ბუნებამ იმ აზრამდე მიგვიყვანა, რომ სამხედრო ოპერაციების ეფექტურად მართვის თვისობრივად ახალი მეთოდები გვჭირდება. მართვის ახალი მიდგომა უნდა უზრუნველყოფდეს რთულ რელიეფურ პირობებში, რიცხოვნობრივად და ტექნოლოგიურად გაცილებით უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეზე უპირატესობის მოპოვებას. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2018 წლის 1 ნოემბრის ხედვაში ვკითხულობთ: „თუ გადავხედავთ საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ წარმოებულ ოპერაციებს ავღანეთში, დეცენტრალიზებულ მოწინააღმდეგესთან ბრძოლის შედეგად მიღებულმა გამოც-

⁴ M. N. Vego The German-Style Mission Command (Auftragstaktik) // Joint Operational Warfare: Theory and Practice. — Dept. of the Navy, Government Printing Office, 2009. — P. X-33. ISBN 978-1884733628.

დილებამ დაგვანახა შესაძლებლობების დეცენტრალიზების და მცირე ზომის ქვე-დანაყოფებისათვის დამოუკიდებლობის უფრო მეტი ხარისხის მიცემის აუცილებლობა. გაზრდილი გაურკვევლობის, კომპლექსურობისა და კონკურენციის პირობებში მოქმედ პატარა, მსუბუქ ქვედანაყოფებს დასჭირდებათ მოქმედების თავისუფლება, რათა ადგილზე მიიღონ გადაწყვეტილება და სწრაფად მოახერხონ შექმნილი ვითარების უპირატესობად გადაქცევა. ამისათვის, ამოცანით მართვის კულტურა აუცილებელი პირობა იქნება წარმატების მისაღწევად⁵.

თითქოს ყველაფერი გასაგებია, კითხვის ნიშნები არ არსებობს და გადაწყვეტილებაც უკვე მიღებულია. Auftragstaktik – ამოცანით მართვის ინსტი-ტუციური დანერგვის პროცესიც საქართველოს თავდაცვის ძალებში უკვე დაწყებულია. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის დირექტივებში ვკითხულობთ: „ამოცანით მართვა (Mission Command) წარმოადგენს ძალთა გამაძლიერებელ ფაქტორს, რომელიც დაეხმარება ჩვენს ძალებს ბრძოლის პირველივე წუთებიდან იმოქმედონ თავდაჯერებულად, სწრაფად, მტკიცედ და ლეთალურად. ამოცანით მართვა გულისხმობს მეთაურებსა და მათ დაქვემდებარებულებს შორის ნდობის ისეთი ხარისხის ჩამოყალიბებას, რომელიც დაეხმარება მათ დაგეგმონ, კოორდინაცია გაუწიონ და მოახდინონ მიღებული დავალების დეცენტრალიზებული აღსრულება დასმული ამოცანის წარმატებით შესასრულებლად. ამოცანით მართვის კულტურის დანერგვა ხელს შეუწყობს ჩვენი თავდაცვის ძალების ეფექტიანობის გაზრდას. ამოცანით მართვა არის მრავალწლიანი ინიციატივა, რომელიც ზეგავლენას მოახდენს თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალებში მიმდინარე ყველა ორგანიზაციულ პროცესზე. 2019 წელს ყურადღება გამახვილდება ისეთ საკვანძო ელემენტებზე, როგორიცაა: თავდაცვის ძალებში ამოცანის მართვის არსის დანერგვა და ცნობიერების ამაღლება მის კულტურასთან დაკავშირებით, საგანმანათლებლო პროცესებში ამოცანით მართვის პრინციპების ასახვა თავდაცვის ძალების ყველა დონეზე,

⁵ ამოცანით მართვა. გენერალური შტაბის უფროსის ხედვა. 1 ნოემბერი, 2018 წ.

დოქტრინებისა და სხვა დოკუმენტების შემუშავება, რომლებიც მნიშვნელოვანია ამოცანით მართვის ფილოსოფიის განხორციელებისთვის“.⁶

დირექტივაში ზუსტად არის გაწერილი ამოცანით მართვის საკვანძო ელემენტები – არსი, ცნობიერება, კულტურა, საგანმანათლებლო პროცესი, შესაბამისი დოქტრინებისა და დოკუმენტების შემუშავება. მაგრამ აქ ისმის მთავარი კითხვა – რამდენად სრულად გვესმის ამ ფილოსოფიის არსი? რამდენად მზადა ვართ ესოდენ მნიშვნელოვანი სიახლის მისაღებად? საფრთხეები არსებობს და ეს საფრთხეები რეალურია. ჩვენ ვაპირებთ ჯარებში ამოცანით მართვის პრინციპები დავნერგოთ, მაგრამ ამ კონცეფციის გატარებით შეიძლება მისი მთავარი მიზანი გავანადგუროთ: გავათავისუფლოთ მეთაურები ინსტიტუციური შეზღუდვებისგან და მივცეთ მათ გადამწყვეტი მოქმედებების საშუალება. მთავარი სირთულე კი ის არის, რომ ამოცანით მართვა ქართული ჯარის კულტურის ნაწილი, მისი სული უნდა გახდეს. ცნობილია, რომ ამოცანით მართვის გამოყენების დროს მეთაურებმა უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი ექვსი პრინციპით:

- ურთიერთნდობის საფუძველზე შეკრული ჯგუფების ორგანიზება;
- საერთო გაგების ჩამოყალიბება;
- მეთაურის მიერ მკაფიო ჩანაფიქრის გაცემა;
- დისციპლინებული ინიციატივის წახალისება;
- მიზანზე ორიენტირებული დავალებების გაცემა;
- გონივრულ რისკზე წასვლა.

მაგრამ Auftragstaktik – ამოცანით მართვა არ არის მხოლოდ C2 (Command-Control) მართვისა და კონტროლის დოქტრინა. იგი არც მართვისა და კონტროლის სისტემაა. იგი არც „მოქმედებების თავისუფლებისათვის“ გაცემული ინდულგენციაა და არც მხოლოდ მოკლე წერილობითი ბრძანებების წერის თუ სხარტი ვერბალური მითითებების გაცემის უნარები. ამოცანით მართვა თავდაცვის მსხვილი სახელმწიფოებრივი კორპორაციის კულტურული სული და მისი ფილოსოფიაა – სამხედრო

⁶ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. მინისტრის დირექტივები, 2019. 1.2. ამოცანით მართვა. გვ. 6.
<https://surl.li/ilzhti>

პროფესიონალიზმის უმაღლესი გამოხატულება. ამოცანით მართვა ყველა დონის მეთაურისგან ქვემდგომი მეთაურებისადმი წაყენებული პროფესიონალიზმისა და კომპეტენციის მოთხოვნაა, რომლის თანახმადაც ქვემდგომებმა ზედმეტი ძალისხმევის გარეშე და დამოუკიდებლად უნდა აღასრულონ მათ წინაშე დასმული ამოცანა.⁷

რეალობაში, ამოცანით მართვა ყველაფრის ან არაფრის შეთავაზებაა. იგი სამხედრო ორგანიზაციის საქმიანობის ყველა ასპექტზე უნდა აისახოს თუ მეთაურს სურს, რომ მისი პრინციპები ქვედანაყოფის კულტურულ ქსოვილში საფუძვლიანად დაინერგოს.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის ხედვაში ზუსტადაა აღნიშნული, რომ ნდობაა ის საფუძველი, რომელზედაც მართვის ეს ახალი მოდელი იქნება დაფუძნებული – ნდობის ჩამოყალიბება მეთაურებსა და დაქვემდებარებულებს შორის შეიარაღებული ძალების ყველა დონეზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძალისხმევა იქნება. ის დაფუძნებული იქნება მშვიდობიანობის დროს დაგეგმილი ოპერატიული, საგანმანათლებლო თუ ადმინისტრაციული საქმიანობის აღსრულების პროცესში მეთაურის მიერ სამხედრო მოსამსახურეებზე დაკვირვებებსა და შეფასებებზე.⁸ მაგრამ მთავარი აქ არა მარტო „ნდობის“, არამედ ერთდროულად „ნდობისა“ და „რწმენის“ საკითხია, რომელიც მტკიცედ და ორგანულად უნდა დამკვიდრდეს ქართული სამხედრო კულტურის ქსოვილში – ზემდგომების ნდობა ქვემდგომი მეთაურებისადმი და ქვემდგომების რწმენა ზემდგომი მეთაურების მიმართ. აქ ყოვლად დაუშვებელია ნებისმიერი ხარისხის ნდობისა და რწმენის დეფიციტის არსებობა. ამოცანით მართვისთვის საჭირო ნდობის ხარისხი კი, მხოლოდ პერმანენტული ქცევით მიიღება – მეთაურები მუდმივად უნდა გამოხატავდნენ ნებას, რომ ქვემდგომი ლიდერებისგან ინიციატივის გამოჩენას ელიან და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ის უნებლიეთ დაშვებული შეცდომები, რაც მათ ზემდგომი მეთაურის ჩანაფიქრის განხორციელების პროცესში დაუშვეს, ჭკუის სასწავლებელ გაკვეთილად უნდა ჩაითვალოს და არა დასჯის მიზეზად.

⁷ E. Donald Vandergriff. How the Germans Defined Auftragstaktik[i]: What Mission Command is - AND - is Not. Small Wars Journal. <https://surl.lu/pjbeld>. 08. 10. 2019.

⁸ ამოცანით მართვა. გენერალური შტაბის უფროსის ხედვა. 1 ნოემბერი, 2018 წ. გვ.3

ამოცანით მართვის მთავარი ელემენტი – ინიციატივაა! შეცდომების არდაშვების მენტალიტეტი, თუნდაც მცირე დოზით, საფუძველშივე კლავს ამოცანით მართვის იდეას. ეს უკვე ტოქსიკური გარემოა, რომელიც ძველ პრუსიულ სამხედრო სკოლას გვახსენებს, სადაც ფრიდრიხისეული „ჯოხის დისციპლინა“ გაბატონებული. თუ ლიდერი, გადამეტებული კონტროლის ფონზე, ხელს შეუშლის ინიციატივის გამოჩენას და გუნდის წევრებში თუნდაც მცირე შეცდომის დაშვების შიშს დანერგავს, ის არ უნდა ელოდოს ვინმესგან საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღების სურვილის გამოვლენას ან რისკის გაწევას მაშინ, როცა ეს ყველაზე მეტადაა საჭირო. მოკლედ რომ ვთქვათ, ამოცანით მართვის კულტურა ან არსებობს ან არ არსებობს. შუალედური მდგომარეობის არსებობა თავის მოტყუებაა და ვერავინ შეძლებს იგი გააყალბოს, ძალიანაც რომ ეცადოს ამას.⁹

ამოცანით მართვა ყველა დონეზე უნდა დაინერგოს და მართვის კულტურა არ შეიძლება მოვარგოთ არმიას. პირიქით, არმია უნდა მოერგოს მართვის კულტურას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამოცანით მართვა დაკარგავს თავის ეფექტურობას და იგი მახინჯ თეორიად დარჩება. ამოცანით მართვის დანერგვა რიტორიკად არ უნდა დარჩეს, მან საქართველოს თავდაცვის ძალების მთელი სტრუქტურა უნდა მოიცვას. ამოცანით მართვისათვის აუცილებელია სისტემის წინაშე მდგარ პრობლემურ საკითხებზე პანორამული ხედვა და ერთ ენაზე საუბარი, ქვემდგომ მეთაურებს უნდა ესმოდეთ ზემდგომის ჩანაფიქრი. მათ სწორი მითითებები უნდა მიეცეთ და რაც მთავარია, ქვემდგომ მეთაურებს უნდა ჰქონდეთ ზემდგომების ურყევი რწმენა, დამოუკიდებელი მოქმედებებისათვის საჭირო შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები. და აქ უკვე სამხედრო განათლების სფეროში გადავდივართ, რასაც უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია საქართველოს თავდაცვის ძალების მთელ სტრუქტურაში. „ცოცხალი ბიოლოგიური სისტემების მსგავსად, ომების წარმოების წესიც დარვინის თეორიას ექვემდებარება და არმია, რომელსაც სურს უმცირესი დანაკარგების ფასად მოიპოვოს გამარჯვებები, მუდმივად უნდა ზრუნავდეს სისტემის სტრუქტურის, პროცედუ-

⁹ Chad Foster. Training for Mission Command. Mission Command. The Who, What, Where, When and Why. An Anthology. Donald Vandergriff, Editor and Stephen Webber, Editor. Kabul, Afghanistan. May 2017. Pg. 142.

რებისა და განათლების გაუმჯობესებაზე“, – წერს იუტას უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი იორგ მუთი (Jörg Muth) თავის ნაშრომში The Language of Mission Command and the Necessity of an Historical Approach.¹⁰ (ამოცანით მართვის ენა და ისტორიული მიდგომის აუცილებლობა).

ვეთანხმებით ავტორის ამ მოსაზრებას ომის წარმოების წესის ევოლუციური გზით განვითარების თაობაზე, მაგრამ იმ შესწორებით, რომ სახელმწიფოს სამხედრო უწყების სისტემური გაჯანსაღებისა და წარმატების მიღწევის გზაზე რიგით პირველ პრიორიტეტად სამხედრო განათლების სისტემის დახვეწა უნდა იქცეს. ეს ეხება საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯს. უპირველეს ყოვლისა კი, უმაღლესი სამხედრო განათლების მთავარ ინსტიტუციას – ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას უნდა მიექცეს ყურადღება. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს თავდაცვის ძალები რაიხსვერის, ვერმახტის, ან უკვე მოდიფიცირებული ამერიკის შეერთებული შტატების არმიის კლონად ვაქციოთ. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენი რეალიების გათვალისწინებით გადმოვიტანოთ გერმანული და ამერიკული არმიებისთვის დამახასიათებელი საუკეთესო ასპექტები. ასეთი ასპექტი ამოცანით მართვის ფილოსოფიაა, უპირველეს ყოვლისა კი – სამხედრო განათლებისა და ოფიცერთა შერჩევის დახვეწილი სისტემის შექმნა.

დასკვნა

მე-19 საუკუნის ბოლოს მოღვაწე ამერიკელი გენერალი, ფილიპ შერიდანი (Philip Sheridan) აფასებდა რა, ამერიკელ ოფიცერთა განათლების სისტემაში პრუსიული სამხედრო სკოლის გამოცდილების დანერგვის შესაძლებლობას, აღნიშნავდა, რომ პრუსიული სქემის დეტალური იმიტაცია, მისი სულის გაუთვალისწინებლად,

¹⁰ Jörg Muth. The Language of Mission Command and the Necessity of an Historical Approach. Mission Command in the 21st Century: Empowering to Win in a Complex World. The Bridge and Army Press. June 4, 2016. <https://thestrategybridge.org>. October 10, 2019.

შეცდომა იქნებოდა.¹¹ დიახ, თუ ვსაუბრობთ ამოცანით მართვის დანერგვაზე, Auftragstaktik-ის სული უნდა შენარჩუნდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ფილოსოფიაში მთავარი – მართვის კულტურა დაიკარგება. „სამხედრო ძლიერება ბრძოლებს იგებს, სულის სიძლიერე კი – ომებს“,¹² – ამბობდა მეორე ამერიკელი გენერალი, ჯორჯ მარშალი (George Marshall).

ერთი რამ დღესაც ნათელია – ჩვენ ძალიან რთული ამოცანის გადასაჭრელად ვემზადებით. ომს ჯარისკაცი არ იგებს და არ აგებს. არც საომარი კამპანიის შედეგებია მასზე დამოკიდებული და არც ცალკეული სამხედრო ოპერაციისა. აქ სახელმწიფო ინსტიტუციებისა და მათი აქტივობების სხვა დონეებსა და პასუხისმგებლობის სხვა ხარისხებზეა საუბარი. ჯარისკაცი და სამხედრო ქვედანაყოფი ტაქტიკური დონის მოთამაშეა და მასზე მხოლოდ ბრძოლის ბედია დამოკიდებული, საომარი კამპანიებისა თუ სამხედრო ოპერაციების დაგეგმვას, მართვა-კონტროლსა და აღსრულებას კი, ქვეყნის შეიარაღებული ძალები ანხორციელებენ ოპერატიულ და ზოგჯერ სტრატეგიულ დონეზე, ხოლო ომის წარმოებაზე პასუხისმგებლობა უკვე მთლიანად სახელმწიფოს პრეროგატივაა პოლიტიკური ნების, სახელმწიფო სიძლიერის ყველა კომპონენტის, ინსტრუმენტისა თუ რესურსის ჩართულობის კუთხით. სწორედ იგი განსაზღვრავს ომის წარმოების ყველა საკითხს, როგორც ომის პოლიტიკური, ასევე სამხედრო მდგენელისა და თუ გნებავთ „დიდი სტრატეგიების“ ჩათვლით.¹³

საქართველოს თავდაცვის ძალებში ამოცანით მართვის კულტურის დანერგვის საკითხთან მიმართებაშიც ანალოგიურადაა საქმე. ამოცანით მართვა ყველა დონეზე უნდა დაინერგოს და მართვის კულტურა არ შეიძლება მოვარგოთ არმიას. პირიქით, არმია უნდა მოერგოს მართვის კულტურას. ამოცანით მართვის დანერგვა რიტორიკად არ უნდა დარჩეს, მან საქართველოს თავდაცვის ძალების მთელი სტრუქტურა უნდა მოიცვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამოცანით მართვა დაკარგავს თავის ეფექტურობას

¹¹ Jay Luvaas, "The Influence of the German Wars of Unification on the United States," in *On the Road to Total War—The American Civil War and the German Wars of Unification, 1861-1871*, ed. Stig Förster and Jörg Nagler (Washington D.C.: German Historical Institute, 1997), 605.

¹² George Marshall Quotations. <https://surl.li/xnkypp> ZS. 99.

¹³ არჩილ ჩაჩხიანი. სომხეთ-საქართველოს ომი. N ნაწილი I. „სომხური საკითხის“ დასმიდან დაპირისპირებულ მხარეთა სტრატეგიებამდე. საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის კარტოგრაფია-გეოდეზიის დეპარტამენტის სტამბა. თბილისი. 2022. გვ. 17.

და იგი მახინჯ თეორიად დარჩება. ისტორიული რეალობა ის არის, რომ პრუსიულ-გერმანულ სამხედრო აზრს 30 წლიანი შრომა და ბრძოლა დასჭირდა საკუთარ შეიარაღებულ ძალებში ამოცანით მართვის კულტურის დასაწერად. და რა გზას დავადგებით ჩვენ? ისევ ვიმეორებთ – მთავარი აქ სამხედრო განათლების სისტემური სრულყოფა და „ნდობისა“ და „რწმენის“ საკითხია, რომელიც მტკიცედ და ორგანულად უნდა დამკვიდრდეს ქართული სამხედრო კულტურის ქსოვილში – ზემდგომების ნდობა ქვემდგომი მეთაურებისადმი და ქვემდგომების რწმენა ზემდგომი მეთაურების მიმართ. აქ ყოვლად დაუშვებელია ნებისმიერი ხარისხის ნდობისა და რწმენის დეფიციტის არსებობა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2018 წლის 1 ნოემბრის ხედვაში ვკითხულობთ: „საქართველოს შეიარაღებული ძალების დოქტრინა, განათლება და წვრთნები არის ამოცანით მართვის კულტურის დანერგვის გასაღები. ჩვენმა დოქტრინამ უნდა განმარტოს ამოცანით მართვის ფილოსოფია, სასწავლო დაწესებულებებმა ასწავლოს, ხოლო ჩვენ უნდა მოვემზადოთ მისი განხორციელებისათვის ინდივიდუალურ და კოლექტიურ დონეზე. ჩემს მიერ ზემოთ აღწერილი მთავარი შემადგენლები ამოცანით მართვის დანერგვის გრავიტაციის ცენტრია. თუ ჩვენ ვერ მოვახერხებთ ამ თვისებების წარმატებით დამკვიდრებას ჩვენს ჯარისკაცებში, ე.ი. ვერ მოვახერხებთ მათ დამკვიდრებას შეიარაღებულ ძალებში და პრაქტიკულ გამოყენებაში“.¹⁴

დიახ, სრულფასოვანი სამხედრო განათლება ამოცანით მართვის დანერგვის გრავიტაციის ცენტრია. სამხედრო განათლების სფეროში გატარებული რეფორმების გარეშე კი, საქართველოს თავდაცვის ძალებში ამოცანით მართვის ფილოსოფიის დანერგვა ქაღალდზე დაწერილ ლამაზ ფრაზეზად და კეთილ ჩანაფიქრად დარჩება მხოლოდ. ჩვენ გვწამს, რომ დასახული მიზნის მისაღწევად სამხედრო განათლების სფეროში გაღებული დანახარჯები ერთი რიგით მაღალი მაინც უნდა იყოს დღევანდელთან შედარებით. პირველ რიგში, უნდა გამოვყოთ პრიორიტეტები და დავიწყოთ მუშაობა სამხედრო განათლების საკითხების სრულყოფაზე, და მერე

¹⁴ ამოცანით მართვა. გენერალური შტაბის უფროსის ხედვა. 1 ნოემბერი, 2018 წ. გვ.3

ყველაფერი დანარჩენი – დაიხვეწოს წვრთნების პროცესი, გაიზარდოს ჯარების ბრძოლისუნარიანობა, განახლდეს დოქტრინები და სხვა საჯარისო დოკუმენტები, შეიქმნას თავდაცვის ახალი გეგმები. სწორედ ესაა ჩვენს წინაშე არსებული პრობლემის გადაჭრის პოტენციური გზა. როგორც ფელდმარშალი ერვინ რომელი იტყოდა – გადამეტებული შრომა ყოველთვის სჯობს გადამეტებულ სიზარმაცეს. ოფლი სისხლს ზოგავს...

ბიბლიოგრაფია

- ამოცანით მართვა. გენერალური შტაბის უფროსის ხედვა. 1 ნოემბერი, 2018 წ.
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. მინისტრის დირექტივები, 2019. 1.2. ამოცანით მართვა. გვ. 6. <https://surl.li/ilzhti>
- არჩილ ჩაჩხიანი. სომხეთ-საქართველოს ომი. N ნაწილი I. „სომხური საკითხის“ დასმიდან დაპირისპირებულ მხარეთა სტრატეგიებამდე. საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის კარტოგრაფია-გეოდეზიის დეპარტამენტის სტამბა. თბილისი. 2022. გვ. 17.
- Chad Foster. Training for Mission Command. Mission Command. The Who, What, Where, When and Why. An Anthology. Donald Vandergriff, Editor and Stephen Webber, Editor. Kabul, Afghanistan. May 2017. Pg. 142.
- Donald E. Vandergriff. How the Germans Defined Auftragstaktik[i]: What Mission Command is - AND - is Not. Small Wars Journal. <https://surl.li/pjbeld.08.10.2019>.
- George Marshall Quotations. <https://surl.li/xnkypp> ZS. 99.
- Luvaas Jay, "The Influence of the German Wars of Unification on the United States," in On the Road to Total War—The American Civil War and the German Wars of Unification, 1861-1871, ed. Stig Förster and Jörg Nagler (Washington D.C.: German Historical Institute, 1997), 605.
- Jörg Muth. The Language of Mission Command and the Necessity of an Historical Approach. Mission Command in the 21st Century: Empowering to Win in a Complex World. The Bridge and Army Press. June 4, 2016. <https://thestrategybridge.org/the-bridge/2016/6/4/the-language-of-mission-command-and-the-necessity-of-an-historical-approach>. October 10, 2019.
- Vego M. N. The German-Style Mission Command (Auftragstaktik) // Joint Operational Warfare: Theory and Practice. – Dept. of the Navy, Government Printing Office, 2009. – P. X-33. ISBN 978-1884733628.

საჰაერო თავდაცვის აქტუალობა და ორგანიზების საფუძვლები

თადარიგის ბრიგადის გენერალი ამირან სალუქვაძე¹

<https://doi.org/10.61446/mp.4.2025.10041>

აბსტრაქტი:

წინამდებარე სტატიაში განხილული იქნება საჰაერო თავდაცვის დაგეგმვის პროცესი, მისი ეტაპები, დაგეგმვის ჯგუფის შემადგენლობა, პრინციპები, ღონისძიებები და საჰაერო თავდაცვის გეგმის მოკლე შინაარსი.

„სწორად დაგეგმილი და განხორციელებული საჰაერო თავდაცვის ოპერაციები წარმოადგენს ცეცხლის და თავდაცვის სისტემის მნიშვნელოვან ელემენტს რომელიც საშუალებას აძლევს სარდლობას გაერთიანებული ძალისხმევით მიაღწიოს დასახულ მიზნებს.“²

„როგორც სხვა საჰაერო ოპერაციები, საჰაერო თავდაცვა ძირითადად დაფუძნებულია ზემოქმედებაზე. ეს ნიშნავს რომ საჰაერო თავდაცვის ოპერაციები იგეგმება მუშავდება და სრულდება ისე, რომ ზემოქმედება მოახდინოს სისტემის მოქმედებაზე ან შეცვალოს ის დასახული შედეგების მისაღწევად. ეფექტური საჰაერო თავდაცვის ოპერაციები უნდა იყოს უფრო მსხვილი გეგმების ნაწილი, რომელიც ლოგიკურად აკავშირებს მთლიანი ოპერაციის საბოლოო შედეგებს ოპერაციის ყველა მიზნებთან და ამოცანებთან. გეგმა უნდა იყოს სახელმძღვანელო დასახული ამოცანების შესა-სრულებლად, უკუ-კავშირის მიღების საშუალებებით.“³

საჰაერო თავდაცვის წარმოება თანამედროვე საბრძოლო მოქმედებების ერთ-ერთი ყველაზე რთული კომპონენტია. სირთულე განპირობებულია როგორც ტექნიკური, ისე სხვა ფაქტორებით: შეზღუდული დრო, სივრცითი ფაქტორები, რთული ალგორითმი, რთული რადიოტექნიკური ვითარება, გეოფიზიკური პირობები და სხვა.

შესაბამისად, საჰაერო თავდაცვის დაგეგმვა მოითხოვს მისი ელემენტების მაქსიმალურ დეტალიზაციას, მართვის, დაზვერვის, ცეცხლის სისტემის შექმნის, ურთიერთქმედების, ლოგისტიკის და სხვა საკითხების სრულყოფილად ასახვას. ქვემდგომი შტაბები და მეთაურები, თავის მხრივ, ზემდგომი შტაბების გეგმების კიდევ უფრო მეტ დეტალიზებას ახდენენ.

დაგეგმვის პროცესში შტაბები შეიმუშავებენ სხვადასხვა დანიშნულების, ფორმის და შინაარსის საბრძოლო საბუთებს: ბრძანებებს, განკარგულებებს, ცხრილებს, ანგარიშებს. სტატიაში განხილული იქნება მათი კლასიფიკაცია და მოკლე შინაარსი.

საკვანძო სიტყვები: საჰაერო თავდაცვა, ტაქტიკა, დაგეგმვა, ჯარები, შეიარაღება და ტექნიკა, შტაბი, საბრძოლო მოქმედებები, ოპერაცია, საჰაერო თავდაცვის სექტორი

¹სსიპ-დავით აღმაშენებლის საელობის საქართველოსეროვნული თავდაცვის აკადემიის მოწვეული სპეციალისტი

² Air Force Doctrine Publication 3-01, გვ.3, <https://surl.li/wwufds> (გადამოწმებულია, 21.11.2025)

³ Ibid. გვ.6

The Relevance of Air Defense and the Basis of Organization

Brigadier General Amiran Salukvadze (Ret.)⁴

Abstract

In the present article, the air defense planning process, its stages, the composition of the planning group, principles, activities, and a brief outline of the air defense plan will be discussed. “Properly planned and executed air defense operations constitute an important element of the fire and defense system, which enables the command to achieve the assigned objectives through unified efforts.”

“As with other air operations, air defense is primarily based on effects. This means that air defense operations are planned, developed, and conducted in a way that imposes effects on the functioning of the system or changes it in order to achieve the desired outcomes.

Effective air defense operations must be part of a broader plan that logically connects the final results of the entire operation with all objectives and tasks. The plan must serve as a guide for accomplishing the assigned tasks, with mechanisms for receiving feedback.” Conducting air defense is one of the most complex components of modern combat operations.

The complexity is determined by both technical and other factors: limited time, spatial constraints, complex algorithms, complicated radio-technical conditions, geophysical factors, and more. Accordingly, air defense planning requires maximum detailing of its elements, including command and control, intelligence, fire system development, interoperability, logistics, and other components. Subordinate headquarters and commanders, in turn, further elaborate the plans issued by higher headquarters.

During the planning process, headquarters develop various combat documents of different purposes, forms, and contents: orders, directives, tables, and reports. The article will discuss their classification and provide a brief overview.

Keywords: air defense, tactics, planning, troops, weapons and equipment, headquarters, combat operations, operation, air defense sector

⁴ Invited specialist of Bachelor's Program of LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

შესავალი

თანამედროვე ომების გამკცდილება მოითხოვს, რომ როგორც საჰაერო თავდაცვის, ისე სხვა სპეციალობის ოფიცრებისთვის, მნიშვნელოვანია საჰაერო თავდაცვის საფუძვლების. კერძოდ, საჰაერო თავდაცვის ამოცანების, ორგანიზების პრინციპების, ეტაპების, საჰაერო თავდაცვის სახეების და საბრძოლო მოქმედებების წარმოების ტაქტიკის ცოდნა.

მეცნიერების განვითარება, ახალი შეიარაღება და ტექნიკა იწვევს საჰაერო თავდაცვის ტაქტიკის ცვლილებებს. საჭიროა თანამედროვე ომების გამკცდილების შესწავლა.

ერთ-ერთი რთული და შრომატევადი ეტაპია საჰაერო თავდაცვის დაგეგმვა, რომელიც მეთაურებისგან და შტაბებისგან მოითხოვს საჰაერო თავდაცვის საფუძვლების და საბრძოლო გამოცდილების ღრმა ცოდნას.

ძირითადი ნაწილი

საჰაერო თავდაცვის დაგეგმვა

საჰაერო თავდაცვის დაგეგმვა არის საჰაერო თავდაცვის ორგანიზების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი. ქვეყნის მასშტაბით, საჰაერო თავდაცვის დაგეგმვას ახორციელებს საჰაერო ძალების სარდლობა, ხოლო მხარეთულებაზე, ან საჰაერო თავდაცვის სექტორში, რომელიც ოპერატიულად ექვემდებარება მიმართულების/ დაჯგუფების სარდალს, სექტორის საჰაერო თავდაცვის მეთაურის მიერ, საჰაერო თავდაცვის ერთიანი გეგმის შესაბამისად.

საჰაერო თავდაცვის დაგეგმვისთვის იქმნება დაგეგმვის ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- საჰაერო თავდაცვის სექტორის შტაბი;
- ჯარების მიმართულების/დაჯგუფების შტაბის წარმომადგენლები.

დაგეგმვის ჯგუფს უშუალოდ ხელმძღვანელობს ქვეყნის მასშტაბით საჰაერო ძალების სარდლობის შტაბის უფროსი, საჰაერო თავდაცვის სექტორში კი - სექტორის

შტაბის უფროსი. საჰაერო თავდაცვის დაგეგმვა ხორციელდება ზემდგომი შტაბების ოპერატიული დირექტივების შესაბამისად.

ოპერაციის ფარგლებში საჰაერო თავდაცვის დაგეგმვის მიზანია საბრძოლო შესაძლებლობების ოპტიმიზაცია. ოპერაციის დაგეგმვა ახდენს ცეცხლის კოორდინაციას, ინტეგრირებას და სინქრონიზაციას.⁵

ოპერაციის, საბრძოლო მოქმედებების დროს საჰაერო თავდაცვის დაგეგმვა ხორციელდება საჰაერო მოწინააღმდეგის სავარაუდო მოქმედებების, საკუთარი ჯარების მოქმედებების სავარაუდო სცენარების შესაბამისად.

საჰაერო თავდაცვა უნდა დაიგეგმოს საბრძოლო მოქმედებების მთელი სავარაუდო ხანგრძლივობის პერიოდით. განსაკუთრებით დეტალურად უნდა დაიგეგმოს საჰაერო მოწინააღმდეგის პირველი მასირებული თავდასხმის მოგერიება. ზემდგომი ეტაპების კორექტირება ხდება არსებული ვითარებიდან და საჰაერო მოწინააღმდეგის სავარაუდო მოქმედებებიდან გამომდინარე.

საჰაერო თავდაცვის დაგეგმვა გულისხმობს საბრძოლო ამოცანის შესრულების თანმიმდევრობის, ვადების, მეთოდების და ხერხების განსაზღვრას, ასევე მართვის, ურთიერთქმედების და უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავებას.

საჰაერო თავდაცვის დაგეგმვის შედეგია საბრძოლო საბუთების კომპლექსის შემუშავება, რომლებიც შეიძლება დაიყოს დონეების მიხედვით: სარდლობის, სექტორის და შენაერთების (ნაწილების, ქვედანაყოფების) ოპერატიულ და საბრძოლო საბუთებად.

ძირითადი საბრძოლო საბუთები:

- ქვეყნის ან სექტორის საჰაერო თავდაცვის გეგმა;
- სარდლის/მეთაურის გადაწყვეტილება ოპერაციაზე/საბრძოლო მოქმედებებზე. შედგება რუკისგან და განმარტებითი ბარათისგან. საბუთი ორიენტირებულია საომარ პერიოდზე;
- მორიგე ძალების მოქმედებების გეგმა;
- მართვის და კავშირგაბმულობის ორგანიზების გეგმა;

⁵ Ibid. Air Force Doctrine Publication 3-01, გვ.5

- ურთიერთქმედების ორგანიზების გეგმა;
- დაზვერვის ორგანიზების გეგმა;
- ოპერატიული შენიღბვის ორგანიზების გეგმა;
- რადიოელექტრონული ბრძოლის ორგანიზების გეგმა;
- საინფორმაციო უზრუნველყოფის გეგმა;
- საინჟინრო უზრუნველყოფის გეგმა;
- ქიმიური, რადიაციული და ბიოლოგიური დაცვის გეგმა;
- მორალურ-ფსიქოლოგიური უზრუნველყოფის გეგმა;
- ტექნიკური უზრუნველყოფის გეგმა;
- ლოგისტიკური უზრუნველყოფის გეგმა;
- საჰაერო ძალების/სექტორის მშვიდობიანიდან საომარ პერიოდზე გადასვლის გეგმა.

მოკლედ განვიხილოთ ჩამოთვლილი საბრძოლო საბუთების დანიშნულება და შინაარსი.

საჰაერო თავდაცვის გეგმა შედგება რუკისგან და განმარტებითი ბარათისგან. გეგმა ორიენტირებულია უფრო მშვიდობიან პერიოდზე. შეიძლება დაერქვას საჰაერო თავდაცვის სისტემის შექმნის გეგმაც. პერიოდულად უნდა მოხდეს ამ გეგმის განახლება, საფრთხეების, საჰაერო თავდაცვის განვითარების გეგმის ცვლილებების, ახალი შეიარაღების და ტექნიკის მიღების და სხვა ფაქტორების შესაბამისად.

გეგმის ტექსტუალურ ნაწილში უნდა აისახოს:

- ა) სავარაუდო საჰაერო საფრთხეები. საჰაერო მოწინააღმდეგის შემადგენლობა, შეიარაღება და ტექნიკა, მომზადების დონე, მოქმედების მიმართულებები, მარშრუტები, მეთოდები და ხერხები. შესაძლო ვარიანტები, თავდასხმის ობიექტები, საჰაერო თავდაცვის სისტემის გარღვევის სავარაუდო მონაკვეთები და სხვა;
- ბ) საკუთარი საბრძოლო ამოცანა, სარდლის/მეთაურის საბრძოლო ბრძანებიდან;
- გ) საომარი მოქმედებების დაწყებამდე ჯარების და მნიშვნელოვანი ობიექტების დაფარვის უზრუნველყოფის არგანიზების საკითხები, საბრძოლო მოქმედებების ჩანაფიქრი, საკუთარი საბრძოლო შესაძლებლობები;

დ) დაქვემდებარებული შენაერთების, ნაწილების და ქვედანაყოფების საბრძოლო ამოცანები:

- ✓ მათი შემადგენლობა;
- ✓ ვისთან ურთიერთქმედებაში ასრულებენ საბრძოლო ამოცანას;
- ✓ ამოცანა საომარი მოქმედებების დაწყებამდე და დაწყების შემდეგ;
- ✓ ძირითადი ძალისხმევის მიმართვის რაიონები, მიმართულებები, დასაცავი ობიექტები;
- ✓ საბრძოლო მოქმედებების ვარიანტების მიხედვით, საჰაერო მიზნების განადგურების, რადიოელექტრონული ჩახშობის და დაზვერვის წარმოების წესი;
- ✓ გამანადგურებელი ავიაციის ბრძოლაში ჩაბმის ზღუდეები, მორიგეობის ზონები და დამოუკიდებელი მოქმედებების რაიონები;
- ✓ საცეცხლე ქვედანაყოფებისთვის რადიოლოკაციური და სხვა ტიპის დაზვერვის, სადაზვერვო და საბრძოლო ინფორმაციის გაცემის ზღუდეები;
- ✓ სავარაუდო ამოცანები, რომლებიც შესაძლოა წამოიჭრას;
- ✓ შენაერთების, ნაწილების და ქვედანაყოფების საბრძოლო წყობა, დაგეგმილი გადაჯგუფების წესი;
- ✓ მობილიზაციის გეგმის თანახმად ფორმირებული ნაწილების გამოყენების წესი;
- ✓ საჰაერო ძალების სარდლობის და საჰაერო თავდაცვის სექტორის რეზერვი;

ე) ურთიერთქმედების ორგანიზების ძირითადი საკითხები:

- ✓ ურთიერთქმედების ამოცანები;
- ✓ ურთიერთმოქმედი შენაერთების და ნაწილების შემადგენლობა;
- ✓ პასუხისმგებელი ურთიერთმოქმედებაზე;
- ✓ ორთიერთქმედების ორგანიზებისთვის ოპერატიული ჯგუფების გამოყოფის წესი;

ვ) უზრუნველყოფის ორგანიზება:

- საბრძოლო, ტექნიკური და ლოგისტიკური უზრუნველყოფის მიზნები, ამოცანები, ძალები, საშუალებები და ნორმები;

- უზრუნველყოფის თავისებურებები შენაერთების და ნაწილების განლაგებიდან და საბრძოლო ამოცანიდან გამომდინარე.

ზ) მართვის ორგანიზება:

- ✓ მართვის მიზნები და ამოცანები;
- ✓ მართვის პუნქტების დისლოკაციის ადგილები;
- ✓ ერთ ზონაში გამანადგურებელი ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის ნაწილების მართვის წესი;
- ✓ მართვის ვარიანტები მართვის სისტემაზე ზემოქმედების და დარღვევის პირობებში;
- ✓ მზადყოფნის ვადები;

თ) დარღვეული საბრძოლო მზადყოფნის აღდგენი წესი.

საჰაერო თავდაცვის გეგმის სტრუქტურა, მისი შინაარსი განსაზღვრული უნდა იყოს სახელმძღვანელო საბუთებით. გეგმის გაფორმება, ძირითად თანამდებობის პირებთან შეთანხმება (ხელმოწერით დადასტურება) და მისი დამტკიცება ხდება დადგენილი წესის თანახმად.

სარდლის/მეთაურის გადაწყვეტილების მიღების ალგორითმს და გადაწყვეტილების შინაარსს, შემდგომ სტატიებში განვიხილავთ.

მშვიდობიან პერიოდში საჰაერო თავდაცვის სპეციალურად გამოყოფილი შენაერთები, ნაწილები და ქვედანაყოფები აწარმოებენ საბრძოლო მორიგეობას. საბრძოლო მორიგეობის ორგანიზების და წარმოების საკითხები ასევე შემდგომი სტატიების თემა იქნება. წინამდებარე სტატიაში მოკლედ განვიხილოთ მორიგე ძალების მოქმედების გეგმის შინაარსი.

მორიგე ძალების მოქმედების გეგმა შედგება გრაფიკული და ტექსტუალური ნაწილისგან, გრაფიკული ნაწილი წარმოადგენს რუკას, რომელზეც დეტალურად აისახება პოტენციური მოწინააღმდეგის მოქმედების ვარიანტები, მორიგე ძალების განლაგება და სხვა (ვრცლად აღნიშნული თემის განხილვისას).

ტექსტუალური ნაწილი მოიცავს:

- დასკვნებს მოწინააღმდეგის დაჯგუფების შეფასებიდან და საჭაერო მოწინააღმდეგის საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობიდან;
- მეზობელი ქვეყნების ავიაციის ფრენების დახასიათებას;
- დაზვერვის და შეტყობინების ორგანიზებას;
- მორიგე ძალების მოქმედებების წესს, სხვადასხვა ვითარებაში;
- საბრძოლო მორიგეობის ყოველმხრივი უზრუნველყოფის საკითხებს.

მართვის და კავშირგაბმულობის გეგმის გრაფიკულ ნაწილში აისახება საჭაერო მოწინააღმდეგის დაჯგუფება და მისი საბრძოლო შესაძლებლობები, საკუთარი ძალების და საშუალებების, ასევე მართვის პუნქტების განლაგება, მართვის და კავშირგაბმულობის სისტემები, ინფორმაციის მიღება/გადაცემის ზღუდეები, მართვის სისტემების შესაძლებლობები, მართვის სქემა და სხვა.

მართვის გეგმის განმარტებით ნაწილში უნდა აისახოს: დასკვნები მოწინააღმდეგის შეფასებიდან მართვის სისტემების ჩახშობის მხრივ, მართვის სისტემების დაცვის ორგანიზება, მართვის პუნქტების გაშლის ადგილები და წესი, მართვის ორგანიზების საკითხები, მუშაობის რეჟიმები, სარეზერვო ძალები, შენიღბვის ღონისძიებები, შეტყობინების ქსელის ორგანიზება და სხვა.

ურთიერთქმედების გაგება ასევე შედგება გრაფიკული ნაწილისგან (რუკა) და განმარტებითი ბარათისგან. რუკაზე აისახება საჭაერო მოწინააღმდეგის დაჯგუფება (სარდლის/მეთაურის გადაწყვეტილების შესაბამისად), საჭაერო თავდაცვის შენაერთების, ნაწილების და ქვედანაყოფების პასუხისმგებლობის საზღვრები, გამყოფი ზოლები, დასაცავი ობიექტები, მართვის პუნქტები, ავიაციის მორიგეობის ზონები, დაზვერვის და ცეცხლის ზონები, ინფორმაციის გადაცემის ზღუდეები, ურთიერთქმედების რაიონები, ზონები, სიმაღლეები და სხვა. ტექსტუალურ ნაწილში უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: ურთიერთქმედების მიზნები და ამოცანები, ურთიერთმოქმედი ძალები, პასუხისმგებელი ურთიერთქმედებაზე, ზონების მიხედვით, ურთიერთქმედების წესები, საბრძოლო მოქმედებების ვარიანტების მიხედვით, უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომები, ინფორმაციის გაცვლის წესი,

ცეცხლის და რადიოელექტრონული საშუალებების შეთანხმებული გამოყენების წესი და სხვა.

დაზვერვის გეგმის გრაფიკულ ნაწილზე უნდა აისახოს საჰაერო მოწინააღმდეგის დაჯგუფება და მისი საბრძოლო შესაძლებლობები, მოქმედების შესაძლო მიმართულებები და ვარიანტები, საბრძოლო გამოყენების ზღუდეები, საკუთარი ჯარები და მათი გამყოფი ზოლები, მართვის პუნქტები, დაზვერვის ძალები და საშუალებები, მათი საბრძოლო შესაძლებლობები, დასაცავი ობიექტები და სხვა.

ტექსტუალური ნაწილი უნდა შეიცავდეს: დასკვნებს საჰაერო მოწინააღმდეგის შეფასებიდან, დაზვერვის მიზანს, ამოცანებს, ძალები და საშუალებებს; დაზვერვის ჩანაფიქრი, ძალისხმევის ძირითადი მიმართულებები და ამოცანები; დაზვერვის ორგანიზება დაზვერვის სახეების მიხედვით; დაზვერვის ძალების და საშუალებების მართვის საკითხები; დაზვერვის რეზერვი; უზრუნველყოფის ძირითადი საკითხები და სხვა.

ტაქტიკური (ოპერატიული) შენიღბვის გეგმა შეიმუშავება საბრძოლო უზრუნველყოფის სხვა სახეობებთან ერთობლიობაში. ღონისძიებათა ნაწილი აისახება საბრძოლო უზრუნველყოფის სხვა სახეობების გეგმებში. გეგმის გრაფიკულ ნაწილში აისახება ცრუ საბრძოლო პოზიციები, ძირითადი ძალისხმევის ცრუ მიმართულებები, ცრუ ობიექტები, ცრუ დემოსტრაციული მოქმედებების რაიონები და სხვა. განმარტებითი ბარათი შეიცავს შენიღბვის მიზნებს, ამოცანებს, შენიღბვის ღონისძიებებს, შენიღბვისათვის გამოყოფილ ძალებს და საშუალებებს და სხვა.

უკრაინა რუსეთის ომმა მკვეთრად გამოხატა რადიოელექტრონული ბრძოლის მნიშვნელობა და აქტუალობა. ეს მიმართულება ცალკე ღრმა შესწავლის საგანი უნდა გახდეს. საბრძოლო მოქმედებების დაგეგმვისას რადიოელექტრონული ბრძოლის ელემენტები მაქსიმალურად დეტალურად უნდა დაიგეგმოს.

რადიოელექტრონული ბრძოლის გეგმის გრაფიკულ ნაწილზე აისახება მოწინააღმდეგის საჰაერო თავდასხმის და რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებები, მათი ტიპები, რაოდენობა, განლაგება, მოქმედების მიმართულებები და საბრძოლო შესაძლებლობების პარამეტრები და სხვა. განმარტებით ბარათი შეიცავს რადიო-

ელექტრონული ბრძოლი მიზნებს, ამოცანებს, ძალისხმევის მიმართულებებს, ობიექტებს, რადიოელექტრონული ჩახშობის და დაცვის პრიორიტეტებს და სხვა.

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ დიდი ზეგავლენა იქონია საომარი მოქმედებების წარმოებაზე. სამხედრო მოქმედებების ჰიბრიდული მეთოდების განვითარების პირობებში, სახელმწიფოს, მისი მართვის ორგანოების, საინფორმაციო სისტემების და თავდაცვის ძალების საინფორმაციო უზრუნველყოფა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს.

დღეს, ბევრი ქვეყნის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში იქმნება საინფორმაციო ოპერაციების ჯარები. შეიძლება ითქვას, რომ საინფორმაციო უზრუნველყოფა საბრძოლო მოქმედებების სპეციალური უზრუნველყოფის სახეობად ყალიბდება.⁶

საინფორმაციო უზრუნველყოფის გეგმა უნდა ასახავდეს ოპერაციის მიზნების და ამოცანების მისაღწევად საჭირო ღონისძიებებს, დეზინფორმაციის ამოცანებს და ღონისძიებებს, სამიზნე ჯგუფებს, სასურველ შედეგებს, გამოყოფილ ძალებს და საშუალებებს და სხვა.

უკრაინა-რუსეთის ომში დრონების მასობრივმა გამოყენებამ გაართულა საბრძოლო მოქმედებების, განსაკუთრებით საბრძოლო პოზიციებზე მყოფი ქვედანაყოფების ყველა სახის უზრუნველყოფა. გამოყენებამ, იმ პირობებში, როცა ბრძოლის ველზე და მის ზურგში მკვეთრად გართულდა ფარული გადაადგილება, საჭირო გახდა ახალი მიდგომების შემუშავება. საჭირო თავდაცვის შენაერთების, ნაწილების და ქვედანაყოფების ლოგისტიკური, ტექნიკური, საბრძოლო და სპეციალური უზრუნველყოფა, რაკეტების, საბრძოლო მასალების, საწვავის, საკვების მიწოდება, მიწოდების წესი და დეტალურად უნდა დაიგეგმოს.

უზრუნველყოფის გეგმის გრაფიკულ ნაწილზე დატანილი უნდა იქნას საბრძოლო ქვედანაყოფების პოზიციები, უზრუნველყოფის ძალების და საშუალებების განლაგების რაიონები, მიწოდების და ევაკუაციის მარშრუტები, გზები, ჩამოტვირთვის სადგურები, უზრუნველყოფის ბაზები, საცავები, უზრუნველყოფის მართვის

⁶ტოტალური (ყოვლისმომცველი) თავდაცვა, როგორც საქართველოს თავდაცვის და უსაფრთხოების განმსაზღვრელი ფაქტორი, გვ.91, 2023.

პუნქტები, ჰოსპიტალები და სხვა. განმარტებით ბარათში უნდა აისახოს უზრუნველყოფის მიზნები და ამოცანები, ძირითადი ძალიხმევის მიმართულებები, მარაგები, გამოყოფილი/დაწესებული ნორმები, უზრუნველყოფის განხორციელების წესები, უსაფრთხოების და შენიღბვის ღონისძიებები, პოზიციები, მართვის პუნქტები, კავშირის ორგანიზების და სხვა საკითხები.

საბრძოლო მოქმედებებისთვის მომზადების პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია საჭირო თავდაცვის ძალების, სექტორის, შენაერთების და ნაწილების მშვიდობიანიდან საომარ პერიოდზე გადაყვანის ეტაპი. შტაბის მიერ მუშავდება შესაბამისი გეგმა, რომელიც საკმაოდ მოცულობითია და ცალკე განსახლიველი თემაა. ქვემოთ განვიხილოთ გეგმის მოკლე შინაარსი.

მშვიდობიანიდან საომარ პერიოდზე გადაყვანის გეგმის განმარტებით ბარათში უნდა აისახოს ძირითადი დებულებები, მზადყოფნის ხარისხები, ჩანაფიქრი, საომარ პერიოდზე გადასვლის წესი, მართვის და ურთიერთქმედების საკითხები, საბრძოლო და სამოხილზაციო მზადყოფნის შემოწმების წესები და სხვა. გეგმას თან ერთვის სხვადასხვა დანართები. გრაფიკულ ნაწილზე დატანილი უნდა იქნას პასუხისმგებლობის საზღვრები, საბრძოლო წყობა, საკუთარი ძალები და საშუალებები, მართვის პუნქტები, მაკომპლექტებელი გაწვევის პუნქტები, მოძრაობის მარშრუტები, პირადი შემადგენლობის მირების პუნქტები, საბრძოლო შერწყმის რაიონები, გაშლის რაიონები და მარშრუტები, პირადი შემადგენლობის, შეიარაღების და ტექნიკის მონაცემები და სხვა.

დაგეგმვის პროცესი.

ზოგადად, დაგეგმვა არის სარდლის/მეთაურის გადაწყვეტილების დეტალიზაცია. დაგეგმვის პროდუქტია გეგმა. დაგეგმვის პროცესი არის ვითარების შეფასების, მისაღწევი მიზნის ფორმულირებისა და ამ მიზნის მიღწევის ეფექტური გზების განსაზღვრის ხელოვნება. დაგეგმვა ეხმარება მეთაურებს ვითარების სწორად და სრულად შეფასებაში; პრობლემების გადაჭრის გზების შემუშავებაში; მოქმედებების წარმართვაში, კოორდინაციასა და სინქრონიზაციაში; ძალიხმევის პრიორიტეტულობის დადგენაში და მოვლენების წინასწარ პროგნოზირებაში. დაგეგმვა ეხმარება მე-

თაურებს განსაზღვრონ, თუ როგორ გადავიდნენ მიმდინარე მდგომარეობიდან უფრო სასურველ მდგომარეობაში, პოტენციური შესაძლებლობებისა და საფრთხეების იდენტიფიცირებისას.⁷

დაგეგმვა შეიძლება იყოს მკაცრად სტრუქტურირებული, რომელშიც მონაწილეობენ მეთაური, შტაბი, დაქვემდებარებული მეთაურები და სხვა პირები, რომლებიც შეიმუშავებენ სრულად სინქრონიზებულ გეგმას ან ბრძანებას. დაგეგმვა ასევე შეიძლება იყოს ნაკლებად სტრუქტურირებული, რომელშიც მონაწილეობს მეთაური და შერჩეული.⁸

დაგეგმვა არის როგორც მეცნიერება, ასევე ხელოვნება. სამხედრო ოპერაციების მრავალი ასპექტი, როგორიცაა გადაადგილების სიჩქარე, საწვავის მოხმარება და იარაღის ეფექტიანობა, რაოდენობრივად განსაზღვრადია. ისინი დაგეგმვის მეცნიერების ნაწილია. ძალების კომბინაცია, ტაქტიკის არჩევანი და საბრძოლო აქტივობების განლაგება დაგეგმვის ხელოვნებას მიეკუთვნება. შტაბები დაგეგმვის მეცნიერების ცოდნას სწავლებების გზით, დაგეგმვის ხელოვნებას კი გამოცდილების მეშვეობით იძენენ.

დაგეგმვის მეცნიერება მოიცავს ოპერაციების ასპექტებს, რომელთა გაზომვა და ანალიზი შესაძლებელია. ეს ასპექტები მოიცავს როგორც მოკავშირე, ასევე მტრის ჯარების ფიზიკურ შესაძლებლობებს. დაგეგმვის მეცნიერება მოიცავს დროისა და მანძილის ფაქტორების რეალისტურ შეფასებას; იმის გაგებას, თუ რამდენი დრო სჭირდება გარკვეული ქმედებების დაწყებას; დაგეგმვის ამოცანების შესასრულებლად გამოყენებულ ტექნიკასა და პროცედურებს; და ტერმინებსა და გრაფიკას, რომლებიც სამხედრო ოპერაციების ენას ქმნიან. მიუხედავად იმისა, რომ ადვილი არ არის, დაგეგმვის მეცნიერება საკმაოდ მარტივია.⁹

დაგეგმვის მეცნიერების დაუფლება აუცილებელია იმ ფიზიკური და პროცედურული შეზღუდვების გასაგებად, რომელთა პირობებშიც ქვედანაყოფები მოქმედებენ. ეს შეზღუდვები მოიცავს რელიეფის, ამინდის და დროის გავლენას

⁷ Ibid. Air Force Doctrine Publication, გვ.2-1.

⁸ Ibid. გვ.2-1

⁹ Ibid. გვ.2-2

მოკავშირე და მოწინააღმდეგე ძალებზე. თუმცა, რადგან ბრძოლა ინტენსიურად ადამიანური საქმიანობაა, პრობლემების გადაწყვეტა არ შეიძლება ფორმულამდე დაიყვანოს. ამის გაცნობიერება მოითხოვს დაგეგმვის ხელოვნების შესწავლას. დაგეგმვა მოითხოვს დოქტრინების, ქვედანაყოფებისა და რესურსების შემოქმედებით გამოყენებას. დაგეგმვის ხელოვნება გულისხმობს გეგმების შემუშავებას მეთაურის გადაწყვეტილების ფარგლებში.¹⁰

დასკვნა

საჰაერო თავდაცვის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია ზემდგომი მეთაურების და შტაბების ორგანიზატორული საქმიანობა. ორგანიზატორულ საქმიანობაში მოიაზრება ზემდგომი მეთაურების და შტაბების მუშაობა დაქვემდებარებულ შტაბებში შენაერთების, ნაწილების და ქვედანაყოფების საბრძოლო მომზადებების შესასრულებლად ყოველმხრივი მომზადების მიზნით, რაც შემდეგი სტატიის განხილვის საგანი იქნება.

ბიბლიოგრაფია

ტოტალური (ყოვლისმომცველი) თავდაცვა, როგორც საქართველოს თავდაცვის და უსაფრთხოების განმსაზღვრელი ფაქტორი, 2023.

Air Force Doctrine Publication 3-01, გვ.3, <https://surl.li/wwufds> (გადამოწმებულია, 21.11.2025)

ADP 5-0. The Operation Process

¹⁰ ADP 5-0. The Operation Process. გვ.2-2

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება თანამედროვე ცხოვრებაში

ქეთევან კვესელავა¹

<https://orcid.org/0000-0002-1318-2750>

ნინო ვერულავა²

<https://doi.org/10.61446/mp.4.2025.10042>

აბსტრაქტი

ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება XXI საუკუნეში გახდა თანამედროვე ცივილიზაციის გარდაქმნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ციფრული ინფრასტრუქტურის გაფართოება, ინტერნეტის გლობალიზაცია, მობილური ტექნოლოგიების მასობრივი გავრცელება და ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია ყოველდღიურ ცხოვრებაში გარდაქმნის სოციალურ, ეკონომიკურ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო გარემოს.

ინფორმაციული ტექნოლოგიები ქმნის ახალ ეკონომიკურ მოდელებს, აჩქარებს მონაცემთა მიმოცვლას და გადაწყვეტილების მიღების პროცესს, ამადლებს სახელმწიფო სერვისების ეფექტიანობას და აუმჯობესებს კომუნიკაციის ხარისხს.

ამავე დროს, IT-ს დინამიკური განვითარება დაკავშირებულია მნიშვნელოვან გამოწვევებთან — კიბერუსაფრთხოების რისკებთან, მონაცემთა კონფიდენციალურობის პრობლემებთან, ციფრულ უთანასწორობასთან და ტექნოლოგიური ევოლუციის მორალურ-ეთიკურ საკითხებთან.

სტატია მსჯელობს IT-ის ისტორიულ ევოლუციაზე, თანამედროვე ტენდენციებზე, გავლენაზე სხვადასხვა სფეროზე და იმ გამოწვევებზე, რომლებიც აუცილებელს ხდის უსაფრთხო, მდგრად და ეთიკურ ციფრულ განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: ინფორმაციული ტექნოლოგიები, კიბერუსაფრთხოება, ხელოვნური ინტელექტი.

¹ საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ინფორმატიკის ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
² საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი, ინფორმატიკის ინჟინერიის აკადემიური დოქტორი

The development of information technologies in modern life

Ketevan Kveselava³

Nino Verulava⁴

Abstract

The rapid development of information technologies in the 21st century has become one of the most important factors in the transformation of modern civilization. The expansion of digital infrastructure, the globalization of the Internet, the mass distribution of mobile technologies and the integration of artificial intelligence into everyday life are transforming the social, economic, educational and scientific environment.

Information technologies create new economic models, accelerate data exchange and decision-making processes, increase the efficiency of state services and improve the quality of communication.

At the same time, the dynamic development of IT is associated with significant challenges - cybersecurity risks, data privacy problems, digital inequality and moral and ethical issues of technological evolution.

The article discusses the historical evolution of IT, modern trends, its impact on various areas and the challenges that make safe, sustainable and ethical digital development necessary.

Keywords: information technology, cybersecurity, artificial intelligence.

³ Professor of Technical University of Georgia, Chief Scientist in the Scientific Research Center of LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia, Academic Doctor of Informatics Engineering

⁴ Assistant Professor of Technical University of Georgia, Academic Doctor of Informatics Engineering

შესავალი

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ ფუნდამენტურად შეცვალა ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება, ეკონომიკური საქმიანობა, განათლება, კომუნიკაცია და სახელმწიფო მართვა. თუ XX საუკუნეში ინფორმაციის დამუშავება ძირითადად შეზღუდულ ტექნოლოგიურ რესურსებს ეფუძნებოდა, XXI საუკუნე ხასიათდება სწრაფი ციფრული ევოლუციით, პროცესების ავტომატიზაციით და გლობალური ქსელების ინტეგრაციით.

საინფორმაციო ტექნოლოგიები საკმაოდ სწრაფი ტემპით ვითარდება, რომელიც ხელს უწყობს ერთი ადამიანის ყველაზე უმნიშვნელო საქმიანობასაც კი. თუ ინფორმაციულ ტექნოლოგიის ნებისმიერი მოწყობილობას ერთი მომხმარებლის თვალსაზრისით შევხედავთ, მაშინ დღეს ჩვენი ცხოვრება გაცილებით სწრაფი გახდა. ამას ადასტურებს თუნდაც ყველაზე ჩვეულებრივი ტელეფონი ან „პერსონალური კომპიუტერი“, ინფორმაციის მისაღებად ან გასაგზავნად საკმარისია რამდენიმე ქმედება და ინფორმაცია აქვს მიმღებს.

პროფესიულ საქმიანობაში ინფორმაციული ტექნოლოგიების სწორად გამოყენების უნარი ყოველდღიურად ხდება თითოეული ადამიანის კვალიფიკაციის განუყოფელი ნაწილი. სულ რამდენიმე წლის წინ „ინფორმაციის“ ცნებამ გადაინაცვლა სამეცნიერო კატეგორიიდან კომერციულ კატეგორიაში, მიუხედავად სხვა სფეროების განვითარებისა და არამომგებიანობისა, ინფორმაციული რესურსები მხოლოდ იმპულსს იძენს, აფართოებს გამოყენების სფეროს, რომელსაც უდიდესი როლი აქვს ნებისმიერ საზოგადოებაში, ნებისმიერ სახელმწიფოში.⁵

ინფორმაციული ტექნოლოგიების ისტორიული განვითარება

ინფორმაციული ტექნოლოგიების ევოლუცია შეიძლება პირობითად დაიყოს რამდენიმე ეტაპად:⁶

1. კომპიუტერული ეპოქის დასაწყისი (1940–1970)

⁵M.Castells, „The Rise of the Network Society.“ Wiley-Blackwell, 2010.

⁶OECD Digital Economy Outlook, 2024.

ამ პერიოდში განვითარდა პირველადი ელექტრულ-ანალოგური და ციფრული კომპიუტერები (ENIAC, UNIVAC). ტექნოლოგია ძირითადად სამეცნიერო და სამხედრო მიზნებს ემსახურებოდა.

2. პერსონალური კომპიუტერების გავრცელება (1980–1990)


PC-ების კომერციალიზაციამ (IBM PC, Apple Macintosh) ტექნოლოგია გადააქცია მასობრივ პროდუქტად, რაც became turning point საინფორმაციო საზოგადოების ფორმირებისათვის.

3. ინტერნეტის რევოლუცია (1990–2005)

WWW-ის გამოჩენა გახდა ინოვაციის კატალიზატორი. გაჩნდა გლობალური კომუნიკაცია, ელექტრონული კომერცია და ონლაინ-ეკოსისტემები.

4. მობილური და ღრუბლოვანი ეპოქა (2005–დღემდე)

სმარტფონები, სოციალური ქსელები, cloud-სერვისები და ხელოვნური ინტელექტის (AI) სწრაფი ზრდა ქმნის სრულიად ახალ ციფრულ რეალობას.




სურ. 1

ინფორმაციული ტექნოლოგიების გავლენა თანამედროვე ცხოვრებაზე

1. ეკონომიკური სისტემა და ციფრული ტრანსფორმაცია

ბიზნესები მთელ მსოფლიოში გადადიან ავტომატიზაციაზე, მონაცემთა ანალიტიკაზე, ელექტრონულ კომერციაზე და დისტანციურ სამუშაოზე. შედეგად იზრდება პროდუქტიულობა, კლებულობს ოპერაციული ხარჯები და იზრდება ბაზრების გეოგრაფიული მასშტაბი.

გლობალური ეკონომიკური კომერციის გაფართოება



სურ. 2

2. განათლება და ე-ლერნინგი


ონლაინ-სწავლების პლატფორმებმა (MOOCs, LMS სისტემები) ხელმისაწვდომი გახადა ცოდნა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. ჰიბრიდული სწავლება ხდება ახალი ნორმა.

3. ჯანმრთელობის დაცვა — ციფრული მედიცინა

ტელემედიცინა, სამედიცინო მონაცემთა ანალიტიკა და AI-დიაგნოსტიკა აუმჯობესებს ჯანმრთელობის მომსახურების ხარისხს, ამცირებს ზუსტ დიაგნოზამდე მისვლის დროს.

4. სოციალური კომუნიკაცია

სოციალური ქსელები, მესენჯერები და ვიდეოკონფერენციები ცვლის კომუნიკაციის კულტურას, ავითარებს გლობალიზებულ სოციალურ სივრცეს.



სურ. 3


5. სახელმწიფო მართვა — ელექტრონული მმართველობა

ელექტრონული სერვისები ზრდის გამჭვირვალობას, ამცირებს ბიუროკრაციას და ზრდის სახელმწიფო სერვისების ეფექტიანობას (მაგ.: e-Services, e-Government).

თანამედროვე IT-ტენდენციები

1. ხელოვნური ინტელექტი (AI) და მანქანური სწავლება (ML)

AI-ტექნოლოგიები გამოიყენება ავტონომიურ ტრანსპორტში, ფინანსურ ანალიზში, მედიცინაში, კიბერუსაფრთხოებაში და სხვა სფეროებში.




სურ. 4

2. დიდი მონაცემები (Big Data)

Big Data ქმნის შესაძლებლობას დიდი მასშტაბის მონაცემების დამუშავების, რაც კომპანიებს აძლევს კონკურენტულ უპირატესობას.

3. ინტერნეტი საგნებისა (IoT)


IoT ქმნის დაკავშირებული მოწყობილობების ეკოსისტემებს — „ჭკვიან სახლს“, ინდუსტრიულ ავტომატიზაციას, სენსორულ ქსელებს.



სურ.5

4. კიბერუსაფრთხოება

ციფრული რესურსების ზრდასთან ერთად იზრდება კიბერპუქების რისკი, რის გამოც უსაფრთხოების სტრატეგიები ხდება კრიტიკული.



სურ.6

5. კვანტური ტექნოლოგიები

კვანტური გამოთვლები მომავალში რადიკალურად შეცვლის მონაცემთა დაშიფვრისა და გამოთვლითი სისწრაფის სტანდარტებს.

გამოწვევები

ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება მოიცავს მნიშვნელოვან გამოწვევებს:

- მონაცემთა დაცვა და კონფიდენციალურობა
- ინფორმაციული არასიმძლავრე და ციფრული უთანასწორობა
- კიბერუსაფრთხოების მზარდი საფრთხეები
- ნდობის დეფიციტი ხელოვნური ინტელექტის მიმართ
- ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ზრდის აუცილებლობა

ძირითადი ნაწილი

წარმოდგენილი თემის გასაშუქებლად, ინფორმაციის მოსაძიებლად ჩატარებული კვლევის შემდეგ, ღირს დავიწყოთ ფრაზის „ინფორმაციული ტექნოლოგია“ მნიშვნელობით, რაც გულისხმობს „ინფორმაციის“ და „ტექნოლოგიის“ მნიშვნელობების გამჟღავნებას.

ასე რომ, ინფორმაცია არის მონაცემები, მიუხედავად მისი წარმოდგენის ფორმისა. გარდა იმისა, რომ ცნება ფართოდ არის გავრცელებული, ის ერთ-ერთ ყველაზე საკამათო საკითხად რჩება და ტერმინს შეიძლება განსხვავებული ინტერპრეტაცია ჰქონდეს ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში.

ტექნოლოგია არის კონკრეტულ ინდუსტრიაში წარმოების მეთოდებისა და პროცესების ერთობლიობა, ასევე წარმოების მეთოდების სამეცნიერო აღწერა.

ინფორმაციული ტექნოლოგიები (IT) არის დისციპლინებისა და საქმიანობის სფეროების ფართო კლასი, რომელიც დაკავშირებულია მონაცემთა მართვისა და

დამუშავების ტექნოლოგიებთან, ასევე მონაცემთა შექმნასთან, მათ შორის გამო-
თვლითი ტექნოლოგიების გამოყენებასთან.

ამრიგად, ინფორმაციული ტექნოლოგია შეიძლება განისაზღვროს, როგორც
ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, გადაცემისა და შენახვის მეთოდების
ერთობლიობა, შრომის პროცესების ინტენსივობის შესამცირებლად.

ინფორმაციული ტექნოლოგიების მიზანია ინფორმაციის წარმოება ისე, რომ
ადამიანმა შეძლოს მისი გაანალიზება და მის საფუძველზე მიიღოს საჭირო
გადაწყვეტილება რაიმე ქმედების შესასრულებლად. IT-ის თავისებურება იმაში
ვლინდება, რომ საგანი ინფორმაციაა, ხოლო ინსტრუმენტები - გამოთვლითი და
საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება ყო-
ველი ადამიანის ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა ყველა სფეროში, რომელიც
ასრულებს განსაკუთრებულ როლს. ინდუსტრიების უმეტესობა მჭიდრო კავშირშია
ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვასა და დანერგვასთან.⁷

IT-ის თანამედროვე განვითარება სწორედ კომპიუტერული ინსტრუმენტების
გაჩენიდან და განვითარებიდან უნდა განვიხილოთ. ამრიგად, შეიძლება განვასხვავოთ
შემდეგი ეტაპები:

პირველი ეტაპი - სახელმძღვანელო საინფორმაციო ტექნოლოგიაში მისი ინსტ-
რუმენტები იყო წიგნი, კალამი და მელნის ყუთი. ყველანაირი კომუნიკაცია
ხორციელდებოდა ხელით. ამ ტექნოლოგიის მიზანია ინფორმაციის სასურველი
ფორმით წარდგენა.

მეორე ეტაპი - მექანიკური ტექნოლოგიისთვის საჭირო ინსტრუმენტები იყო:
საბეჭდი მანქანა, დიქტოფონი, ტელეფონი. ამ ტექნოლოგიის მიზანი იყო ინ-
ფორმაციის სასურველი ფორმით, უფრო შესაფერისი გზებით წარმოდგენა.

მესამე ეტაპი - ელექტროტექნოლოგია, რომლის ინსტრუმენტები იყო: დიდი
კომპიუტერები და პროგრამული უზრუნველყოფა, ელექტრო საბეჭდი მანქანები,
პორტატული დიქტოფონები. მიზანი იცვლება პრეზენტაციის ფორმიდან მისი ში-
ნაარსის ფორმირებამდე.

⁷ K.Schwab, „The Fourth Industrial Revolution.“ World Economic Forum, 2016.

მეოთხე ეტაპი - ელექტრონული ტექნოლოგია: მათ საფუძველზე შექმნილი დიდი კომპიუტერები და ავტომატური მართვის სისტემები (ACS), და ინფორმაციის მოძიების სისტემები (IRS). ხდება კიდევ უფრო დიდი ცვლილება, ინფორმაციის შინაარსობრივი მხარის ფორმირებაზე ცხოვრების სფეროების რეგულირებისთვის, ძირითადად ანალიტიკური სამუშაო საქმიანობისთვის.

მეხუთე ეტაპი - კომპიუტერული ტექნოლოგია. ამ პერიოდის მთავარი ინსტრუმენტია - პერსონალური კომპიუტერი (PC). მის გამოსაყენებლად, იქმნება მრავალი სხვადასხვა პროგრამა, ასევე მოწყობილობები შემდგომი ოპერაციისთვის. ამ ეტაპზე ყურადღება გამახვილებულია ინდივიდუალურ მომხმარებელზე. ამ ეტაპის მიზანია მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს კულტურული და საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის განკუთვნილი მინიატურული ტექნიკური საშუალებები.

მეექვსე ეტაპი - როგორც ორგანიზაციებს შორის თანამედროვე ტექნოლოგიების, ასევე საინფორმაციო სისტემების შექმნა. ამ ეტაპის არსი ვლინდება სტრატეგიის ანალიზში, რაც ზრდის ორგანიზაციების საქმიანობაში უპირატესობებს.

ექსპერტები IT-ის შემდგომ განვითარებას XXI საუკუნეში ნანოტექნოლოგიებისა და სუპერკომპიუტერების გამოყენებას უკავშირებენ, იმისათვის, რომ შეასრულონ სხვადასხვა პროცესები კომბინირებული გამოთვლების გამოყენებით პლანეტის ნებისმიერ წერტილში, დაკავშირებული არიან ერთმანეთთან ინტერნეტის საშუალებით.

ამჟამად, IT-ის როლი თანამედროვე საზოგადოებისთვის სწრაფად იზრდება, მისმა განვითარებამ და მნიშვნელობამ მტკიცე პოზიცია დაიკავა მთლიანად ქვეყნების ეკონომიკისთვის. ეს ფაქტი დასტურდება ქვემოთ ჩამოთვლილი რამდენიმე მახასიათებლით:⁸

IT საშუალებას იძლევა გააქტიუროს და ეფექტურად გამოიყენოს საინფორმაციო რესურსები როგორც ერთი საწარმოსთვის, ისე მთლიანად საზოგადოებისთვის. ორგანიზაციის რესურსების რესტრუქტურირების ეფექტური გამოყენება საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ, გავანალიზოთ და დაზოგოთ სხვა სახის რესურსები, როგორცაა ნედლეული, მასალები, აღჭურვილობა და ადამიანური შრომა;

⁸ K. Laudon, J. Laudon, „Management Information Systems.“ Pearson, 2022.

საწარმოების თანამშრომლებისა და საზოგადოების წევრების საქმიანობის ოპტიმიზაციისა და ავტომატიზაციის უნარი, რომლებშიც შრომის ობიექტი და შედეგია მეცნიერული ცოდნა და ინფორმაცია;

ინფორმაციული ტექნოლოგიები უფრო რთული წარმოების ან სხვა სოციალური ფენომენების მნიშვნელოვანი ელემენტია, რადგან ის შესაბამისი წარმოების ან სოციალური ტექნოლოგიების კომპონენტია.

დღეს ინფორმაციული ტექნოლოგიები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანებს შორის ურთიერთობაში. ისინი სწრაფად შედიან საზოგადოებაში, რადგან ქმნიან მეტ კომფორტს და გამორიცხავენ მრავალ ყოველდღიურ, სოციალურ და ორგანიზაციულ პროცესს.

როდესაც ვსაუბრობთ ნებისმიერი ობიექტის მართვის სისტემაში IT-ის გამოყენებაზე, შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი თვისებების მთელი რიგი:

დოკუმენტირება - ინფორმაციის მედიაზე წარდგენა;

საიმედოობა არის თვისება, რომელიც ხასიათდება მითითებული ფუნქციების განხორციელებითა და შესრულებით, ამავე დროს მითითებული მახასიათებლების შენარჩუნებით;

დასრულება – შემუშავების დროს დაშვებული შეცდომების აღმოჩენის ალბათობა;

გაგება და სიცხადე - გამოყენების სიმარტივე;


ღიაობა და გაფართოება - IT-ის თვისებებია, რომლებიც ახალი ელემენტებისა და კავშირების დანერგვის საშუალებას იძლევა;

რესურსების ინტენსივობა - მისი განხორციელებისთვის საჭირო რესურსების მოცულობა;

უსაფრთხოება – ინფორმაციის არასანქცირებული წვდომის აღკვეთისა და აღრიცხვის შესაძლებლობა;

ეფექტურობა - IT-ის თვისებაა, რომელიც საშუალებას იძლევა დასახული მიზნის მაღალი ხარისხით მიღწევას.

ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრუქტურა - მეთოდებისა და ტექნიკური ინსტრუმენტების ერთობლიობა, პროგრამულ-მათემატიკური და ორგანიზაციული ხასიათის, რომელიც განსაზღვრავს პროცესის ორგანიზებისა და IT-ის მთლიანობის უზრუნველყოფის ლოგიკას. ქვემოთ მოცემულ ნახაზ 1-ში ნაჩვენებია IT სტრუქტურა.



სურათი 7. ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრუქტურა

კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების სფეროში ბოლოდროინდელი მიღწევები ხასიათდება შემდეგი მახასიათებლებით:

პერსონალური კომპიუტერების ხელმისაწვდომობა და ფართოდ გამოყენება;

მომხმარებელთა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა, მათ შორის იმ მომხმარებლების, რომლებსაც არ აქვთ მუშაობის საბაზისო ცოდნა სამუშაოდ;

პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების არსებული სტანდარტები, რომლებიც მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან საბოლოო მომხმარებლის საჭიროებებს.

დღეს ინფორმაციული ტექნოლოგიების როლის შეფასება ძნელია. ყოველდღიურად ფართოვდება თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების სფერო, რომელიც ორიენტირებულია პერსონალური კომპიუტერების, ქსელების და ურთიერთქმედების თანამედროვე მოდელების სახით არსებულ ბაზაზე. ნებისმიერი ადამიანისთვის, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება იქნება ძლიერი ინსტრუმენტი და ყველა უნდა იყოს ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რა იმალება „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ სახელის ქვეშ. ამ სფეროს სპეციალისტებს უნდა

ჰქონდეთ ფართო ხედვა და ცოდნა ამ დარგის შესახებ, ასევე საკმარისი ინფორმაციული ინფორმაცია ტექნოლოგიების სწორად გამოყენებისთვის. IT სფეროში ცოდნის „საკმარისობის“ დონე ყოველწლიურად უფრო და უფრო იზრდება. თანამედროვე სამყაროს წარმოდგენა შეუძლებელია ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული აღჭურვილობის გამოყენების გარეშე. ინფორმაციას საკმაოდ მარტივი მნიშვნელობა აქვს - რესურსი. ეს არის ინფორმაცია, რომლის წარდგენა შესაძლებელია ნებისმიერი ფორმით, როგორც სტრატეგიის თვალსაზრისით ნებისმიერ სახელმწიფოსთან მიმართებაში, ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაში.

დასკვნა

ინფორმაციული ტექნოლოგიები წარმოადგენს თანამედროვე ცივილიზაციის ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალას. მათი განვითარება ახდენს ცხოვრების ყველა სფეროს ტრანსფორმაციას და ქმნის ახალ შესაძლებლობებს, ეკონომიკურ მოდელებსა და სოციალური ურთიერთობების ფორმებს. თუმცა, ამ პროგრესს თან ახლავს მკვეთრი გამოწვევებიც, რომელთა წინააღმდეგობად აუცილებელია სიფრთხილე, რეგულაციები, განათლების მუდმივი განახლება და მომხმარებელთა ციფრული უნარების გაუმჯობესება. უახლოეს წლებში IT კიდეც უფრო მეტად განსაზღვრავს ცხოვრების სტანდარტებსა და ტექნოლოგიურ პროგრესს.

ბიბლიოგრაფია

- Castells, M. The Rise of the Network Society. Wiley-Blackwell, 2010.
- Brynjolfsson, E., McAfee, A. The Second Machine Age. MIT Press, 2014.
- Schwab, K. The Fourth Industrial Revolution. World Economic Forum, 2016.
- Laudon, K., Laudon, J. Management Information Systems. Pearson, 2022.
- OECD Digital Economy Outlook, 2024.
- Gartner IT Trends Report, 2023–2024.
- Акимов А.А., Мустафина С.А. Обзор современных методов искусственного интеллекта по распознаванию девиантного поведения индивида// Вестник Технологического университета. 2020. Т. 23. № 8. С. 69–79.
- Акимов А.А., Агафонова А.А. О существовании решения начально-граничной задачи для нелинейного уравнения балки // В сборнике: Современная математика и ее приложения.

- Материалы Международной научно-практической конференции. Ответственный редактор С.А. Мустафина. 2017. С. 107-109.
- Akimov A.A., Safin E.M., Ermilova Yu.S. Analysis of the risk of bankruptcy llc "Group of companies" Rusagro" based on software package // International Agricultural Journal. 2018. Т. 61. № 4. С. 8.

აშშ-ის გეოსტრატეგიული ინტერესების ევოლუცია მე-20 საუკუნეში

ვიცე-პოლკოვნიკი იოსებ ტურაშვილი¹

<https://orcid.org/0009-0004-2891-7547>

<https://doi.org/10.61446/mp.4.2025.10043>

აბსტრაქტი

ნაშრომი აშუქებს აშშ-ის გეოსტრატეგიული ინტერესების დინამიკას XX–XXI საუკუნეების განმავლობაში, დეტალურად აერთიანებს ისტორიულ, სამხედრო, ეკონომიკურ და დიპლომატიურ ფაქტორებს, რომლებმაც განაპირობეს აშშ-ს როლი გლობალურ წესრიგში. კვლევა ხაზს უსვამს აშშ-ის საწყის იზოლაციონისტურ პოზიციას, პირველი და მეორე მსოფლიო ომების ტრანსფორმაციულ გავლენას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ბრეტონ ვუდის სისტემის და სამხედრო ალიანსების (ნატო, აშშ-იაპონია, სამხრეთ კორეა) მნიშვნელობას გლობალური უსაფრთხოების არქიტექტურაში. ნაშრომი დეტალურად აღწერს ცივი ომის ეპოქის იდეოლოგიურ დაპირისპირებას, შეკავების სტრატეგიას და აშშ-ის ფართო სამხედრო ჩართულობას კორეასა და ვიეტნამში. ნაშრომი წარმოგვიდგენს თუ, როგორ გარდაიქმნა აშშ პატარა იზოლაციონისტური სახელმწიფოდან წამყვან გლობალურ ძალად, რომელიც ისეთი ინტეგრირებული გეოსტრატეგიული ინსტრუმენტებით როგორიცაა სამხედრო, ეკონომიკური, დიპლომატიური და ინსტიტუციონალური ასპექტები, ახორციელებდა საკუთარ ინტერესებს საერთაშორისო სისტემაში. ნაშრომი მკაფიოდ განსაზღვრავს დროით კატეგორიებსა და ისტორიულ ფაქტორებს, რაც აშშ-ის სტრატეგიული განვითარების კომპლექსური აღქმას აადვილებს. ნაშრომი დეტალურად ასახავს ტრუმენის დოქტრინისა და მარშალის გეგმის გავლენას აშშ-ის გეოსტრატეგიულ ინტერესებზე, ხაზს უსვამს მათ როლს კომუნიზმის შეკავებისა და ომით დაზარალებული ევროპის აღდგენის პროცესებში. ავტორი კარგად აჩვენებს, როგორ გადაიზარდა აშშ-ის პოლიტიკა არა მხოლოდ სამხედრო მხარდაჭერაში, არამედ ეკონომიკურ ინიციატივებში, რაც უზრუნველყოფდა სტაბილურობას და ქმნიდა საყრდენს საბჭოთა გავლენის წინააღმდეგ. ნაშრომი ასევე მოგვითხრობს ცივი ომის შემდგომი ეპოქის ძირითადი მოვლენებისა და აშშ-ის გეოსტრატეგიული ინტერესების ევოლუციას, ხაზს უსვამს სამხედრო ოპერაციების, ეკონომიკური გლობალიზაციის და საერთაშორისო ინსტიტუტებში ჩართულობის მნიშვნელობას. განსაკუთრებით მკაფიოა სამხედრო კამპანიების, როგორიცაა “უდაბნოს ქარიშხალი”, ბალკანეთის ინტერვენციები და გლობალური ომი ტერორის წინააღმდეგ, რომელიც აჩვენებს აშშ-ის მზაობას გამოიყენოს ძალა საერთაშორისო სტაბილურობისა და სტრატეგიული ინტერესების დასაცავად.

მეთოდოლოგიურად ნაშრომი თვისებრივი კვლევების კატეგორიაში მოიაზრება და კვლევაზე მუშაობის პროცესში მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის სხვადასხვა ტექნიკები.

აშშ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გლობალური გეოსტრატეგიული მოთამაშეა. მისი გეოსტრატეგიული ძალა ეფუძნება როგორც გეოგრაფიულ მდებარეობას, ისე ეკონომიკურ, სამხედრო-პოლიტიკურ და ტექნოლოგიურ ძლიერებას. სწორედ ამ ძირითადი გეოსტრატეგიული ინდიკატორების გათვალისწინებით ხდება აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმირება, რომლებიც კონცეპტუალური დოკუმენტებში ჰპოვებენ ასახვას.

ისტორიულ კონტექსტის ანალიზის საფუძველზე კვლევამ აჩვენა, რომ აშშ-ის გეოსტრატეგიული ინდიკატორების ჩამოყალიბებაზე ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა რამდენიმე ფაქტორმა: ომებმა (განსაკუთრებით მსოფლიო და ცივი ომის პერიოდში), ტექნოლოგიურმა წინსვლამ, საერთაშორისო ვაჭრობის ზრდამ, ენერგორესურსებზე დამოკიდებულებამ და გლობალურ პოლიტიკაში ახალი მოთამაშეების გამოჩენამ. აშშ-ის სტრატეგია დინამიკურად ევოლუციონირებს - თავდაპირველად

¹სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს, ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის, მენეჯმენტის მიმართულების უფროსი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი

იზოლაციონისტური მიდგომებიდან აგრესიულ ინტერვენციონიზმამდე. ინდიკატორების კლასიფიკაცია – სამხედრო, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, ენერგეტიკული და საინფორმაციო - გვიჩვენებს სახელმწიფოს მრავალმხრივ ძალაუფლებას და იმ გამოწვევების მრავალფეროვნებას, რომელთაც იგი პასუხობს.

საკვანძო სიტყვები: გეოსტრატეგიული ინტერესები; შეკავების სტრატეგია; იზოლაციონისტური პოლიტიკა; გლობალური ჰეგემონია; ცივი ომი.

The Evolution of US Geostrategic Interests in the 20th Century

Lieutenant Colonel Ioseb Turashvili²

Abstract

The paper examines the dynamics of US geostrategic interests during the 20th–21st centuries, integrating in detail the historical, military, economic, and diplomatic factors that shaped the US role in the global order. The study emphasizes the initial isolationist stance of the US, the transformative impact of World Wars I and II, and the importance of the United Nations, the Bretton Woods system, and military alliances (NATO, US-Japan, South Korea) in the architecture of global security. The paper describes in detail the ideological confrontation of the Cold War era, the strategy of containment, and the extensive US military involvement in Korea and Vietnam. The work presents how the USA transformed from a small isolationist state into a leading global power, which implemented its interests in the international system with such integrated geostrategic instruments as military, economic, diplomatic and institutional aspects. The work clearly defines time categories and historical factors, which facilitates the complex perception of the strategic development of the USA. The work reflects in detail the influence of the Truman Doctrine and the Marshall Plan on the geostrategic interests of the USA, emphasizing their role in the processes of containing communism and rebuilding war-torn Europe. The author clearly shows how the US policy evolved not only into military support, but also into economic initiatives, which ensured stability and created a bulwark against Soviet influence. The paper also traces the major events of the post-Cold War era and the evolution of US geostrategic interests, emphasizing the importance of military operations, economic globalization, and engagement in international institutions. Military campaigns such as Desert Storm, the Balkan interventions, and the Global War on Terror are particularly clear in demonstrating the US's willingness to use force to protect international stability and strategic interests.

Methodologically, the paper falls into the category of qualitative research, and various qualitative research techniques were used to collect and analyze data during the research.

The US is one of the most important global geostrategic players. Its geostrategic power is based on its geographical location, as well as its economic, military-political, and technological strength. It is precisely with these main geostrategic indicators that the US national security policy is being formed, which are reflected in conceptual documents.

Based on the analysis of the historical context, the study showed that several factors had the greatest influence on the formation of US geostrategic indicators: wars (especially during the World War and the Cold War), technological progress, the growth of international trade, dependence on energy resources, and the emergence of new players in global politics. US strategy is dynamically evolving - initially from isolationist approaches to aggressive interventionism. The classification of indicators - military, economic, technological, energy, and information - shows the multifaceted power of the state and the diversity of the challenges it responds to.

Keywords: geostrategic interests; containment strategy; Isolationist policy; global hegemony; Cold War.

² Head of the Bachelor's Program in Management at LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia, Doctoral of program's Sciences Political education of Caucasus International University

შესავალი

მე-20 საუკუნეში და 21-ე საუკუნის მიჯნაზე აშშ-ს გეოსტრატეგიული ინტერესების ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ისტორიულმა მოვლენებმა, გლობალური ძალაუფლების სტრუქტურის ცვლილებამ და იმ პერიოდში არსებულმა გეოპოლიტიკურმა გამოწვევებმა. აღსანიშნავია და ყურადღება გასამახვილებელია იმ კონკრეტულ ფაქტორებზე, რომლებმაც დასახელებულ პერიოდში განაპირობეს და ხელი შეუწყო აშშ-ის გეოსტრატეგიის ჩამოყალიბებას. გეოპოლიტიკური პროცესები, რომლებმაც განაპირობა აშშ-ის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების, გეოსტრატეგიული ინტერესებისა და შესაბამისად ინდიკატორების ჩამოყალიბება პირობითდ შეგვიძლია დავაჯგუფოთ შემდეგ ძირითად დროით კატეგორიებად: ა) მსოფლიო ომები და აშშ-ს ტრანსფორმაცია, როგორც ზესახელმწიფო; ბ) ცივი ომი; დ) ცივი ომის შემდგომი ეპოქა.

სანამ მსოფლიო ომების გავლენებს ჩავუღრმავდებით, აუცილებელია გავიგოთ აშშ-ის საწყისი საგარეო პოლიტიკის პოზიცია. მე-20 საუკუნის დასაწყისში შეერთებული შტატები იცავდა იზოლაციონისტურ პოლიტიკას, ფოკუსირებული იყო შიდა ზრდაზე და თავიდან აიცილა ჩართულობა ევროპულ კონფლიქტებში. ეს მიდგომა განპირობებული იყო პრეზიდენტ ჯორჯ ვაშინგტონის გამოსამშვიდობებელ მიმართვაში ჩამოყალიბებული პრინციპებით, რომელიც ურჩევდა უცხო ქვეყნებთან მუდმივი ალიანსების თავიდან აცილებას³ და შემდეგში მონროს დოქტრინის ჩამოყალიბებით, რომელიც ასევე განსაზღვრავდა ამერიკის საგარეო პოლიტიკურ კურსის მიმართულებაში იზოლაციონისტურ მიდგომას.⁴

თუმცა, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ და შემდგომმა გეოპოლიტიკურმა რყევებმა აშშ-ის ეს მიდგომა საგარეო პოლიტიკაში გამოწვევის წინაშე დააყენა. აშშ თავდაპირველად ინარჩუნებდა ნეიტრალიტეტს, რაც ასახავდა ფართო საზოგადოების განწყობას შორეულ ევროპულ ომში ჩართვის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, რამდენიმე ფაქტორმა აიძულა აშშ გადაეხედა თავისი პოზიცია.

³ Lurie, Shira. „George Washington's Farewell Address“, <https://surl.li/scprgf>, (გადამოწმებულია 02.12. 2025);

⁴ The National Museum of American Diplomacy. The Monroe Doctrine: The United States and Latin American Independence. <https://surl.li/xvydvn>, (გადამოწმებულია 02.12. 2025);

ძირითადი ნაწილი

